
უილიამ გოლდინგი
ბუზთა ბატონი

უილიამ გოლდინგი

ბუზთა ბატონი

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ქაჯაიამ

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

И(АНГЛ)
Г-634

უილიამ გოლდინგი
ბუზთა ბატონი
რომანი. პირველი გამოცემა. თბილისი. 2002

ინგლისურიდან თარგმნა **ნინო ქაჯაიამ**

რედაქტორი: **ლოლა ქადაგიშვილი**
ყდის დიზაინი: **სოფიო კინწურაშვილი**

© უილიამ გოლდინგი, 1954
ქართული გამოცემა განხორციელდა Faber and Faber Ltd.-ისა და
შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" შეთანხმების საფუძველზე.

© William Golding, 1954
ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2002

ISBN 99928-914-6-7

William Golding
LORD OF THE FLIES

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
აღმაშენებლის 150ა, 380012 თბილისი

www.sulakauri.ge

Published and printed by
Bakur Sulakauri Publishing.
Tbilisi, Georgia

- 0146

თავი პირველი

ნიჟარის ხმა

ქერათმიანი ბიჭი კიდევ რამდენიმე ფუტით ჩამოეშვა კლდეზე და ლაგუნისკენ აიღო გეზი. სასკოლო ფორმის ჯემპრი გაეძრო და ხელზე ჰქონდა გადაკიდებული, მაგრამ ნაცრისფერი პერანგი ტანზე ეკვროდა, თმა შუბლზე ეწებებოდა. ციცაბო კლდე სიგრძეზე იჭრებოდა ჯუნგლებში, იქაურობა გახურებულ აბანოს ჰგავდა. გაჭირვებით მიიკვლევდა გზას ლიანებსა და გადამტვრეულ ხეებს შორის; რაღაც ჩიტმა წითელ-ყვითლად გაიელვა და ალქაჯივით აწიოკებული აფრთხიალდა ცაში; ამ ხმას ექოსავით გამოეპასუხა მეორე ხმა:

— ჰეი! მოიცა ერთი წუთით!

კლდის გვერდით ტყისპირს ჟრუანტელმა გადაუარა და წვიმის წვეთები ხმაურით წამოვიდა.

— მოიცა ერთ წუთს, — თქვა ხმამ, — გავიხლართე.

ქერა გაჩერდა და მექანიკური მოძრაობით ამოიწია გეტრები. ამ ჟესტმა ჯუნგლები წუთით მის ქალაქს დაამსგავსა.

ხმა ისევ ალაპარაკდა:

— ადგილიდან ვეღარ ვიძვრი ამ ჩამოკიდებული რამეების გადამკიდე.

ხმის პატრონმა ტყისპირს გამოაღწია — უკან-უკან მოდიოდა, გაზინტლულ ქურთუკზე ტოტები ებღაუჭებოდა. შიშველი, მსუქანი მუხლისთავები ეკლებს გამოსდო და დაეკაწრა. დაიხარა, ფრთხილად ამოიძრო ეკლები და მოტრიალდა. ქერა ბიჭზე დაბალი იყო და ძალიან მსუქანი. წინ გამოვიდა, უხიფათო ადგილის ძებნაში ფეხებს ფრთხილად დგამდა. სქელმინიანი სათვალიდან აიხედა.

— მეგაფონიანი კაცი სად არის?

ქერამ თავი გააქნია.

— ეს კუნძულია. ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, რომ კუნძულია. ის, ზღვაში, მეჩეჩია. შეიძლება, აქ მოზრდილი საერთოდ არავინ იყოს.

მსუქანი ბიჭი სახტად დარჩა.

— მფრინავი ხომ იყო. ოღონდ მგზავრების სალონში კი არა, წინ, კაბინაში იჯდა.

ქერა თვალმოჭუტული შესცქეროდა რიფს.

— სხვა ბავშვები? — განაგრძობდა მსუქანი, — უნდა გადარჩენილიყვნენ, ასე არ არის?

ქერა დაუდევრად მიაბიჯებდა წყლისკენ. ცდილობდა, აგდებული სახე მიეღო, ოღონდ არც ის უნდოდა, რომ ვინმეს ეფიქრა, არაფერი ენაღვლებაო. მსუქანი ბიჭი სასწრაფოდ აედევნა.

— უფროსები საერთოდ არ არიან?

— არა მგონია.

ქერამ ეს სერიოზული სახით თქვა, მაგრამ მერე ახდენილი ოცნების გამო სიხარულმა სძლია, კლდის შუაში ყირა გაჭიმა და ქვემოდან შესცინა უკან დახეულ მსუქან ბიჭს:

— უფროსების ჭაჭანებაც არ არის.

მსუქანი წამით დაფიქრდა.

— მფრინავი...

ქერა ამოტრიალდა, ფეხზე დადგა და მერე ნოტიო მიწაზე დაჯდა.

— ეტყობა, ჩამოგვსხა და გაფრინდა. აქ მიწაზე ვერ დაჯდებოდა. ბორბლებიანი თვითმფრინავით არ გამოუვიდოდა.

— ჩამოგვაგდეს?

— დაბრუნდება, სად წავა!

მსუქანმა თავი გააქნია.

— როცა ვეშვებოდით, ფანჯრიდან თვითმფრინავის მეორე მხარე დავინახე. ალი გამოდიოდა.

კლდეს ახედ-დახედა.

— სულ ფიუზელაჟის ბრალია.

ქერამ ჩამოჩეხილ ხეს აუსვა ხელი. წუთით ინტერესი შეეტყო.

— რა დაემართა? — იკითხა მან. — ახლა სად არის?

— ქარიშხალმა ზღვისკენ გაათრია. ისე, საშიში კი იყო, ხეები სულ დალეწილია. ბავშვებიც იქნებოდნენ.

წუთით შეყოყმანდა და მერე ისევ ალაპარაკდა:

— რა გქვია?

— რალფი.

მსუქანი ბიჭი ელოდა, რომ თვითონაც ჰკითხავდნენ სახელს, მაგრამ ქერამ მხოლოდ ჩაიღიმა, ადგა და კიდევ ერთხელ დაადგა ლაგუნისკენ მიმავალ გზას. მსუქანი ფეხდაფეხ მიჰყვა.

— მე მგონი, ჩვენგან ბევრი იქნება დაფანტული. სხვები ხომ არ გინახავს?

რალფმა თავი გააქნია და ნაბიჯს უმატა. მერე ტოტს წამოჰკრა ფეხი და დაეცა.

მსუქანი ბიჭი გვერდით ედგა და ქოშინებდა.

— დეიდაჩემი სირბილს მიშლის, — აუხსნა რალფს, — ასთმა მაქვს.

— ასთმა-ჩაფსმა?

— ჰო. სუნთქვა მეკვრის. ჩვენს სკოლაში მარტო მე მქონდა ასთმა. — ცოტა არ იყოს, ამაყად წარმოთქვა ბიჭმა. — და სამი წლიდან სათვალე მიკეთია.

სათვალე მოიხსნა, თვალების ხამხამით და ღიმილით მიაწოდა რალფს, მერე ჭუჭყიანი ქურთუკით წმენდა დაუწყო. უცებ სახე ტკივილმა მოუჭმუხნა და შეწუხებული გამომეტყველებით გაირინდა. ლოყებიდან ოფლი ჩამოიწმინდა, სათვალე სწრაფად მოირგო ცხვირზე.

— ამ ხილმა...

ტყისპირს შეავლო თვალი.

— ამ ხილმა... — გაიმეორა, — მე მგონი...

სათვალე გაისწორა, რალფს გაშორდა და აბურდულ ფოთლებში ჩაცუცქდა.

— ახლავე გამოვალ...

რალფმა ფრთხილად გამოითავისუფლა თავი და ტოტებიდან გამოძვრა. რამდენიმე წამში მსუქანი ბიჭის ქსუტუნი უკან მოიტოვა, აჩქარებით გაეშურა საფარისკენ, ლაგუნას რომ აშორებდა, წაქცეულ ხეს გადააბიჯა და ჯუნგლებიდან გავიდა.

ნაპირზე მაღალი პალმები დახვდა. ზოგი იდგა, ზოგი მზის სხივებისკენ გადაწოლილიყო. მწვანე ფოთლები ასი ფუტის სიმაღლეზე აღმართულიყო ჰაერში. პალმების ქვეშ უხეში ბალახი იზრდებოდა, წაქცეული ხეების ამოტრიალებულ

ფესვებს ბალახი ალაგ-ალაგ დაეგლიჯა, მიწაზე დამპალი ქოქოსი ეყარა და პალმის ყლორტები ჩანდა, უკან — ჩაბნელებული ტყე და კლდის ნათელი სილუეტი. რალფი იდგა, ცალი ხელით ნაცრისფერ ხეს მიჰყრდნობოდა, მოციმციმე წყალი თვალს სჭრიდა. დაახლოებით ერთი მილის მოშორებით, მარჯნის რიფთან, ტალღა იქოჩრებოდა, უფრო იქით კი თვალუწვდენელი ზღვის მუქი სილურჯე იშლებოდა. მარჯნის უსწორმასწორო თაღში ლივლივებდა ლაგუნა — მთის ტბასავით წყნარი, ლურჯის ათასნაირი ელფერით, დაბინდული მწვანე და მეწამული. პალმის ტერასებსა და წყალს შორის ნაპირი თხელ ზოლად ირკალებოდა, და სადღაც, უსასრულობაში, რალფის მარცხნივ, პალმები, ნაპირი და წყალი ერთმანეთს ერწყმოდა; ყველგან სიცხე იდგა — ლამის თვალით დასანახი.

ტერასიდან ჩამოხტა. შავი ფეხსაცმელებით ქვიშაში ჩაეფლო და სიცხე შემოეფეთა. ტანსაცმელი დაუმძიმდა, გაბრაზებულმა დააბაკუნა ფეხები, ელასტიური გეტრები თავის აჭიმებიანად ერთი მოძრაობით გაიძრო. მერე უკან, ტერასაზე გადახტა და პერანგი გაიხადა. იდგა თავის ქალას მსგავს ქოქოსებს შორის, პალმებიდან მწვანე ჩრდილი რომ ეცემოდათ, იდგა და თვითონაც ტყის ჩრდილი დასთამაშებდა ტანზე. ქამარზე გველის თავებივით გადაჭდობილი ბალთა გაიხსნა, შორტები და ტრუსი გაიძრო, იდგა გაშიშვლებული, ლაპლაპა ნაპირსა და წყალს გაჰყურებდა.

მეცამეტე წელიწადში გადადგა და ბავშვური ღიპი აღარ ეტყობოდა, მაგრამ ჯერ არც იმ ასაკისთვის მიეღწია, რომ მოზარდის მოუქნელობა და უხერხულობა ეგრძნო. მისი დანახვისას ვინმეს შეიძლებოდა ეფიქრა, მხრები რომ გაუგანიერდება და დაუმსხვილდება, კარგი მოკრივე დადგებაო, მაგრამ რბილი ტუჩები და ხავერდოვანი თვალები უბოროტო ხასიათზე მეტყველებდა. ნაზად დაუსვა ხელი პალმის ტანს; მერე, როცა იფიქრა, რომ კუნძულის რეალობა საბოლოოდ უნდა დაეჯერებინა, ისევ სიხარულით გაიცინა და ყირა გაჭიმა. მარჯვედ გადავიდა ყირამალა, ნაპირზე ჩახტა, ჩაიჩოქა, მკლავები გაშალა და ქვიშა მკერდთან მოხვეტა. მერე იქვე ჩაჯდა და წყალს გახედა, გაბრწყინებული, აღტაცებული თვალებით.

— რალფ...

— მსუქანმა ბიჭმა ტერასიდან ფეხი ჩამოუშვა და ფრთხილად ჩამოჯდა კიდეზე.

— ბოდიშს ვიხდი, რომ დამაგვიანდა. ამ ხილმა...

სათვალე განმინდა და პაწია ცხვირზე დაისკუპა. ჩარჩომ ღრმა, ვარდისფერი „V"-ს ფორმის ნაკვალევი დაუტოვა ძგიდეზე. რალფის ოქროსფერ სხეულს გახედა, მერე საკუთარ ტანსაცმელზე დაიხედა, მკერდზე დაშვებული ელვა-შესაკრავის ენაზე დაიდო ხელი.

— დეიდაჩემი...

უცებ გადაწყვიტა, მკვეთრი მოძრაობით გაიხსნა შესაკრავი და ქურთუკი თავზე გადაიძრო.

— რაც არის, არის!

რალფმა ალმაცერად გახედა და არაფერი თქვა.

— მე მგონი, ყველას სახელი უნდა დავაზუსტოთ, — განაცხადა მსუქანმა ბიჭმა, — სია უნდა შევადგინოთ, შევიკრიბოთ.

რალფმა წაუყრუა, ასე რომ, მსუქანს სხვა გზა აღარ ჰქონდა — უნდა გაეგრძელებინა.

— სულერთია, რა მერქმევა, — გაენდო ბოლოს, — რაკი იმას აღარ მიძახიან, რასაც სკოლაში.

რალფი, ცოტა არ იყოს, დაინტერესდა.

— რაო, რას გიძახდნენ?

მსუქანმა ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, მერე რალფისკენ დაიხარა:

— ღუტას მიძახდნენ.

რალფს სიცილი წასკდა. წამოხტა.

— ღუტა! ღუტა!

— რალფ... კარგი რა!

ღუტამ ავი წინათგრძნობით გაასავსავა ხელები.

— გითხარი, არ მინდოდა...

— ღუტა! ღუტა!

რალფი ცეკვა-ცეკვით გავარდა გავარვარებულ სანაპიროზე, მერე საბრძოლო თვითმფრინავივით მოტრიალდა, ფრთები უკან წაიღო და ღუტას ავტომატის ჯერი დაუშინა.

— ჟუჟუ! ბა-ბახ-ბახ-ბახ!

ქვიშაში გაიშხლართა, ღუტას ფერხთით, იწვა და სიცილით კვდებოდა.

— ღუტა!

ღუტამ უხალისოდ გაიღიმა. თავისდა უნებლიეთ, ამგვარმა აღიარებამ შვება მოჰგვარა.

— ოღონდ არავის არ უთხრა...

რალფმა ქვიშაში ჩაიხითხითა. ღუტას სახე ისევ ტკივილმა მოუჭმუხნა და შეწუხებული გამომეტყველება დაუბრუნდა.

— ერთი წუთით!

ისევ ტყისკენ გაიქცა. რალფი ადგა და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა მარჯვნივ.

აქ ნაპირი მკვეთრად იცვლებოდა — პეიზაჟს ოთხკუთხა ფორმები ერეოდა. ტყეში, ტერასაზე, ქვიშასა და ლაგუნაში ჯიქურ შეჭრილი ვარდისფერი გრანიტის ვეება ბაქანი ოთხი ფუტის სიმაღლეზე აღმართულ ფიცარნაგს ჰგავდა. მიწის თხელი ფენით დაფარულ ბაქანზე უხეში ბალახი და ნორჩი პალმები ამოსულიყო. მიწა არ კმაროდა პალმების სიმაღლეში გასაზრდელად, ოციოდე ფუტს მიღწეული ხეები ეცემოდა, ხმებოდა, გარდიგარდმო დაყრილი ეს მორები ძალიან მოხერხებული იყო დასაჯდომად. ის პალმები, ჯერ ფეხზე რომ იდგა, ფოთლებით მწვანე სახურავს აფარებდნენ იქაურობას; სახურავს წყლიდან არეკლილი მთრთოლავი ათინათი დასთამაშებდა. რალფი ბაქანზე აძვრა, ჩრდილი და სიგრილე ესიამოვნა, ცალი თვალი მოჭუტა და გადაწყვიტა, რომ მის სხეულზე მოსრიალე ჩრდილები ნამდვილად მწვანე იყო. ფრთხილად მიუახლოვდა ზღვაზე გადაკიდებული ბაქნის კიდეს, გაჩერდა და ჩაიხედა. წყალი ისეთი სუფთა იყო, ფსკერამდე ჩააწვდენდი თვალს. სიღრმეში წყალმცენარეები იშლებოდა და მარჯნის კრისტალები ჩანდა. პანანინა, ელვარე თევზები ხან აქ მოიქნევდნენ კუდს, ხან — იქ. რალფმა საკუთარ თავს მიმართა აღტაცებისგან დაბოხებული ხმით:

— მაგგარრრ!

ბაქნის იქით კიდევ ერთი სასწაული იყო. ღვთის ძალამ — შეიძლება, ტაიფუნმა, ან იქნებ იმ ქარიშხალმა, რალფი თვითონ რომ შეესწრო— ლაგუნაში ისე მოაგროვა ქვიშის ზოლი, რომ ნაპირზე გრძელი, ღრმა ტბორი გაჩნდა, რომელსაც შორს, მეორე ბოლოში, ვარდისფერი გრანიტის მაღალი ჯებირი ევლებოდა. რალფი ერთხელ უკვე გააცურა წყლის მოჩვენებითმა სიღრმემ და ახლა, ტბორს რომ უახლოვდებოდა, ბევრს არაფერს ელოდა. მაგრამ კუნძულმა არ გააწბილა და დაუჯერებელი, ყოვლად წარმოუდგენელი ტბორი — ყურე,

რომელშიც ზღვა აშკარად მხოლოდ დიდი მოქცევისას იჭრებოდა, ცალ მხარეს ისეთი ღრმა აღმოჩნდა, რომ მუქი მწვანე ფერი ჰქონდა. რალფმა ერთი ოცდაათი იარდი გულმოდგინედ დაათვალიერა და ჩაყვინთა. წყალი მის სისხლზე უფრო თბილი გამოდგა და ვეება აბაზანაში ცურვა გამოუვიდა.

ღუტა ისევ გამოჩნდა. კლდის ქიმზე ჩამოჯდა. შურით ათვალიერებდა რალფის მწვანე და თეთრ სხეულს.

— მაგრა ცურავ.

— ღუტა.

ღუტამ ფეხსაცმელები და წინდები გაიხადა, ფრთხილად დააწყო ქიმზე და წყალში ფეხის წვერი ჩაჰყო.

— ცხელია!

— აბა, რას ელოდი?

— არაფერსაც არ ველოდი. დეიდაჩემი...

— არსად დაგეკარგოს დეიდაშენი!

რალფმა ჩაყვინთა და თვალგახელილმა გაცურა წყალქვეშ; ტბორის ქვიშიანი ნაპირი გორაკის ფერდობს ჰგავდა. გულაღმა დაწვა, ცხვირზე ხელმოჭერილი, ოქროსფერი შუქი ცეკვითა და ლივლივით დაეფინა სახეზე. ღუტას შეეტყო, რომ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო — შორტების გახდა დაიწყო. ახლა, გაშიშვლებული, უფრო თეთრი და მსუქანი ჩანდა. თითის წვერებზე შემდგარი დაეშვა ტბორის ქვიშიან მხარეს, წყალში ყელამდე შევიდა და ამაყად გაუღიმა რალფს.

— ცურვას არ აპირებ?

ღუტამ თავი გააქნია.

— ცურვა არ ვიცი. არ მანებებდნენ, ასთმა...

— არსად დაგეკარგოს შენი ასთმა-ჩაფსმა.

ღუტა ბედს შეგუებული კაცის გამომეტყველებით ღირსეულად იტანდა ყველაფერს.

— ძაან მაგრა ცურავ.

რალფმა უკან გამოცურვისას მხარული მოუსვა, პირი წყალში ჩაჰყო და ჭავლი ამოუშვა. მერე ნიკაპი ამოსწია და უთხრა:

— ხუთი წლისამ ვისწავლე ცურვა. მამაჩემმა მასწავლა. ფლოტში მსახურობს, მეთაურია. როგორც კი გამოუშვებენ, ჩამოვა და გადაგვარჩენს. მამაშენი რას აკეთებს?

ღუტა აილენა.

— მამაჩემი მოკვდა, — უპასუხა სწრაფად, — დედა კი...

სათვალე მოიხსნა და მიიხედ-მოიხედა, რამე გასაწმენდი რომ ენახა. ვერაფერი ნახა.

— დეიდაჩემთან ვცხოვრობ. ტკბილეულის მაღაზია აქვს და ქვეყნის ტკბილეულს ვჭამდი. რამდენსაც მინდოდა. მამაშენი როდის გადაგვარჩენს?

— როგორც კი მოახერხებს.

ღუტა წყლიდან ამოვიდა. იდგა შიშველი და წინდით წმენდდა სათვალეს. ახლა, დილის პაპანაქებაში, მხოლოდ რიფზე შემომსხდარი ფრინველების გაწელილი, გულის გამაწვრილებელი ხმა ესმოდათ.

— საიდან გაიგებს, რომ აქა ვართ?

რალფი წყალში ნებივრობდა. ძილი მოერია, მირაჟივით შემოეხვია და გააბრუა, იმ მირაჟივით, ალაპლაპებული ლაგუნას თავზე რომ ჩანდა.

— საიდან გაიგებს, რომ აქა ვართ?

იქიდან, ფიქრობდა რალფი, იქიდან, იქიდან. რიფზე შემომსხდარი ფრინველების გუგუნი ახლა შორიდან ესმოდა.

— აეროპორტში ეტყვიან.

ღუტამ თავი გააქნია, მოციმციმე სათვალე გაიკეთა და რალფს გახედა.

— არა, მანდ არა. ვერ გაიგონე, რა თქვა მფრინავმა? ატომურ ბომბზე. ცოცხალი აღარავინ დარჩა.

რალფი წყლიდან ამოვიდა. იდგა, ღუტას შეჰყურებდა და ამ უჩვეულო პრობლემებზე ფიქრობდა.

ღუტა არ ეშვებოდა.

— ეს ხომ კუნძულია?

— წეღან კლდეზე ავძვერი, — ნელა წარმოთქვა რალფმა, — მე მგონი, კუნძულია.

— ცოცხალი აღარავინ დარჩა, — უთხრა ღუტამ, — ეს კი კუნძულია და არავინ იცის, აქ რომ ვართ. მამაშენმაც არ იცის. არავინ არ იცის...

ტუჩები აუცახცახდა და სათვალე დაენამა.

— შეიძლება, მთელი სიცოცხლე აქ დავრჩეთ.

ამ სიტყვებზე სიცხემ თითქოს იმატა, სახიფათოდ დამძიმდა და ლაგუნამ თვალისმომჭრელი სიკაშკაშით შემოუტიათ.

— ტანსაცმელს ავიღებ, — ჩაიბურტყუნა რალფმა, — აგერ, იქ აწყვია.

ქვიშაში გაიქცა, მზის სიავეს გაუძლო, ბაქანი გადაჭრა და

თავისი გაფანტული ტანსაცმელი იპოვა. უცნაურად ესიამოვნა ნაცრისფერი პერანგის ხელახლა ჩაცმა. მერე ბაქნის კიდეზე აცოცდა და მწვანე ჩრდილში, მორზე მოიკალათა. ღუტამ წელი აითრია, თავისი ტანსაცმელი იღლიაში ამოჩრილი მიჰქონდა. ფრთხილად დაჯდა წაქცეულ ხეზე, პატარა შვერილის ახლოს, პირდაპირ რომ გაჰყურებდა ლაგუნას; აბურდული ფიქრები მოეძალა.

მალე ალაპარაკდა:

— დანარჩენები უნდა ვიპოვოთ. რამე უნდა ვიღონოთ.

რალფს არაფერი უთქვამს. მარჯნის კუნძულზე იყო... მზეს შეფარებული, ღუტას ავისმომასწავებელ ლაპარაკს ერთი ყურიდან მეორეში უშვებდა და საამურად თვლემდა.

ღუტა არ ეშვებოდა.

— რამდენი ვართ?

რალფი ადგა და ღუტას მიუახლოვდა.

— არ ვიცი.

დროდადრო სიო გადაურბენდა სიცხის ალმურის ქვეშ მოლაპლაპე წყალს; როცა ბაქნამდე აღწევდა, პალმის ფოთლები ჩურჩულს იწყებდნენ და მთრთოლავი ათინათი სხეულებზე დასრიალებდა ან ჩრდილში ფარფატებდა მბრწყინავ, ფრთოსან არსებასავით.

— რამე უნდა ვიღონოთ.

რალფმა შორს გაიხედა, ღუტას თითქოს ვერც ხედავდა. აი, როგორც იქნა, მოულოდნელად შემოიჭრა რეალურ ცხოვრებაში წარმოსახული ადგილი, რომელიც სრულად ვერასდროს ისხამდა ხორცს. რალფს ტუჩები ნეტარმა ღიმილმა გაუპო; ღუტამ ეს ღიმილი საკუთარი აღიარების ნიშნად მიიჩნია და გახარებულმა გაიცინა.

— ეს თუ მართლა კუნძულია...

— მაშინ?

რალფი აღარ იღიმებოდა და ლაგუნისკენ იშვერდა თითს. გვიმრებში რაღაც კრემისფერი იდო.

— ქვაა.

— არა, ნიჟარა.

უეცრად ღუტას შეკავებული მღელვარებისგან გააჟრჟოლა.

— ეგრეა, ნიჟარაა! ასეთი ადრეც მინახავს. ერთი ბიჭის ღობეზე, ოღონდ ის საყვირს უძახდა. ჩაბერავდა ხოლმე და დედამისი მოდიოდა. დიდი ძვირფასი რამეა...

რალფის იდაყვთან პალმის ამონაყარი გადაწოლილიყო. მალე საბრალო ღეროც გადაჰყვებოდა. ბიჭმა ღერო ამოგლიჯა და წყალში ქნევა დაუწყო, ღეროს გარშემო მბრწყინავი თევზი ხან აქ გაიელვებდა, ხან იქ. ღუტა შეშფოთებული დაიხარა.

— ფრთხილად! გატეხავ...

— მოკეტე.

რალფი გულსგარეთ ლაპარაკობდა. ნიჟარა საინტერესო, ლამაზი და ღირებული სათამაშო იყო; მაგრამ საოცნებო ფანტომები ისევ ისე ჩამდგარიყვნენ მასა და ღუტას შორის, რომელიც აქაურობას ვერ ერგებოდა. პალმის დახრილი ღერო იქით, გვიმრებში ნიჟარას მისწვდა. რალფი ცალ ხელს დაეყრდნო, მეორით ღეროს დააწვა და წყლიდან ამოიღო გალუმპული ნიჟარა. ღუტამ ხელი სტაცა.

ახლა ნიჟარა შორიდან დანახული კი არა, ხელშესახები საგანი გახდა. აღტაცება რალფსაც გადაედო. ღუტა აჭყლოპინდა:

— ...ნიჟარა; ძვირფასი რამეა. დაგენიძლავები, ასეთის ყიდვა რომ გინდოდეს, ქვეყნის ფული დაგიჯდება — იმას ბაღის ღობეზე ჰქონდა და დეიდაჩემმა...

რალფმა ღუტას ნიჟარა გამოართვა და მკლავზე წყალი ჩამოუწანწკარდა. ნიჟარა კრემისფერი იყო, აქა-იქ მკრთალი ვარდისფერი დაჰკრავდა. პატარ-პატარა ღრმულებად დახვრეტილ ადგილებსა და ვარდისფერ ტუჩებს შორის თვრამეტ-დუიმიანი, დახვეწილად მოხაზული აპკი ჰქონდა. რალფმა ღრმა მილიდან ქვიშა გადმობერტყა.

— ძროხასავით ბღავის, — თქვა ღუტამ. — იმას თეთრი ქვებიც ჰქონდა, გალიაც, შიგ თუთიყუში ჰყავდა. თეთრ ქვებს, რასაკვირველია, არ უბერავდა, და ასე თქვა...

ღუტამ სული მოითქვა და ხელი გადაუსვა ელვარე ნივთს, რალფს რომ ეჭირა.

— რალფ!

რალფმა ახედა.

— ამით შეგვიძლია, დანარჩენებს დავუძახოთ. შევიკრიბოთ. რომ გაიგონებენ, მოვლენ...

თვალებგაბრწყინებულმა შეხედა რალფს.

— ეგრე აპირებდი, არა? იმიტომ არ ამოიღე წყლიდან?

რალფმა ქერა თმა გადაიწია.

— როგორ უბერავდა შენი მეგობარი ნიჟარაში?

— თითქოს აფურთხებდაო, — უთხრა ღუტამ, — დეიდაჩემი არ მანებებდა ჩაბერვას. ასთმა რომ მაქვს. იმ ბიჭმა თქვა, აქედან უნდა ჩაჰბეროო. — ღუტამ ღიპზე დაიდო ხელი. — სცადე, რალფ. დანარჩენებს დაუძახებ.

რალფმა ეჭვით მიიდო პირზე ნიჟარის ვიწრო ბოლო და შეუბერა. მხოლოდ პირიდან ამოსული ხმა გაისმა. მეტი არაფერი. რალფმა მლაშე წყალი მოიწმინდა ტუჩებიდან და კიდევ სცადა, მაგრამ ნიჟარა დუმდა.

— თითქოს აფურთხებდაო.

რალფმა ტუჩები მოწკურა და ვიწრო ნაკადად ჩაუშვა ჰაერი ნიჟარაში, რომელმაც დაბალი, დაგუდული ხმა გამოსცა. ამან ბიჭები ისე გააკვირვა, რომ რალფმა კიდევ რამდენიმე წუთს გააგრძელა ბერვა. თან იცინოდა, თან უბერავდა.

— აქედან, აქედან.

რალფი მიხვდა და ახლა დიაფრაგმიდან ამოსული ჰაერით შეუტია ნიჟარას. ისიც მყისვე ახმიანდა. ღრმა, მჭახე ხმამ გაიგუგუნა პალმებს ქვეშ, გაბურდულ ტყეს მოედო და მთის ვარდისფერი გრანიტიდან ექომაც უპასუხა. ხეების კენწეროებიდან ჩიტების ღრუბელი აიშალა. რაღაცამ წიოკით გაიშლიგინა ჭალაში.

რალფმა ნიჟარა ტუჩებიდან მოიშორა.

— უყურე ამას!

მისი ხმა ნიჟარის მჭახე ხმის შემდეგ ჩურჩულს ჰგავდა. ნიჟარა ტუჩებზე მიიდო, ღრმად ჩაისუნთქა და კიდევ ერთხელ შეუბერა. ისევ ისეთი გუგუნი გაისმა. მერე ბიჭმა ძალა მოიკრიბა, ერთი ოქტავით მაღლა ამხტარი ბგერა უფრო მკაფიოდ, მკვეთრად გაისმა და ყური გაჭრა. სახეანთებული ღუტა რაღაცას ყვიროდა, სათვალე უციმციმებდა. ჩიტები აჭყივლდნენ, პატარა ცხოველები შლიგინით გაიფანტნენ. რალფს სუნთქვა გაუწყდა. ბგერა ოქტავიდან ჩამოვარდა, დაბალ ხმაზე აგუგუნდა, სტვენად იქცა და გაქრა.

დადუმებული ნიჟარა მოციმციმე ეშვს დაემსგავსა; რალფს დიდხანს შეკრული სუნთქვისგან სახე გაულურჯდა; კუნძული ჩიტების ჟივილ-ხივილმა და ექოს წკრიალმა გაავსო.

— დაგენიძლავები, ამას ძალიან შორსაც გაიგონებ.

რალფი გონს მოვიდა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა.

— აგერ, ერთი! — წამოიძახა ღუტამ.

ბავშვი პალმებში გამოჩნდა, ნაპირის გასწვრივ, დაახლოებით, ასი იარდის მოშორებით. ასე, ექვსი წლის ბიჭი იქნებოდა, ღონიერი და ლამაზი, ტანსაცმელი შემოფლეთოდა, სახე ხილის წებოვანი ნარჩენებით ჰქონდა მოთხუპნული. შარვალი გარკვეული მიზნით ჩაეხადა და მერე წესიერად ვეღარ ამოეწია. პალმის ტერასიდან ქვიშაში გადმოხტა, შარვალი მუხლებამდე ჩასძვრა. ამოაბიჯა და ბაქნისკენ გამოენთო. ღუტა ამოძრომაში მოეხმარა. ამასობაში რალფი ბერვას განაგრძობდა. მალე ტყეში ხმები გაისმა. პატარა ბიჭი რალფს წინ ჩაუცუცქდა და სახეგაბრწყინებულმა ახედა. როცა დარწმუნდა, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა, კმაყოფილი დარჩა, ერთადერთი, რაც სუფთა ჰქონდა — ვარდისფერი ცერი — პირში გაიქანა.

ღუტა დაიხარა.

— რა გქვია?

— ჯონი.

ღუტამ სახელი ჩაიბუტბუტა და მერე რალფს გასძახა, მაგრამ იმას ყურიც არ გაუბერტყია, — ისევ უბერავდა. სახე გაულურჯდა. თვითონვე ტკბებოდა მძლავრი ხმით, დიდებული ბგერებით. შემოტმასნილი პერანგი გულისცემისგან უტოკავდა. ტყიდან ხმაური უახლოვდებოდათ.

ნაპირი თვალსა და ხელს შუა გამოცოცხლდა. ალმურს მიღმა მთრთოლავი ქვიშის იქით ფიგურები ბუნდოვნად ჩანდა. ბიჭები გავარვარებულ, ქვიშაზე მოაბიჯებდნენ, ბაქნისკენ მოემართებოდნენ. სამი პატარა, ჯონის კბილა ბავშვი უეცრად სულ ახლოს აღმოჩნდა, ხელის გაწვდენაზე — ხარბად ახრამუნებდნენ ტყეში მოკრეფილ ხილს. პატარა, შავგვრემანმა, ღუტაზე ცოტათი უმცროსმა ბიჭმა ჭალიდან ბარდებს გამოაღწია, ბაქანზე მოაბიჯებდა და ყველას მხიარულად უღიმოდა. ბიჭები თანდათან მატულობდნენ. მიამიტი ჯონის მიბაძვით, ისინიც წაქცეულ პალმებზე ჩამოსხდნენ და იცდიდნენ. რალფი ისევ უბერავდა, მოკლე, ყურისწამღები ხმა შორს გაისმოდა. ღუტა ჯგუფში მიდიმოდიოდა, ბიჭებს სახელებს ეკითხებოდა და შუბლშეჭმუხნილი ცდილობდა დამახსოვრებას. ბავშვები ისევე უბრალოდ ემორჩილებოდნენ, როგორც მანამდე მეგაფონიან კაცს. ზოგს გაეხადა და ტანსაცმელი ხელში ეჭირა, დანარჩენები ნახევრად შიშვლები იყვნენ ან სკოლის ფორმები ეცვათ: რუხი, ლურჯი,

- 94728 -

კაკაოსფერი ქურთუკები, სვიტრები, ზოლიანი გეტრები, ზოგს ემბლემა ჰქონდა დაკერებული. მწვანე ჩრდილში, გადამტვრეულ ხეებს შორის ბიჭების თავები ჩანდა: წაბლისფერი, ქერა, შავი, წითურა, ჩალისფერი, ფერფლისფერი; ბურტყუნებდნენ, ჩურჩულებდნენ, გაფართოებული თვალებით შესცქეროდნენ რალფს. ფიქრობდნენ, ნეტავ რა უნდა ვიღონოთო.

სანაპიროზე ცალ-ცალკე თუ წყვილ-წყვილად, უცებ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ბავშვები და ალმურიდან უფრო ახლოს, ქვიშაზე გადმოდიოდნენ. აქ პირველად მოხვდათ თვალში ქვიშაზე მოცეკვავე შავი, ღამურის მსგავსი, არსება, მხოლოდ მოგვიანებით გაარჩიეს, რომ ღამურა ბავშვის ჩრდილი იყო, რომელიც მზის ვერტიკალურმა სხივებმა ლაქად აქცია. რალფმა ბერვის დროსაც კი შეამჩნია მთრთოლავი შავი ლაქის ზემოთ მორბენალი წყვილი. ბაქანზე ესენი ყველაზე ბოლოს მოვიდნენ — ორი, გრუზათმიანი ბიჭი ძირს დაეცა, იწვნენ, რალფს შესცინოდნენ და ძაღლებივით ქოშინებდნენ. ტყუპები იყვნენ. თვალს სახტად ტოვებდა ამგვარი დაუჯერებელი, სასაცილო გაორება. ერთდროულად სუნთქავდნენ, ერთდროულად იცინოდნენ, ჩაფსკვნილები იყვნენ, სიცოცხლით სავსენი. სველ ტუჩებზე თითქოს კანი ასკდებოდათ, პროფილებს მკაფიო ხაზები აკლდა და პირები დაღებული ჰქონდათ. ღუტა ბიჭებისკენ დაიხარა და ნიჟარის ხმის შუალედებში გაარჩია, როგორ იმეორებდნენ:

— სემ, ერიკ, სემ, ერიკ.

სახელები აერია; ტყუპები თავს იქნევდნენ და ერთმანეთზე მიუთითებდნენ; ბავშვები გულიანად იცინოდნენ.

ბოლოს და ბოლოს, რალფმა შეწყვიტა ბერვა და დანარჩენებს მიუჯდა; ცალი ხელით ნიჟარა ჩაებღუჯა, თავი მუხლებისკენ დაეხარა. როცა ექოც მიჩუმდა და სიცილიც შეწყდა, სიჩუმე ჩამოწვა.

მოციმციმე ბურუსში ნაპირზე რაღაც მუქი ფერისა მოიკვლევდა გზას. რალფმა პირველმა დაინახა და მანამ უყურა, სანამ მისმა დაჟინებულმა მზერამ ყველა იქით არ მიახედა. მერე არსებამ მირაჟიდან სუფთა ქვიშაზე გადმოაბიჯა და დაინახეს, რომ ეს მუქი ლაქა ჩრდილი კი არა, რაღაც ხორცშესხმული იყო. ბიჭების ჯგუფი გამოდგა, სამაგალითო ფეხაწყობით მოაბიჯებდნენ ორ მწკრივად და უცნაურად ექსცენტრულ ტანსაცმელში

იყვნენ გამოწყობილნი. შორტები, პერანგები და სხვა სამოსი ხელში ეჭირათ, მაგრამ თითოეულ ბიჭს ოთხკუთხა, შავი ქუდი ეხურა, რომელზეც ვერცხლის ნიშანი დაემაგრებინათ. ტანი, ყელიდან მუხლამდე, შავი მანტიით ჰქონდათ დაფარული, რომელსაც მკერდის მარცხენა მხარეს ვერცხლის გრძელი ჯვარი ეკეთა; საყელოს მაგივრად მანტიას ჟაბო ჰქონდა. ტროპიკულმა სიცხემ, მიწაზე დაშვებამ, საჭმლის ძებნამ, მოციმციმე ნაპირზე მარშით სიარულმა და ოფლის ღვრამ ახლად გარეცხილ ქლიავებს დაამსგავსათ. ბიჭი, რომელიც მეთაურობას უწევდათ, ასევე იყო გამოწყობილი, ოღონდ იმას ოქროს ნიშანი ეკეთა ქუდზე. როცა ჯგუფი ათიოდ იარდზე მოუახლოვდა ბაქანს, მეთაურმა ყვირილით გასცა ბრძანება და ჯგუფი გაჩერდა, გულამოვარდნილი, გაოფლილი ბიჭები იდგნენ და თაკარა მზის გულზე ბარბაცებდნენ. მეთაური წინ წამოვიდა, მანტიის ფრიალით გადმოხტა ბაქანზე და იმ ადგილს მიაქცერდა, სადაც მისთვის თითქმის წყვდიადი იდგა.

— სად არის საყვირიანი კაცი?

რალფი მიხვდა, რომ ბიჭი მზით იყო დაბრმავებული და უპასუხა:

— საყვირიანი კაცი არ არის. მე ვარ.

ბიჭი მიუახლოვდა, რალფს დააცქერდა, შუბლი შეიკრა. როგორც ჩანს, დიდად ვერ დააკმაყოფილა ქერათმიანი ბიჭის დანახვამ, მუხლებზე კრემისფერი ნიჟარა რომ ედო. სწრაფად მოტრიალდა, მანტიაც მასთან ერთად დატრიალდა.

— არც გემია?

მანტია რომ აუფრიალდა, შეეტყო, რომ მაღალი იყო, გამხდარი, ძვლებამოჩრილი; შავი ქუდიდან წითური თმა უჩანდა. დაჭმუჭნული და ჭორფლიანი, უშნო სახე ჰქონდა, ოღონდ უჭკუოაო, ვერ იტყოდი. ორი ცისფერი თვალი ახლა განბილებული იყურებოდა და ნელ-ნელა ეკიდებოდა ბრაზი.

— კაცი აქ არ არის? — იკითხა და მაშინვე ზურგი შეაქცია.

— არა. ჩვენ შეკრება გვაქვს. მოდი და შემოგვიერთდი, — უპასუხა რალფმა.

მანტიაში გამოწყობილი ბიჭების ჯგუფში წინა რიგებმა დაშლა დაიწყო. მაღალმა ბიჭმა დაუყვირა:

— გუნდო! წყნარად იდექ!

გუნდი უხალისოდ დამორჩილდა, ერთ რიგზე დაეწყო, იდგა და მზეზე ბარბაცებდა. ზოგიერთმა ერთი-ორი წაიბუზღუნა.

— კი მაგრამ, მერიდიუ, გთხოვთ, მერიდიუ... არ შეიძლება?

უცებ ერთი ბიჭი ცხვირ-პირით დაენარცხა ქვიშაზე და რიგი დაიშალა. დაცემული ბიჭი ასწიეს და ბაქანზე დააწვინეს. მერიდიუმ ერთი კი გახედა, მაგრამ არ აფორიაქებულა.

— კეთილი. დასხედით. მაგას თავი დაანებეთ.

— კი მაგრამ, მერიდიუ...

— სულ გული მისდის, — თქვა მერიდიუმ, — გიბრალტარშიც ეგრე დაემართა, ადის-აბებაშიც, დილის წირვაზე პირდაპირ რეგენტს დაეცა.

ბოლო ფრაზაზე გუნდში აქა-იქ გაიცინეს. გუნდის ბიჭები შავი ჩიტებივით ჩამოსკუპებულიყვნენ გარდიგარდმო გადებული, წაქცეული ხის ტოტებზე და ინტერესით აკვირდებოდნენ რალფს. ღუტას არავისთვის უკითხავს სახელი. ცოტა არ იყოს, დააფრთხო ფორმით მოპოვებულმა უპირატესობამ და მერიდიუს მბრძანებლურმა ტონმა: რალფის გვერდით მოიბუზა და სათვალეს დაუწყო წმენდა.

მერიდიუ რალფს მიუბრუნდა.

— უფროსი არავინაა?

— არა.

მერიდიუ მორზე ჩამოჯდა და წრეს თვალი მოავლო.

— მაშინ ჩვენ თავს თვითონ უნდა მივხედოთ.

ღუტა რალფის გვერდით თავს უსაფრთხოდ გრძნობდა და გაუბედავად წამოიწყო.

— ამიტომაც მოაწყო რალფმა შეკრება. ასე რომ, შეგვიძლია, გადავწყვიტოთ, რა ვიღონოთ... სახელები ვიცით. ეს ჯონია. ის ორი — ტყუპები არიან — სემი და ერიკი. რომელია ერიკი? შენ? არა — შენ სემი ხარ...

— მე ვარ სემი.

— მე კიდევ ერიკი.

— ჯობია, ყველამ ვთქვათ ჩვენ-ჩვენი სახელები, — განაცხადა რალფმა, — მე რალფი ვარ.

— სახელები უკვე ვიცით, — უთხრა ღუტამ, — წეღან არ გამოვიკითხეთ?

— ბავშვური სახელებია. — თქვა მერიდიუმ, — ჯეკი რატომ უნდა ვიყო? მე მერიდიუ ვარ.

რალფი სწრაფად მიტრიალდა. ამ ხმის პატრონმა იცოდა, რა უნდოდა.

— მერე... — განაგრძო ღუტამ, — იმ ბიჭს... დამავიწყდა...

— რამდენს ლაპარაკობ, — უთხრა ჯეკ მერიდიუმ, — მოკეტე, სქელო.

სიცილი ატყდა.

— ეგ სქელო არ არის, — წამოიძახა რალფმა, — მაგას ღუტა ჰქვია!

— ღუტა?

— ღუტა!

— აუჰ, ღუტა!

შეუკავებელი ხარხარი ატყდა. ყველაზე პატარაც კი იცინოდა. წუთით ბიჭები რაღაცამ გააერთიანა; მხოლოდ ღუტა დარჩა განზე. ბიჭი აილეწა, მოიღუშა და სათვალის წმენდა დაიწყო.

ბოლოს სიცილი მიწყნარდა და სახელების ჩამოთვლა განაგრძეს. გუნდში სიმაღლის მიხედვით ჯეკს მაურისი მოჰყვებოდა; ფართოსახიანი და მომცინარი. იქვე იყო ერთი გამხდარი, გულჩათხრობილი ბიჭი, რომელსაც არავინ იცნობდა და ხაზგასმით შორს ეჭირა თავი. ჩაიბუტბუტა, როჯერი მქვიაო და ისევ დადუმდა. ბილი, რობერტი, ჰაროლდი, ჰენრი; ის ბიჭი გუნდიდან, წეღან გული რომ წაუვიდა, პალმის გადანაჭერზე იჯდა; უღონოდ გაუღიმა რალფს და უთხრა, საიმონი მქვიაო.

— უნდა გადავწყვიტოთ, როგორ გადავრჩეთ, — წამოიწყო ჯეკმა.

ბიჭები აგნიასდნენ. ერთმა პატარა ბიჭმა, ჰენრიმ, თქვა, სახლში მინდაო.

— მოკეტე, — დაბნეული სახით უთხრა რალფმა. ნიჟარა ასწია. — მე მგონი, ბელადი გვჭირდება გადაწყვეტილებების მისაღებად.

— ბელადი! ბელადი!

— ბელადი მე უნდა ვიყო, — თქვა ჯეკმა ქედმაღლურად, — იმიტომ, რომ მე ვარ საეკლესიო გუნდის ხელმძღვანელი და სოლისტი; დო დიეზის აღება შემიძლია.

კიდევ ერთხელ ატყდა ზუზუნი.

— კარგი, — თქვა ჯეკმა, — მე...

შეყოყმანდა. შავგვრემანი ბიჭი, როჯერი, ბოლოს გამოერკვა და ხმა ამოიღო.

— მოდი, კენჭი ვყაროთ.

— ჰო!

— ბელადი ავირჩიოთ!

— მოდი, ავირჩიოთ...

არჩევნები თითქმის ისეთივე საამური თამაში იყო, როგორც ნიჟარა. ჯეკმა შეპასუხება სცადა, მაგრამ გარშემო აურზაური ატყდა. ბელადის ყოლის სურვილი შეიცვალა რალფის არჩევის სურვილით. ამის მიზეზს ვერავინ იტყოდა; თუ გონიერებაზე მიდგებოდა, ყველას ღუტა სჯობდა; ჯეკი აშკარად ლიდერი ჩანდა; მაგრამ რალფმა სიმშვიდით მოიგო ბიჭების გული; თან მაღალი იყო, მიმზიდველი გარეგნობისა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი — თუმცა ამას ვერც აცნობიერებდნენ, — ის გახლდათ, რომ ნიჟარა რალფს ჰქონდა. ის, ვინც ნიჟარაში უბერავდა, ახლა ბაქანზე იჯდა, ნატიფი ნივთი მუხლებზე ედო და ნამდვილად ვერავინ შეედრებოდა.

— ეს — ნიჟარიანი...

— რალფი! რალფი!

რალფმა ხელის აწევით ითხოვა, გაჩუმდითო.

— კეთილი. ვის უნდა, ჯეკი იყოს ბელადი?

გუნდმა გულნაკლული მორჩილებით ასწია ხელები.

— მე ვის ვუნდივარ?

გუნდის წევრების გარდა ყველამ დაუყოვნებლივ ასწია ხელი. ღუტა ერთხანს შეყოყმანდა და მერე ისიც შეუერთდა დანარჩენებს.

რალფმა დათვალა.

— მაშინ მე ვიქნები ბელადი.

ბიჭებმა ტაში დასცხეს. გუნდიც აჰყვათ; ჯეკი წყენისგან წამოწითლდა, ჭორფლები გაუუფერულდა. წამოიწია, მერე გადაიფიქრა და ისევ დაჯდა. ტაში არ წყდებოდა. რალფმა ჯეკს შეხედა. უნდოდა, რამე შეეთავაზებინა.

— გუნდი, რასაკვირველია, შენ გეკუთვნის.

— შეიძლებოდა, ჯარი ყოფილიყო...

— ან მონადირეები...

— შეიძლება...

სიწითლემ გაუარა. რალფმა კიდევ ერთხელ მოითხოვა სიჩუმე ხელის აწევით.

— გუნდზე ჯეკი აგებს პასუხს. ესენი იქნებიან... შენ რა გინდა?

— მონადირეები.

ჯეკმა და რალფმა ერთმანეთს მორცხვად გაუღიმეს თანადგომის ნიშნად. დანარჩენები აღელვებულები ალაპარაკდნენ.

თითქოს გაკვეთილი დამთავრდაო, გუნდის ბიჭები წამოიშალნენ, ლაპარაკ-ლაპარაკით დააგროვეს შავი მანტიები ბალახზე. ჯეკმა თავისი მანტია გადანაჭერზე დადო, რალფის გვერდით. ნაცრისფერი შორტები ოფლისგან ზედ ჰქონდა მიკრული. რალფმა შორტებს ალმაცერად გახედა. ჯეკმა მისი მზერა დაიჭირა და აუხსნა:

— იმ მთაზე ვცადე აძრომა, წყლის საპოვნელად. მაგრამ შენი ნიჟარის ხმა მომესმა.

რალფმა გაიღიმა, ნიჟარა ასწია და სიჩუმე მოითხოვა.

— ყველამ მისმინეთ. დრო მჭირდება რაღაცეების მოსაფიქრებლად. ვერ გადამიწყვეტია, ამ წუთში რა გავაკეთო. თუ ეს კუნძული არ არის, შეიძლება, დაუყოვნებლივ მოგვეშველონ, ასე რომ, უნდა გავარკვიო, კუნძულია თუ არა. ყველა აქ უნდა დარჩეს, მოიცადოს და არსად წავიდეს. სამნი წავალთ — მეტი რომ წავიყვანოთ, ავირევით და ერთმანეთს დავკარგავთ — სამნი წავალთ ექსპედიციაში ამის დასადგენად. მე, ჯეკი და... და...

ანთებული სახეების წრეს მოავლო თვალი. მსურველების ნაკლებობა არ იგრძნობოდა.

— და საიმონი.

საიმონის გარშემო ბიჭები ახითხითდნენ, ისიც წამოდგა და გაიცინა. გულის წასვლის შემდეგ მოსულიერდა და ფერი მოუვიდა. გამხდარი, მკვირცხლი, პატარა ბიჭი იყო, სწორი, შავი და უხეში თმა ქუდივით ეხურა თავზე.

რალფს თავი დაუქნია.

— წამოვალ.

— მეც წამოვალ...

ჯეკმა უკნიდან მოზრდილი სანადირო დანა ამოიღო და ხეზე დაასო. ზუზუნი ატყდა და მიწყნარდა.

ღუტა შეკრთა:

— მეც წამოვალ.

— ასეთ საქმეში შენ ვერ გამოდგები. — მიუბრუნდა რალფი.

— მერე რა.

— შენ არ გვინდიხარ, — ცივად უთხრა ჯეკმა, — სამი კაცი საკმარისია.

ღუტას სათვალე აუციმციმდა.

— მე ვიყავი ამასთან, ნიჟარა რომ იპოვა. ყველაზე ადრე მე ვიყავი ამასთან.

ჯეკი და დანარჩენები ყურადღებას არ აქცევდნენ. ბიჭები დაიშალნენ. რალფი, ჯეკი და საიმონი ბაქნიდან ჩამოხტნენ და ქვიშიანი ნაპირის გასწვრივ, ტბორის იქით გაემართნენ. ღუტა ბორძიკით აედევნათ უკან.

— საიმონი თუ შუაში ივლის, ამის თავს ზემოთ ვილაპარაკებთ, — თქვა რალფმა.

სამივე ფეხაწყობილი მიდიოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საიმონს დროდადრო ფეხი უნდა ეცვალა, რათა დანარჩენებს დასწეოდა. მალე რალფი გაჩერდა და ღუტას მოუტრიალდა.

— მომხედე.

ჯეკმა და საიმონმა, თითქოს ვერაფერი შენიშნეს, სიარული განაგრძეს.

— შენ ვერ წამოხვალ.

ღუტას სათვალე ისევ დაენამა — ამჯერად შეურაცხყოფისგან.

— მაინც უთხარი. მე ხომ გთხოვე.

აილეწა. ტუჩები აუთრთოლდა.

— მე ხომ გითხარი, არ მინდა, რომ...

— რას მიედ-მოედები?

— ღუტას რომ მიძახდნენ. გითხარი, რაც გინდათ, დამიძახეთ, ოღონდ ღუტა არა-მეთქი; გითხარი, ნურავის ეტყვი-მეთქი, შენ კიდევ ადექი და მაშინვე უთხარი...

სიჩუმე ჩამოვარდა. რალფი ახლა თანაგრძნობით შეჰყურებდა ღუტას, ხედავდა, რომ გულნატკენი იყო, გულმოკლული. ერთხანს ყოყმანებდა, ვერ გადაეწყვიტა, ბოდიში მოეხადა თუ ისევ დაემცირებინა.

— სქელოს ღუტა სჯობია, — თქვა ბოლოს ნამდვილი ლიდერის უშუალობით, — მაგრამ მაინც ვწუხვარ, თუ გაწყენინე. ახლა უკან მიბრუნდი, ღუტა, სახელები ჩაიწერე. ჯერჯერობით ეგ არის შენი საქმე.

მოტრიალდა და იმ ორს გაჰყვა. ღუტა ისევ იქ იდგა. აღშფოთების ალმური ნელ-ნელა ჩამოერეცხა ლოყებიდან. მიბრუნდა და ბაქნისკენ გაემართა.

სამი ბიჭი სწრაფად მიაბიჯებდა ქვიშაზე. ზღვა უკუქცეული იყო და ლამის გზასავით მტკიცე ნაპირს ზოლად მისდევდა ძირს განრთხმული წყალმცენარეები. იქაურობას დიდებული იერი ჰქონდა, ბიჭებსაც რაღაც სიდიადის შეგრძნება დაეუფლათ და ბედნიერება მოჰგვარათ. ერთმანეთს გახე-

დავდნენ ხოლმე, აღტაცებით იცინოდნენ, ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს არ უსმენდნენ. ჰაერი ბრწყინავდა. რალფმა ასე უბრალოდ სიარულს ვერ გაუძლო, ხელებზე დადგა და ყირამალა გადავიდა. სიცილით გული რომ იჯერეს, საიმონმა მორცხვად დაუსვა ხელი რალფს მკლავზე; ისევ სიცილი აუტყდათ.

— წავიდეთ, — თქვა უცებ ჯეკმა, — ჩვენ ხომ მკვლევარები ვართ.

— კუნძულის ბოლომდე გავალთ, — მიუგო რალფმა, — და იმ კუთხეს შემოვუვლით.

— თუ მართლა კუნძულია...

ახლა, ნაშუადღევს, მირაჟები თანდათანობით წაიშალა. კუნძულის მეორე ნაპირიც იპოვეს, სრულიად განსხვავებული, ბუნებრივი, ჯადოქრობით შეუცვლელი. ერთმანეთზე დახვავებული, ჩვეულებრივი ოთხკუთხედებიდან ერთი დიდი ლოდი ამომჯდარიყო ლაგუნაში. ზედ ზღვის ფრინველები ბუდობდნენ.

— ვარდისფრად მომინანქრებულ ნამცხვარს ჰგავს, — თქვა რალფმა.

— ამ კუთხეს ვერ შემოვუვლით, — უთხრა ჯეკმა, — იმიტომ, რომ არ არსებობს. მხოლოდ პატარა მოსახვევია — თან, ხომ ხედავ, კლდეები აქ უარესია...

რალფმა თვალები მოიჩრდილა და კლდის დაკბილულ სილუეტს ახედა. ნაპირზე ნანახი ადგილებიდან აქაურობა ყველაზე ახლოს იყო მთასთან.

— აქედან ვცადოთ მთაზე ასვლა, — თქვა ბიჭმა. — მე მგონი, ეს ყველაზე იოლი გზაა. ნაკლებია ჯუნგლების ბალახბულახი; ვარდისფერი კლდეც მეტია. წავედით.

სამმა ბიჭმა აცოცება დაიწყო. რაღაც უცნობ ძალას ამოეტრიალებინა და დაემსხვრია ლოდები ისე, რომ ერთმანეთში არეულ-დარეული ეყარა. კლდეებს მეტწილად ვარდისფერი, თავწაწვეტებული ფორმა ჰქონდათ; თავის მხრივ, ამ ლოდებსაც წამახული წვერები ედგათ, მერე კიდევ, მერე კიდევ და ეს ვარდისფერი ქვები საბოლოოდ ლიანების ჯადოსნურ მარყუჟებში ჩადგმულ, მოწესრიგებულ კლდეს ქმნიდა. იქ, სადაც ვარდისფერი წვეტები იყო ამოჩრილი მიწიდან, ზემოთ ვიწრო ბილიკები მიიკლაკნებოდა. ამ ბილიკებს ციცაბოდ ჩამოჭრილი შვერილის პირას გვერდულად მიუყვებოდნენ, კლდისკენ მიბრუნებულები მიიკვლევდნენ გზას.

— რამ გაიყვანა ეს ბილიკი?

ჯეკი შეჩერდა და სახიდან ოფლი მოიწმინდა. რალფიც სუნთქვაშეკრული გაჩერდა მის გვერდით.

— ადამიანებმა?

ჯეკმა თავი გაიქნია.

— ცხოველებმა.

რალფი ხეებქვეშ სიბნელეს მიაჩერდა. ტყე წუთით შეირხა.

— წავედით.

ციცაბო კლდის გარშემო შემოვლებული აღმართების ავლა კი არ უჭირდათ, არამედ დროდადრო ტყისპირებში გაძრომა სხვა ბილიკზე გადასასვლელად. აქ ლიანების ფესვები და ღეროები ისე იყო აბურდული, რომ ბიჭებს დრეკადი ისრებივით უწევდათ ძრომიალი გასაღწევად. ყავისფერი მიწისა და ფოთლებში დროდადრო გაელვებული შუქის გარდა, მიმართულებას მხოლოდ თავქვე მიმავალი გზა აძლევდათ, ან ლიანებით დაქსელილი ბილიკები.

როგორღაც მაინც მიიწევდნენ ზემოთ.

ამ ბარდებში რომ იყვნენ გახლართულები, ალბათ, ყველაზე მეტად რომ გაუჭირდათ, რალფი თვალებგაბრწყინებული მოუტრიალდა დანარჩენებს:

— გლიჯავს!

— ზღაპარია!

— მაგარია!

კაცი ვერ გაიგებდა, რა უხაროდათ. სამივე დაისიცხა, გაჭუჭყიანდა, დაიქანცა. რალფი გვარიანად იყო დაკაწრული. მათ თეძოებზე უფრო სქელი ლიანები ერთი ბეწო ხვრელებს უტოვებდათ გასავლელად. რალფმა საცდელად დაიყვირა და ორი მხრიდან მოპასუხე ექოს მიუგდეს ყური.

— ნამდვილი მკვლევარები ვართ, — განაცხადა ჯეკმა, — დაგენიძლავებით, აქ ფეხი არავის დაუდგამს.

— რუკა უნდა დავხატოთ, — თქვა რალფმა, — ოღონდ ფურცელი არა გვაქვს.

— ქერქებზე შეგვიძლია ამოკაწვრა, — უთხრა საიმონმა, — და რამით შავად გავაფერადოთ.

ნახევრადბნელში ბიჭებმა ისევ ამაყად გახედეს ერთმანეთს გაბრწყინებული თვალებით.

— მაგარია!

— გლიჯავს!

ყირის გასაჭიმი ადგილი არ იყო. ამჯერად მძაფრი ემოციის

გამოსახატავად რალფი საიმონს დაეჯაჯგურა, ვითომ ძირს აგდებდა; მალე ბედნიერი, გულამოვარდნილი ბიჭები გორგალივით დაკოტრიალდნენ გაცრეცილ ბინდში.

როცა ერთმანეთს ხელი გაუშვეს, რალფი პირველი ალაპარაკდა:

— გზა უნდა გავაგრძელოთ.

ვარდისფერი გრანიტის მომდევნო კლდე ლიანებისა და ხეებისაგან გვარიანად იყო მოშორებული, ასე რომ, ბილიკს სირბილით დაუყვნენ. გზა კიდევ უფრო მეჩხერ ტყეში შედიოდა, იქიდან მოციმციმე ზღვა ჩანდა. აქ მზეც მოადგათ და ბნელ, ნოტიო სიცხეში დანესტიანებული ტანსაცმელი გაუშრათ. როგორც იქნა, მთის წვერისკენ მიმავალი გზა ვარდისფერ კლდეზე დაეკიდა, სიბნელეში თავის შერგვა აღარ მოუწევდათ. ბიჭებმა ხევით და წვეტიანი ქვებით სავსე ნაშალი გზით სიარული არჩიეს.

— შეხედეთ! შეხედეთ!

კუნძულის ამ ბოლოში მორყეული კლდეები მაღლა აზიდულიყო თავისი წვეტებით. ჯეკი ერთ-ერთ ქვას დაეყრდნო და ისიც ჭრაჭუნით შეირყა.

— წავედით!

მაგრამ კენწეროსკენ „წასვლა“ არ გამოდიოდა. წვერზე ვერ ავიდოდნენ, სანამ გზას არ გაითავისუფლებდნენ. ლოდი პატარა მანქანისოდენა იყო.

— აბა, ჰე!

არყევდნენ, ცდილობდნენ, ერთ რიტმს აჰყოლოდნენ.

— მიდიიი!

ქანქარასავით გააქანეს, კიდევ უფრო, კიდევ უფრო, ადგილს მოსწყვიტეს და შეაჩერეს გასასწორებლად — კიდევ გააქანეს — კიდევ — კიდევ — კიდევ...

— მიდიიი...

ლოდი გაჩოჩდა, ცალ მხარეს წვერზე გადაიბრიცა, ერთხანს შეყოყმანდა, მერე გადაწყვიტა, უკან აღარ დაბრუნებულიყო, ჰაერში გადაგორდა, ჩავარდა, რაღაცას დაეჯახა, გადატრიალდა, გრუხუნით დაეშვა და ტყის მწვანე სახურავში დიდი ღრმული დატოვა. ექო ახმიანდა, ჩიტები ფრთხიალით აიჭრნენ, თეთრი და ვარდისფერი მტვერი აიშალა, ტყე კიდევ ერთხანს ირხეოდა, თითქოს გააფთრებულმა ურჩხულმა ჩაუარაო; მერე კუნძულზე სიჩუმე ჩამოვარდა.

— გლიჯავს!

— ბომბივით იყო!

— აუ-უ-ჰ!

ხუთი წუთი დასჭირდათ ამ გამარჯვების შემდეგ გონს მოსასვლელად. როგორც იქნა, გზას დაადგნენ.

ამის შემდეგ მთის წვერისკენ სიარული გაუადვილდათ. ბოლომდე რომ მიაღწიეს, რალფი შედგა.

— აუჰ, შეხედეთ!

მთის ფერდობზე, მომრგვალებულ შვერილზე იდგნენ. იქაურობა კლდის ლურჯი ყვავილებით იყო მოფენილი; ყველგან მოდებული მცენარეები სიღრმეში ჩაკიდულიყო და უხვად იღვრებოდა ტყის თაღში. ჰაერში უამრავი პეპელა დაფარფატებდა, ხან აფრინდებოდნენ, ხან ეშვებოდნენ.

შვერილს ზემოთ უკვე მთის ოთხკუთხა წვერი გადმომდგარიყო და მალე ბიჭები უკვე იქ იდგნენ.

მანამდეც ვარაუდობდნენ, კუნძულზე აღმოვჩდითო: ვარდისფერ კლდეებში რომ მიიკვლევდნენ გზას, აქეთ-იქით ზღვა რომ ჩანდა და მთის გამჭვირვალე ჰაერი რომ ელამუნებოდათ, ალღოთი გრძნობდნენ, — ყოველი მხრიდან ზღვა ერტყმოდათ. მაგრამ ახლა დანამდვილებით შეეძლოთ ამის თქმა, — მთის წვერზე იდგნენ და წყლის წრიულ ჰორიზონტს გადაჰყურებდნენ.

რალფი დანარჩენებს მიუბრუნდა:

— აქაურობა ჩვენია.

კუნძული გემს ჰგავდა: ამ მხარეს მაღლა აღმართულიყო და დაშვებისას მკვეთრად იჭრებოდა ნაპირში. ყოველ მხარეს — კლდეები, ქიმები, ხის კენწეროები და ციცაბო დაღმართები; წინ კი, გემის გასწვრივ, ლივლივით დაშვებულ ტყეებს ვარდისფერი დაჰკრავდა: მერე მუქი მწვანე ჯუნგლები ვარდისფერი კუდით მთავრდებოდა. იქ, სადაც კუნძული წყალში უჩინარდებოდა, კიდევ ერთი კუნძული იყო — თითქმის გამოყოფილი კლდე ფორტივით იდგა და სიმწვანიდან, შიშველი ბასტიონივით შემოჰყურებდათ.

ბიჭებმა არემარე მოათვალიერეს და მერე ზღვას გახედეს. დიდ სიმაღლეზე იდგნენ. შუადღე გადასული იყო; ხედი მკაფიო გახდა — მირაჟი აღარ ეფარებოდა.

— ის რიფია. მარჯნის რიფი. სურათებზე მაქვს ნანახი.

რიფი ცალ მხარეს ეკვროდა კუნძულს და აქითაც გადმო-

დიოდა, დაახლოებით ერთი მილის მანძილზე პარალელურად მოჰყვებოდა იმ ნაპირს, ახლა თავიანთ საკუთრებად რომ მიაჩნდათ. მარჯანი ბატიფეხური ნაწერივით ჩანდა ზღვაში, თითქოს გოლიათი დაიხარა, რომ ცარცის ერთი მოსმით მოეხაზა კუნძულის სილუეტი, მაგრამ დაიღალა და საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანაო. ნაპირისკენ წყალი ლურჯად ლივლივებდა და ელფერს იცვლიდა, კლდეები და წყალმცენარეები წყლის ქვეშ ისე ჩანდნენ, როგორც აკვარიუმში; სიღრმეში კი სილურჯე მუქდებოდა. ზღვის უკუქცევა იყო, ტალღების აქაფებულ ზოლს რიფებთან უკან დაეხია და წუთით მოეჩვენათ, რომ გემი მტკიცედ მიიწევდა წინ.

ჯეკმა ქვემოთ გაიშვირა ხელი:

— აი, იქ დავსხედით.

თავქვეებსა და ქიმებს იქით, ტყეში ჭრილობასავით ზოლი მოჩანდა; დალეწილ ხეებში თითქოს რაღაც გაათრიეს და იმ ადგილას, კლდესა და ზღვას შორის, მხოლოდ პალმის დაძენძილი ფოჩებიღა დარჩა. იქვე, ლაგუნაში, ბაქანი იყო შეჭრილი და ახლომახლოს ჭიანჭველებივით მიდი-მოდიოდნენ ფიგურები.

რალფმა ხელით მოხაზა მიხვეულ-მოხვეული გზა იმ მოშიშვლებული ადგილიდან, სადაც თვითონ იდგნენ: თავქვეზე უნდა დაშვებულიყვნენ. ხევი და ყვავილები უკან უნდა მოეტოვებინათ, გარშემო შემოევლოთ და იმ კლდესთან მისულიყვნენ, საიდანაც ამოსვლა დაიწყეს.

— ეს ყველაზე მოკლე გზაა უკან დასაბრუნებლად.

თვალებგაბრწყინებულები, პირდაღებულები, ფრთაშესხმულები, ტკბებოდნენ ბატონ-პატრონობის შეგრძნებით. ამსიმაღლეზე ამოვიდნენ; მეგობრები იყვნენ.

— არც სოფლის კვამლია, არც ნავები, — ბრძნულად თქვა რალფმა, — ესეც უნდა დავაზუსტოთ; მაგრამ ასე მგონია, დაუსახლებელი კუნძული უნდა იყოს.

— საჭმელს ვიშოვნით, — წამოიძახა ჯეკმა, — ვინადირებთ. რაღაცას დავიჭერთ... სანამ წასაყვანად არ მოგვაკითხავენ.

საიმონი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს; ხმას არ იღებდა, მაგრამ თავს უქნევდა და შავი თმა ხან უკან გადაეყრებოდა, ხან ჩამოეშლებოდა: სახე ალეწილი ჰქონდა.

რალფმა მეორე გზას გახედა, იმ მხარეს, საითაც რიფები არ იყო.

— მანდ უფრო ციცაბოა, — უთხრა ჯეკმა.

რალფმა ხელები ფინჯანივით მოამრგვალა.

— პატარა ტყეა... მთა თავზე ადგას.

მთის ყოველ შვერილზე ტყე იზრდებოდა — ყვავილები და ხეები. ტყე შეირხა, აშრიალდა, ამოძრავდა. უფრო ახლოს ყვავილები აჩურჩულდნენ და ნიავმა გაუგრილათ სახეები.

რალფმა მკლავები გაშალა:

— ყველაფერი ჩვენია!

გაიცინეს, აბორგდნენ და კიდევ ერთი შესძახეს მთას.

— მშია.

საიმონმა შიმშილი რომ ახსენა, დანარჩენებმაც იგრძნეს, რომ მოშიებოდათ.

— წავედით, — თქვა რალფმა, — რაც გვინდოდა, გავიგეთ.

კლდიან დაღმართზე დაიწყეს ჩასვლა, ყვავილებში ჩაეშვნენ და ხეებქვეშ განაგრძეს გზა. შეჩერდნენ და გარშემო ბუჩქებს დაუწყეს თვალიერება.

პირველი საიმონი ალაპარაკდა.

— სანთლებივითაა. სანთლებიანი ბუჩქები. სანთელ-კვირტები.

მუქი ფერის, მარადმწვანე ბუჩქები მძაფრ სურნელს აფრქვევდნენ, პრიალა, მწვანე ფერის კვირტები ზემოთ, სინათლისკენ მიიწევდნენ. ჯეკმა დანით ჩამოსხიპა ერთი კვირტი და იქაურობა სურნელით აივსო.

— სანთლებივით კვირტებია.

— ანთებით კი ვერ აანთებ, — თქვა რალფმა, — უბრალოდ, სანთლებს ჰგავს.

— მწვანე სანთლები, — აიმრიზა ჯეკი, — საჭმელადაც არ ვარგა. წავედით.

ის-ის იყო, ხშირ ტყეში შევიდნენ და დაღლილები წაფრატუნდნენ ბილიკზე, რომ ხმები შემოესმათ — ჭყივილი და ჩლიქების ბაკუნი. წინ გაცვივდნენ, ჭყივილი სულ უფრო და უფრო მატულობდა, სანამ გაშმაგებულ წიოკად არ იქცა. ბიჭებმა ფარდასავით ჩამოშვებულ ლიანებში გახლართული გოჭი დაინახეს, შიშისგან გაგიჟებული ცდილობდა დრეკადი ბორკილებიდან თავის დაღწევას. წვრილი, ყურისმომჭრელი, დაჟინებული ხმით ჭყიოდა. სამივე ბიჭი მივარდა და ჯეკმა ისევ თავისი ელვარე დანა ამოაძრო. ხელი ჰაერში ასწია. პაუზა. გოჭი ისევ წიოკობდა და ლიანებს აზანზარებდა, ძვლებ-

ამოყრილი მკლავის ბოლოს დანა ისევ ლაპლაპებდა. პაუზა იმდენ ხანს კი გაგრძელდა, რომ მიმხვდარიყვნენ, როგორი წარმოუდგენელი იქნებოდა ხელის დაქნევა. მერე გოჭი ერთ-ხელაც გაფართხალდა, ლიანებიდან თავი გამოიხსნა და ჭალა-ში მოცოცხა. ბიჭები იდგნენ და ხან ერთმანეთს შეჰყურებდ-ნენ, ხან იმ შიშისმომგვრელ ადგილს. ჯეკს ჭორფლებქვეშ სა-ხე გაუთეთრდა. შენიშნა, რომ დანა ისევ აწეული ეჭირა, ხელი დაუშვა და დანა ბუდეში ჩადო. მერე სამივემ შეცბუნებულმა გაიცინა და ისევ გზას გაუდგნენ.

— ადგილს ვურჩევდი, — თქვა ჯეკმა, — მომენტს ვუცდიდი, რომ გადამეწყვიტა, სად დამერტყა.

— უნდა დაგეკლა, — შეუტია რალფმა, — გოჭის დაკვლას რა უნდა?

— გოჭს ყელი უნდა გამოჭრა და სისხლი გამოუშვა, — უთხრა ჯეკმა, — ისე ხორცი არ იჭმევა.

— მერე, რატომ არ...

მშვენივრად იცოდნენ, რატომაც; იმიტომ, რომ წარმოიდგინა, როგორ დაეშვებოდა და ჩაერჭობოდა დანა ცოცხალ არსებას; იმიტომ, რომ სისხლს ვერ იტანდა.

— ვაპირებდი, — თქვა ჯეკმა. წინ მიდიოდა და სახე არ უჩანდა. — ადგილს ვურჩევდი. სხვა დროს...

დანა ბუდიდან ამოაძრო და ხეს დაასო. სხვა დროს არ დაინდობს. გაავებულმა მიიხედ-მოიხედა, აბა, ვინ გამიბედავს შემოპასუხებასო. ამასობაში მზეზე გამოაღწიეს; ცოტა ხნის შემდეგ საჭმელს ეძებდნენ და ხარბად ნთქავდნენ, თან დაბლა ეშვებოდნენ, ბაქნისკენ, სადაც ისევ ყველა ერთად მოიყრიდა თავს.

თავი მეორე

ცეცხლი მთაზე

რალფმა ნიჟარაში ბერვა რომ დაამთავრა, ბაქანი უკვე ბავშვებით იყო სავსე. ეს შეკრება დილანდელს არ ჰგავდა. ნაშუადღევს მზე მეორე მხრიდან ეცემოდა ბაქანს და ბიჭების უმეტესობა ჩაცმული იყო, რადგან გვიან იგრძნეს, რომ მზეზე დამწვარიყვნენ. გუნდის წევრებმა, რომლებიც აშკარად უფრო ცოტანი იყვნენ, მანტიები გაიხადეს.

რალფი წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა, მზეს მარცხენა მხარი მიუშვირა. გუნდის წევრთა უმეტესობა მარჯვნივ ედგა; მარცხ-ნივ უფრო მოზრდილ ბიჭებს მოეყარათ თავი, ერთმანეთი ევა-კუაციისას რომ გაიცნეს; წინ, ბალახში, პატარები ჩამსხდა-რიყვნენ.

სიჩუმე ჩამოვარდა. რალფმა კრემისფერ-ვარდისფერი ნიჟარა მუხლებზე დაიდო. უეცრად მოვარდნილმა სიომ ბაქანზე მზის სხივები აათამაშა. რალფს ვერ გადაეწყვიტა, ამდგარიყო თუ არა. მარცხნივ გაიხედა, ყურესკენ. ღუტა ახლოს იჯდა, მაგრამ მოხმარებას არ აპირებდა.

რალფმა ხმა ჩაიწმინდა.

— კეთილი.

და უეცრად მიხვდა, რომ დალაგებულად ილაპარაკებდა, სათქმელს ყველას გააგებინებდა. ხელი ქერა თმაზე გადაისვა და დაიწყო:

— ჩვენ კუნძულზე ვართ. მთის წვერზე ავედით და ვნახეთ, რომ გარშემო სულ წყალია. არც სახლები გვინახავს, არც კვამლი, არც ნაკვალევი, არც ნავები, არც ხალხი. დაუსა-ხლებელ კუნძულზე ვართ და აქ ადამიანები არ არიან.

— მაგრამ ჯარი მაინც გვჭირდება, — შეაწყვეტინა ჯეკმა, — სანადიროდ. ღორებზე სანადიროდ...

— ჰო. კუნძულზე ღორები არიან.

სამივემ სცადა, სხვებისთვისაც გაეზიარებინა, რას გრძნობდნენ, როცა ვარდისფერი, ცოცხალი არსება ლიანებში ფართხალებდა.

— დავინახეთ...
— ჭყივის...
— ისე მოკურცხლა...
— მოკვლა ვეღარ მოვასწარი... მაგრამ... სხვა დროს!
ჯეკმა დანა ხეს დაასო და გამომწვევად მიიხედ-მოიხედა.
შეკრებილები თანდათანობით ჩაწყნარდნენ.
— ასე რომ, როგორც ვხედავთ, მონადირეები გვჭირდება, რომ ხორცი მოიტანონ, — თქვა რალფმა, — და კიდევ ერთი.
ნიჟარა აიღო და თვალი მოავლო მზით დამწვარ სახეებს.
— უფროსები აქ არ არიან. ჩვენს თავს თვითონ უნდა მივხედოთ.
შეკრებილები აჩოჩქოლდნენ და მიწყნარდნენ.
— კიდევ ერთი. ყველა ერთდროულად ვერ ვილაპარაკებთ. ვისაც რამის თქმა უნდა, ხელი უნდა ასწიოს. როგორც სკოლაში.
ნიჟარა ასწია და ჩასაბერის ზემოდან მიიხედ-მოიხედა.
— და იმას საყვირს მივცემ.
— საყვირს?
— ამ ნიჟარას ასე ჰქვია. ვისაც ლაპარაკი ენდომება, საყვირს გადავცემ. და სანამ ილაპარაკებს, ხელში ექნება.
— კი მაგრამ...
— მოიცა...
— და არავინ არ უნდა შეაწყვეტინოს. ჩემს გარდა.
ჯეკი ფეხზე წამოდგა.
— წესები გვექნება! — დაიყვირა აღტაცებულმა, — უამრავი წესი! ვინც დაარღვევს...
— ვაშაააა!
— მაგარია!
— ეჰე-ჰე-ე!
— ეგრე იყოს!
რალფმა იგრძნო, რომ საყვირი კალთიდან ააცალეს. ფეხზე წამომდგარმა ღუტამ დიდი, კრემისფერი ნიჟარა გააქნია და ყვირილი ჩაწყნარდა. ჯეკი ისევ ფეხზე იდგა, დაბნეულმა გახედა რალფს; ის კი იღიმებოდა და მორს უსვამდა ხელს. ჯეკი დაჯდა. ღუტამ სათვალე მოიხსნა და თვალების ხამხამით გახედა შეკრებილებს, თან პერანგის კალთით სათვალეს წმენდდა.
— ხელს უშლით რალფს. ყველაზე მნიშვნელოვანი რამის თქმას არ აცლით.

მრავალმნიშვნელოვნად შეყოვნდა და განაგრძო:
— ვინ იცის, რომ აქა ვართ? ჰა?
— აეროპორტში იციან.
— შეგაფონიანმა კაცმა...
— მამაჩემმა.
ღუტამ სათვალე გაიკეთა.
— არავინ არ იცის, რომ აქა ვართ, — განაცხადა მან. გაფითრდა და სუნთქვა შეეკრა. — შეიძლება, იციან, სად მივდიოდით; შეიძლება, არც ეს იციან. მაგრამ არავინ იცის, სადა ვართ, რადგან სადაც მივდიოდით, იქ არ ჩავსულვართ. — წუთით ფართოდ გახელილი თვალებით მიაცქერდა დანარჩენებს, წაბარბაცდა და დაჯდა. რალფმა საყვირი გამოართვა.
— სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი, — განაგრძო მან, — თქვენ კი, ყველა... ყველა... — თვალი მოავლო გაფაციცებულ სახეებს, — თვითმფრინავი ჩამოაგდეს და ცეცხლი მოეკიდა. არავინ არ იცის, სადა ვართ. შეიძლება, აქ დიდხანს მოგვიწიოს ყოფნა.
სრულ სიჩუმეს მხოლოდ ღუტას ღრმა, აჩქარებული სუნთქვა არღვევდა. მზე გადავიდა და ნახევარ ბაქანს ოქროსფერი შუქი დაადგა. ლაგუნაში თავის კუდს გამოკიდებული კნუტივით დატრიალებულმა ნიავმა ახლა ბაქანს გადაურბინა და ტყეში გადაინაცვლა. რალფმა შუბლზე ჩამოშლილი ქერა თმა გაისწორა.
— ასე რომ, შეიძლება, აქ კარგა ხანს დავრჩეთ.
არავინ ხმას არ იღებდა. უცებ რალფმა გაიცინა.
— მაგრამ კარგი კუნძულია. მე, ჯეკი და საიმონი მთაზე ავედით. დიდებული რამეა. საჭმელიც არის, სასმელიც, და...
— კლდეები...
— ლურჯი ყვავილები...
ცოტათი მომჯობინებულმა ღუტამ დანარჩენებს საყვირზე ანიშნა. ჯეკი და საიმონი გაჩუმდნენ. რალფმა განაგრძო:
— სანამ მოგვაგნებენ, ამ კუნძულზე კარგ დროს გავატარებთ.
და ფართოდ გაშალა ხელები.
— როგორც წიგნშია.
მაშინვე ურიამული ატყდა.
— „განძთა კუნძულში“...

— „მერცხლებსა და ამაზონელებში“...
— „მარჯნის კუნძულში“...
რალფმა საყვირი დაიქნია.
— ეს ჩვენი კუნძულია. კარგი კუნძულია. სანამ უფროსები მოვლენ ჩვენს წასაყვანად, კარგად ვიხალისებთ.
ჯეკმა საყვირისკენ გაიწოდა ხელი.
— აქ ღორები არიან, — დაიძახა მან, — საჭმელია; და საბანაო წყალია, აი იქ, ყურეში. ამაზე მეტი ვინმეს რამე უპოვია?
საყვირი რალფს დაუბრუნა და დაჯდა. ამაზე უკეთესი აშკარად არავის არაფერი უპოვია.
უფროსებმა პატარა ბიჭი მაშინ შენიშნეს, როცა იმან ჭიდაობა დაიწყო. უმცროსი ბიჭების ჯგუფი ხელის კვრით აგდებდა წინ, იმას კი გამოსვლა არ უნდოდა. გაჩხინკული ბიჭი იყო. ასე, ექვსი წლისა, სახე ცალ მხარეს ხაოიანი ხალით ჰქონდა დაფარული. ახლა იდგა აწურული; ამდენი თვალი რომ შესცქეროდა, თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა, იდგა და უხეშ ბალახს ფეხსაცმლის წვერით ჩიჩქნიდა. რაღაცას ბუტბუტებდა, ლამის ტირილი წასკდომოდა.
დანარჩენმა პატარა ბიჭებმა სერიოზული ჩურჩულით ჰკრეს ხელი და რალფისკენ უბიძგეს.
— აბა, — უთხრა რალფმა, — მოდი, მოდი.
პატარა დაფეთებული იყურებოდა აქეთ-იქით.
— ამოიღე ხმა!
პატარა ბიჭმა ხელი საყვირისკენ გაიწოდა და შეკრებილები ახარხარდნენ; პატარამ მაშინვე უკან წაიღო ხელი და ატირდა.
— მიეცით საყვირი! — დაიძახა ღუტამ, — მიეცით.
ბოლოს რალფმა დაიყოლია პატარა, რომ ნიჟარა გამოერთმია, მაგრამ ამასობაში საყოველთაო ხარხარმა ბიჭს ხმა დააკარგვინა. ღუტამ ჩაიმუხლა, ცალი ხელით დიდრონი ნიჟარა დაუკავა, უსმენდა და შეკრებილებს მის სიტყვებს გადასცემდა.
— გეკითხებათ, გველს რას უზამთო.
რალფმა გაიცინა, დანარჩენებიც აჰყვნენ. პატარა ბიჭი კიდევ უფრო აიწურა.
— გვითხარი ერთი, გველის ამბავი.
— ახლა ამბობს, ურჩხული იყოო.

— ურჩხული?
— გველი, უზარმაზარი. დავინახეო.
— სად?
— ტყეში.
ნიავმა წამოუბერა, ან იქნებ მზე გადაიწვერა და ხეებიდან სიცივე წამოვიდა. ბიჭები აწრიალდნენ, ჟრუანტელმა დაუარათ.
— ასეთ პატარა კუნძულზე ნადირები და გველები არ არიან, — ალერსიანად უთხრა რალფმა, — ისინი მარტო დიდ ქვეყნებში არიან, აფრიკაში ან ინდოეთში.
ჩურჩული გაისმა; აქა-იქ ბიჭები მდუმარედ აქნევდნენ თავს.
— ასე ამბობს, სიბნელეში გამოდისო.
— მაშინ ვერ დაინახავდა.
ისევ სიცილი ატყდა და ტაში გაისმა.
— გაიგონეთ? სიბნელეში დაუნახავს.
— ამბობს, მართლა დავინახე ურჩხულიო. მოვიდა, წავიდა და ისევ დაბრუნდა, ჩემი შეჭმა უნდოდაო...
— დაესიზმრებოდა.
რალფმა სიცილით მოათვალიერა გარს შემოხვეული ბიჭების სახეები, აბა, მხარს ვინ ამიბამსო. უფროსი ბიჭები ეთანხმებოდნენ, მაგრამ აქა-იქ პატარები ყოყმანებდნენ და გონივრულ სიტყვებზე უფრო მტკიცე საბუთი სჭირდებოდათ.
— ალბათ კოშმარი ესიზმრა. იმ ლიანებში ჯახირს მერე.
უფრო სერიოზულად დაუქნიეს თავი; კოშმარი რა იყო, იცოდნენ.
— ამბობს, ურჩხული ვნახე, გველი ვნახე, და ამაღამ დაბრუნდება თუ არაო?
— აქ ურჩხულები არ არიან!
— ამბობს, დილით ისეთ რამედ გადაიქცა, ხეებზე რომ ჰკიდია თოკებივითო, ტოტებიდან რომ ეშვებაო. კითხულობს, ამაღამ დაბრუნდება თუ არაო?
— აქ ურჩხულები არ არიან-მეთქი!
ახლა აღარავინ იცინოდა. ბიჭები მოღუშულები იდგნენ. რალფმა ორივე ხელი თმაში შეიცურა, პატარა ბიჭს ცნობისმოყვარე და გაღიზიანებული სახით შეხედა.
ჯეკმა საყვირს სტაცა ხელი.
— რალფი, რასაკვირველია, სწორს ამბობს. აქ გველები არ

არის. მაგრამ გინდაც იყოს, დავიჭერთ და მოვკლავთ. ღორებზე ნადირობას ვაპირებთ, ხორცის მოსატანად და გველი რა გამხდარა. გველსაც მოვძებნით.

— აქ გველები არ არის-მეთქი!

— სანადიროდ რომ წავალთ, მაშინ დავრწმუნდები.

რალფი შეშფოთდა და წუთით, დამარცხებულად იგრძნო თავი. იგრძნო, რომ რაღაც ისეთს შეეჩეხა, რასაც ვერ ერეოდა. აქეთ-იქიდან ყურადღებით, სერიოზულად შემოჰყურებდნენ.

— მაგრამ აქ ურჩხული არ არის!

შეკრებილები დუმდნენ.

რალფმა საყვირი ასწია და როცა იფიქრა, რა უნდა ეთქვა, ისევ კარგ გუნებაზე დადგა.

— ახლა ყველაზე მთავარი. ბევრი ვიფიქრე. მთაზე რომ ავდიოდით, სულ ვფიქრობდი, — მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით გადახედა ჯეკსა და საიმონს, — მერე, ნაპირზე რომ ვიყავით, მაშინაც ვფიქრობდი. აქამდე სულ ვფიქრობ. და აი, რა მოვიფიქრე. ჩვენ გართობა გვინდა. გადარჩენა გვინდა.

აღელვებული შეკრებილები თანხმობის ნიშნად ახმაურდნენ, ეს ხმა ტალღასავით მოაწყდა და სიტყვა გააწყვეტინა. ისევ დაფიქრდა.

— ჩვენ გადარჩენა გვინდა; და რასაკვირველია, გადარჩენით.

ყველა ერთად ალაპარაკდა. ამ უბრალო განცხადებას ვერაფრით დაადასტურებდა, მაგრამ რალფის ახლად შექმნილმა ავტორიტეტმა გაჭრა, მისმა სიტყვებმა ყველას გული გაუნათა და გაახარა. ბიჭების დასაწყნარებლად საყვირის გაქნევა დასჭირდა.

— მამაჩემი ფლოტში მსახურობს. ნათქვამი აქვს, რომ უცნობი კუნძულები აღარ არსებობს. ასე თქვა, დედოფალს დიდი, რუკებით სავსე ოთახი აქვს და ამ რუკებზე მსოფლიოს ყველა კუნძულია აღნიშნულიო. ასე რომ, დედოფალმა ამ კუნძულის ამბავიც იცის.

ისევ მხიარული და გახალისებული ხმები გაისმა.

— ადრე თუ გვიან, გემი მოვა. შეიძლება, სულაც მამაჩემის გემი იყოს. ჰოდა, ადრე თუ გვიან, ჩვენც გადაგვარჩენენ.

სათქმელი თქვა და შეყოვნდა. ამ სიტყვებით შეკრებილებს გადარჩენის იმედი ჩაუსახა. ბიჭებს რალფი მოსწონდათ; ახლა

პატივისცემაც დაიმსახურა. მოულოდნელად ვიღაცამ ტაში შემოჰკრა, დანარჩენებიც აჰყვნენ და ბაქანზე ტაში აგრიალდა. რალფი აილეწა, ცალი თვალით შენიშნა ღუტას დაუფარავი აღფრთოვანება, მერე მეორე მხარეს გაიხედა — ჯეკი თვითკმაყოფილი სახით იღიმებოდა და თავდაუზოგავად უკრავდა ტაშს.

რალფმა საყვირი გააქნია.

— კარგი, გაჩუმდით! გეყოფათ! მომისმინეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა და გამარჯვებით ფრთაშესხმულმა განაგრძო:

— კიდევ ერთი. ჩვენი პოვნა უნდა გავუადვილოთ. გემი რომ კუნძულს მოუახლოვდება, შეიძლება, ვერ შეგვნიშნონ. ამიტომ მთის წვეროდან კვამლი უნდა ადიოდეს. ცეცხლი უნდა დავანთოთ.

— კოცონი! კოცონი დავანთოთ!

ბიჭების ნახევარი მყისვე ფეხზე წამოიჭრა. ჯეკიც მათთან ერთად გაჰყვიროდა, საყვირი ყველას დაავიწყდა.

— წავედით! მომყევით!

პალმების ქვეშ ხმაური და ჩოჩქოლი ატყდა. რალფიც ფეხზე იდგა და ყვიროდა, გაჩუმდითო, მაგრამ არავის ესმოდა. ბრბო უცბად მოსწყდა ადგილიდან და კუნძულის სიღრმისკენ გაექანა — ჯეკს გამოეკიდნენ. სულ პატარებიც კი გარბოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ცდილობდნენ ფოთლებსა და დამტვრეულ ტოტებში გაძრომას. რალფი თავისი საყვირიანად ყველამ მიატოვა, ღუტას გარდა.

ღუტას სუნთქვა ჩაუწყნარდა.

— პატარა ბავშვებივით არიან! — თქვა ამრეზით, — პატარებივით იქცევიან!

რალფმა ეჭვით შეხედა და საყვირი წაქცეულ ხეზე დადო.

— დაგენიძლავები, ჩაის დალევის დროა, — უთხრა ღუტამ, — რას ფიქრობენ, იმ მთაზე რა უნდა ქნან?

ნიჟარას მოკრძალებით გადაუსვა ხელი, მერე უცებ გაჩერდა და აიხედა.

— რალფ! ჰეი! სად მიდიხარ?

რალფი უკვე წაქცეულ ხეებზე მიძვრებოდა. შორს ტოტების ლაწალუწი და სიცილი ისმოდა.

ღუტა ზიზღით გაჰყურებდა.

— პატარა ბავშვებივით არიან...

ამოიოხრა, დაიხარა და ფეხსაცმელები ზონრით შეიკრა. გზააბნეული კრების ხმაური მთაში იკარგებოდა. ტყისკენ მიტრიალდა იმ მშობლის ტანჯული გამომეტყველებით, ვინც იძულებულია შვილების უგნურ წამოწყებას აჰყვეს, საყვირი აიღო და ჭალაში დაიწყო გზის გაკვლევა.

მთის ცალ წვერს ქვემოდან ტყიანი ბაქანი ეკვროდა. რალფმა კიდევ ერთხელ მოამრგვალა ხელები ფინჯანივით.

— იქიდან ქვეყნის შეშას ამოვიტანთ.

ჯეკმა თავი დაუქნია და ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. ქვემოთ, ასიოდე ფუტის მოშორებით, მთის ციცაბო ფერდობზე, პატარა ადგილი თითქოს სწორედ საწვავის მოსაგროვებლად მოეწყოთ. ნესტიანი სიცხით ძალისძალად ამოყრილი ხეები საზრდოს ველარ იღებდნენ, ადრევე იქცეოდნენ, ლპებოდნენ; ლიანებში ეხვეოდნენ და მერე ახალი ყლორტები ამოდიოდა.

ჯეკი გუნდის ბიჭებს მიუბრუნდა. შავი ქუდები ბერეტებივით ჰქონდათ გვერდზე მოქცეული.

— კოცონისთვის დავაწყობთ შეშას. წავედით.

თავქვეზე შესაფერისი ბილიკი მოძებნეს და მშრალი ფიჩხის ამოთრევა დაიწყეს. მთის წვერზე ასული პატარა ბიჭებიც ჩასრიალდნენ; ღუტას გარდა, ყველა რაღაცას აკეთებდა. ფიჩხი, უმეტესად, ისეთი დამპალი იყო, რომ ხელის ხლებისთანავე ნაწილებად იშლებოდა და იქიდან მატლები და სიმყრალე ცვიოდა; მაგრამ მთელი ნაჭრებიც იყო. ტყუპებმა — სემმა და ერიკმა — პირველებმა იპოვეს რიგიანი მორი, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს, სანამ რალფი, ჯეკი, საიმონი და მაურისი არ დაებღაუჭნენ, მერე ერთი ვაი-ვაგლახით აათრიეს კლდეზე ეს უჩვეულო, მკვდარი ხე და მთის წვერზე დააგდეს. ყოველ ჯგუფს რაღაც მოჰქონდა და ფიჩხის გროვა თანდათანობით იზრდებოდა. ქვემოთ ერთხელ კიდევ ჩაბრუნებულმა რალფმა ხეს ხელი მოჰკიდა და მერეღა შენიშნა, რომ ამჯერად მხოლოდ ის და ჯეკი იდგნენ მორთან. ერთმანეთს გაუცინეს და ტვირთი ერთად აიკიდეს. აქ, ნიავის ქროლვაში, ღრიანცელსა და გადაწვერილი მზის სხივებში კიდევ ერთხელ აევსოთ გული მადლით, კიდევ ერთხელ მოეფინათ მეგობრობის, თავგადასავლისა და კმაყოფილების უცნაური შუქი.

— ძალიან მძიმეა, ხომ იცი.

ჯეკმა პასუხად გაუცინა.

ტვირთის ზიდვით გადაჯაჭვულებმა, ერთად აიარეს მთის ბოლო ფერდობი. ერთად გააბეს სიმღერასავით: ერთი! ორი! სამი! და მორი მოზრდილ გროვაზე დაანარცხეს. მერე უკან დაიხიეს, იცინოდნენ, კიდევ ერთი გამარჯვებით გახარებულები და რალფს დაუყოვნებლივ მოუხდა ყირის გაჭიმვა. ქვემოთ ბიჭები ისევ მუშაობდნენ, თუმცა პატარებს მობეზრდათ და ახლა ამ ახალ ტყეში ხილს ეძებდნენ. ტყუპებმა მოულოდნელი გონიერება გამოიჩინეს, მთაზე თითო იღლია ხმელი ფოთლები ამოიტანეს და მოგროვილ შეშას მიაყარეს. ბიჭები სათითაოდ ამოდიოდნენ, ხედავდნენ, რომ შეშა უკვე ბლომად იყო დაწყობილი, უკან აღარ მიდიოდნენ. თანდათანობით ყველამ მოიყარა თავი. იდგნენ, მთის ვარდისფერი, დაკბილული ქიმებით გარშემორტყმულები. სული მოითქვეს, ოფლი შეაშრათ.

რალფმა და ჯეკმა ერთმანეთს გადახედეს. დანარჩენები უხმოდ შესცქეროდნენ. ორივე რაღაცას მიხვდა, შერცხვათ და არ იცოდნენ, როგორ გამომტყდარიყვნენ.

ბოლოს სახეალეწილმა რალფმა დაარღვია სიჩუმე:

— შენ...?

მერე ჩაახველა და განაგრძო:

— შენ დაანთებ ცეცხლს?

ახლა აბსურდული ვითარება აშკარა გახდა. ჯეკიც გაწითლდა და გაურკვეველი ბუტბუტი დაიწყო.

— ორ ჯოხს გაუხახუნებ ერთმანეთს. გაუხახუნებ...

რალფს შეხედა და იმან მოულოდნელად აღარ დაფარა, რა დაემართათ.

— ვინმეს ასანთი ხომ არა აქვს?

— ისარი უნდა ატრიალო, — თქვა როჯერმა. თან ხელები გაუსვ-გამოუსვა ერთმანეთს. — ჰსსს. ჰსსს.

მთას სიომ შემოურბინა. თან შორტებსა და პერანგში გამოწყობილი ღუტა მოჰყვა, ქანცგაწყვეტილი, ფრთხილად გამოვიდა ტყიდან, სათვალეზე ჩამავალი მზის სხივები უციმციმებდა. იღლიაში საყვირი ჰქონდა ამოდებული.

— ღუტა! ასანთი ხომ არა გაქვს? — დაუყვირა რალფმა.

ყვირილი დანარჩენებმაც აიტაცეს და მთა აზრიალდა. ღუტამ თავი გააქნია და ფიჩხის გროვას მიუახლოვდა.

— უყურე! კარგა ბლომად მოგიგროვებიათ, ხომ იცი!

უცებ ჯეკმა თითი გაიშვირა.

— სათვალე! ცეცხლის დასანთებად გამოგვადგება!

ღუტამ უკან დახევა ვერ მოასწრო, ისე შემოეხვივნენ.

— მოიცა... გამიშვით! — იყვირა თავზარდაცემულმა, როცა ჯეკმა სათვალე ჩამოგლიჯა. — არ გესმის?! დამიბრუნე! ვერაფერს ვერ ვხედავ! საყვირს გატეხავ!

რალფმა მუჯლუგუნით მიაგდო განზე და ფიჩხის გროვასთან ჩაიმუხლა.

— გაიწიე, ნუ მიჩრდილავ!

ერთი მიხლა-მოხლა და ალიაქოთი შეიქნა. რალფი წინ და უკან, აქეთ-იქით ამოძრავებდა მინებს, სანამ ჩამავალი მზის რძისფერი ანარეკლი არ დაადგა დაფხავებულ შეშას. თითქმის იმწუთშივე კვამლის წვრილი სვეტი გაჩნდა და ბიჭს ხველება აუტყდა. ჯეკმაც ჩაიმუხლა და ფრთხილად შეუბერა, კვამლი განზე გავიდა, გასქელდა და პანაწინა ალი გაჩნდა. კაშკაშა მზის სხივებში ალი პირველად არც ჩანდა, მერე პატარა რტოს მოეკიდა, იმატა, გაფერადდა და მჭახე ტკაცუნით მოედო ტოტს. ცეცხლი აგიზგიზდა და გახარებული შეძახილები გაისმა.

— ჩემი სათვალე! — მოთქვამდა ღუტა, — მომეცით ჩემი სათვალე!

რალფი ადგა, შეშას მოშორდა და ღუტას ბრმად აცეცებულ ხელში სათვალე ჩაუდო. ღუტამ ხმას დაუწია და აჩურჩულდა:

— თითქოს ბურუსში ვიყო. ჩემს ხელსაც ვეღარ ვხედავ...

ბიჭებმა ცეკვა დაიწყეს. ფიჩხი ისე იყო შიგნიდან გამომპალი და გამომშრალი, რომ ტოტებს თავიდან ბოლომდე გემრიელად ეკიდებოდა ყვითელი ალი; კოცონს თითქოს წვერი გამოება, ალის ენები ოციოდე ფუტის სიმაღლეზე ატყორცნილიყო. ცეცხლის გარშემო რამდენიმე იარდის მანძილზე ცხელი ჰაერი ტრიალებდა, ნიავი ნაპერწკლის ნიაღვრებს აფრიალებდა. გადამტვრეული ხეები მტვრად იქცა.

— შეშა დაამატეთ! — ყვიროდა რალფი, — ყველამ მოიტანეთ შეშა!

კოცონთან ცხოვრება შეჯიბრად იქცა და ბიჭები ზემოთ, ტყეში გაცვივდნენ. ამ წუთში მხოლოდ ის ეფიქრებოდათ, მთაზე აფრიალებული ალის სუფთა დროშა არ დაშვებულიყო, სხვა არაფერი ადარდებდათ. ხილი თუ არ აცდუნებდათ, ყველაზე პატარებიც კი ეზიდებოდნენ პატარ-პატარა ნაფოტებს და ცეცხლში ყრიდნენ. ნიავი გაძლიერდა. ახლა ქარიანი და

მოფარებული მხარეები აშკარად განსხვავდებოდა. ცალ მხარეს ჰაერი გრილი იყო, მაგრამ მეორე მხარეს კოცონი გაშმაგებით იქნევდა გავარვარებულ მკლავებს და ვისაც მისწვდებოდა, წამში უტრუსავდა ბეწვებს. ბიჭებს ოფლიან სახეზე საღამოს ნიავი რომ დაუბერავდათ, შეჩერდებოდნენ, გასაგრილებლად ეშვირებოდნენ და მერე გრძნობდნენ, როგორ დაქანცულიყვნენ. ჩრდილში მიეყრებოდნენ, კლდის ნამსხვრევებს შორის. ალი სწრაფად კლებულობდა, მერე გროვა წყნარად ჩაიშალა, ნაპერწკლების დიდი ხე ასტყორცნა, ისიც ქარის მიმართულებით გადაიხარა და ტოტები ქარს გაატანა. ბიჭები იწვნენ და ძაღლებივით ქოშინებდნენ.

რალფმა თავი ასწია.

— არაფერი გამოვიდა.

როჯერმა მარჯვედ გადააფურთხა ცხელ მტვერში.

— რას გულისხმობ?

— კვამლი არ ყოფილა. მხოლოდ ალი იყო.

ღუტა კლდის ორ შვერილს შუა მოკალათდა. იჯდა და ნიჟარა მუხლებზე ედო.

— კოცონიც კი ვერ დავანთეთ, — თქვა მან. — ან რა აზრი ჰქონდა. რაც არ უნდა ვეცადოთ, ცეცხლი მაინც ჩაგვიქრება.

— შენ მაინც ხომ თავი მიაკალი, — აემრიზა ჯეკი, — ადგილიდან არ დაძრულხარ.

— სათვალე ვიხმარეთ, — თქვა საიმონმა და გაშავებული ლოყა მხარზე გაისვ-გამოისვა, — მაგის დახმარება ეგ იყო.

— საყვირი მე მაქვს, — აღშფოთდა ღუტა, — მათქმევინეთ.

— მთის წვერზე საყვირი არ ითვლება, — უთხრა ჯეკმა, — ჰოდა, მოკეტე.

— საყვირი ხელში მიჭირავს.

— მწვანე ტოტები უნდა დავაწყოთ, — თქვა მაურისმა, — კვამლის ასაშვებად ასე სჯობია.

— საყვირი მე მაქვს...

ჯეკი გაცოფებული მოუტრიალდა.

— ენა ჩაიგდე-მეთქი!

ღუტამ ყურები ჩამოყარა. რალფმა საყვირი გამოართვა და გარს შემოხვეული ბიჭები მოათვალიერა.

— ვინმეს საგანგებოდ უნდა დავავალოთ კოცონის მიხედვა. გემი ნებისმიერ დღეს შეიძლება მოვიდეს. — ჰორიზონტის ზოლს მოატარა ხელი, — და თუ აქაურობას გამუდმებით

შეეტყობა სიცოცხლის ნიშან-წყალი, მოვლენ და წაგვიყვანენ. კიდევ ერთი. წესები უნდა დავამატოთ. სადაც საყვირი დაიძახებს, იქ ვიკრიბებით. ქვემოთ ვიქნებით თუ აქ.

ყველა დაეთანხმა. ღუტა რაღაცის სათქმელად მოემზადა, მაგრამ ჯეკის მზერას წააწყდა და ხმა გაკმინდა. ჯეკი საყვირს გადასწვდა, ადგა, გამურული ხელებით ფრთხილად ეჭირა ნატიფი ნიჟარა.

— რალფს ვეთანხმები. წესები უნდა გვქონდეს და ვემორჩილებოდეთ. ბოლოს და ბოლოს, ველურები ხომ არა ვართ. ინგლისელები ვართ! ინგლისელები კი ყველაფერში საუკეთესოები არიან. ასე რომ, რიგიანად უნდა მოვიქცეთ.

მერე რალფს მიუბრუნდა.

— რალფ... მე ჩემს გუნდს დავშლი... ესე იგი, ჩემს მონადირეებს... ჯგუფებად... ცეცხლზე ჩვენ ვაგებთ პასუხს... არ ჩავაქრობთ...

ასეთმა კეთილშობილებამ ბიჭების ტაში დაიმსახურა, ჯეკმა გაუცინა და საყვირი გააქნია, გაჩუმდითო.

— ახლა თავი დავანებოთ, ჩაქრეს. ღამით კვამლს მაინც ვერავინ დაინახავს. როცა მოგვინდება, მაშინ დავანთებთ ხელახლა. ალტებო, ამ კვირაში ცეცხლს თქვენ მიხედავთ, შემდეგ კვირაში — დისკანტები...

შეკრებილები სერიოზული სახეებით დაეთანხმნენ.

— გამუდმებულ ყარაულობაზეც ჩვენ ვიქნებით პასუხისმგებელნი. იქით გემი თუ დავინახეთ, — ბიჭებმა მის გამხდარ მკლავს გააყოლეს მზერა, — მწვანე ტოტებს დავაყრით და კვამლი მოიმატებს.

დაჟინებით გასცქეროდნენ მუქ ლურჯ ჰორიზონტს, თითქოს სადაცაა, უნდა გამოჩენილიყო პატარა სილუეტი.

დასავლეთით მზე ალმოდებული ოქროს წვეთივით სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ქვეყნის დასალიერს. უეცრად იგრძნეს, რომ საღამოვდებოდა, სინათლე და სითბო ხელიდან ეცლებოდათ.

როჯერმა საყვირი აიღო და პირქუში სახით მიიხედ-მოიხედა.

— ზღვას ვუყურებდი. გემის ნასახიც არ არის. შეიძლება, საერთოდ ვერ გადაგვარჩინონ.

ბიჭებს ჩურჩულმა გადაუარა. რალფმა საყვირი გამოართვა.

— წეღანაც გითხარით, ერთ მშვენიერ დღეს გადაგვარჩენენ. უბრალოდ, უნდა მოვიცადოთ. ეგ არის და ეგ.

აღშფოთებული ღუტა გათამამდა და საყვირი აიღო.

— აბა, მე რას ვამბობდი? ჩვენს შეკრებებზე ვამბობდი, თქვენ კიდევ, მოკეტეო...

კეთილშობილურმა აღშფოთებამ ააწევინა ხმა. ბიჭები შეჩოჩქოლდნენ და გაჩუმება დაუწყეს.

— ასე თქვით, პატარა კოცონი გვინდაო და ნახეთ, რამოდენა ზვინი დადგით. მე თუ ამოვიღე ხმა, დამძახით, მოკეტეო; მაგრამ თუ ჯეკი ან მაურისი ან საიმონი... — გაჰყვიროდა ღუტა მწარე სიმართლეს.

აქოშინებულმა სიტყვა შუაზე გაწყვიტა. იდგა და ბიჭებს მიღმა იყურებოდა, იქით, სადაც ფიჩხს აგროვებდნენ. მერე ისე უცნაურად გაიცინა, რომ ყველა გაჩუმდა, გაკვირვებულები მიაცქერდნენ მოციმციმე სათვალეს. მის მზერას გააყოლეს თვალი და ამ მწარე სიცილის მიზეზსაც მიხვდნენ.

— ეგეც თქვენი პატარა ცეცხლი.

მკვდარი ან მომაკვდავი ხეებიდან გირლიანდებივით ჩამოკიდებულ ლიანებში ალაგ-ალაგ კვამლი ამოდიოდა. სანამ იდგნენ და უყურებდნენ, ერთგან ნაპერწკალმა გაიელვა და კვამლი გასქელდა. ალის პაწაწინა ენები ათრთოლდა, ხის ღეროებზე, ფოთლებსა და ბუჩქებზე გაცოცდა, დაცალკევდა და გაძლიერდა. ცეცხლის ენა ხეს ტანზე მოედო და ციყვივით ავარდა ზემოთ. კვამლმა იმატა, გაიფანტა, აგორდა. ციყვი ქარს ფრთებზე შეახტა, მერე მაღლა, ხეზე გადავიდა და ზემოდან დაუწყო ჭამა. ფოთლებისა და კვამლის მუქი ხუფის ქვეშ ცეცხლი ტყეს მოედო და იმატა. სიგრძეზე გაწელილი შავი და ყვითელი კვამლი მტკიცედ მიიწევდა ზღვისკენ. მომძლავრებული ცეცხლის დანახვაზე ბიჭებმა აღტაცებული ყიჟინა დასცხეს. ალი ველურ, ცოცხალ არსებასავით, მუცელზე გაწოლილი იაგუარივით მიხოხავდა ვარდისფერი კლდის გარშემო ამოყრილი წნელის ყლორტებისკენ. ცეცხლი პირველივე ხეს მოედო და გაფოთლილი ტოტები თვალის დახამხამებაში აბრიალდა. ალი მარჯვედ გადაევლო ხეებს შორის მანძილს, რხევითა და კაშკაშით დაუარა მთელ რიგს. ქვემოთ, მეოთხედი მილის მანძილზე, ტყეში კვამლი და ალი ბობოქრობდა. ცეცხლის გუგუნი დოლის ხმასავით ავსებდა იქაურობას და თითქოს მთებს აზანზარებდა.

— ეგეც თქვენი პატარა კოცონი.

შემკრთალი რალფი ხედავდა, როგორ ჩერდებოდნენ და

ჩუმდებოდნენ ბიჭები, რომლებმაც აბობოქრებული ძალის დანახვაზე იგრძნეს, რომ რაღაც თავზარდამცემი იწყებოდა. ამანაც და იმ შემზარავმა ძალამაც წონასწორობა დააკარგვინა.

— კარგი, მოკეტე ბოლოს და ბოლოს!

— საყვირი ჩემთანაა, — ნაწყენი ხმით უთხრა ღუტამ, — და ლაპარაკის უფლებაც მაქვს.

შეხედეს და თვალებზე შეეტყოთ, რომ რაც არ უნდა ეთქვა, მისთვის არ სცხელოდათ, ცეცხლის გუგუნს უგდებდნენ ყურს. შეშფოთებულმა ღუტამ ჯოჯოხეთში ჩაიხედა და საყვირი გააქნია.

— ახლა უნდა დავაცალოთ, ბოლომდე ჩაიწვას. არადა, ჩვენი შეშა ეგ იყო.

ტუჩები დაისველა და განაგრძო:

— ახლა რაღას ვიზამთ. უფრო ფრთხილად უნდა მოვქცეულიყავით. მეშინია...

ჯეკმა ძლივს მოსწყვიტა თვალი ცეცხლს:

— შენ ყოველთვის გეშინია, შე... სქელო, შენა!

— საყვირი მე მაქვს, — მოიღუშა ღუტა. მერე რალფს მიუბრუნდა: — საყვირი ხომ მე მაქვს, რალფ?

რალფმა უხალისოდ შეაქცია ზურგი დიდებულ, საზარელ სანახაობას.

— რა იყო?

— საყვირზე გეუბნები. ლაპარაკის უფლება მაქვს.

ტყუპებმა ერთად ჩაიცინეს.

— კვამლი გვინდოდაო...

— ეგეც თქვენი...

ბოლი გაიწელა, კუნძულს რამდენიმე მილით გასცდა. ღუტას გარდა ყველა ახითხითდა; ახლა უკვე სიცილით იხოცებოდნენ.

ღუტას გული მოუვიდა:

— საყვირი მე მაქვს! არ გესმით! პირველ რიგში ქვემოთ, ნაპირზე, ქოხები უნდა დაგვედგა. ღამე იქ ასე არ ცივა. მაგრამ როგორც კი რალფმა ცეცხლი ახსენა, ღრიანცელით გაცვივდით მთაზე. პატარა ბავშვებივით!

მის ტირადას ახლა უკვე ყურს უგდებდნენ.

— რომელი გადარჩენის იმედი გაქვთ, თუ თავის დროზე არაფერს აკეთებთ და წესიერად არ იქცევით?

სათვალე მოიხსნა და საყვირის დადება დააპირა; მაგრამ

უცებ დაინახა, რომ უფროსი ბიჭების უმეტესობამ ნიჟარის ასაღებად წამოიწია; გადაიფიქრა. საყვირი იღლიაში ამოიჩარა, დაჯდა და ზურგით კლდეს მიეყრდნო.

— მერე აქ ამოხვედით და ისეთი კოცონი ააბრიალეთ, არაფერში რომ არ გვარგია. აჰა, კუნძულს ცეცხლი წაუკიდეთ. სეირი არ იქნება, მთელი კუნძული რომ დაიწვას? მერე საჭმელად შემწვარი ხილი და შაშხიღა დაგვრჩება. სასაცილო არაფერია! რალფი აირჩიეთ ბელადად და რამის მოფიქრებაც არ აცალეთ. როგორც კი ერთი სიტყვა წამოსცდა, ისე გამოცვივდით, თითქოს... თითქოს...

სულის მოსათქმელად შეყოვნდა და სიჩუმეში ცეცხლის გუგუნმა შემოუტიათ.

— ეგ კიდევ არაფერი. ბავშვები? პაწაწინებზე გეუბნებით. ვის გაახსენდა? ვინ იცის, რამდენი არიან?

რალფმა უცებ ღუტასკენ გადადგა ნაბიჯი.

— მე ხომ გითხარი. ხომ გითხარი, სია შეადგინე-მეთქი.

— მარტო როგორ უნდა შემედგინა, — შეურაცხყოფილი ხმით იყვირა ღუტამ, — ორი წუთი გაჩერდნენ და ზოგი ზღვაში ჩახტა, ზოგი ტყეში გავარდა; აქეთ-იქით დაიფანტნენ. რა ვიცოდი, ვის რა ერქვა?

რალფმა ფერწასული ტუჩები დაისველა.

— ესე იგი, არც იცი, რამდენი უნდა ვიყოთ?

— როგორ უნდა ვიცოდე, პატარები ჭიანჭველებივით დარბოდნენ! მერე თქვენ სამნი დაბრუნდით და, როგორც კი თქვი, ცეცხლი უნდა დავანთოთო, ყველა თავპირისმტვრევით აქით გამოვარდა. იმის საშუალებაც კი არ მქონდა, რომ...

— საკმარისია! — მკვახედ შეაწყვეტინა რალფმა და საყვირი გამოჰგლიჯა, — არ გააკეთე და ეგ არის.

— ...მერე მოხვედით და სათვალე წამართვით...

ახლა ჯეკი მიუბრუნდა:

— მოკეტე!

— ...პატარები ქვემოთ დარბოდნენ, იქაურობა ცეცხლშია გახვეული. რა იცით, რომ ახლაც იქ არ არიან?

ღუტა წამოდგა, კვამლისკენ და ცეცხლისკენ გაიშვირა თითი. ბიჭებს ჩურჩულმა გადაუარა. ღუტას რაღაც უცნაური სჭირდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა.

— ის პატარა... — სუნთქვა შეეკრა ბიჭს, — აი ის, სახეზე ნიშანი რომ ჰქონდა, აქ ვერ ვხედავ. ახლა სად არის?

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— ის, გველებზე რომ გვეუბნებოდა. იქ იყო...

ცეცხლში ერთი ხე ყუმბარასავით აფეთქდა. დაინახეს, ლიანის გრძელი ღეროები წუთით როგორ აფრიალდა, დაიკლაკნა და ისევ დაეშვა. პატარებმა წიოკი მორთეს:

— გველები! გველები! შეხედეთ, გველები!

მივიწყებულ მზეს ზღვაში ჩაშვებამდე ორი დუიმიღა აკლდა. ბიჭებს სახეებზე ქვემოდან ამოსული წითელი ფერი გადასდიოდათ. ღუტა კლდეს მიეყრდნო და ორივე ხელით ჩაეჭიდა.

— ის პატარა, სახეზე... ნიშანი რომ ჰქონდა... ახლა... სად არის? გეუბნებით, ვერ ვხედავ-მეთქი.

შეშინებულმა ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. ვერ იჯერებდნენ.

— ...ახლა სად არის?

— იქნებ, უკან დაბრუნდა... — ჩაიბუტბუტა სირცხვილისგან შეცბუნებულმა რალფმა.

ქვემოთ, მთის მტრული მხრიდან ისევ გუგუნი მოდიოდა.

თავი მესამე

ქოხები სანაპიროზე

ჯეკი ორად მოიკეცა. გასაქცევად გამზადებული მორბენალივით, ცხვირი ლამის დადებული ჰქონდა ნოტიო მიწაზე. ხეები და ზედ დაკიდებული ლიანები ოცდაათ ფუტზე აღმართულ მწვანე ბინდბუნდში იკარგებოდა; გარშემო ბუჩქები იზრდებოდა. ამას ნაკვალევი არც ეთქმოდა; მოტეხილი ტოტი და რაღაც ჩლიქის ცალი მხარის მსგავსი. ნიკაპი დასწია და ისე ჩააცქერდა ამ ნიშნებს, თითქოს რამე უნდა ათქმევინოსო. მერე ძაღლივით ოთხზე დამდგარმა, მოუხერხებლად, ჯახირით წაიწია წინ კიდევ ხუთ იარდზე და გაჩერდა. ვერც გრძნობდა, როგორ წვალობდა. ლიანის მარყუჟიდან ჩამოშვებული, გაკვანძული რტო დაინახა. ცალი მხრიდან პრიალებდა; ღორები, მარყუჟთან გავლისას, ეხახუნებოდნენ.

ჯეკი ისევ მოიკეცა და სახე ისე მიუახლოვა ამ ნიშანს, რომ რამდენიმე დუიმიღა აშორებდა, მერე დაჟინებით ჩააცქერდა პირდაპირ ხეებქვეშ ჩამდგარ ბინდბუნდს. მას მერე, რაც აქ ჩამოსხდნენ, წითური თმა, საგრძნობლად ჩამოეზარდა და გაუხუნდა; დაჭორფლილი, შიშველი ზურგი მზისგან გამომშრალი ჰქონდა. მარჯვენა ხელით დაახლოებით ხუთი ფუტის სიგრძის წამახულ ჯოხს მიათრევდა; ტანზე არაფერი ეცვა გაქექილი შორტების გარდა, ქამარზე დანა ეკიდა. თვალები დახუჭა, თავი ასწია, ნესტოები დაბერა და ღრმად შეისუნთქა თბილი ჰაერი, რომ ასე მაინც შეეტყო რამე. ტყეც და ბიჭიც გარინდდნენ.

ბოლოს, ერთი ღრმად ამოიოხრა და თვალები გაახილა. ლურჯი თვალები ამ მარცხის გამო ლამის გიჟივით უელავდა. გამშრალი ტუჩები დაისველა და გაუვალ ტყეს ჩააცქერდა. მერე ისევ გზა განაგრძო.

ტყის მდუმარება სიცხეზე მეტად თრგუნავდა, დღის ამ დროს მწერების ზუზუნიც კი არ ისმოდა. ჯეკმა ბუდიდან ჭყეტელა ჩიტი რომ წამოაგდო, მხოლოდ მაშინ დაირღვა სიჩუმე და მჭახე ექომ ისე დარეკა, თითქოს ეს ხმა საუკუნეებს იქი-

დან მოდიოდა. ბიჭი თვითონაც შეკრთა და სტვენით ჩაისუნთქა; წუთით მონადირის ადგილი რაღაც იდუმალმა სულიერმა დაიკავა, მაიმუნივით რომ გახლართულიყო ხეებში. მერე ნაკვალევმა და ბრაზმა თავისი გაიტანა და ისევ მიწაზე დაიწყო ხოხვა. ღია ფერის ყვავილებით დაფარული დიდი, რუხტანიანი ხის ფულუროსთან თვალები დახუჭა და კიდევ ერთხელ შეისუნთქა თბილი ჰაერი; ამჯერად სუნთქვა შეეკრა, ფერი ნაუვიდა და მერე სახეზე ისევ სისხლი მოაწვა. ჩრდილივით გაძვრა ხის ქვეშ, სიბნელეში, დაიხარა და გატკეპნილ გზას ჩააცქერდა.

განავალი თბილი იყო. გროვად იდო ამოტრიალებულ მიწაში. მწვანე, გლუვი; ორთქლი ასდიოდა. ჯეკმა თავი ასწია, ნაკვალევზე უსაშველოდ აბურდულ ლიანებს დაუწყო თვალიერება. მერე შუბი ამოიღო და წინ წაიწია. ლიანებს იქით ნაკვალევი ღორების ნასიარულევ ბილიკზე გაცილებით უფრო ფართო და გატკეპნილ გზაზე გადიოდა. აქ მიწა ხშირი სიარულისგან გამკვრივებულიყო; წელში გამართულ ჯეკს ფაჩუნის ხმა შემოესმა — რაღაც მოძრაობდა. მარჯვენა მკლავი უკან გადასწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შუბი სტყორცნა. ღორების სავალი გზიდან ჩლიქების ყრუ ბაკუნი გაისმა, კასტანეტების მსგავსი ხმა, მაცდური, ჭკუიდან შემშლელი — ხორცის დაპირება. ხეებქვეშ გავარდა და შუბს ხელი სტაცა. ღორების ჩლიქების ბაკუნი შორს მიწყნარდა.

ჯეკი იდგა, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა შ[illegible], მიწიან ზოლებად, მთელი დღე ტყუილ-უბრალოდ იწანწალა სანადიროდ. ერთი შეიგინა, ნაკვალევს ზურგი აქცია და გაჭირვებით იკვლია გზა, სანამ ტყე არ შეთხელდა და მუქი ფოთლებით გადახურული ხეების შიშველი ტანები რუხტანიანმა, გვირგვინოსანმა პალმებმა არ შეცვალა. იქით ზღვა ციმციმებდა და ხმები ისმოდა. რალფი პალმის ღეროებისგან და ფოთლებისგან შეკოწიწებულ, უბადრუკ ქოხთან იდგა, რომელიც ლაგუნას გადაჰყურებდა და თითქოს საცაა უნდა ჩამოქცეულიყო. არც გაუგია, ჯეკმა რომ იკითხა:

— წყალი არა გვაქვს?

რალფმა შუბლშეკრულმა მოაშორა თვალი ახორხლილ ფოთლებს. ჯეკს კი შეხედა, მაგრამ არ დაუნახავს.

— წყალი ხომ არა გვაქვს-მეთქი? მწყურია.

რალფი ქოხს მოსწყდა და ახლაღა დაინახა ჯეკი.

— აა, გამარჯობა. წყალი? იქ არის, ხესთან. ცოტა კიდევ იქნება.

ჯეკი ჩრდილში ჩამწკრივებულ, წყლით სავსე ქოქოსის ნაჭუჭებთან მივიდა, ერთი ნაჭუჭი აიღო და მოიყუდა. წყალი წურწურით ჩამოეღვარა ნიკაპზე, კისერსა და მკერდზე. გამოცალა და სული მოითქვა.

— კარგი იყო.

ქოხიდან საიმონის ხმა გაისმა:

— უფრო ზევით.

რალფი ქოხისკენ მიტრიალდა და ტოტით ფოთლების სახურავი ასწია. ფოთლები დაიშალა და ფრიალით დაეშვა ძირს. ხვრელში საიმონის შეწუხებული სახე გამოჩნდა.

— ბოდიშს ვიხდი.

რალფი ზიზღით შეჰყურებდა ჩამოშლილ ფოთლებს.

— ამას ვერასოდეს ვერ დავამთავრებთ.

ჯეკის ფერხთით, მიწაზე დაეგდო. საიმონი ისევ ქოხიდან იყურებოდა. რალფი არ ამდგარა, ისე ახედა ჯეკს:

— რამდენი დღეა ვმუშაობთ. და შეხედე...

ორი ქოხი ფეხზე კი იდგა, მაგრამ ყანყალებდა. ეს დაინგრა.

— ამათ კიდევ გაქცევაზე უჭირავთ თვალი. გახსოვს შეკრება? ყველა რომ გაიძახოდა, სანამ ქოხები არ დამთავრდება, მაგრად ვიმუშავებთო?

— ჩემი და მონადირეების გარდა...

— მონადირეების გარდა. პატარები...

გაურკვეველი ჟესტით სცადა სიტყვის მოძებნა.

— პატარების იმედზე ვერ ვიქნებით. მაგრამ ბევრით არც დიდები სჯობიან. ვერა ხედავ? მთელი დღე მე და საიმონი ვმუშაობთ. სხვა არავინ. დანარჩენები ბანაობენ, ან ჭამენ, ან თამაშობენ.

საიმონმა ფრთხილად გამოჰყო თავი.

— ბელადი შენა ხარ. შენ თვითონ გაუშვი.

რალფი გულაღმა გადანვა, პალმის ხეებსა და ცას ახედა.

— შეკრებები... ძალიან კი გვიყვარს შეკრებები! ყოველდღე. დღეში ორჯერ. ვლაპარაკობთ და ვლაპარაკობთ. — ცალ იდაყვს დაეყრდნო. — დაგენიძლავები, ამ წუთში საყვირს რომ ჩავბერო, მაშინვე ყველა აქ გაჩნდება. მერე, როგორც იცით, ყველა ძალიან საქმიანი გახდება, ვიღაც იტყვის, რეაქტიული თვითმფრინავი უნდა ავაშენოთო, ვიღაცა —

წყალქვეშა ნავიო, ან ტელევიზორიო... დამთავრდება კრება, ხუთი წუთი იმუშავებენ და დაიფანტებიან ან სანადიროდ წავლენ.

ჯეკი აილეწა.

— ხორცი არ გვინდა?

— როგორ არა, მაგრამ ჯერ რაღაც არა ჩანს. ქოხებიც გვინდა. ეგეც არ იყოს, შენი მონადირეები რამდენიმე საათის წინ დაბრუნდნენ. მაგრამ ბანაობენ.

— მე მარტო გავაგრძელე გზა, — უთხრა ჯეკმა, — ისინი გამოვუშვი. მე კი გზა უნდა გამეგრძელებინა. მე...

ცდილობდა, ეთქვა, რა აიძულებდა, მსხვერპლს კვალში ჩასდგომოდა, მოეკლა, უნდოდა ამოეთქვა ის, რაც მოსვენებას არ აძლევდა.

— გზა გავაგრძელე. მეგონა, მე თვითონ...

თვალებში ისევ სიგიჟემ გაუელვა.

— მეგონა, მოვკლავდი.

— მაგრამ ვერ მოკალი.

— მეგონა, მოვკლავდი.

რალფს შეკავებული მღელვარებისგან ხმა უთრთოდა:

— მაგრამ ჯერ არ მოგიკლავს.

ქვეტექსტი რომ არა, ნათქვამი უბრალოდ ჩაივლიდა.

— ქოხები, როგორც ვხვდები, არ გენაღვლება.

— ხორცი გვჭირდება...

— და არა გვაქვს.

ახლა შუღლი ლამის ხელშესახები გახდა.

— მოვიტან! კიდევ რომ წავალ! შუბის წვერი მჭირდება! ღორს შუბი მოვარტყით, დავჭერით და ამოვარდა. წვერების გაკეთება რომ შეგვეძლოს...

— ჩვენ ქოხები გვჭირდება.

უცებ ჯეკმა გაშმაგებულმა უყვირა:

— შენ რა, მადანაშაულებ..?

— მე იმას ვამბობ, რომ მუშაობით სული ამოგვხდა. ეგ არის და ეგ.

ორივე აილეწა; ერთმანეთს თვალი აარიდეს. რალფი პირქვე გადატრიალდა და ბალახის წიწკნა დაიწყო.

— აქ რომ მოვედით, მაშინდელივით თუ გაწვიმდა, ქოხების გარეშე იოლს ვერ გავალთ. და კიდევ. ქოხები იმიტომ გვჭირდება, რომ...

წუთით შეყოვნდა. ორივე ცდილობდა, ბრაზს მორეოდა; რალფმა თემა შეცვალა.

— შენ ვერ შეამჩნიე?

ჯეკმა შუბი დაუშვა და ჩაცუცქდა.

— რა?

— შეშინებულები არიან.

ისევ გადმოგორდა და ჯეკს გამძვინვარებულ, ჭუჭყიან სახეზე მიაცქერდა.

— ნამდვილად ასეა. რაღაც ესიზმრებათ. ყურს თუ მიუგდებ, გაიგონებ. ღამე არ გაგღვიძებია?

ჯეკმა თავი გააქნია.

— ლაპარაკობენ და კვნესიან. პატარები. ხანდახან დიდებიც. ვითომ...

— ვითომ... ეს კარგი კუნძული არ არისო.

რალფს და ჯეკს გაუკვირდათ, რომ შეაწყვეტინეს და საიმონს ახედეს. იმას სერიოზული სახე ჰქონდა.

— ვითომ ის ურჩხული — ნადირი თუ გველი, მართლა არსებობს. გახსოვთ?

უფროსი ბიჭები ამ სამარცხვინო სიტყვის გაგონებაზე შეცბნენ. გველებს საერთოდ არ ახსენებდნენ.

— თითქოს ეს კარგი კუნძული არ იყოს, — სიტყვები გაწელა რალფმა. — ჰო, ასეა.

ჯეკი დაჯდა და ფეხები გაჭიმა.

— აკლიათ.

— გიჟები არიან. გახსოვს, დაზვერვაზე რომ წავედით?

პირველი, მომაჯადოებელი დღე რომ გაახსენდათ, ერთმანეთს გაუცინეს. რალფმა განაგრძო:

— ერთი სიტყვით, ქოხები გვჭირდება...

— სახლის მაგივრად.

— ჰო, ეგრეა.

ჯეკმა ფეხები მოკეცა, ხელები მუხლებზე შემოიჭდო და შუბლი შეიკრა — რაღაცეებში გასარკვევად.

— იქაც ეგრეა... ტყეში. ესე იგი, ნადირობისას... ხილის კრეფისას კი არა, როცა საკუთარი თავის ანაბარა რჩები...

წუთით შეყოვნდა, დარწმუნებული არ იყო, რომ რალფი მის სიტყვებს სერიოზულად მოეკიდებოდა.

— განაგრძე.

— ნადირობისას ხანდახან უცებ ისეთი გრძნობა გიჩნდება,

თითქოს... — უცებ აილეწა, — რასაკვირველია, არაფერი არ ხდება. უბრალოდ, ასეთი გრძნობა გაქვს. მაგრამ გგონია, თითქოს შენ კი არ ნადირობ, არამედ... შენზე ნადირობენ; თითქოს ჯუნგლებში უკან გამუდმებით ვიღაც მოგყვება.

ისევ გაჩუმდნენ; საიმონი დაფიქრდა, რალფი დაეჭვდა და ცოტათი გული მოუვიდა. წამოჯდა, ჭუჭყიანი ხელით მხარი მოიქექა.

— აბა, რა ვიცი.

ჯეკი წამოხტა და სხაპასხუპით მიაყარა:

— ტყეში ასე გგონია. რასაკვირველია, ეგ არაფერს არ ნიშნავს. მაგრამ... მაგრამ...

ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა ნაპირისკენ, მერე უკან დაბრუნდა.

— მაგრამ მესმის, რას გრძნობენ. გასაგებია? სულ ესაა.

— ყველაზე უკეთესი ის იქნება, თავი გავიტანოთ, სანამ გადაგვარჩენენ.

ჯეკს წუთით დაფიქრება დასჭირდა, რომ გაეხსენებინა, რა არის გადარჩენა.

— გადაგვარჩენენ? ჰო, რასაკვირველია. ოღონდ მინდა, რომ ჯერ ღორი ჩავიგდო ხელში... — შუბს სტაცა ხელი და მიწაში ჩაარჭო. თვალებში ისევ არეული, გიჟური გამომეტყველება დაუბრუნდა. რალფმა კრიტიკულად შეხედა აბურდული ქერა თმიდან.

— ოღონდ შენს მონადირეებს ცეცხლი არ დაავიწყდეთ...

— შენც რას აიხირე ეს ცეცხლი!

ორივემ ნაპირისკენ მოკურცხლა, წყალთან რომ მივიდნენ, უკან მოიხედეს, ვარდისფერი მთისკენ. კვამლის სვეტი ცარცის ხაზს ავლებდა მუქ ლურჯ ცაზე, მაღლა მიიკლაკნებოდა და უფერულდებოდა. რალფი მოიღუშა.

— ნეტავ რა მანძილიდან ჩანს.

— შორიდან.

— პატარა კვამლია.

კვამლმა თითქოს იგრძნო, რომ უყურებდნენ, ძირში გასქელდა, კრემისფერ ლაქად იქცა და აისვეტა.

— მწვანე ტოტები დაამატეს, — ჩაიბუტბუტა რალფმა. — ნეტავ რა ხდება? — თვალები მოჭუტა და ჰორიზონტისკენ მიტრიალდა.

— მივხვდი!

ჯეკმა ისე ხმამაღლა დაიყვირა, რომ რალფი შეხტა.

— რა? სად? გემი დაინახე?

მაგრამ ჯეკი მთიდან კუნძულის ვაკე ადგილზე დაშვებული მაღალი ფერდობებისკენ იშვერდა თითს.

— რასაკვირველია! იქ იქნებიან შეფარებულები... სხვა რას იზამენ, როცა მზე მაგრად დააჭერს...

რალფი გაოგნებული შეჰყურებდა აღტაცებულ სახეზე.

— ...მაღლა ადიან. სიცხე რომ დააჭერს, მაღლა, ჩრდილში ადიან და ისვენებენ, ძროხებივით...

— მე მეგონა, გემი დაინახე!

— შეგვიძლია, მივეპაროთ... სახეები შევიღებოთ, რომ ვერ დაგვინახონ... გარს შემოვერტყათ და მერე...

რალფს ბრაზმა წონასწორობა დააკარგვინა.

— მე კვამლზე გელაპარაკებოდი. არ გინდა, რომ გადარჩე? აიჩემე — ღორები, ღორები, ღორები — სხვა აღარაფერზე ფიქრობ.

— კი მაგრამ, ხორცი ხომ გვინდა.

— მთელი დღე საიმონის ამარა ვმუშაობდი, შენ კიდევ მოხვედი და ქოხებისკენ არც გაგიხედავს.

— მეც ვმუშაობდი...

— ოღონდ შენ მოგწონს ეგ საქმე! — უყვირა რალფმა. — შენ გინდა ნადირობა! მე კი...

იდგნენ გაჩახჩახებულ ნაპირზე. პირისპირ, თვითონვე გაოგნებულები ასეთი შეხლა-შემოხლით. რალფმა პირველმა აარიდა თვალი, ვითომ ქვიშაზე მოთამაშე პატარების ჯგუფმა მიახედა. ბაქნის მიღმა, ტბორიდან, მონადირეების ყვირილი ისმოდა. ბაქნის ბოლოს ღუტა გაშხლართულიყო და მბრწყინავ წყალს ჩასცქეროდა.

— მაინცდამაინც არავინ იწუხებს თავს მოხმარებით.

იმის ახსნა უნდოდა, რომ ადამიანები არასდროს არ არიან ზუსტად ისეთები, როგორებიც გგონია.

— საიმონი კი მეხმარება. — ქოხებისკენ გაიშვირა ხელი. — დანარჩენები დაითესნენ. საიმონმაც ჩემსავით იმუშავა. ოღონდ...

— საიმონი უღალატოა.

რალფი ქოხებისკენ გაემართა. ჯეკი გვერდით გაჰყვა.

— ცოტა ხელს წაგაშველებ, — ჩაიბუტბუტა ჯეკმა, — მერე ვიბანავებ.

— ნუ შეწუხდები.

მაგრამ ქოხებს რომ მიაღწიეს, საიმონი იქ აღარ დახვდათ. რალფმა ქოხში შეჰყო თავი, ისევ გამოჰყო და ჯეკს მიუბრუნდა.

— ათესილა.

— ეტყობა, ყელში ამოუვიდა და საბანაოდ წავიდა, — მიუგო ჯეკმა.

რალფი მოიღუშა.

— რაღაც უცნაური ვინმეა. სასაცილო.

ჯეკმა თავი დაუქნია. უხმოდ, შეთანხმებულებივით მოშორდნენ ქოხებს და ტბორისკენ გაემართნენ.

— ვიბანავებ, რამეს შევჭამ და მეორე მხრიდან ავუყვები მთას, იქნებ კვალი ვნახო. წავედით?

— კი მაგრამ, მზე თითქმის ჩასულია!

— მაინც მოვასწრებ...

მიდიოდნენ — ორნი, ორი ცნობიერება, ორი შეგრძნება, და გაერთიანებას ვერ ახერხებდნენ.

— ღორი რომ ჩამაგდებინა ხელში!

— უკან რომ დავბრუნდები, ქოხის შენებას გავაგრძელებ.

გაკვირვებულებმა შეხედეს ერთმანეთს, სიყვარულით და სიძულვილით. მაგრამ ტბორის თბილმა, მლაშე წყალმა, ჟრიამულმა, ტყაპუნმა, სიცილმა თავისი გაიტანა და ისევ შეაკავშირათ.

საიმონი ტბორთან ეგულებოდათ, მაგრამ არც იქ დახვდათ.

იმ ორმა ნაპირისკენ რომ მოკურცხლა მთაზე შესახედად, საიმონი ერთხანს უკან მიჰყვებოდათ, მერე გაჩერდა. იდგა და შუბლშეკრული დაჰყურებდა ნაპირზე მოგროვილ ქვიშას, რომლისგანაც ვიღაც, ეტყობა, პატარა სახლის ან ქოხის აშენებას ფიქრობდა. მერე მოტრიალდა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა ტყისკენ. პატარა, გაჩხინკული ბიჭი იყო, წვეტიანი ნიკაპი ჰქონდა, რალფი მისმა მოციმციმე თვალებმა მოატყუა, როცა იფიქრა, მხიარული და ეშმაკი ვინმეაო. ხშირი, შავი, ჩამოზრდილი თმა თითქმის მთლიანად უფარავდა დაბალ, ფართო შუბლს. დაგლეჯილი შორტები ეცვა და ჯეკივით, ესეც ფეხშიშველი იყო. ისედაც შავგვრემანი საიმონი მზეზე გაირუჯა და გაოფლილი, ბრინჯაოსფრად ლაპლაპებდა.

შვერილის გავლით დაადგა აღმართს, იმ კლდეს ჩაუარა, სადაც რალფი ავიდა პირველ დღეს, დილით, მერე მარჯვნივ გაუხვია და ხეებს შეერია. ნაცნობ გზაზე მიაბიჯებდა ხილით დახუნძლულ ხეებში, იქ, სადაც სულ იოლად შოულობდნენ მწირ საკვებს. ერთსა და იმავე ხეებზე ყვავილებიც იყო და ხილიც, სიმწიფის სურნელი ტრიალებდა, საზრდოს საშოვნელად გამოსული მილიონი ფუტკრის ზუზუნი იდგა. გამოდევნებული პატარები აქ დაეწივნენ. ყველანი ერთად ლაპარაკობდნენ, ყვიროდნენ და ხეებისკენ ექაჩებოდნენ. მერე, ფუტკრების ზუზუნსა და ნაშუადღევის მზის სხივებში საიმონმა დაუკრიფა, რასაც ვერ სწვდებოდნენ, ფოთლებში მიმალულ საუკეთესო ნაყოფებს არჩევდა და გამოწვდილ ხელებში უწყობდა ბავშვებს. ბოლოს ბიჭები ცოტათი დაანაყრა, გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა. მწიფე ხილით დატვირთული პატარები შეჰყურებდნენ და ვერაფერი გაეგოთ.

საიმონი მოტრიალდა, გაკვალულ ბილიკს დაადგა და მალე ჯუნგლებში მიიმალა. მაღალ ხეებს მთელი ტანის სიგრძეზე მიჰყვებოდა მოულოდნელად მკრთალი ყვავილები, ზემოთ, ჩაბნელებულ თაღში ჩიტებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ. აქაც ბინდბუნდი იდგა და ლიანებს გემის აღჭურვილობასავით ჩამოეკიდათ თოკები. ბიჭი რბილ ნიადაგზე ტოვებდა ნაკვალევს, ლიანები ყოველი შეხებისას მთელ სიგრძეზე თრთოდნენ.

ბოლოს უფრო განათებულ ადგილს მიაღწია. რაკიღა შუქისთვის შორს წასვლა აღარ სჭირდებოდათ, ლიანებს დიდი ხალიჩა მოექსოვათ და ჯუნგლის ღია მხარეს ჩამოეკიდათ; აქ, კლდიან ზედაპირზე, პატარ-პატარა მცენარეებისა და გვიმრის გარდა არაფერი იზრდებოდა. იქაურობას მუქი ფერის, სურნელოვანი ბუჩქების გალავანი ერტყა გარშემო, სიცხითა და შუქით სავსე ფიალას ჰგავდა. ერთი კუთხის გარდიგარდმო წაქცეული დიდრონი ხე ფეხზე მდგომ ხეებს მისწოლოდა, მკვირცხლი ხვიარა კენწერომდე მიჰყვებოდა და თავმომწონედ, წითელ-ყვითლად აბრიალებდა ტოტებს.

საიმონი შეყოვნდა. ჯეკივით, ამანაც უკან მოიხედა, ლიანებისკენ, და სწრაფად მოავლო თვალი იქაურობას. უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ სრულიად მარტო იყო. ერთხანს ქურდულად მიდიოდა, თითქოს ვიღაცას ემალებოდა. მერე დაიხარა და ლიანების ხალიჩაში შეძვრა. აბურდული ლიანები და

ბუჩქები ყოველ ნაბიჯზე ებღაუჭებოდნენ და ბიჭი მცენარეებზე ოფლის კვალს ტოვებდა. ბარდებს თავი რომ დააღწია და შუაში შევიდა, ფოთლებით შემოზღუდულ ადგილას აღმოჩნდა. გაფოთლილ ტოტებს ქვეშ გახოხდა და გარეთ გაიხედა. მხურვალე ჰაერში არაფერი იძროდა ჭყეტელა, მოფარფატე პეპლების გარდა, სუნთქვაშეკრულმა მიაყურადა კუნძულის ხმებს. სადაცაა მოსაღამოვდებოდა; ჭრელ-ჭრელი ჩიტების ხმა, ფუტკრების ზუზუნი და ოთხკუთხა კლდეებში დასაბუდებლად მომზადებული თოლიების ყივილი თანდათანობით კლებულობდა. შორს, რიფებზე მოდგაფუნე ზღვის ყრუ ხმაც კი გულისცემაზე უფრო ხმადაბლა ისმოდა.

საიმონმა ფოთლების ფარდა ჩამოუშვა. ალმაცერი თაფლისფერი სხივები თანდათანობით ნავლდებოდა. სხივები ბუჩქებზე აცოცდნენ, სანთლების მსგავს კვირტებს გადაუარეს, ფოთლების თაღს ასცდნენ და ხეების ქვეშ კიდევ უფრო ჩამობნელდა. გაცრეცილ შუქზე დიდებული ფერებიც ჩაქრა, აგრილდა და სიმშვიდემ დაისადგურა. სანთლებივით კვირტები შეთრთოლდა. მწვანე ფინჯნები გაიხსნა და ყვავილის ნაზი, თეთრი ფურცლები მორცხვად შეეგება სუფთა ჰაერს. მზის შუქი ახლა ტყისპირიდან აიკრიფა და ცაშიც ნელ-ნელა ჩაქრა. სიბნელე ჩამოწვა, ხეებს შორის ჩაიღვარა, იქაურობა ბინდში გაეხვია, ზღაპრულ სამყაროს, ზღვის ფსკერს დაემსგავსა. სანთლებივით კვირტებმა ფართოდ გადახსნეს თეთრი ყვავილები და ისინიც პირველი ვარსკვლავების სხივებზე აციმციმდნენ. ყვავილების სურნელი არემარეს მოედო და კუნძული დაისაკუთრა.

თავი მეოთხე

შეღებილი სახეები და გრძელი თმა

დღე ნელა ქანაობდა, ალიონიდან დაბინდებამდე. ამ რიტმს ყველაზე ადრე მიეჩვივნენ. სიხარულს ჰგვრიდათ დილა, კაშკაშა მზე, ზღვა და ტკბილი ჰაერი, ახარებდათ, რომ კარგად თამაშობდნენ; ცხოვრება ისეთი სავსე იყო, იმედი არც სჭირდებოდათ და მისი დავიწყებაც შეეძლოთ. შუადღისკენ, შუქი ლამის პერპენდიკულარულად იღვრებოდა და დილის შეუნიღბავი ფერები მარგალიტივითა და ოპალივით გლუვდებოდა; მზე შუბისტარისკენ რომ მიიწევდა, ძალასაც იკრებდა, სიცხე თითქოს ურტყამდათ, და ცდილობდნენ, მორიდებოდნენ, ჩრდილში გარბოდნენ და იქ იწვნენ, ხანდახან იძინებდნენ კიდეც.

შუადღისას უცნაური ამბები ხდებოდა. მოციმციმე ზღვა იქოჩრებოდა, მყვირალა შეუძლებლობის ფენებად ცალკევდებოდა; მარჯნის რიფი და ყველაზე შემაღლებულ ადგილებს ჩაბღაუჭებული რამდენიმე უდღეური პალმა ცაში ატივტივდებოდა, თრთოდა, იგლიჯებოდა, მავთულზე დაშვებული წვიმის წვეთებივით მისრიალებდა ან ერთმანეთს მიყოლებულ სარკეებში არეკლილი საგნებივით მრავლდებოდა. ხანდახან მიწა იქ გამოჩნდებოდა, სადაც საერთოდ არ იყო, და უცებ, ბავშვების თვალწინ, ბუშტივით სკდებოდა. ღუტამ მეცნიერული ახსნით გააუფასურა ეს ამბავი — მირაჟია და მეტი არაფერიო; და რაკი ვერავინ ვერ მიცურავდა თუნდაც იმ რიფამდე, სადაც მტაცებელი ზვიგენები იცდიდნენ, ბიჭები ამ სასწაულებს თანდათან მიეჩვივნენ და აღარაფრად აგდებდნენ, ისევე, როგორც აღარაფრად აგდებდნენ ჯადოსნურ, მთრთოლავ ვარსკვლავებს. შუადღისას ხილვები ცას უერთდებოდა და მზე გაბრაზებული თვალივით იყურებოდა დაბლა. მერე, ნაშუადღევს, მირაჟი ფერმკრთალდებოდა, სწორი, ლურჯი ჰორიზონტი ჩამავალი მზის ქვეშ იზმორებოდა. კიდევ ერთხელ შედარებით აგრილდებოდა, ოღონდ ეს უკვე დაბნელებას მო-

ასწავებდა. მზე რომ ჩავიდოდა, კუნძულზე წყვდიადი ჩამოწვებოდა და შორეულ ვარსკვლავებს ქვეშ შეყუჟული ქოხები მალე მოუსვენრობით ივსებოდა.

და მაინც დღის განმავლობაში მუშაობის, თამაშისა და კვების ჩრდილოევროპული წესის გამო ბიჭებმა ვერ შეძლეს ამ ახალ რიტმთან ბოლომდე შეგუება. პატარა პერსივალი ყველაზე ადრე შეძვრა ქოხში და ორი დღე არ გამოსულა, ლაპარაკობდა, მღეროდა, ტიროდა — ერთი პირობა იფიქრეს, შექანდაო, და ამან ცოტათი გაამხიარულათ. მას მერე ბიჭუნა თვალებდაწითლებული და ნაღვლიანი დადიოდა, იშვიათად თამაშობდა და ხშირად ტიროდა.

ყველაზე უმცროსებს ახლა საერთო სახელი დაარქვეს — პატარები. სიმაღლე, რალფიდან დაწყებული, თანდათანობით კლებულობდა; და თუმცა საიმონისთვის, რობერტისა და მაურისისთვის სიმაღლის მიხედვით ადგილის გამოძებნა საჭოჭმანო იყო, სულ იოლად სცნობდნენ დიდებსაც და პატარებსაც. ნამდვილი პატარები, ექვსიოდე წლის ბიჭუნები, სრულიად განსხვავებული და ამავე დროს, დაძაბული, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ლამის მთელი დღე ჭამდნენ, სადაც მისწვდებოდნენ, იქ კრეფდნენ ხილს და მაინცდამაინც არ დაგიდევდნენ, მწიფე ან საღი იყო თუ არა. გამუდმებით მუცელი სტკიოდათ და ქრონიკული ფაღარათი ჰქონდათ. სიბნელეში გამოუთქმელი შიში სტანჯავდათ და გულის გასამაგრებლად ერთმანეთს ეკვროდნენ. ჭამისა და ძილის გარდა, თამაშისთვისაც იცლიდნენ, თამაშობდნენ უაზროდ, უმიზნოდ, მოციმციმე წყლის პირას, თეთრ ქვიშაში. დედებს უფრო იშვიათად მისტიროდნენ, ვიდრე მოსალოდნელი იყო; ყავისფერი დაედოთ და ჭუჭყი სჭამდათ. საყვირის ძახილს ემორჩილებოდნენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ რალფი უბერავდა, ის კი ისეთი დიდი იყო, რომ მოზრდილების ძალაუფლებით სავსე სამყაროსთან მეკავშირედ გამოდგებოდა; ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათთვის კრებები კარგი გასართობი გახდა. მაგრამ სხვა დროს დიდებს იშვიათად აწუხებდნენ და საკუთარი, გამძაფრებული გრძნობებით სავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ.

პატარა მდინარესთან, ქვიშაში, ციხე-სიმაგრეებს აშენებდნენ. დაახლოებით ერთი ფუტი სიმაღლის ციხეებს ნიჟარებით, ხმელი ყვავილებითა და ლამაზი კენჭებით რთავდნენ. ციხე-სიმაგრეებს გარშემო ათასნაირი ნიშნები, გზები, კედლები,

სარკინიგზო ხაზები ერტყა და მათ მნიშვნელობას მხოლოდ ის მიხვდებოდა, ვინც ნაპირზე განრთხმული დაათვალიერებდა. პატარები აქ თამაშობდნენ. მართალია, მაინცდამაინც ბედნიერად ვერ გრძნობდნენ თავს, მაგრამ ყურადღება მაინც ჰქონდათ გადატანილი რაღაცაზე. ხშირად სამ-სამნი თამაშობდნენ ერთად.

ახლაც სამნი თამაშობდნენ — ჰენრი მათ შორის ყველაზე უფროსი იყო. გარდა ამისა, იმ ხალიან ბიჭს ენათესავებოდა, ხანძრის შემდეგ არავის რომ აღარ უნახავს; მაგრამ ჯერ ვერაფერს ხვდებოდა; ვინმეს რომ ეთქვა, ის ბიჭი თვითმფრინავით წავიდა სახლშიო, ამ ნათქვამს მშვიდად მიიღებდა და ეჭვიც არ შეეპარებოდა.

ჰენრი ამ დღეს ლამის ლიდერი გახლდათ, რადგან დანარჩენი ორი — პერსივალი და ჯონი — ~~კუნძულზე ყველაზე~~ პატარები იყვნენ. პერსივალს რუხი ფერი ედო, თაგვივით; საკუთარ დედასაც კი არ მოეწონებოდა; ჩაფსკვნილი, ქერა, ბუნებით ჩხუბისთავი ჯონი ახლა ჰენრის ემორჩილებოდა, რადგან თამაში აინტერესებდა. ქვიშაში ჩამუხლული სამი ბიჭი მშვიდად თამაშობდა.

როჯერი და მაურისი ტყიდან გამოვიდნენ. ცეცხლთან მორიგეობისგან გაათავისუფლეს და საბანაოდ ჩამოვიდნენ. როჯერმა პირდაპირ ციხე-კოშკებს გადაუარა, ფეხით მიანგრ-მოანგრია, ყვავილები ქვიშაში ჩამარხა და საგანგებოდ ამორჩეული კენჭები დაფანტა. მაურისი სიცილით მოჰყვებოდა უკან, ერთიორი წიხლით საბოლოოდ მიწასთან გაასწორა დანგრეული ციხე-კოშკები. სამმა პატარამ თამაშს თავი მიანება და ბიჭებს ახედა. ისე მოხდა, რომ ნიშნები, რომლებიც იმ წუთში აინტერესებდათ, გადარჩა, ასე რომ, მაინცდამაინც არ აღშფოთებულან. მხოლოდ პერსივალი ასლუკუნდა, რადგან თვალებში ქვიშა შეეყარა. მაურისი საჩქაროდ გაშორდა. ადრე, ჩვეულებრივ ცხოვრებაში, მაურისი ერთხელ დაისაჯა იმისთვის, რომ პატარა ბავშვს თვალებში ქვიშა შეაყარა. ახლა, მართალია, გვერდით მშობელი არ ჰყავდა და მის მწარე ხელს ვერ იგრძნობდა, მაგრამ მაინც შეცბა თავისი უსაქციელობის გამო. სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც იგრძნო სინდისის ქენჯნა. რაღაც ჩაიბუტბუტა, ცურვა ახსენა და მოკურცხლა.

როჯერი შეყოვნდა. იდგა და პატარებს შესცქეროდა. კუნძულზე დაშვების შემდეგ მაინცდამაინც არ გარუჯულა, მაგ-

რამ კეფასა და შუბლზე ჩამოზრდილი ხშირი, შავი თმა თითქოს ზედგამოჭრილი იყო მისი პირქუში სახისთვის. თავდაპირველად გულჩათხრობილი, უკარება გამომეტყველება ახლა, თმის წყალობით, მრისხანე იერად ექცა. პერსივალმა სლუკუნი შეწყვიტა და თამაში განაგრძო, რადგან ცრემლებმა თვალებიდან ქვიშა ამოურეცხა. ჯონი მოციმციმე ცისფერი თვალებით შეჰყურებდა; მერე ქვიშა შადრევანივით აჰყარა, ააფრიალა და პერსივალი ისევ ატირდა.

ჰენრი თამაშით რომ დაიღალა, ნაპირს დაადგა. როჯერიც უკან გაჰყვა, ოღონდ პალმების ჩრდილში მიდიოდა და დაუდევრად მიაბიჯებდა იმავე მიმართულებით. ჰენრი პალმებისგან მოშორებით მიუყვებოდა ნაპირს, ჯერ პატარა იყო საიმისოდ, რომ მზეს მორიდებოდა. წყლის პირას ჩავიდა და იქ დაიწყო თამაში. წყნარი ოკეანის მძლავრი მოქცევა იწყებოდა. ლაგუნის შედარებით წყნარი წყალი ყოველ წამში თითო დუიმით მოიწევდა წინ. ზღვის ქობაში პაწაწინა, გამჭვირვალე არსებები ცხოვრობდნენ, წყალს მოჰყვებოდნენ და ცხელ, სველ ქვიშაში ძრომიალობდნენ. გრძნობის უხილავი, უწვრილესი ორგანოებით აკვირდებოდნენ ამ ახალ ადგილს: იქნებ იქ გამოჩენილიყო საკვები, სადაც ადრე არ ყოფილა; ჩიტების სკორე, ან მწერები, ნაპირზე მიმობნეული ნარჩენები. ხერხის პირის მსგავსი პაწაწინა კბილით ასუფთავებდნენ ნაპირს.

ჰენრისთვის ეს მიმზიდველი სანახაობა იყო. ტალღას მოყოლილი, გამოთეთრებული, გადასხვაფერებული ჯოხით იჩხრიკებოდა ქვიშაში და ცდილობდა, მიმართულება მიეცა პაწია მენაგვეებისთვის. პატარა თხრილებს აკეთებდა, მოქცევა წყლით რომ ავსებდა, ის კი ამ თხრილების ერთი ციცქნა არსებებით გავსებას ცდილობდა. გარშემო ვეღარაფერს ამჩნევდა, უზომოდ ბედნიერი იყო შეგრძნებით, რომ სულიერთა ცხოვრებას წარმართავდა. ამ გამჭვირვალე არსებებს ელაპარაკებოდა, ათათბირებდა, ბრძანებებს აძლევდა. მოქცევა უკან-უკან ახევინებდა ბიჭს, მისი ნაფეხურები წყლით ივსებოდა, გუბეებში აღმოჩენილი არსებები თითქოს ხაფანგში ემწყვდეოდნენ და ეს ბატონ-პატრონობის შეგრძნებას ჰგვრიდა. წყლის პირას ჩაცუცქულ, თავდახრილ ჰენრის ხშირი თმა შუბლსა და თვალებზე ჩამოშლოდა, ნაშუადღევის მზე უხილავ ისრებს აყრიდა.

როჯერი იდგა და იცდიდა. ჯერ დიდრონ პალმას ამოეფარა; მაგრამ ჰენრი აშკარად ვეღარაფერს ამჩნევდა პაწია არსებების

გარდა, როჯერიც აღარ დაიმალა. ნაპირს გახედა. პერსივალი ტირილ-ტირილით წასულიყო და ციხე-კოშკები ჯონიმ ჩაიგდო ხელში. იჯდა, თავისთვის ღიღინებდა და წარმოსახულ პერსივალს ქვიშას ესროდა. იქით ბაქანი ჩანდა, ჰაერში ატყორცნილი შხეფები ციმციმებდა — რალფი, საიმონი, ღუტა და მაურისი ტბორში ჭყუმპალაობდნენ. როჯერი გაფაციცებით აყურადებდა, მაგრამ მხოლოდ მათი ხმა ესმოდა.

მოულოდნელად ნიავმა პალმის ფოჩები შეარხია, ტოტები აიქოჩრა და შეთრთოლდა. როჯერის თავზე, სამოცი ფუტის სიმაღლეზე მტევანი მოსწყდა ღეროს — რაგბის ბურთისოდენა ნაყოფები ერთმანეთის მიყოლებით მძიმედ დაენარცხა სწორედ როჯერის გვერდით, ბედზე ასცდა. როჯერი ვერც მიხვდა, რას გადარჩა, ნაყოფებიდან ჰენრიზე გადაიტანა მზერა და მერე ისევ მტევანს დახედა.

იქ, სადაც პალმები იდგა, ერთ დროს ნაპირი იყო; დროთა განმავლობაში პალმებმა ადრინდელი ნაპირის ქვები მიწაზე ამოყარეს. როჯერი დაისიცხა, ერთი ქვა აიღო, დაუმიზნა და ჰენრისკენ ისროლა — ოღონდ ისე, რომ აეცდინა. ქვამ — უკვალოდ ჩავლილი დროის სახსოვარმა — ხუთი იარდით მარჯვნივ ჩაუქროლა ჰენრის და ტყაპუნით ჩავარდა წყალში. როჯერმა პეშვში მოიგროვა ქვები და სროლა დაიწყო. თუმცა ჰენრის გარშემო, დაახლოებით ექვსიარდიან დიამეტრში სროლას ვერ ბედავდა — ძველი ცხოვრების უხილავი, მაგრამ მძლავრი ტაბუ. ჩაცუცქულ ბიჭს აქეთ-იქიდან იცავდნენ — მშობლები, სკოლა, პოლიცია, კანონი. როჯერის მკლავის მოძრაობას წარმართავდა ცივილიზაცია, რომელმაც ამ ბიჭისა არაფერი იცოდა, ნანგრევებში ჩაფლული ცივილიზაცია.

ჰენრი წყალში ატეხილმა ტყაპა-ტყუპმა გააკვირვა. პაწია არსებებს თავი ანება და სეტერივით დააცქერდა წყალში გასული რგოლების ცენტრს. აქეთ-იქიდან ქვები ცვიოდა. ჰენრი მორჩილად იხედებოდა აქეთ-იქით, მაგრამ ქვების ჰაერში დანახვას ვერ ასწრებდა. ბოლოს, ერთი ქვა დაინახა, გაიცინა და მოტრიალდა — აბა, ვინ მეთამაშებაო. მაგრამ როჯერი ისევ პალმის უკან გავარდა, გულამოვარდნილი, თვალებმოჭუტული ხეს აეკრა. მერე ჰენრის ქვები მობეზრდა და იქაურობას გაშორდა.

— როჯერ.

ჯეკი ხის ქვეშ იდგა, ათიოდე იარდის მოშორებით. როჯერმა თვალები გაახილა; ჯეკი რომ დაინახა, გარუჯულ სახეზე

ჩრდილმა გადაუარა; მაგრამ ჯეკმა ვერ შენიშნა. ანთებული იყო, მოუთმენლად უქნევდა ხელს და როჯერიც მიუახლოვდა.

იქ, სადაც მდინარე ზღვას უერთდებოდა, ქვიშით გადაღობილი პაწაწინა ტბა იყო — წყლის შროშნებით და წვეტიანი ლერწმით სავსე. აქ სემი, ერიკი და ბილი იცდიდნენ. ჯეკი მზეს მოერიდა, ტბის პირას ჩაიჩოქა და ორი დიდი ფოთოლი გაშალა. ერთში თეთრი თიხა ჰქონდა, მეორეში — წითელი. კოცონიდან ნახშირიც წამოეღო.

ამეებს ალაგებდა და როჯერს უხსნიდა:

— ჩემი სუნი არ სცემთ. მე მგონი, მხედავენ. რაღაც ვარდისფერს ხედავენ ბუჩქებში.

სახეზე თიხას ისვამდა.

— ცოტა მწვანე რომ მქონდეს!

ნახევრად დათხუპნული სახით როჯერს მიუბრუნდა და მის დაბნეულ მზერას უპასუხა:

— სანადიროდ, როგორც ომში. ხომ იცი — მოწინააღმდეგის შესაცბუნებლად. როცა ცდილობენ, რომ რაღაცა სხვა რამეს ჰგავდეს...

თავგამოდებით ცდილობდა ახსნას:

— ...რუხი პეპლები რომ არ ჩანან ხეზე...

როჯერი მიხვდა და წარბშეკრულმა დაუქნია თავი. ტყუპები ჯეკთან მივიდნენ და მორიდებით დაუწყეს რაღაცაზე კამათი. ჯეკმა ხელი აუქნია:

— მოკეტეთ ერთი.

სახეზე წითელ და თეთრ ლაქებს შორის დარჩენილი ადგილები, ნახშირით გაიშავა.

— არა. თქვენ ორნი მე წამომყვებით.

ტბაში საკუთარ გამოსახულებას შეხედა და არ მოეწონა. დაიხარა, პეშვებით თბილი წყალი ამოიღო, სახე ჩამოიბანა. ჭორფლები და წითური წარბები გამოუჩნდა.

როჯერმა უხალისოდ გაიღიმა.

— არა გიშავს.

ჯეკი ახალ სახეზე ფიქრობდა. ცალი ლოყა და ქუთუთო გაითეთრა, მერე მეორე მხარეს წითელი წაისვა და ნახშირით შავი ხაზი გარდიგარდმო გაივლო, მარჯვენა ყურიდან მარცხენა ყვრიმალისკენ. ტბაში ჩაიხედა, მაგრამ ამ დროს ამოისუნთქა და სარკე ალივლივდა.

— სემდერიკ, ქოქოსი ამომიტანეთ. ცარიელი.

ჩაიმუხლა და ნაჭუჭით წყალი ამოიღო. მზით არეკლილი შუქი სახეზე დაეცა და ნაჭუჭიდან ლაპლაპა სარკემ შემოანათა.გაოცებული დაჰყურებდა — საკუთარ თავს კი აღარა, საზარელ უცნობს. წყალი გადაღვარა და აღტაცებული სიცილით წამოხტა. ღონიერ სხეულზე დადგმულ, შემზარავ ნიღაბს ბიჭები თვალს ვეღარ აშორებდნენ. ცეკვა-ცეკვით ჩამოუარა და სიცილი სისხლს მოწყურებულ ბრდღვინვაში გადაეზარდა. ხტუნვით ბილისკენ გავარდა, ნიღაბი უკვე თავისთავად არსებობდა და ამ არსებას ამოფარებული ჯეკი სირცხვილისაგან განთავისუფლებულიყო. წითელი, თეთრი და შავი სახე ჰაერში ქანაობდა და ცეკვით მიხტოდა ბილისკენ. ბილმა ერთი პირობა სიცილი დაიწყო; მერე უცებ გაჩუმდა, სახეარეული მოტრიალდა და ბუჩქებში შევარდა.

— დანარჩენები დამწკრივდნენ. წავედით!

— კი მაგრამ...

— ...ჩვენ...

— წავედით! მივეპარები და რომ ვეცემი...

ნიღაბს შეპასუხება ვერ გაუბედეს.

რალფი წყლიდან ამოვიდა, ნაპირი აირბინა და პალმების ძირას, ჩრდილში დაჯდა. ქერა თმა წარბებზე ჩამოეშალა და თავის აქნევით გადაიყარა უკან. საიმონი გულაღმა ტივტივებდა წყალზე და ფეხის კვრით მიდიოდა წინ. მაურისი ყვინთვას სწავლობდა. ღუტა მთვარეულივით დაბოდიალებდა, უაზროდ აიღებდა რაღაცას, მერე ისევ გადააგდებდა. კლდეებში ჩამდგარი გუბეები მოქცევისას გამქრალიყო, ჰოდა, სანამ ზღვა უკან არ დაიხევდა, ღუტა ასე უხალისოდ ივლიდა. ახლა პალმების ძირას რალფი რომ დაინახა, ავიდა და გვერდით მიუჯდა.

ღუტას შორტების ნარჩენები ეცვა, მსუქანი სხეული ბრინჯაოსფრად ჰქონდა გარუჯული და როცა რამეს უყურებდა, სათვალე ისევ ისე უციმციმებდა. კუნძულზე ერთადერთი ბიჭი იყო, რომელსაც თმა თითქოს საერთოდ არ ეზრდებოდა. დანარჩენები გაბურძგნულები დადიოდნენ, მაგრამ ღუტას თმა ისე ეყარა კულულებად, თითქოს სინამდვილეში მელოტი ყოფილიყოს და ეს უვარგისი საფარი მალე უნდა ჩამოსცლოდა, ახალგაზრდა ირმის რქების ხავერდოვანი ღინღლივით.

— საათზე ვფიქრობდი, — უთხრა რალფს, — მზის საათის გაკეთება შეგვიძლია. ქვიშაში ჯოხი უნდა ჩავარჭოთ და...

დაეზარა ამასთან დაკავშირებული მათემატიკური პროცესის ახსნა და რამდენჯერმე აიქნია ხელი.

— კიდევ თვითმფრინავი გავაკეთოთ და ტელევიზორი, — უყმური სახით უთხრა რალფმა, — და ორთქლის ძრავა.

ღუტამ თავი გააქნია:

— მაგისთვის ქვეყნის ლითონის ნაწილები გვჭირდება, ლითონი კიდევ არა გვაქვს.

რალფი მიტრიალდა და უნებლიეთ გაეღიმა. ღუტა გულს უწვრილებდა, მოსწყინდა მისი სიმსუქნე, ასთმა-ჩაფსმა, გონივრული აზრები; მაგრამ ყოველთვის ახალისებდა მისი გაბითურება, მაშინაც კი, თუ ეს შემთხვევით გამოდიოდა.

ღუტამ რალფის ღიმილს თვალი მოჰკრა და მეგობრობის ნიშნად მიიჩნია. უფროსები უსიტყვოდ შეთანხმდნენ, რომ ღუტა უცხო იყო, არა მარტო კილოს გამო, ეგ კიდევ არაფერი; მაგრამ მსუქან ღუტას ასთმა-ჩაფსმა ჰქონდა, სათვალე ეკეთა და აშკარად არ ეხალისებოდა ფიზიკური მუშაობა. ახლა, როგორც კი დაინახა, რომ რალფს მის სიტყვებზე გაეღიმა, გახალისდა, გული მოეცა და განაგრძო:

— ჯოხები ბლომად გვაქვს. ყველას საკუთარი საათი გვექნება და გვეცოდინება, რა დროა.

— რაღა გვიჭირს.

— შენ თვითონ ამბობდი, რამე უნდა გავაკეთოთ, რომ გადავრჩეთო.

— დამანებე რა თავი!

წამოხტა და ისევ წყლისკენ გაექანა. სწორედ ამ დროს მაურისმა უხეიროდ ჩაყვინთა. რალფს გაუხარდა, რომ სხვა რამეზე ლაპარაკის შემთხვევა მიეცა და ზედაპირზე ამოსულ მაურისს გასძახა:

— შე ბოთე, შენა! შე ბოთე!

მაურისმა შემოსცინა და რალფი მსუბუქად გასრიალდა ტბორში, ბიჭებიდან სწორედ რალფი გრძნობდა ყველაზე კარგად თავს წყალში, მაგრამ დღეს, გადარჩენის უსარგებლო, ტყუილ-უბრალო ხსენებით გაღიზიანებულს, ვერც წყლის მწვანე სიღრმემ უშველა, ვერც მირიად მოციმციმე სხივად გაბნეულმა მზემ. იმის ნაცვლად, რომ ბიჭებთან სათამაშოდ დარჩენილიყო, მტკიცედ მოუსვა ხელები, საიმონს ქვეშ გაუძვრა, სელაპივით ალაპლაპებული ტბორის მეორე მხარეს ამოძვრა წყლიდან და ნაპირზე გაიშხლართა. მოუქნელი ღუტა

წამოდგა და მისკენ გაეშურა, მაგრამ რალფი პირქვე გადაბრუნდა და თავი ჩარგო, ვითომ ვერ ხედავდა. მირაჟები გაუჩინარდა და შუბლშეკრულმა მოატარა თვალი ჰორიზონტის დაჭიმულ, ლურჯ ხაზს.

მეორე წუთში ფეხზე იდგა და ყვიროდა:

— ბოლი! ბოლი!

ტბორში გულაღმა გაწოლილმა საიმონმა უცებ წამოჯდომა სცადა და ბლომად ყლაპა წყალი. ჩასაყვინთად გამზადებული მაურისი ქუსლებზე გადაქანდა, მკვეთრად მიტრიალდა და ბაქნისკენ მოკურცხლა. პალმების ქვეშ, ბალახში შევარდა, დაგლეჯილ შორტებს ეცა, ფართხაფურთხით დაიწყო ჩაცმა, რომ ყველაფრისთვის მზად ყოფილიყო.

რალფი იდგა, ცალი ხელით თმა გადაიწია უკან, მეორე მუშტად შეკრა და მოუჭირა. საიმონი წყლიდან მოხოხავდა. ღუტა შორტებით სათვალეს წმენდდა და დაელმებული თვალებით გასცქეროდა ზღვას. მაურისმა ორივე ფეხი ცალ ტოტში ჩაჰყო — ბიჭებიდან მხოლოდ რალფი იდგა უძრავად.

— ვერ ვხედავ, — თქვა დაეჭვებულმა ღუტამ, — ბოლს ვერ ვხედავ, რალფ... აბა, ბოლი?

რალფმა ხმა არ ამოიღო. ახლა ორივე ხელი შუბლზე ჰქონდა შემოსალტული, რომ თმა თვალებზე არ ჩამოშლოდა. მთელი ტანით წინ იყო გადახრილი, სხეული მარილს გაეთეთრებინა.

— რალფ... სად არის გემი?

საიმონი გვერდით ამოუდგა. რალფის მხარს უკნიდან გაჰყურებდა ჰორიზონტს. მაურისის შარვალმა ერთი ამოიოხრა და გასკდა. ბიჭმაც მაშინვე დააგდო და ტყისკენ გავარდა, მერე უკან დაბრუნდა.

ბოლი ჰორიზონტზე მჭიდროდ შეკრული პატარა მარყუჟივით ჩანდა, მერე ნელა გაიშალა. ბოლის ქვეშ წერტილი გემის მილი უნდა ყოფილიყო.

— ჩვენს კვამლს დაინახავენ, — ჩაილაპარაკა გაფითრებულმა რალფმა.

ახლა ღუტა სწორი მიმართულებით იყურებოდა.

— სულ ოდნავ ჩანს.

მიტრიალდა და მთას მიაცქერდა. რალფი გემს თვალს ვერ სწყვეტდა. თანდათანობით ფერი მოუვიდა. საიმონი უხმოდ ედგა გვერდით.

— კარგად კი ვერ ვხედავ... ჩვენთან კვამლი ამოდის?

რალფმა მოუთმენლად გაიქნია თავი, ისევ გემს უყურებდა.

— მთაზე გეკითხებით.

მაურისმა თავპირისმტვრევით მოირბინა და ზღვას მიაშტერდა. საიმონი და ღუტა მთას შეჰყურებდნენ. ღუტა შეიჭმუხნა, საიმონმა კი ისე იღრიალა, თითქოს რაღაც იტკინაო.

— რალფ! რალფ!

ამ ხმაზე რალფი ერთბაშად შემოტრიალდა.

— მითხარი, იქ ჩვენი სიგნალი არის? — შეშფოთებით იკითხა ღუტამ.

რალფმა ჯერ უკან გაიხედა, ჰორიზონტისკენ, სადაც ბოლი თანდათანობით იფანტებოდა, მერე მზერა ისევ მთაზე გადაიტანა.

— რალფ... თუ ღმერთი გწამს! არის რამე ნიშანი?

საიმონმა მორიდებით გაიწოდა ხელი რალფისკენ; მაგრამ რალფი უცებ მოსწყდა და გაიქცა, ტბორის ნაპირზე მიჰქროდა, შადრევანივით ავარდნილ შხეფებში გაეხვია, ცხელი, თეთრი ქვიშა გადაირბინა და პალმების ქვეშ შევარდა. წუთიც და უკვე ხეების ძირას ამოსულ მცენარეებს ებრძოდა, რომლებსაც ლამის ჩაეყლაპათ იქაურობა. ჯერ საიმონი გამოეკიდა, მერე მაურისი. ღუტა ისევ უძახდა:

— რალფ! გეხვეწები... რალფ!

ისიც გაიქცა, სანამ ტერასაზე ავიდოდა, მაურისის გადაგდებული შორტები გაეხლართა ფეხებში. ოთხი ბიჭის ზურგს უკან, ჰორიზონტის გასწვრივ, ბოლი ნელ-ნელა მოიწევდა წინ; ნაპირზე ჰენრი და ჯონი ქვიშას აყრიდნენ ჩუმად მტირალ პერსივალს; და ამ სამს წარმოდგენა არ ჰქონდა გარშემო ამტყდარ ალიაქოთზე.

ამასობაში რალფმა ჭალა გაიარა. სულს იმისთვისღა ითქვამდა, რომ ერთი კარგად შეეკურთხებინა: სასოწარკვეთისგან ჯავრი საკუთარ შიშველ სხეულზე იყარა — ჭიდაობით მიძვრებოდა გაბარდულ ჯაგებსა და ლიანებში და ნაკაწრებიდან სისხლი ჩამოსდიოდა. მთის ციცაბო აღმართთან რომ მივიდა, უცებ გაჩერდა, მაურისი სულ რამდენიმე იარდით ჩამორჩენოდა.

— ღუტას სათვალე! — დაუძახა რალფმა, — ცეცხლი თუ ჩამქრალია, სათვალე დაგვჭირდება.

გაჩუმდა და წაბარბაცდა. ღუტა აქედან ძლივს ჩანდა, ჯერ

კიდევ ნაპირზე მოფრატუნებდა. რალფმა ჰორიზონტს გახედა, მერე ზემოთ, მთაზე აიხედა. ხომ არ ჯობდა, ღუტას სათვალისთვის მიბრუნებულიყო? მაგრამ ამასობაში გემმა რომ გაასწროს? ზემოთ ასულებს ცეცხლი ჩამქრალი თუ დახვდათ, მაშინ რა ქნან — იდგნენ და უყურონ, როგორ ზოზინით მიფოფხავს ღუტა ზემოთ და ამასობაში როგორ ქრება გემი ჰორიზონტზე? ამ უკიდურესი დაძაბულობისას, აბორგებულ რალფს ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო და უცებ აღმოხდა:

— ოჰ, ღმერთო! ღმერთო!

გულამოვარდნილი საიმონი ბუჩქებს ეჭიდავებოდა. სახე მოებრიცა. რალფი ზემოთ მიცოცავდა, ლამის გული გასკდომოდა, რადგან ბოლის მარყუჟი თავის გზას განაგრძობდა.

ცეცხლი ჩამქრალი დახვდათ. ასვლისთანავე დაინახეს; დაინახეს ის, რაც იქვე, ნაპირზევე იცოდნენ, როცა მშობლიური ბოლი უხმობდათ. კოცონი ჩამქრალი იყო, ჩანავლული, კვამლი აღარ ჰქონდა; მეთვალყურეები სადღაც წასულიყვნენ, დასაწვავად გამზადებული შეშა იქვე ელაგა.

რალფი ზღვისკენ მიტრიალდა, ჰორიზონტი ისევ ისე გაწელილიყო — შეუვალი, ცარიელი, ბოლისგან მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ნაკვალევი დარჩა. რალფი ბორძიკით გაიქცა კლდეებში, ვარდისფერ ციცაბოებთან უკან იხევდა და გულისგამგმირავად უყვიროდა გემს:

— დაბრუნდით! დაბრუნდით!

წინ და უკან დარბოდა კლდის გასწვრივ, ზღვას გაჰყურებდა და ხმამაღლა, შეშლილივით ყვიროდა:

— დაბრუნდით! დაბრუნდით!

საიმონი და მაურისი მოვიდნენ. რალფი თვალგაშტერებული შეხვდათ. საიმონი მიტრიალდა, ლოყებიდან წყალი მოიწმინდა. რალფმა საკუთარი ლექსიკონის ყველაზე უარესი სიტყვა გაიხსენა:

— ჩააქრეს ეს დამპალი ცეცხლი!

მთის უცხო მხარეს გახედა. სუნთქვაშეკრული, პატარასავით ასლუკუნებული ღუტაც მოვიდა. რალფმა მუშტები მაგრად შეკრა, ჭარხალივით გაწითლდა. ერთ წერტილს მიაჩერდა და გამწარებული ხმით თქვა:

— მობრძანდებიან.

პროცესია გამოჩნდა — ქვემოთ, შორს, ვარდისფერ ნაშალში, წყლის პირს რომ მიჰყვებოდა. რამდენიმე ბიჭს შავი ქუდი

ეხურა. თითქმის შიშვლები იყვნენ. როცა იოლად სასიარულო ადგილებს უახლოვდებოდნენ, ჰაერში ერთდროულად აღმართავდნენ ხოლმე ჯოხებს. მღეროდნენ, თითქოს იმ ტვირთზე მღეროდნენ, ფრთხილად რომ მოჰქონდათ დაბორიალებულ ტყუპებს. რალფმა იმსიშორეზეც იოლად გამოარჩია ჯეკი — მაღალი, წითურთმიანი; თქმა არ უნდა, პროცესიას ის მოუძღოდა.

საიმონი ახლაც რალფის მხარს უკან იდგა და იქიდან შესცქეროდა ჯეკს, როგორც წეღან — ჰორიზონტს. დანახულით, ცოტა არ იყოს, შეშინებული ჩანდა. რალფს ხმა აღარ ამოუღია, პროცესიის მოსვლას უცდიდა. სიმღერა შორიდან ისმოდა და სიტყვებს ვერ არჩევდნენ. ჯეკს უკან ტყუპები მოჰყვებოდნენ, მხრებზე დიდი ჭოკი ჰქონდათ გადებული. ჭოკზე გამოშიგნული ღორი ეკიდა და მძიმედ ქანაობდა, როცა ტყუპები უსწორმასწორო მიწაზე ნაბორძიკდებოდნენ ხოლმე. გამოღადრული ყელიდან ჩამოკიდებული თავი თითქოს მიწაზე რაღაცის ძებნას იწყებდა. როგორც იქნა, ჩაშავებული, ფერფლით სავსე ტყის იქიდან სიმღერის ბოლო სიტყვებმა მოაღწია.

„მოკალი ღორი, ყელი გამოსჭერი. სისხლისგან დაცალე“.

სწორედ მაშინ, როცა სიტყვები გაიგონეს, პროცესია მთის ყველაზე ციცაბო ფერდობს მიადგა, და ერთი-ორი წუთით სიმღერა შეწყდა. ღუტა აქსუტუნდა და საიმონმა მაშინვე დაუსისინა, ჩუმადო, თითქოს ღუტა ეკლესიაში ხმამაღლა ალაპარაკებულიყოს.

— შეხედეთ! ღორი მოვკალით... მივეპარეთ... ალყაში მოვაქციეთ...

მონადირეებმა აღარ აცალეს:

— წრე შემოვარტყით...

— მივეპარეთ...

— აჭყივლდა...

ტყუპები გაჩერდნენ, ტახი მათ შორის ქანაობდა, კლდეზე შავი წვეთები ეცემოდა. სახეზე თითქოს ორივეს ერთი, ფართო, უაზრო ღიმილი გადაჰფენოდა. ჯეკს უამრავი რამ ჰქონდა სათქმელი რალფისთვის. ამის ნაცვლად ერთი-ორი ჩაბუქნა, მერე ღირსება გაახსენდა და გაბადრული, ერთ ადგილას გაჩერდა. შენიშნა, რომ ხელები სისხლიანი ჰქონდა, ზიზღით დაიმანჭა და მიხედ-მოიხედა — გასაწმენდად რამეს ეძებდა, შორტებზე შეიწმინდა ხელები და გაიცინა.

— ცეცხლი ჩაგიქრიათ. — თქვა რალფმა.

ჯეკი სახტად დარჩა; ცოტა არ იყოს, გააღიზიანა ამ უადგილო სიტყვებმა, მაგრამ ისეთი ბედნიერი იყო, რომ ამით გუნებას არ გაიფუჭებდა.

— ისევ ავანთებთ. ჩვენთან ერთად უნდა ყოფილიყავი, რალფ! გადასარევი რამე იყო. ტყუპებს დაეჯახა, გადატრიალდნენ...

— მოვარტყით...

— მე თავზე დავახტი...

— მე ყელი გამოვჭერი, — ამაყად კი თქვა ჯეკმა, მაგრამ ამ სიტყვებზე ტანში გასცრა, — რალფ, შენი დანა მათხოვე რა, ჩემსას ტარზე ნაჭდევს გავუკეთებ.

ბიჭები რატრატით დახტოდნენ, ტყუპები ისევ იღიმებოდნენ.

— ქვეყნის სისხლი ჰქონდა, — უთხრა ჯეკმა. თან იცინოდა, თან კანკალებდა. — უნდა გენახა, რა ხდებოდა!

— ყოველდღე ვივლით სანადიროდ...

რალფი ადგილიდან არ დაძრულა.

— ცეცხლი ჩაგიქრიათ, — თქვა ჩახლეჩილი ხმით.

ამ სიტყვების გამეორებამ ჯეკი შეაშფოთა. ჯერ ტყუპებს გადახედა, მერე რალფს მიაცქერდა.

— ესენი სანადიროდ გვჭირდებოდნენ, — უთხრა რალფს. — ცოტანი ვიყავით, წრეში ვერ მოვიმწყვდევდით.

იგრძნო, რომ დააშავა და აილეწა.

— ცეცხლი სულ ერთი-ორი საათით ჩაქრა. ისევ ავანთებთ...

ახლაღა შენიშნა რალფის ეკლებით დასერილი ტანი და ოთხი ბიჭის პირქუში დუმილი. ბედნიერებისგან გულაჩუყებულს უნდოდა, ისინიც მომხდარის მონაწილეებად ექცია. მოგონებით იყო სავსე, იმის მოგონებით, რაც გამოსცადა, როცა აფართხალებული ღორი მოიმწყვდიეს, როცა ცოცხალი არსება ჭკუაში მოატყუეს, დაიმორჩილეს და ისე გამოასალმეს სიცოცხლეს, თითქოს ნელ-ნელა, დიდხანს იკლავდნენ წყურვილს.

მკლავები ფართოდ გაშალა.

— სისხლი უნდა გენახა!

ჩაწყნარებული მონადირეები ამ სიტყვებზე ისევ აგნიასდნენ. რალფმა თმა უკან გადაიყარა. ხელი ცარიელი ჰორიზონტისკენ გაიშვირა. ისე ხმამაღლა და გააფთრებული ალაპარაკდა, რომ ყველა დადუმდა:

— გემმა ჩაიარა.

ჯეკს რალფის სიტყვებმა ერთბაშად იმდენი საშინელი რამ უთხრა, რომ ვეღარ გაუძლო. ღორს მიუბრუნდა და დანა ამოიღო. რალფმა ხელი ჩამოსწია, მუშტი შეკრა და აკანკალებული ხმით წარმოთქვა:

— გემმა ჩაიარა. აი, იქ. თქვენ თქვით, ცეცხლს მივხედავთო და ჩააქრეთ! — ჯეკისკენ გადადგა ნაბიჯი. ისიც მოტრიალდა და თვალი გაუსწორა.

— დაგვინახავდნენ. სახლში წავიდოდით...

ღუტამ ვეღარ მოითბინა. მარცხით გამწარებულსა და გონებაარეულს, მორიდება დაავიწყდა და სასოწარკვეთილი ყვირილი ატეხა:

— ღმერთმა დაგწყევლოთ შენ და შენი სისხლი, ჯეკ მერიდიუ! შენ და შენი ნადირობა! შეიძლებოდა, სახლში წავსულიყავით...

რალფმა ღუტა განზე გასწია.

— მე ბელადი ვარ და ჩემი სიტყვა უნდა შეასრულო. შენ კი ყბედობას უნდები. თუმცა ქოხების აგებაც კი არ შეგიძლია... მერე სანადიროდ წაბრძანდი და ცეცხლი ჩააქრე...

მიტრიალდა და ერთხანს გაჩუმდა. მერე ისევ შეეტყო ხმაზე, რომ გული გასკდომაზე ჰქონდა.

— გემმა გაიარა...

ერთი, უმცროსი მონადირე ატირდა. თანდათანობით აცნობიერებდნენ დამთრგუნველ სიმართლეს. ალეწილი ჯეკი ღორს დანით ჩიჩქნიდა.

— ბევრი საქმე იყო. საამისოდ ყველა გვჭირდებოდა.

რალფი მიუბრუნდა.

— ქოხებს დავამთავრებდით და ყველა შენთან იქნებოდა. მაგრამ შენ ნადირობა მოინდომე...

— ხორცი გვჭირდებოდა.

ჯეკი ამ სიტყვებით წამოდგა, ხელში გასისხლიანებული დანა ეჭირა. ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. ნადირობის, მოქმედების, დაუნდობელი აღტაცების, მოხერხებულობისა და სიმარჯვის ელვარე სამყარო; და უსაზღვრო სურვილის, გაოგნებული გონიერების სამყარო. ჯეკმა დანა მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენით საფეთქელზე მიკრული თმა გადაიწია და შუბლი დაესვარა.

— ცეცხლი არ უნდა ჩაგექრო, — წამოიწყო ისევ ღუტამ, — შენ თქვი, კვამლს მე მივხედავო...

ეს რომ ღუტამაც უთხრა და თან აქეთ-იქიდან მის სიტყვებს თანხმობის ნიშნად სლუკუნიც მოჰყვა, ჯეკი გაცოფდა. ლურჯი თვალები აენთო. ნაბიჯი განზე გადგა და რაკი, როგორც იქნა, შესძლო ვინმეზე ჯავრის ამოყრა, უეცრად ღუტას მუცელში მუშტი ჩასცხო. ღუტამ ამოიხროტინა და ჩაჯდა. ჯეკი თავზე დაადგა. გაბოროტებულმა უყვირა:

— ეს გინდოდა, ეს გინდოდა? სქელო!

რალფმა ნაბიჯი წინ წადგა. ჯეკმა ღუტას თავში წამოარტყა. ბიჭს სათვალე მოსძვრა და კლდეზე წკარუნი გაისმა.

— ჩემი სათვალე! — იყვირა თავზარდაცემულმა ღუტამ.

კლდეზე ხელის ცეცებით გახოხდა, მაგრამ საიმონმა დაასწრო და სათვალე უპოვა. მთის წვერზე, საიმონის გარშემო, საშინელი ფრთებით დაჰქროდნენ ათასნაირი ვნებები.

— ცალი მხარე გატეხილა.

ღუტამ ხელი სტაცა, სათვალე გაიკეთა და გაავებულმა შეხედა ჯეკს.

— ჩემთვის სათვალე აუცილებელია. ახლა ცალთვალა დავრჩი. დამაცადე, ერთი...

ჯეკმა ღუტასკენ გაიწია, ის დიდ ლოდზე გადაძვრა, იქიდან ამოჰყო თავი და ერთადერთი, მოციმციმე მინიდან შეხედა ჯეკს.

— ახლა ცალთვალა ვარ. დამაცადე ერთი...

ჯეკმა გამოაჯავრა — ღუტას გამომეტყველება მიიღო და აღნავლდა:

— დამაცადე ერთი... უაააა!

ღუტა და მისი პაროდია ისეთი სასაცილო იყო, რომ მონადირეებს სიცილი წასკდათ. ჯეკს გული მოეცა. რამდენიმე ნაბიჯი წელათრეულმა გადადგა და სიცილი ისტერიულ ხარხარში გადაიზარდა. რალფს უნებლიეთ ტუჩები შეუთრთოლდა; თუმცა ამის გამო მაშინვე გაბრაზდა საკუთარ თავზე და ჩაიბუტბუტა:

— ბინძური ოინი გვიყავი.

ჯეკმა შეწყვიტა ოინბაზობა, რალფის პირისპირ გაჩერდა და უყვირა:

— კარგი, კარგი!

თვალი მოავლო ღუტას, მონადირეებს, რალფს.

— ვწუხვარ. ცეცხლზე ვამბობ. იქ... მე...

შეისვენა და:

— ...ბოდიშს ვიხდი.

მონადირეებში ამტყდარი ზუზუნი ამ ლამაზი საქციელით აღტაცების დასტური იყო. აშკარად, მიაჩნდათ, რომ ჯეკი რიგიანად მოიქცა და ამ კეთილშობილი ბოდიშით მოიგო, რალფმა კი, რაღაცნაირად, წააგო. ახლა შესაბამისად ღირსეულ პასუხს ელოდნენ.

მაგრამ რალფს ენა არ უბრუნდებოდა ამგვარი პასუხისთვის. ჯეკის უსაქციელობას სიტყვებით თამაშიც დაემატა და ამან კიდევ უფრო გააღიზიანა. ცეცხლი ჩამქრალი იყო, გემმა ჩაიარა. ნუთუ ამას ვერ ხედავდნენ? ღირსეული პასუხის ნაცვლად გაბრაზებულმა შეუტია:

— ბინძური ოინი გვიყავი!

უხმოდ იდგნენ მთის წვერზე. ჯეკს თვალები აემღვრა, მერე თავს მოერია. ბოლო სიტყვა რალფს დარჩა. უკმეხად ჩაიბურტყუნა:

— კარგი. დაანთეთ ცეცხლი.

დაძაბულობამ იკლო — საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი. რალფს აღარაფერი უთქვამს, ადგილიდან აღარ დაძრულა, იდგა და ფერხთით მობნეულ ნაცარს დაჰყურებდა. ჯეკი ხმამაღლა ლაპარაკობდა, ენერგიულად იქცეოდა. ბრძანებებს იძლეოდა, მღეროდა, უსტვენდა, მდუმარე რალფს ერთი-ორ სიტყვას მიუგდებდა — ისეთ სიტყვებს, პასუხი რომ არ სჭირდებოდა, და ამდენად, სადავოც არაფერი გახდებოდა. რალფიც ისევ დუმდა. ვერავინ, ჯეკმაც კი, ვერ უთხრა, გაიწიეო, და ბოლოს, იძულებულები გახდნენ, შეშა შესაფერისი ადგილიდან სამიოდე იარდზე დაეწყოთ. ასე განიმტკიცა რალფმა მეთაურობა და ბევრიც რომ ემტვრია თავი, ამას უკეთესად ვერ მოახერხებდა. ამ მოუხელთებელი და ესოდენ ეფექტური იარაღის წინაშე ჯეკი უძლური აღმოჩნდა და ბრაზობდა — თვითონაც არ იცოდა, რატომ. როცა შეშის დაწყობა დასრულდა, ისინი მაღალი ბარიერის სხვადასხვა მხარეს იდგნენ.

საქმე ცეცხლის დანთებაზე რომ მიდგა, ვითარება კიდევ ერთხელ დაიძაბა. ჯეკს ასანთებად არაფერი ჰქონდა. მისდა გასაკვირად, ღუტასთან რალფი მივიდა და სათვალე გამოართვა. რალფიც ვერ მიხვდა, მისი და ჯეკის დამაკავშირებელი გრძნობა თვალისდახამხამებაში როგორ და როდის განახლდა და განმტკიცდა.

— უკან მოგიტან.

— მეც წამოვალ.

ღუტა კუნძულივით იდგა არეული ფერების ზღვაში, რალფის ზურგს უკან, როცა ის ჩამუხლული უძებნიდა ადგილს მინის ანარეკლს. როგორც კი ცეცხლი აინთო, ღუტა მივარდა და სათვალეს ხელი სტაცა.

იისფერი, წითელი და ყვითელი ზღაპრული ყვავილების მიმზიდველობამ თავისი გაიტანა, ბრაზი გაქრა. ისევ კოცონის გარშემო თავმოყრილ ბიჭებად იქცნენ და ამ ჯგუფს ღუტა და რალფიც კი თითქმის შეუერთდნენ. მალე რამდენიმე ბიჭი ფერდობზე დაეშვა შეშის მოსამატებლად, ამასობაში ჯეკი ხორცს ჭრიდა. ჯერ სცადეს, ღორი მთლიანად, ჭოკზე წამოცმული შეეწვათ კოცონზე, მაგრამ ხორცზე ადრე ჭოკი დაიწვა. ბოლოს ხორცის ნაჭრები ტოტებზე წამოაცვეს და ასე შეაწყვეს ცეცხლში: მაგრამ თვითონაც გვარიანად შეიბრაწნენ.

რალფს ნერწყვი მოსდიოდა. თავიდან ხორცზე უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში ცარიელი ხილის, კაკლის, დროდადრო კიბორჩხალებისა და თევზის ჭამამ წინააღმდეგობის ძალა წაართვა. ნახევრად უმი ხორცის ნაჭერს ხელი მოჰკიდა და მგელივით დაუწყო ღრღნა.

— მე არ მინდა? — იკითხა ნერწყვმომდგარმა ღუტამ.

ჯეკი აპირებდა, ერთხანს ეწრუწუნებინა და ამით თავისი ძლევამოსილება დაემტკიცებინა; მაგრამ ღუტა წაწყმედას არ მალავდა და რისხვას იმსახურებდა.

— შენ არ გინადირია.

— არც რალფს უნადირია, — ხმაში ცრემლი გაერია ღუტას, — არც საიმონს. — და მერე დასძინა: — კიბორჩხალებისგან ერთი ლუკმაც არ გამოდის.

რალფი აწრიალდა. ტყუპებსა და ღუტას შორის მჯდომმა საიმონმა პირი მოიწმინდა და თავისი ხორცის ნაჭერი ქვებს იქიდან შეაჩეჩა ღუტას, იმანაც ხელი სტაცა. ტყუპები ახითხითდნენ, საიმონს შერცხვა და თავი ჩაქინდრა.

ჯეკი წამოხტა, ხორცის მოზრდილი ნაჭერი ჩამოგლიჯა და საიმონს ფეხებთან დაუგდო.

— ჭამე! ჯანდაბა შენს თავს!

თვალს არ აცილებდა.

— აიღე!

ქუსლებზე შემოტრიალდა სახტად დარჩენილი ბიჭების წრეში.

— მე მოგიტანეთ ხორცი!

ურიცხვმა, უთქმელმა წყენამ მოიყარა თავი და სტიქიურად, შიშისმომგვრელად ამოანთხევინა ბრაზი.

— მე შევიღებე სახე... მე მივეპარე... ახლა ხეთქავთ... ყველა... მე კი...

მთის წვერზე დუმილი თანდათანობით დამძიმდა, მალე ცეცხლის ტკაცუნი და ხორცის შიშხინიღა ისმოდა. ჯეკმა თანაგრძნობის მოლოდინში მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მხოლოდ რიდით სავსე სახეები დახვდა. რალფი თავდაპირველად დანთებული ცეცხლის ადგილას, ფერფლზე იდგა, ხორცი ეჭირა და ხმას არ იღებდა.

ბოლოს სიჩუმე მაურისმა დაარღვია. ლაპარაკი იმ ერთადერთ თემაზე გადაიტანა, რომელიც უმეტესობას გაახალისებდა.

— ღორს სად მიაგენით?

როჯერმა მთის უცხო მხარეს გაიშვირა ხელი.

— იქ იყვნენ... ზღვასთან.

გონს მოსული ჯეკი ვერ აიტანდა, რომ ეს ამბავი სხვას მოეყოლა. სასწრაფოდ ჩაერია:

— მინაზე გაწოლილებმა შემოვარტყით ალყა. ხელებზე და მუხლებზე მივხოხდი, ისე მივეპარე. შუბებზე წვერები არ გვქონდა, სხლტებოდა. ერთი ჭყივილით გაიქცა...

— მოტრიალდა და წრეში შემოვარდა, სისხლი სდიოდა...

ბიჭები ერთად ალაპარაკდნენ, შვებით ამოისუნთქეს, გულაჩქროლებით, სხაპასხუპით ჰყვებოდნენ:

— წრეში მოვიმწყვდიეთ...

პირველმა დარტყმამ უკანა ფეხები წაართვა, ამან საშუალება მისცათ, წრე შეეკრათ, ურტყამდნენ, ურტყამდნენ...

— მე ყელი გამოვღადრე...

ტყუპები ისევ ერთდროული სიცილით წამოხტნენ და ერთმანეთს გამოუდგნენ. მერე დანარჩენებიც აჰყვნენ, მომაკვდავი ღორივით ხროტინებდნენ და ყვიროდნენ:

— ერთი თავში დასცხე!

— ერთი დინგში!

მერე მაურისი, ვითომ ღორი იყო, ჭყვიტინით შევარდა შუაგულში, მონადირეები გარშემო შემოეხვივნენ, ვითომ ურტყამდნენ. ცეკვავდნენ, მღეროდნენ.

„მოკალი ღორი. ყელი გამოსჭერი. მიდი, მიასიკვდილე“.

რალფი შესცქეროდა — ერთდროულად შურითა და აღშფოთებით. მოიცადა, სანამ ძალა გამოელიათ და სიმღერაც შეწყდა; მერე თქვა:

— კრებას ვიწვევ.

ერთიმეორის მიყოლებით გაჩუმდნენ. იდგნენ და შეჰყურებდნენ.

— საყვირით. გინდაც დაგვაღამდეს, კრებას ვიწვევ. ქვემოთ, ბაქანზე. როგორც კი საყვირს ჩავბერავ. მივდივარ.

მიტრიალდა და მთიდან დაეშვა.

თავი მეხუთე

ურჩხული წყლიდან ამოდის

მოქცევა იწყებოდა, მკვრივი ნაპირის ვიწრო ზოლიღა დარჩენილიყო წყალსა და პალმის ტერასაზე ასასვლელ უსწორმასწორო ბექობს შორის. რალფი ამ მკვრივ ზოლს გაუყვა, რადგან უნდა დაფიქრებულიყო — მხოლოდ აქ შესძლებდა, გაფაციცებულს არ ევლო და არ ეთვალიერებინა, ფეხს სად დგამდა. უეცრად, წყლის პირას მიმავალს, გაოცება დაეუფლა. იგრძნო, როგორი დამღლელია ასე ცხოვრება, როცა ყოველი ბილიკი თვითონ უნდა გაიკვალო და თუ არ გძინავს, ცხოვრების მეტი ნაწილი იმის თვალიერებას მოანდომო, სად დგამ ფეხს. გაჩერდა და ზოლს გახედა; სხივმოსილი ბავშვობის ეპიზოდივით გაახსენდა ის პირველი, ხალისით სავსე ექსპედიცია, დამცინავად გაელიმა. მერე მიტრიალდა და უკან, ბაქნისკენ გაემართა. მზე სახეში ანათებდა. შეკრების დრო დადგა და ახლა, თვალისმომჭრელ, დიდებულ სხივებში მიმავალი, სათქმელის ყოველ სიტყვას გულდასმით წონიდა. ამ კრებაზე არაფერი არ უნდა შეეშალოს, არავითარი ფანტაზიები...

აბურდულმა ფიქრებმა თავგზა აუბნია, სიტყვები არ ჰყოფნიდა და ამიტომ სათქმელის მოწესრიგება უჭირდა. მოიღუშა და კიდევ ერთხელ სცადა ყველაფრის დალაგება.

კრება გასართობი კი არა, საქმიანი უნდა ყოფილიყო.

ეს რომ იფიქრა, ნაბიჯს უმატა, ყველაფერს ერთდროულად გრძნობდა: რომ უნდა აჩქარებულიყო; რომ მზე ჩადიოდა; რომ თავისივე სწრაფი სიარულისგან სახეზე ქარი სცემდა. ქარმა რუხი პერჯნგი შემოატმასნა მკერდზე; წვდომის ამ ახალი განწყობით შენიშნა: პერანგის კალთები მუყაოსავით გახევებოდა და მათი შეხება არ სიამოვნებდა; ისიც შენიშნა, რომ შორტების გაქექილი ბოლოები აწუხებდა და ფეხები წინა მხარეს უკვე ვარდისფრად გაეხეხა. რალფი, შეზარა საკუთარმა ჭუჭყმა და დაცემამ; მიხვდა, როგორ აღიზიანებდა თვალებზე ჩამოშლილი თმის გაუთავებლად უკან გადაყრა, და ბოლოს, როგორ აღიზიანებდა მზის ჩასვლის შემდეგ, დასაძინებლად ხმელი ფოთლების ხმამაღალ შარიშურში დაწოლა. გაიქცა.

ყურესთან, ნაპირზე, ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და შეხვედრის დაწყებას ელოდნენ. რალფს უხმოდ უთმობდნენ გზას, იცოდნენ, რომ უგუნებოდ იყო; ცეცხლის გამო თავს დამნაშავედ გრძნობდნენ.

შეკრების ადგილი, სადაც რალფი იდგა, სამკუთხედს ჰგავდა; ოღონდ უსწორმასწორო იყო და მიფუჩეჩებული, როგორც ყველაფერი, რასაც ბიჭები აკეთებდნენ. სამკუთხედის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა მორი, რომელზეც რალფი იჯდა; უზარმაზარი მკვდარი ხე ამ ბაქნისთვის მომეტებულად დიდი იყო. ალბათ წყნარი ოკეანის ერთ-ერთმა ლეგენდარულმა ქარიშხალმა მოიტანა კუნძულზე. ეს პალმის ხე ნაპირის პარალელურად იდო, ასე რომ, ზედ მჯდომი რალფი კუნძულს კი შეჰყურებდა, მაგრამ ბიჭები მის ნაცვლად ჩაბნელებულ ფიგურას ხედავდნენ მოციმციმე ლაგუნის ფონზე. სამკუთხედის ორი გვერდი, რომლებსაც მორი ეყრდნობოდა, სხვადასხვანირი იყო. მარჯვნივ — ხის გაპრიალებული ტანი, რადგან ზედ მჯდომი ბიჭები გამუდმებით ცმუკავდნენ, მაგრამ ეს ხე ბელადის მორს ვერ შეედრებოდა, ვერც სიდიდით და ვერც ხერხიანობით. მარცხნივ ოთხი პატარა მორი ეწყო, ერთ-ერთი, ყველაზე პატარა, ავისმომასწავებლად ყანყალებდა. ყოველ კრებაზე სიცილი ატყდებოდა ხოლმე — როცა ვინმე მეტისმეტად გადაიხრებოდა უკან, მორი ტრიალდებოდა და ბიჭებს ბალახში გადააკოტრიალებდა. რალფმა ისიც ახლა შენიშნა, რომ არავის — არც თვითონ, არც ჯეკს, არც ღუტას — არ ეყო ჭკუა, ქვა მოეტანა და მორისთვის შეედგა. ჰოდა, ისხდნენ ასე და წონასწორობადაკარგულები, იქნევდნენ ხელებს; აიტანენ, რადგან, რადგან... კიდევ ერთხელ აებნა თავგზა.

სამივე მორის წინ ბალახი გაიქექა, მაგრამ სამკუთხედის შუაგულში გვარიანად იყო ამობიბინებული, იქ ფეხი არავის დაედგა. სამკუთხედის წვერთანაც ხშირი ბალახი იყო, რადგან იქ არავინ იჯდა. კრების ადგილის გარშემო რუხი ხეები იდგა, ზოგი სწორად, ზოგი — გადაქანებული. ხეებს ქოლგასავით ეხურა ფოთლები. ორ მხარეს ნაპირი ესაზღვრებოდა, უკან — ლაგუნა; წინ — კუნძულის წყვდიადი.

რალფი ბელადის ადგილისკენ მიბრუნდა. კრება ასე გვიან ჯერ არ ჰქონიათ. ამიტომაც ჩანდა აქაურობა სხვანაირი. ჩვე-

ულებრივ, მწვანე სახურავის ქვედა მხარეს აბურდული, ოქროსფერი გამოსახულებები ანათებდნენ და ბიჭებს სახეებზე ჩრდილები ზემოდან ქვემოთ ეცემოდათ. თითქოს ხელში ფანარი უჭირავთო, — იფიქრა რალფმა. მაგრამ ახლა მზე ერთ მხარეს ეშვებოდა და ჩრდილებიც თავ-თავიანთ ადგილებზე აღარ იყვნენ.

ისევ განსჯის იმ უცნაურ, მისთვის უცხო გუნებაზე დადგა. თუ რამე იმის მიხედვით იცვლება, ზემოდანაა განათებული თუ ქვემოდან, მაშინ რაღა ფასი აქვს სახეს? საერთოდ, რაღასა აქვს ფასი?

რალფი მოუთმენლად შეიშმუშნა. საქმე ისაა, რომ თუ ბელადი ხარ, უნდა ფიქრობდე, ბრძენი უნდა იყო. მერე უცებ რაღაც შემთხვევა გამოგიხტება და გადაწყვეტილება ხელიდან არ უნდა გაგისხლტეს. ეს დაგაფიქრებს; რადგან ფიქრი ღირებული რამაა, ფიქრს შედეგი მოაქვს...

ოღონდ მე ფიქრი არ შემიძლიაო, — გადაწყვიტა რალფმა, როცა ბელადის ადგილს შეხედა. — ღუტასავით ვერ ვფიქრობო.

იმ საღამოს რალფს მეორედ მოუხდა ღირებულებების გადასინჯვა. ღუტას შეეძლო ფიქრი. შეეძლო, ერთიმეორის მიყოლებით დაელაგებინა ყველაფერი თავის მსუქან თავში, თუმცა ღუტა ბელადად არ ივარგებდა. ღუტას სასაცილო სხეული კი ჰქონდა, მაგრამ ტვინი არ აკლდა. რალფი ახლა ფიქრის სპეციალისტი გახდა და შეეძლო ამოეცნო, კაცი ფიქრობდა თუ არა.

თვალებში მომდგარმა მზემ გაახსენა, რომ დრო გადიოდა. ბიჭმა საყვირი ხიდან ჩამოხსნა და დაათვალიერა. ჰაერზე ამოტანილი ნიჟარა გახუნდა, ვარდისფერი და ყვითელი ფერები ლამის სადაფისფერმა და თეთრმა შეცვალა. რალფმა კრძალული სითბო იგრძნო ამ ნიჟარისადმი, რომელიც თავისი ხელით ჰქონდა ამოტანილი ლაგუნიდან. შეკრების ადგილს გახედა და საყვირი ტუჩებზე მიიდო.

დანარჩენები სწორედ ამას ელოდნენ და მაშინვე მოიყარეს თავი. ვინც იცოდა, რომ სანამ ცეცხლი ჩამქრალი იყო, კუნძულს გემმა ჩაუარა, რალფის ბრაზზე ფიქრი თრგუნავდა; ვინც არაფერი იცოდა — პატარების ჩათვლით — იმას საერთო სერიოზული განწყობა გადაედო. შეკრების ადგილი სწრაფად გაივსო; ჯეკი, საიმონი, მაურისი და მონადირეების უმეტესობა რალფის მარჯვნივ დასხდნენ; დანარჩენები — მარცხნივ, მზეში. ღუტა მოვიდა და სამკუთხედის გარეთ დადგა, რაც ნიშნავდა, რომ მოსმენით კი მოისმენდა, მაგრამ ხმას არ ამოიღებდა; ასე აპირებდა უკმაყოფილების გამოხატვას.

— შეკრება გახდა საჭირო.

არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ რალფს ყურადღებით შეჰყურებდნენ. ბიჭმა საყვირი გააქნია. პრაქტიკამ ასწავლა, რომ ამგვარი საფუძვლიანი განცხადებები ორჯერ მაინც უნდა გაემეორებინა, სანამ ყველა გაიგებდა, რას ამბობდა. უნდა დამჯდარიყავი, საყვირი ისე უნდა დაგეკავებინა, რომ ყველას მისთვის ეცქირა და სიტყვები მძიმე, მრგვალი კენჭებივით უნდა გესროლა პატარ-პატარა, ჩაცუცქულ ან მიმოფანტულ ჯგუფებში. მარტივ სიტყვებს ეძებდა, რომ ყველაზე პატარებიც კი მიმხვდარიყვნენ, რას ილაპარაკებდნენ კრებაზე. შეიძლება, მოგვიანებით, გაწაფულ მოკამათეებს — ჯეკს, მაურისს, ღუტას — შეხვედრა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით კალაპოტიდან ამოეგდოთ; მაგრამ ახლა, თავიდან, სათქმელი ნათლად და მკაფიოდ უნდა თქმულიყო.

— შეკრება გახდა საჭირო. ოღონდ არც გასართობად, არც სასაცილოდ და მორებიდან საკოტრიალოდ, — აყანყალებულ მორზე ჩამომსხდარი პატარები ახითხითდნენ და ერთმანეთს გადახედეს, — არც სახუმაროდ ან... — საყვირი ასწია, მჭახე სიტყვას ეძებდა, — ენის მოსაფხანად ან იმის საჩვენებლად, როგორი ჭკუისკოლოფები ვართ. საამისოდ არ შევკრებილვართ. იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.

წუთით შეყოვნდა.

— წელან მარტო მოვდიოდი და ვფიქრობდი, რა როგორ არის. ვიცი, რაც გვჭირდება. შეკრება, რომ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. პირველი მე ვიტყვი.

წუთით შეყოვნდა და მექანიკურად გადაიყარა თმა უკან. ღუტა ფეხის წვერებზე მიუახლოვდა სამკუთხედს, შეატყო, რომ მისი პროტესტი არავის შეუმჩნევია და დანარჩენებს შეუერთდა.

რალფმა განაგრძო.

— შეკრებები არ გვაკლია. ყველას ეხალისება ლაპარაკი და ერთად ყოფნა. რაღაცას გადავწყვეტთ ხოლმე, მაგრამ არ ვასრულებთ. გადავწყვიტეთ, წყაროდან სასმელი წყალი ამოგვე-

ტანა ქოქოსის ნაჭუჭებით, ზედ სუფთა ფოთლები დაგვეფარებინა და მარაგად გვქონოდა. რამდენიმე დღე ასეც იყო. ახლა წვეთი წყალი არა გვაქვს. ნაჭუჭები ამომშრალია. ბიჭები მდინარის წყალს სვამენ.

შეკრებილები თანხმობის ნიშნად აჩურჩულდნენ.

— იმას კი არ ვამბობ, რომ მდინარის წყლის სმა არ ვარგა. მე თვითონაც ქოქოსის ძველი ნაჭუჭიდან სმას მირჩევნია, იქ დავლიო — ხომ იცით ის ადგილი — სადაც ჩანჩქერია, მაგრამ ჩვენ ვთქვით, რომ წყალს მოვიტანდით ხოლმე და სიტყვა გავტეხეთ. ამ საღამოს ორადორი ნაჭუჭი იყო სავსე.

ტუჩები დაისველა.

— ახლა რაც შეეხება ქოხებს.

ჩურჩული ისევ ატყდა და მიჩუმდა.

— უმეტესობას ქოხებში გძინავთ. ამაღამ სემდერიკი ზემოთ, კოცონთან იქნებიან, თქვენ ყველა აქ დაიძინებთ. ვინ დადგა ქოხები?

მაშინვე ხმაური ატყდა. ქოხებს ყველა აგებდა. რალფს კიდევ ერთხელ მოუხდა საყვირის გაქნევა.

— მოიცადეთ! მე გეკითხებით, ვინ ააგო სამი ქოხი? პირველი ყველამ ერთად დავდგით, მეორე — ოთხმა, მესამე კი მე და საიმონმა ავაგეთ. იმიტომაცაა მორყეული. რომ გაწვიმდეს, დაიშლება. არადა, ქოხები სწორედ წვიმაში დაგვჭირდება ყველაზე მეტად.

შეყოვნდა და ხმა ჩაიწმინდა.

— კიდევ ერთი. ტუალეტად ის კლდეები ამოვირჩიეთ, ყურეს უკან. ეს ჭკუას მოკლებული არ იყო. იმ ადგილს მოქცევა ასუფთავებს. პატარებო, ეს თქვენც იცით.

აქა-იქ ისევ ხითხითი ატყდა.

— ახლა ვისაც სად მოუნდება, იქ ჯდება. ქოხებთან, ბაქანთანაც კი. პატარებო, ხილის კრეფისას უცებ მუცელი თუ აგტკივდათ...

ღრიანცელი ატყდა.

— თქვენ გეუბნებით, მუცელი თუ აგტკივდათ, ხეხილს მაინც მოშორდით. ყველაფერი დაბინძურებულია.

ისევ სიცილი ატყდა.

— სიბინძურეში ვიხრჩობით-მეთქი.

გახევებულ, რუხ პერანგს ჩამოჰკრა ხელი.

— მართლა სიბინძურეში ვიხრჩობით. მუცელი თუ აგტკივდებათ, პირდაპირ კლდეებისკენ გაიქეცით, ნაპირის გასწვრივ. გასაგებია?

ღუტამ ხელის აწევით მოითხოვა საყვირი, მაგრამ რალფმა თავი გააქნია. სათქმელი სიტყვასიტყვით ჰქონდა მოფიქრებული.

— ისევ ყველამ კლდეებში უნდა ვიაროთ. აქაურობა თანდათანობით ბინძურდება. — შეყოვნდა. კრებამ აფეთქების მოახლოება იგრძნო და დაძაბული გაისუსა. — და კიდევ: რაც შეეხება კოცონს.

რალფმა, თითქოს სული შეუგუბდაო, ღრმად ამოისუნთქა, ბიჭებმაც ექოსავით უპასუხეს ამოსუნთქვით. ჯეკმა დანით ნაფოტის თლა დაიწყო და რობერტს რაღაც წასჩურჩულა. იმან განზე გაიხედა.

— კუნძულზე ყველაზე მნიშვნელოვანი ცეცხლია. ცეცხლს თუ არ მივხედეთ და ჩაგვიქრა, რა გადაგვარჩენს სასწაულის გარდა? რაო, კოცონის მიხედვა ჩვენთვის ძალიან მძიმე საქმეა?

ხელი აიქნია.

— შეხედეთ, რამდენი ვართ! ერთი კოცონისთვის ვერ მოგვივლია, რომ კვამლი გამუდმებით ადიოდეს. ვერაფერს ვერ ხვდებით? ვერ ხედავთ, რომ... სიკვდილი უნდა გვერჩივნოს კოცონის ჩაქრობას!

მონადირეები მორცხვად ახითხითდნენ. რალფი გაცხარებული მიუბრუნდა:

— თქვენც მონადირეები გქვიათ! იცინით კიდეც! ერთი რამე იცოდეთ — ღორი კი მოკალით, მაგრამ კვამლი უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ამდენს ვეღარ ხვდებით? — ფართოდ გაშალა მკლავები და სამკუთხედს მოავლო თვალი.

— იქიდან კვამლი უნდა ამოდიოდეს... არადა, დავიხოცებით.

შეყოვნდა. უკვე იმაზე ფიქრობდა, რის თქმასაც ამის შემდეგ აპირებდა.

— ბევრი ხომ არ მოგვივა, — დაუძახა ვიღაცამ.

აქა-იქ თანხმობის ნიშნად აბუტბუტდნენ. რალფმა ყურიც არ ათხოვა.

— კიდევ ერთი. კინაღამ მთელი კუნძული გადავწვით. დროს ვფლანგავთ, ლოდებს ვაგორებთ და რაღაცის შესაწვავად პატარ-პატარა ცეცხლს ვანთებთ — ხან სად და ხან სად.

ახლა რასაც გეტყვით, წესად უნდა იქცეს, იმიტომ, რომ ბელადი ვარ. არსად არ დაანთოთ ცეცხლი მთის გარდა. არც ერთხელ.

მაშინვე ღრიანცელი ატყდა. ბიჭები ყვირილით წამოცვივდნენ, არც რალფი რჩებოდა ვალში.

— თევზის და კიბორჩხალას შეწვა თუ გინდა, კეთილი ინებე და მთაზე აბრძანდი. ასე სჯობია.

ჩამავალი მზის სხივებში ხელები საყვირისკენ მოიწევდნენ. რალფმა საყვირი ასწია და მორზე შეხტა.

— ეს იყო ჩემი სათქმელი და გითხარით. თქვენ ამირჩიეთ ბელადად და ჩემს სიტყვას შეასრულებთ.

ბიჭები თანდათანობით ჩაწყნარდნენ და ბოლოს, დასხდნენ. რალფი მორიდან ჩამოხტა, ჩვეულებრივი ხმით განაგრძო:

— ასე რომ, დაიმახსოვრეთ. ტუალეტი კლდეებშია. ცეცხლს უნდა მივხედოთ და კვამლი გამუდმებით უნდა ამოდიოდეს. მთის გარდა ცეცხლი არსად არ დაანთოთ. საჭმელი იქ აიტანეთ.

ჯეკი ადგა. დაბღვერილმა გასწია ხელი საყვირისკენ.

— ჯერ არ დამიმთავრებია.

— კი მაგრამ, ამდენ ხანს ლაპარაკობ და ლაპარაკობ!

— საყვირი მე მაქვს.

ჯეკი ბუზღუნით დაჯდა.

— და ბოლოს. ამას ისედაც ამბობენ.

მოიცადა, სანამ ბაქანზე სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა.

— რაღაც არ გამოგვდის. ვერ ვხვდები, რატომ. კარგად დავიწყეთ; გვიხაროდა. მერე...

ფრთხილად შეარხია საყვირი. ბიჭებს იქით, სიცარიელეში გაიხედა, გაახსენდა ურჩხულები, გველი, ცეცხლი, შეშინებული ჩურჩული.

— მერე თანდათანობით შეგვეშინდა.

ჩურჩულმა კვნესასავით გადაიარა და ჩაჩუმდა. ჯეკმაც ნაფოტის თლას თავი ანება. რალფმა მკვახედ განაგრძო:

— ოღონდ ეგ პატარების შეთხზული აბდაუბდაა. ეს ამბავი უნდა გავარკვიოთ. ისღა დაგვრჩა, ამაზეც ვილაპარაკოთ და გადავწყვიტოთ, შიშს როგორ მოვერიოთ.

თმა ისევ ჩამოეშალა თვალებზე.

— შიშზე უნდა ვილაპარაკოთ და გავარკვიოთ, რომ საშიში არაფერია. ხანდახან მე თვითონაც მეშინია; მაგრამ ეს სისულელეა! საფრთხობელაა. მერე, როცა გავარკვევთ, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, ყურადღებით მოვეკიდოთ ისეთ რამეებს, როგორიც ცეცხლია. — თვალწინ დაუდგა, როგორ მიუყვებოდა სამი ბიჭი ელვარე ნაპირს. — და ვიმხიარულოთ.

სიტყვის დასრულების ნიშნად რალფმა დიდის ამბით მოიდო საყვირი გვერდით, მორზე; მზის სხივები მიწას გაეკრო.

ჯეკი ადგა და საყვირი აიღო.

— ესე იგი, ამ კრებაზე ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. მე გეტყვით, რა როგორ არის. პატარებო, შიშს რაც შეეხება, ეს სულ თქვენი მოგონილია. ურჩხულებიო! საიდან? რასაკვირველია, ხანდახან ჩვენც შეგვეშინდება ხოლმე, მაგრამ შიშს არ ვეპუებით. რალფი თქვენზე ამბობს, ღამ-ღამობით სლუკუნებენო. ეგ ღამის კოშმარებია და მეტი არაფერი. ასეა თუ ისე, თქვენ არც ნადირობთ, არც აშენებთ, არც გვეხმარებით — მტირალები ხართ, დედიკოს კალთას გამოკერებული ბიჭები. შიშს თქვენ თვითონ უნდა მოერიოთ — დანარჩენებივით.

რალფი პირდაღებული შეჰყურებდა ჯეკს, მაგრამ ის ვერაფერს ვერ ამჩნევდა.

— საქმე ისაა, რომ... ვერც შიში, ვერც სიზმარი ვერაფერს დაგიშავებს. ამ კუნძულზე საშიში ნადირები არ არიან. — აჩურჩულებულ პატარებს გადახედა, — ისე, ღირსები კი ხართ, ვინმემ რომ გადაგსანსლოთ, თქვე უქნარა მტირალებო, თქვენა! მაგრამ მხეცები არ არიან...

რალფმა გაღიზიანებული ხმით შეაწყვეტინა:

— ეგ რაღაა? მხეცი ვინ ახსენა?

— შენ, ამას წინათ. ასე თქვი, სიზმარში ტირიან და ყვირიანო. ახლა ალაპარაკდნენ კიდეც — მარტო პატარები კი არა, ხანდახან ჩემი მონადირეებიც ახსენებენ რაღაცას, მუქი ფერისას, ურჩხულს, რაღაცნაირ ცხოველს. გავიგონე. შენ კიდევ არც იცოდი, არა? ახლა მისმინეთ. პატარა კუნძულზე დიდი ცხოველები არ ცხოვრობენ. მარტო ღორები არიან. ლომები და ვეფხვები მარტო დიდ ქვეყნებში არიან, ვთქვათ, აფრიკაში ან ინდოეთში...

— და ზოოპარკში...

— საყვირი მე მაქვს. მე შიშზე არ ვლაპარაკობ. მე ურჩხულზე ვლაპარაკობ. კი ბატონო, გეშინოდეთ, თუ ეგრე გინდათ. მაგრამ რაც შეეხება ურჩხულს...

ჯეკი შეყოვნდა, საყვირი გაიქნია და თავის მონადირეებს მიუბრუნდა, შავი, ჭუჭყიანი ქუდები რომ ეხურათ.

— მონადირე ვარ თუ არა?

იმათ უბრალოდ თავი დაუქნიეს. მონადირე ნამდვილად იყო. რაც მართალია, მართალია, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

— ჰოდა, მაშინ... მთელი კუნძული მოვლილი მაქვს. მარტო. ურჩხული რომ ყოფილიყო სადმე, აუცილებლად ვნახავდი. თუ ეგრე მოგწონთ, გეშინოდეთ... მაგრამ ამ ტყეში ურჩხული არ არის.

ჯეკმა საყვირი დადო, დაჯდა. კრებამ შვებით ამოისუნთქა და ტაში დასცხო. ღუტამ ხელი საყვირისკენ გაიწოდა.

— ჯეკს არ ვეთანხმები, მაგრამ ერთი რამ კი სწორად თქვა. რასაკვირველია, ტყეში ურჩხული არ არის. იქ რა უნდა? რას შეჭამს?

— ღორს.

— ჩვენ ხომ ვჭამთ ღორს.

— ღუტა!

— საყვირი მე მაქვს! — აღშფოთდა ღუტა, — რალფ... ხმა უნდა გაკმინდონ, ასე არ არის? გაჩუმდით, პატარებო! იმას ვამბობ, რომ არ ვეთანხმები, რაც აქ შიშზე ითქვა. რასაკვირველია, ტყეში საშიში არაფერია. იქ... მარტო მეც მივლია! ახლა სულებზე და ეგეთ რამეებზეც დაიწყებთ ლაპარაკს. ვიცით, რაც ხდება და თუ რამე რიგზე ვერ არის, ვინმემ უნდა მოაგვაროს.

სათვალე მოიხსნა და თვალების ხამხამით შეხედა ბიჭებს. მზე ჩავიდა და თითქოს შუქი ჩააქრესო.

ღუტამ ახსნა გააგრძელა.

— მუცელი თუ გტკივათ, პატარა მუცელი გაქვთ თუ პატარა...

— შენ დიდი გაქვს.

— სიცილს რომ მორჩებით, იქნებ შევძლოთ კრების დამთავრება... პატარები თუ ისევ ყანყალა მორზე აძვრებიან, მაშინვე გადაცვივდებიან. ასე რომ, გირჩევნიათ, მიწაზე დასხედით და მისმინეთ. ჰოდა, ყველაფრის მკურნალი არსებობს, გონებისაც კი. მართლა ხომ არ გგონიათ, რომ გამუდმებით რაღაც არარსებულის გვეშინია? საქმე ისაა, რომ ცხოვრებაში, — განაგრძო ღუტამ, — ყველაფერი მეცნიერულად აიხსნება. ერთ-ორ წელიწადში, ომი რომ დამთავრდება, მარსზე გაფრინდებიან. მე ვიცი, რომ ურჩხული აქ არ არის — არც ბრჭყალებიანი და არც არანაირი... მაგრამ ეგრე არც შიში არსებობს.

ღუტა შეყოვნდა.

— თუკი...

რალფი შეიშმუნა.

— თუკი — რა?

— თუკი ერთმანეთს არ შევაშინებთ.

რაღაც ნახევრად სიცილისა თუ ნახევრად დაცინვის მსგავსი ხმა გაისმა. ღუტა აიწურა და სულმოუთქმელად მიაყოლა:

— ასე რომ, მოდი, პატარებს ვათქმევინოთ, იმათ, ვინც ურჩხულზე ლაპარაკობს და იქნებ მერე გავაგებინოთ, ეგ რა სასულელეა.

პატარები ერთმანეთში აჭყლოპინდნენ, მერე ერთი წინ წამოვიდა.

— შენ რა გქვია?

— ფილი.

პატარას კვალობაზე თამამად იქცეოდა, ხელი გაიწოდა, საყვირი რალფივით გააქნია და მიიხედ-მოიხედა, რომ სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, ყველა გაჩუმებულიყო.

— წუხელ სიზმარი ვნახე, საშინელი სიზმარი. ვითომ რაღაცეებს ვებრძოდი. მარტო ვიყავი, ქოხში კი არა, გარეთ, და იმ რაღაცეებს ვებრძოდი, ხეებზე რომ იკლაკნებიან.

შეყოვნდა. პატარებმა გაიცინეს — ძრწოლით და თანაგრძნობით.

— მერე შემეშინდა და გავიღვიძე. ქოხში კი არა, გარეთ ვიყავი, მარტო, სიბნელეში და ის დაკლაკნილი რაღაცეები აღარ იყვნენ.

მონაყოლის მკაფიოდ გამოხატულმა საშინელებამ, ასე შესაძლებელმა და საზარლად გაშიშვლებულმა ამბავმა ყველა გააჩუმა. თეთრი ნიჟარის იქიდან ბავშვის ხმა ისევ აწრიპინდა:

— შემეშინდა და რალფს დავუწყე ძახილი, მერე დავინახე, რომ ხეებს შორის რაღაც მოძრაობდა, რაღაც დიდი და საზარელი.

გაჩუმდა, მოგონებამ, ცოტა არ იყოს, შეაშინა, მაგრამ ამაყობდა, რომ მისი შიში სხვებსაც გადაედო.

— კოშმარი იყო, — თქვა რალფმა, — მძინარე დადიოდა.

დათრგუნული შეკრებილები თანხმობის ნიშნად აჩურჩულდნენ.

პატარამ ჯიუტად გაიქნია თავი.

— მაშინ მეძინა, როცა ის დაკლაკნილი რაღაცეები მიტევდნენ; როცა აღარ იყვნენ, მეღვიძა, მაგრამ დავინახე, რომ ხეებში რაღაც დიდი და საზარელი მოძრაობდა.

რალფმა საყვირისკენ გაიწოდა ხელი და პატარა დაჯდა.

— გეძინა. იქ არავინ არ ყოფილა. ღამე ვინ დაიწყებდა ტყეში ხეტიალს. ვინმე ხომ არ ყოფილა ტყეში? ვინმე გარეთ გავიდა?

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, შეკრებილებს მწარედ ეღიმებოდათ იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა, ამ წყვდიადში ვინმე გარეთ გასულიყო. მაგრამ უცებ საიმონი წამოდგა. რალფმა გაკვირვებით შეხედა.

— შენ?! იმ სიბნელეში რას დაბოდიალებდი?

საიმონმა თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, ისე სტაცა ხელი საყვირს.

— მინდოდა... ერთ ადგილას მინდოდა წასვლა.

— რა ადგილას?

— ერთი ადგილი ვიცი ჯუნგლებში.

შეყოყმანდა.

მის მაგივრად ჯეკმა უპასუხა — ქედმაღლური ხმით, რომელშიც ერთდროულად დაცინვაც ჟღერდა და სიმტკიცეც.

— მუცელი ასტკივდა.

რალფმა საიმონის მაგივრად დამცირებულად იგრძნო თავი და ბიჭს მკაცრი სახით გამოართვა საყვირი.

— კარგი, მეორედ ეგეთ რამეს ნულარ იზამ. გაიგე? ღამით არ შეიძლება. ისედაც იმდენ სისულელეს ლაპარაკობენ ურჩხულებზე, ახლა პატარებმა რომ დაინახონ, როგორ მიიპარები ფეხაკრეფით...

შეკრებაზე ამტყდარ აგდებულ სიცილში შიში და გაკიცხვა იგრძნობოდა. საიმონმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ საყვირი რალფს ჰქონდა და ისევ დაჯდა.

როცა შეკრებილები დაწყნარდნენ, რალფი ღუტას მიუბრუნდა.

— რა იყო, ღუტა?

— კიდევ ერთს უნდა ლაპარაკი. ამას.

პატარებმა პერსივალი ხელის კვრით გამოაგდეს წინ. სამკუთხედის შუაში, მუხლამდე ბალახში იდგა, ფეხებს დაჰყურებდა და ცდილობდა წარმოედგინა, ვითომ კარავში იყო. რალფს მეორე პატარა ბიჭი გაახსენდა, ზუსტად ასე რომ იდგა და შეიშმუშნა ამ მოგონების თავიდან მოსაშორებლად. თავის დროზე ამაზე ფიქრი სადღაც ჩამარხა, მოიცილა, მოიგლიჯა, და მხოლოდ ასეთი პირდაპირი მინიშნება ამოატივტივებდა ხოლმე ზედაპირზე. პატარებს სიის ამოკითხვისას აღარ უძახდნენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ კაცმა არ იცოდა, ყველა იყო თუ არა აღნუსხული და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ღუტას კითხვებზე, მთის წვერზე ყოფნისას რომ დასვა, რალფმა სულ მცირე, ერთის პასუხი მაინც იცოდა. პატარები ბლომად იყვნენ — ქერა, შავგვრემანი, ჭორფლიანი, ყველა ჭუჭყიანი, მაგრამ — საზარელი სწორედ ეს იყო, — სახეზე არც ერთს არ ჰქონდა რამე თვალშისაცემი ნიშანი. აღარავის უნახავს ის მეწამული ხალი. მაგრამ მაშინ ღუტაზე ბრაზობდა და ხმა არ გასცა. რალფმა უთქმელად აღიარა, მახსოვს ის, რაზეც არ ვლაპარაკობთო, და ღუტას თავი დაუქნია.

— მიდი, ჰკითხე.

ღუტა ჩაიმუხლა, პატარას საყვირი დაუკავა.

— აბა, შენ რა გქვია?

პატარა ბიჭი თავის გამოგონილ კარავში შეიმალა. დაბნეული ღუტა რალფს მიუბრუნდა და იმანაც მკაცრად ჰკითხა ბავშვს:

— რა გქვია?

ბიჭის დუმილით გულგაწვრილებულმა კრებამ სიმღერასავით დასცხო:

— რა გქვია? რა გქვია?

— წყნარად!

რალფი ბინდბუნდში ჩააცქერდა ბავშვს.

— აბა, გვითხარი, რა გქვია?

— პერსივალ უიმზ მედისონი, მღვდლის სახლი, ჰარქერთ სენტ-ენტონი, ჰემფშირი, ტელეფონი... ტელეფონი, ტელე...

და თითქოს ეს სიტვები აკავებდა მოწოლილ დარდსო, პატარა აქვითინდა. სახე მოეჭმუხნა, ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა, პირი ოთხკუთხედ, შავ ორმოსავით დააღო. თავდაპირველად დარდის მდუმარე განსახიერება იყო, მაგრამ მერე ხმამაღალი ქვითინი წასკდა — ნიჟარასავით მძლავრი ხმით.

— გაჩუმდი, ბიჭო! ხმა ჩაიწყვიტე!

პერსივალ უიმზ მედისონი ხმას ვერ ჩაიწყვეტდა, მომსკდარ ნაკადს ვერაფერი შეაკავებდა, ვერც ავტორიტეტი და ვერც ფიზიკური მუქარა. პერსივალი გულამომჯდარი ტიროდა.

— გაჩუმდი! გაჩუმდი!

ახლა პატარები ჩუმად აღარ იყვნენ. თავ-თავიანთი სადარდებელიც გაახსენდათ; შეიძლება, იგრძნეს, რომ საყოველთაო დარდის მოზიარენი იყვნენ. ესენიც თანაგრძნობით ატირდნენ, ორი მათგანი კი ლამის პერსივალივით ხმამაღლა აღრიალდა.

მაურისმა იხსნათ. უცებ იყვირა:

— შემომხედეთ! Look at me!

ვითომ დაეცა. კუდუსუნი მოიფხანა, მოყანყალებულ მორზე დაჯდა და ისევ გადაკოტრიალდა ბალახში. ოინბაზობა მაინცდამაინც ვერ გამოსდიოდა, მაგრამ პერსივალმა და დანარჩენებმა შეხედეს, ქსუტუნით შეწყვიტეს ტირილი და გაიცინეს. მალე ისე უაზროდ ახარხარდნენ, რომ უფროსებიც აჰყვნენ.

პირველმა ჯეკმა მოახერხა ამ ბიჭებისთვის თავისი ხმის გაგონება. ნიჟარა არ აუღია, ასე რომ, ლაპარაკის წესი დაარღვია, მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

— აბა, ურჩხულზე რას იტყვით?

პერსივალს რაღაც უცნაური დაემართა. დაამთქნარა და წაბარბაცდა. ჯეკმა ხელი სტაცა და შეანჯღრია.

— სად ცხოვრობს ურჩხული?

პერსივალი ხელებზე ჩამოეკიდა.

— ეტყობა, ჭკვიანი ურჩხულია, რაკი კუნძულზე დამალვას ახერხებს, — დამცინავად თქვა ღუტამ.

— ჯეკს მთელი კუნძული მოვლილი აქვს...

— ურჩხული არა, ფეხები!

პერსივალმა რაღაც ჩაიბუტბუტა და ისევ სიცილი ატყდა. რალფი წინ გადაიხარა.

— რაო, რას ამბობს?

ჯეკმა პერსივალის პასუხი მოისმინა და ბიჭუნას ხელი გაუშვა. განთავისუფლებულმა პატარამ თავი ადამიანების მყუდრო გარემოცვაში იგრძნო, მაღალ ბალახში ჩაწვა და ძილს მისცა თავი.

ჯეკმა ყელი ჩაიწმინდა და ვითომ არაფერიაო, ისე განაცხადა:

— ამბობს, ურჩხული წყლიდან ამოდისო.

სიცილი შეწყდა. რალფი უნებლიეთ მიტრიალდა; თვალწინ დაუდგა შავი, კუზიანი ფიგურა ლაგუნის ფონზე. შეკრებილებმა მის მზერას გააყოლეს თვალი; იდგნენ და გაჰყურებდნენ წყლის ფართოდ გაჭიმულ ზოლს, მის უკან აქოჩრილ ზღვას, გამოუცნობ იისფერსა და მეწამულში გაუჩინარებულ, გაურკვეველ ალბათობას; გატრუნულები უსმენდნენ რიფებთან ტალღების ხველასა და ჩურჩულს.

მაურისი ისე ხმამაღლა ალაპარაკდა, რომ დანარჩენები მოულოდნელობისგან შეხტნენ.

— მამაჩემმა თქვა, ზღვაში ისეთი ცხოველებიც არიან, ჯერ რომ არ აღმოუჩენიათო.

ისევ კამათი ატყდა. რალფმა ელვარე საყვირი გაუწოდა და მაურისმაც მორჩილად გამოართვა. დანარჩენებიც დაშოშმინდნენ.

— მე მგონი, ჯეკი რომ ამბობს, შეიძლება, შეგეშინდეთ, რადგან ადამიანებს საერთოდ ეშინიათო, სწორია. როცა ამბობს, ამ კუნძულზე მარტო ღორები არიანო, ალბათ სწორია, მაგრამ ეს დანამდვილებით არ იცის, იმის თქმა მინდა, რომ ზუსტად არ იცის. — მაურისმა სული მოითქვა — მამაჩემი ამბობს, რომ ერთი ცხოველია, იმას ჰგავს, რა ჰქვია... აი, მელანს რომ აფურთხებს — რვაფეხას! — ოღონდ ეს ასი იარდის სიგრძის ვეშაპს მთლიანად ჭამს. — ისევ შეყოვნდა და მხიარულად გაიცინა, — რასაკვირველია, ურჩხულების არ მჯერა. ღუტასი არ იყოს, ცხოვრებაში ყველაფერს მეცნიერული ახსნა აქვს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ასე არ არის? იმას ვამბობ, რომ დანამდვილებით არ ვიცით...

— რვაფეხას წყლიდან ამოსვლა არ შეუძლია! — იყვირა ვიღაცამ.

— შეუძლია!

— არ შეუძლია!

უცებ ბაქანი ხელების ქნევით მოკამათე ჩრდილებით აივსო. რალფი იჯდა, შეჰყურებდა და ეჩვენებოდა, რომ ყველა ერთად შეიშალა. შიში, ურჩხულები, დავა იმაზე, ცეცხლი ყველაზე მნიშვნელოვანია თუ არა; და როცა ვინმე მოინდომებდა, ყველაფერი დაელაგებინა, მაშინვე კამათი იწყებოდა, ახალ-ახალი, უამური რამეების მოყოლას იწყებდნენ.

იქვე, ბინდბუნდში, თეთრად მოციმციმე ნიჟარა გაარჩია,

ხელი სტაცა, მაურისს გამოგლიჯა და რაც შეეძლო, ხმამაღლა ჩაჰბერა. კრებამ უცებ გაკმინდა ხმა. საიმონი მიუახლოვდა, და ხელი საყვირისკენ გაიწოდა; გრძნობდა, რომ ხიფათი ემუქრებოდათ და აუცილებელი იყო იმის თქმა, რასაც ფიქრობდა; მაგრამ კრების წინაშე ლაპარაკი ესიკვდილებოდა.

— შეიძლება... შეიძლება, ურჩხული მართლა არის. — თქვა ყოყმანით.

ღრიანცელი ატყდა. რალფი გაოცებული შეჰყურებდა.

— საიმონ, შენ?! შენ გჯერა?

— არ ვიცი. — უთხრა საიმონმა. გული გამალებით უცემდა. — მაგრამ...

ქარიშხალი ვეღარაფერმა შეაკავა.

— დაჯექი!

— მოკეტე!

— წაართვით საყვირი!

— უჰ, შე...

— ხმა ჩაიწყვიტე!

ახლა რალფმა იყვირა:

— მოუსმინეთ! საყვირი ამასა აქვს!

— იმის თქმა მინდა, რომ... შეიძლება, ეს ჩვენ თვითონ ვართ.

— სისულელეა!

ეს უკვე ღუტა იყო — გაოგნებისგან ქცევის წესებიც კი დაივიწყა.

— შეიძლება, ჩვენ თვითონ...

საიმონს ენა დაება, გაუჭირდა სიტყვებით გადმოეცა, რა იყო ადამიანთა მოდგმის თანამდევი სენი. და უცებ გონება გაუნათდა:

— რა არის ამქვეყნად ყველაზე ბინძური რამ?

გაოგნებული, დაბნეული დუმილი ჯეკმა ერთი, უხეში, გამომსახველი სიტყვით — გინებით დაარღვია. ამ პასუხმა უეცრად მოხსნა დაძაბულობა — ორგაზმივით. ყანყალა მორზე ამძვრალი პატარები გადაკოტრიალდნენ, მაგრამ ყურიც არ შეუბერტყავთ. მონადირეებმა მოწონების ყიჟინა დასცხეს. საიმონი ჩაფლავდა; სიცილი მწარე სილასავით მოხვდა, უმწეოდ მოიკუნტა და დაჯდა.

— იქნებ სულებზე ამბობს.

რალფმა საყვირი ასწია და ბინდბუნდს ჩააცქერდა. ყველაზე

უფრო განათებული ადგილი მკრთალი ნაპირი იყო. პატარები უფრო ახლოს ხომ არ მოჩოჩდნენ? ჰო — ნამდვილად. სამკუთხედის შუაგულში ისხდნენ, ერთმანეთს მიკრულები და სხეულების მჭიდრო მარყუჟს ჰგავდნენ. ქარმა წამოუბერა, პალმები ააშრიალა და ახლა, სიბნელესა და სიჩუმეში, ეს შრიალი ხმამაღალი მოეჩვენათ. ორი ნაცრისფერი ხის ტანი ავბედითი ჭრაჭუნით ეხახუნებოდა ერთმანეთს. დღისით ამას ვერავინ ამჩნევდა.

ღუტამ რალფს საყვირი გამოართვა. აღშფოთებული ხმა ჰქონდა:

— მე სულების არ მჯერა... საერთოდ არ მჯერა!

ჯეკიც ადგა, რატომღაც ბრაზობდა:

— ვის რაში ეკითხება, შენ გჯერა თუ არა... სქელო!

— საყვირი მე მაქვს.

ჯაჯგურის ხმა გაისმა, საყვირი აქეთ-იქით მიდი-მოდიოდა სიბნელეში.

— აბა, მომეცი საყვირი!

რალფი შუაში ჩაუვარდათ და მკერდში გვარიანად მოხვდა. რომელიღაცას გამოსტაცა საყვირი და გულამოვარდნილი დაჯდა.

— ძალიან გავაბით სულებზე. სჯობია, ამაზე დღისით ვილაპარაკობთ.

უცებ ვიღაცის შეშინებული ხმა გაისმა:

— იქნებ, ურჩხული სწორედ ეგ არის — სული.

კრებას თითქოს ქარმა გადაუარა და შეარხია.

— გეყოფათ რიგის გარეშე ლაპარაკი, — თქვა რალფმა, — წესებს თუ არ დაიცავთ, კრებებს რიგიანად ვერ ჩავატარებთ.

ისევ შეყოვნდა. კრების გულდასმით მოფიქრებული გეგმა ჩაიშალა.

— აბა, რა გინდათ, რომ გითხრათ? შევცდი, კრება ასე გვიან რომ მოვიწვიე. ახლა კენჭისყრა მოვაწყოთ — სულებზე; და მერე ქოხებში შევიდეთ, რადგან ყველა დავიღალეთ. არა — შენა ხარ, ჯეკ?' — არა, ერთი წუთით მოიცადე. ჯერ მე გეტყვით, რომ სულების არ მჯერა. ან არა მგონია, მჯეროდეს. არ მომწონს მათზე ფიქრი. მითუმეტეს ახლა, სიბნელეში. მაგრამ ჩვენ ვთქვით, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვასო.

წუთით ასწია საყვირი.

— ძალიან კარგი. გავარკვიოთ, რა როგორ არის, და სულები არსებობენ თუ არა...

შეყოვნდა — კითხვა დაალაგა:

— ვინ ფიქრობს, რომ სულები შეიძლება არსებობდნენ?

კარგა ხანს ყველა დუმდა და არც ის ჩანდა, ვინმე თუ გაინძრა. მერე რალფი სიბნელეს ჩააცქერდა და ხელები აღმოაჩინა.

— ვხედავ. — თქვა უღიმღამოდ.

გასაგები, კანონმორჩილი სამყარო ხელიდან უსხლტებოდა... ადრე ყველაფერი დალაგებული ჰქონდა, ახლა კი... გემმაც ჩაიარა.

საყვირი გამოსტაცეს და ღუტას ყურისწამღები ხმა გაისმა:

— მე სულებზე კენჭისყრაში არ ვმონაწილეობ!

მკვეთრად მიუბრუნდა შეკრებილებს.

— ყველამ დაიმახსოვრეთ!

მისი ფეხის ბაკუნი გაისმა.

— ვინა ვართ? ადამიანები? თუ ცხოველები? თუ ველურები? უფროსებს რა პასუხს გავცემთ? გავრბი-გამოვრბივართ... ღორებზე ვნადირობთ... ცეცხლს ვერ ვუვლით... ახლა კიდევ ეს!

მის წინ აღმართულმა ჩრდილმა მუქარით გადმოდგა ნაბიჯი:

— ხმა ჩაიწყვიტე, შე გასიებულო დოყლაპია!

უმალ ერთმანეთს ეცნენ, მოელვარე საყვირი სიბნელეში ზევით-ქვევით ხტოდა, რალფი წამოხტა.

— ჯეკ! ჯეკ! საყვირი შენ არ გიჭირავს! ათქმევინე!

ჯეკის სახე სიბნელიდან ამოცურდა:

— შენც ჩაიწყვიტე ხმა! ვინა გდიხარ, ბოლოს და ბოლოს? დამჯდარხარ აქ და ბრძანებებს არიგებ! ნადირობა შენ არ შეგიძლია, სიმღერა შენ არ იცი...

— მე ბელადი ვარ. მე ამირჩიეს.

— რა მნიშვნელობა აქვს არჩევას? უაზრო ბრძანებებს იძლევი და ეგ არის... სხვა რა შეგიძლია!

— საყვირი ღუტასა აქვს!

— ჰო, არსად დაგეკარგოს შენი ღუტა...

— ჯეკ!

ჯეკმა გაავებულმა გამოაჯავრა:

— ჯეკ! ჯეკ!

— წესები! — უყვირა რალფმა, — წესებს არღვევ!

— მერე რა?

რალფმა მოთმინება მოიკრიბა:

— მერე ის, რომ წესების გარდა არაფერი გაგვაჩნია.

მაგრამ ჯეკი გაცოფებული უყვიროდა:

— ერთი შენც და შენი წესებიც! ჩვენ ძლიერები ვართ! მონადირეები ვართ! ურჩხული თუ არის კიდეც, კვალში ჩავუდგებით! წრეში მოვიმწყვდეთ და დავცხებთ, დავცხებთ, დავცხებთ!..

ველური ღრიალით გადახტა მკრთალ ქვიშაში. ბაქანზე მაშინვე ხმაური, აღტაცებული ყიჟინა, ყვირილი და სიცილი ატყდა. კრება დაიშალა. ბიჭები უმისამართოდ, უგზო-უკვლოდ გაცვივდნენ პალმებიდან წყლისკენ, ღამის წყვდიადში ნაპირზე გაიფანტნენ. რალფმა მკლავზე ნიჟარის შეხება იგრძნო და ღუტას საყვირი ჩამოართვა.

— უფროსებს რა პასუხს გავცემთ? — კიდევ ერთხელ წამოიძახა ღუტამ, — აბა, ამათ შეხედე!

ნაპირიდან ვითომ ნადირობის ყიჟინა, ისტერიული ხარხარი და მართლა შეშინებული ხმები ისმოდა.

— ჩაჰბერე საყვირს, რალფ.

ღუტა ისე ახლოს იყო, რომ რალფი სათვალის ცალი მინის ციმციმს ხედავდა.

— მთავარი ცეცხლია, ვერ გაიგეს?!

— ახლა სიმტკიცე უნდა გამოიჩინო, არ უნდა დაუთმო. აიძულე, შენი ნება შეასრულონ.

რალფმა ისე ფრთხილად წარმოთქვა, თითქოს თეორემას იზეპირებდა:

— თუ ჩავბერე და არ მოვიდნენ, ყველაფერი დამთავრდება. ცეცხლს ვეღარ მივხედავთ. ცხოველებს დავემსგავსებით. მაშინ აღარაფერი გადაგვარჩენს.

— თუ არ ჩაჰბერავ, მაინც ცხოველებს დავემსგავსებით. სულ მალე. ვერ ვხედავ, რას აკეთებენ, მაგრამ მესმის.

გაფანტულმა ფიგურებმა თავი მოიყარეს და სქელ, შავ, აღრიალებულ მასად იქცნენ. რაღაცას მღეროდნენ, პატარებს არაქათი გამოელიათ და ღნავილით მიბარბაცებდნენ ამ მასისგან. რალფმა საყვირი ტუჩებთან მიიტანა და ისევ დაუშვა.

— საქმე ისაა, ღუტა, რომ... არიან სულები? ან ურჩხულები?

— რასაკვირველია, არა.

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ მაშინ ყველაფერი აზრს დაკარგავდა. სახლები, ქურები... ტელევიზორი... არაფერი არ იმუშავებდა.

აცეკვებული, ამღერებული ბიჭები თანდათანობით შორდებოდნენ, მალე მათ სიმღერაში სიტყვები აღარ ისმოდა.

— კი მაგრამ, შენ ფიქრობ, რომ ამ ყველაფერს რამე აზრი აქვს? აქ, კუნძულზე? არა გგონია, რომ თვალს გვადევნებენ და იცდიან?

რალფი აცახცახდა, ღუტასკენ გაიწია, შემთხვევით დაეჯახა და შეაშინა.

— გეყოფა ეგეთი ლაპარაკი! ისედაც ათასი თავშისაცემი გვაქვს, რალფ, მეტს ვეღარ გავუძლებ. თუ სულები არიან...

— ბელადობაზე უარი უნდა ვთქვა. გესმის, რა დღეში არიან...

— ღმერთო! არა, არა!

ღუტა მკლავზე ჩაებღაუჭა.

— ჯეკი რომ იყოს ბელადი, ნადირობის მეტს არაფერს გააკეთებდა, ცეცხლს საერთოდ მიანებებდა თავს. და სანამ სული არ ამოგვხდებოდა, აქ ვიქნებოდით.

უეცრად ღუტამ გულისგამგმირავად იყვირა:

— აქ ვინ ზის?

— მე ვარ, საიმონი.

— მაგრები ვართ, — თქვა რალფმა. — სამი გოჭი. არა, ბელადობაზე უარი უნდა ვთქვა.

— უარი რომ თქვა, მე რაღა ვქნა, — წაიჩურჩულა თავზარდაცემულმა ღუტამ.

— არაფერი.

— ვეჯავრები. მეც არ ვიცი, რატომ. თავის ნებაზე თუ იქნება მიშვებული... შენ რა გიშავს, შენი ხათრი აქვს. ეგეც არ იყოს... ერთს მოსდებ კიდეც.

— წეღან შენც კარგად მოსდე.

— საყვირიც მე მქონდა და ლაპარაკის უფლებაც, — მშვიდად თქვა ღუტამ.

საიმონი სიბნელეში შეიშმუშნა.

— არა, ისევ შენ იყავი ბელადი.

— შენი ხმა არ გავიგო, ჩურჩუტო საიმონ! რა მოგივიდოდა, რომ გეთქვა, ურჩხული არ არისო?

— მაგ ბიჭის მეშინია, — თქვა ღუტამ, — და ამიტომაც კარგად ვიცი, ვინც არის. ვისიც გეშინია, ის გძულს კიდეც, მაგრამ იმაზე ფიქრს ვერ იშორებ. ხანდახან ვითომ თავს იტყუებ, არც ეგრეა საქმე, არც ისე ცუდი ბიჭიაო, მერე მოიხედავ და ისევ ისეთი გამოგეცხადება, როგორც სინამდვილეშია: ასთმასავით — სუნთქვას გიკრავს, გახრჩობს. ერთ რამეს გეტყვი, რალფ. შენც სძულხარ...

— მე? მე რატომღა?

— არ ვიცი. ჯერ ერთი, ცეცხლის გამო შეუტიე; თან შენ ბელადი ხარ, ის — არა.

— სამაგიეროდ, ის... ის ჯეკ მერიდიუა!

— ავადმყოფობისას დიდხანს ვიწექი, მაშინ ბევრ რამეზე ვფიქრობდი. ვიცი ადამიანების ამბავი. ჩემი თავის ამბავიც ვიცი. იმისი ამბავიც. შენ ვერაფერს დაგაკლებს: მაგრამ თუ გადაეღობები, ვინც შენ მოგყვება, იმას დაესხმის თავს. ეს კი მე ვიქნები.

— ღუტა სწორია, რალფ. ან შენ, ან ჯეკი. ხელს ნუ აიღებ ბელადობაზე.

— ჩვენ დინებას მივყვებით და ამასობაში საქმე უკან-უკან მიდის. სახლში ყოველთვის უფროსები გვყავდნენ. თუ შეიძლება, სერ; თუ შეიძლება, მის; პასუხსაც ვიღებდით. ნეტავ ახლაც ასე ვიყოთ!

— ნეტავ დეიდაჩემი აქ იყოს!

— ან ნეტავ მამაჩემი... ეჰ, რაც არის, არის!

— ცეცხლი არ უნდა ჩაგვიქრეს.

ცეკვა დასრულდა. მონადირეები ქოხებში ბრუნდებოდნენ.

— უფროსებმა ყველაფერი იციან, — თქვა ღუტამ. — სიბნელის არ ეშინიათ. ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ჩაის დალევდნენ, იმსჯელებდნენ. ყველაფერი რიგზე იქნებოდა...

— კუნძულზე ხანძარს არ გააჩენდნენ. იმასაც არ დაკარგავდნენ...

— გემს ააშენებდნენ.

იდგა სამი ბიჭი სიბნელეში და ამაოდ ცდილობდა, გადმოეცა უფროსების ცხოვრების დიდებულება.

— არ იჩხუბებდნენ...

— არც სათვალეს გამიტეხავდნენ...

— არც ურჩხულზე ილაპარაკებდნენ...

— ჩვენთვის რამის შეტყობინება რომ შეეძლოთ, — წამოიძახა სასოწარკვეთილმა რალფმა, — ან რამე მოზრდილთა შესაფერისის გამოგზავნა რომ შეეძლოთ... ნიშნის მოცემა.

უცებ წყვდიადიდან ისეთი სისხლისგამყინავი მოთქმა გაისმა, რომ ბიჭებმა ერთმანეთს სტაცეს ხელები და ჩაეხუტნენ. მერე ხმა თითქოს მიწას მოსწყდა, მოშორდათ და სადღაც ზემოთ გაურკვეველ ბურტყუნში გადაიზარდა. პერსივალ უიმზ მედისონი, მცხოვრები მღვდლის სახლში, ჰარქერთ

სენტ-ენტონიში, მაღალ ბალახში იწვა და იმ ვითარებაში ცხოვრობდა, სადაც უძლური ხდებოდა ისეთი შელოცვაც კი, როგორიც მშობლიური სახლის მისამართია.

თავი მეექვსე

ურჩხული ციდან ჩამოდის

წყვდიადში მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებდა. როცა მიხვდნენ, ის გამყინავი ხმა საიდან მოდიოდა და პერსივალიც ჩაწყნარდა, რალფმა და საიმონმა მოუხერხებლად ასწიეს პატარა და ქოხისკენ წაიყვანეს. ყოჩაღი სიტყვების მიუხედავად, ღუტა კუდში მისდევდათ და სამი უფროსი ბიჭი ქოხში ერთად შეძვრა. მოუსვენრად იწვნენ, ხმელ ფოთლებს შრაშუნი გაჰქონდა, იწვნენ და ლაგუნის მხარეს ვარსკვლავებიანი ცის ნაჭერს გაჰყურებდნენ. დროდადრო მეზობელ ქოხებში პატარები წამოიყვირებდნენ, ერთხელ უფროსი ბიჭი ალაპარაკდა სიბნელეში. მერე ამათაც დაიძინეს.

ჰორიზონტს იქით ვერცხლისფერი მთვარე ამოვიდა — ისეთი პატარა, რომ წყლის თავზე გადმომდგარიც კი ვერ ტოვებდა განათებულ ბილიკს. მაგრამ ცა სხვაგვარმა შუქმაც გაანათა, ეს შუქი სწრაფად მოძრაობდა, ციმციმებდა, ქრებოდა, მაგრამ ათიოდე მილის სიმაღლეზე გამართული ბრძოლის ხმა ჰაერში იკარგებოდა და მიწამდე სუსტი ტკაცუნიც კი ვერ აღწევდა. მოზრდილების სამყაროდან ნიშანი მოვიდა, მაგრამ იმ დროს არც ერთ ბავშვს არ ეღვიძა, რომ ეს ნიშანი დაენახა. უეცრად ცა კაშკაშა აფეთქებამ წამით გაანათა და მერე ზამბარასავით დახვეულმა ზოლმა გადაიქროლა. კუნძულის თავზე ლაქა გამოჩნდა — პარაშუტზე ჩამოკონწიალებული ფიგურა ნელა ეშვებოდა. სხვადასხვა სიმაღლეზე მქროლავი ცვალებადი ქარი თავის ნებაზე აფრიალებდა. მერე, სამი მილის სიმაღლეზე, ქარმა ერთი მიმართულებით დაუბერა, დაღმავალი მოსახვევებით მოატარა ცა და რიფისა და ლაგუნის გავლით, მთისკენ გააფრიალა. ფიგურა დაეცა და ფერდობზე, ლურჯ ყვავილებში ჩაემხო, მაგრამ იქაც უბერავდა, პარაშუტი ატკაცუნდა, აფართხალდა და აიწია. ასე რომ, ფიგურა მთაზე აფრიალდა, ფეხები უკან რჩებოდა და მიწაზე მისთრევდა. იარდს იარდი მოჰყვებოდა, ბიძგს — ბიძგი, ქარმა ფიგურა ლურჯი ყვავილების გავლით გადაათრია ლო-

დებსა და წითელ ქვებზე და ბოლოს, პარაშუტი მთის წვერზე, დამსხვრეულ ლოდებში გაიხლართა. აქ ქარმა ერთი მძლავრად წამოუბერა, პარაშუტის ზონრები ერთმანეთში აბურდა; ზონრებით გაკოჭილი ფიგურა ჩაჯდა, ჩაფხუტიანი თავი მუხლებში ჩარგო. ქარის ყოველ დაბერვაზე ზონრები იჭიმებოდა და ხანდახან პარაშუტისტს ისე ააწევინებდა თავს, მხრებში ისე შლიდა, თითქოს მთის იქით უნდა გადახედვაო. მერე, როგორც კი ქარი კლებულობდა, ზონრები ისევ მოეშვებოდა, ფიგურა ისევ წინ იხრებოდა და თავს მუხლებში რგავდა. ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ფიგურა მთის წვერზე იჯდა, მოიხრებოდა, გასწორდებოდა, ისევ მოიხრებოდა.

რიჟრაჟში მთის ძირას, კლდის შორიახლოს, ხმები გაისმა. მოგროვილი ფიჩხიდან და ხმელი ფოთლებიდან ორი ბიჭი გამოძვრა, ორი დაბინდული ჩრდილი ნამძინარევი ხმით ელაპარაკებოდა ერთმანეთს. ტყუპები იყვნენ, კოცონთან მორიგეობდნენ. თეორიულად ერთს უნდა სძინებოდა და მეორეს ეფხიზლა. მაგრამ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად ვერაფერს ვერ ართმევდნენ თავს, და რაკიღა მთელი ღამე სიფხიზლე შეუძლებელი იყო, ორივე დასაძინებლად წავიდა. ახლა, მთქნარებით, თვალების ფშვნეტითა და ჩვეული ნაბიჯით გაემართნენ ჩანავლული სასიგნალო კოცონისკენ. ადგილზე მისულებმა მთქნარება შეწყვიტეს და ერთი მათგანი ფიჩხისა და ფოთლების მოსატანად გაიქცა.

მეორემ ჩაიმუხლა.

— მგონი, ჩაქრა, ხომ იცი.

ჯოხით გაჩხრიკა ნაცარი.

— არა.

გაწვა, ნაცარს ტუჩები ლამის დაადო და ფრთხილად შეუბერა. ბინდბუნდში მისი წითლად განათებული სახე გამოჩნდა. წუთით ბერვა შეწყვიტა.

— სემ... მომაწოდე ერთი...

— ...დამპალი ჯოხი.

ერიკი ისევ დაიხარა და ისევ ფრთხილად დაუწყო ბერვა. მანამ უბერა, სანამ ნაკვერცხალი არ გაღვივდა. სემმა გახურებულ ადგილს ჯერ დამპალი ჯოხი დაადო, მერე — ტოტი. სიმხურვალემ იმატა, ტოტს ცეცხლი მოეკიდა, სემმა ტოტები დაამატა.

— ბევრს ნუ დააწყობ, — უთხრა ერიკმა, — მაგდენი არ სჭირდება.

— გავთბეთ ერთი.

— მერე მეტი შეშა გვექნება მოსატანი.

— მცივა.

— მეც.

— ეგეც არ იყოს...

— ...ბნელა. კარგი, შეუკეთე.

ერიკი ისევ ჩაცუცქდა. უყურებდა, როგორ დასტრიალებდა სემი ცეცხლს. ხმელი ნაფოტებისგან პაწაწინა კარავი დადგა და ცეცხლი მშვიდად მოედო შეშას.

— აღარაფერი აკლდათ.

— ცოტაც და...

— ცოფიანია.

— ჰო.

ტყუპები რამდენიმე წუთს უხმოდ შეჰყურებდნენ ცეცხლს. მერე ერიკმა ჩაიფრუტუნა.

— მაგრა გაცოფდა, არა?

— იმ ამბავზე...

— ცეცხლზე და ღორზე.

— კიდევ კარგი, ჩვენს მაგივრად ჯეკს მოხვდა.

— ჰო. გახსოვს სკოლაში ბებერი ცოფიანი?

— ბიიჭებო — თქვეენ — თანდათანობით — მააგიჟებთ!

ტყუპებმა ერთი სიცილით გაიცინეს, მერე სიბნელე და სხვა რამეები გაახსენდათ და აწრიალებულებმა მიიხედ-მოიხედეს, თვალი ისევ პაწაწინა კარავზე მოდებულმა ალმა მოსტაცათ. ერიკი თვალს ადევნებდა, როგორ გარბი-გამორბოდნენ დაფეთებული ხის ჭიები, ვერაფრით რომ ვერ ახერხებდნენ ცეცხლიდან თავის დაღწევას და ამ სურათმა ის პირველი ხანძარი გაახსენა — ქვემოთ, მთების ციცაბო ფერდობებზე, სადაც ახლა სრული სიბნელე იდგა. არ სიამოვნებდათ ამის გახსენება. მთის წვერს გახედა.

სახეზე სითბო მოადგა და ესიამოვნა. სემი თავშესაქცევად ტოტებს ცეცხლში რაც შეიძლებოდა ახლო-ახლოს აწყობდა. ერიკი ხელისგულებს ცეცხლს უფიცხებდა და იმ ადგილს ეძებდა, სადაც სიცხე ლამის აუტანელი გახდებოდა. ზანტად გაიხედა ცეცხლს იქით, დამსხვრეულ ლოდებს თანდათანობით ადნებოდა ჩრდილები და მათ ადგილს მზის სხივებით განათებული კონტურები იკავებდა. აქიდან დიდი კლდე ჩანდა, მერე სამი ქვა, მერე დაშლილი კლდე, და მერე, კიდევ უფრო შორს... შორს...

— სემ!
— რა იყო?
— არაფერი.
ალი ტოტებს ედებოდა, ქერქი იკლაკნებოდა და ფერფლად ცვიოდა. შეშა ტკაცუნით სკდებოდა. ნაფოტების კარავი შიგნით ჩაიშალა და მთის წვერზე მოზრდილი წრე გაანათა.
— სემ...
— ჰა, რა იყო?
— სემ! სემ!
სემმა გაღიზიანებულმა გამოხედა. ერიკი თვალს არ აშორებდა რაღაცას სემის ზურგს უკან და ბიჭს მიხედვისა შეეშინდა. ცეცხლს ფორთხვით შემოუარა გარშემო, ერიკის გვერდით დაცუცქდა და თვითონაც გაიხედა. ერთმანეთს ხელი სტაცეს და გაშეშდნენ. ორი გაყინული, ერთ წერტილს მიშტერებული მზერა. ორი დაღებული პირი.
შორს, ქვემოთ, ტყემ ამოიოხრა და აგუგუნდა. ორივეს შუბლზე თმა აუფრიალდა, ცეცხლის ენებს ქარმა წამოუქროლა, დაუბერა და გაფანტა. ბიჭებისგან თხუთმეტი იარდის მანძილზე ქარით გაბერილი ქსოვილის ტკაცუნი გაისმა.
ორივე ხმაგაკმენდილი იჯდა, ოღონდ კიდევ უფრო მოუჭირეს ხელები ერთმანეთს და ყბები ჩამოუცვივდათ. ათიოდე წუთი ასე იყვნენ მოკუნტულები; აბორგებული კოცონიდან მთის წვერისკენ კვამლი, ნაპერწკლები და ცეცხლის ენები მოექანებოდა და იქაურობას ანათებდა.
მერე ერთ, თავზარდაცემულ არსებასავით გადაძვრნენ კლდეებზე და მოკურცხლეს.

რალფი სიზმარს ხედავდა. ლამის რამდენიმე საათი ხმაურით იწრიალა ხმელ ფოთლებში, ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა. მეზობელ კარვებში კოშმარებით აყვირებული ბავშვების ხმებიც კი აღარ ესმოდა, რადგან ახლა იქ იყო, საიდანაც მოვიდა — ბაღში, ღობიდან პონებს შაქარს აჭმევდა.
მერე ვიღაცამ მკლავზე ხელი მოჰკიდა, შეაჯანჯღარა და უთხრა, ჩაის დალევის დროაო.
— რალფ! გაიღვიძე!
ფოთლები ზღვასავით შრიალებდა.
— რალფ, გაიღვიძე!
— რა მოხდა?

— დავინახეთ...
— ...ურჩხული...
— ...აშკარად!
— ვინა ხართ? ტყუპები?
— ურჩხული დავინახეთ...
— წყნარად! ღუტა!
ფოთლები ისევ შრიალებდა. ღუტა პირდაპირ შეასკდა რალფს, რადგან ის უკვე ფერმიხდილი ვარსკვლავებიდან შემოსული შუქისკენ გავარდა. ტყუპებმა ხელი სტაცეს:
— გარეთ არ გახვიდე... საშინელი რამეა!
— ღუტა... სად არის შუბები?
— რაღაც ხმა მესმის...
— წყნარად! დაწექით და არ გაინძრეთ!
გასუსულები იწვნენ, ჯერ არ სჯეროდათ, მაგრამ მერე შეძრწუნებულები უსმენდნენ სუნთქვაშეკრული ტყუპების ჩურჩულს, რომელსაც დროდადრო სამარისებური დუმილი ენაცვლებოდა. მალე სიბნელე კლანჭებით აივსო, რაღაც უცნობითა და იდუმალით აივსო, ბიჭებს რომ ემუქრებოდა. ალიონი უსასრულოდ ნელა ახუნებდა ვარსკვლავებს, და ბოლოს, დაღვრემილმა და ნაცრისფერმა შუქმა, როგორც იქნა, ქოხშიც შემოაღწია. თანდათანობით ამოძრავდნენ, თუმცა ქოხს გარეთ ისევ უსაშველოდ სახიფათო სამყარო ელოდათ. სიბნელის ლაბირინთში უკვე გაარკვევდი ახლოს და შორეთს, მაღლა, ცაში, ღრუბლის ფთილები ფერმა გაათბო. რომელიღაც ზღვის ფრინველი მჭახე ყივილით აფრთხიალდა, ექო გამოეხმაურა და ტყეში რაღაც აჭყივლდა. ჰორიზონტთან აჭრილი ღრუბელი ვარდისფრად აელვარდა. პალმების გაფოთლილი კენწეროები მწვანედ ხასხასებდა.
რალფმა ქოხის კართან ჩაიმუხლა, თავი გამოჰყო და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა.
— სემდერიკ. ყველას კრებაზე დაუძახეთ. წყნარად. წადით.
აკანკალებულმა, ხელჩაკიდებულმა ტყუპებმა როგორც იქნა, გაბედეს რამდენიმე იარდზე გახოხება, მეზობელ ქოხში შეცვივდნენ და საზარელი ახალი ამბავი გაავრცელეს. რალფმა გადაწყვიტა, ღირსება არ დაეკარგა, ადგა და ბაქნისკენ გაემართა, მაგრამ მუხლები უკანკალებდა. ღუტა და საიმონი უკან მიჰყვებოდნენ, მერე დანარჩენები მიიძურწებოდნენ.
რალფმა გაპრიალებული ხიდან საყვირი ჩამოხსნა და ტუ-

ჩებთან მიიტანა, მაგრამ გადაიფიქრა. ნიჟარა უხმოდ ასწია და ამის მიზეზს ყველა მიხვდა.

ჰორიზონტიდან მარაოსავით გადაშლილმა სხივებმა ახლა მიწაზე გადმოინაცვლეს. რალფმა წუთით გახედა ოქროსფერ ზოლს, მარჯვნიდან რომ ანათებდათ, თანდათანობით მატულობდა და თითქოს უადვილებდა სიტყვის თქმას. მის გარშემო შემოხვეულ ბიჭებს ყალყზე შემდგარი სანადირო შუბები ეჭირათ.

საყვირი ერიკს გადასცა. ტყუპებიდან ის უფრო ახლოს იდგა.

— ურჩხული საკუთარი თვალით ვნახეთ. არა... არ გვეძინა.

სემმა სიტყვა ჩამოართვა. ჩვეულებისამებრ, საყვირის დაჭერის უფლებით ტყუპები ერთდროულად სარგებლობდნენ, რადგან ყველა აღიარებდა მათ განუყრელობას.

— ბანჯგვლიანი იყო. თავს უკან რაღაც მოძრაობდა — მე მგონი, ფრთები. თვითონაც მოძრაობდა.

— საშინელება იყო. ეტყობა, დაჯდა და...

— ცეცხლი გიზგიზებდა...

— ის-ის იყო, დავანთეთ...

— ...შევუკეთეთ...

— ისეთი თვალები აქვს...

— კბილები...

— კლანჭები...

— ისე მოვკურცხლეთ...

— ხან რას ვეჯახებოდით, ხან რას...

— ურჩხული გამოგვეკიდა...

— დავინახე, ხეებს ეფარებოდა...

შეშფოთებულმა რალფმა ერიკს ეკლებით დაკაწრულ სახეზე მიუთითა:

— ეგ როგორ დაგემართა?

ერიკმა ახლაღა იგრძნო, რომ სახეზე რაღაც სჭირდა.

— სულ დაჩეხილი ვარ. სისხლი მომდის?

გარს შემოხვეულმა ბიჭებმა თავზარდაცემულებმა დაიხიეს უკან. ნამძინარევ ჯონის უეცრად ხმამაღალი ტირილი წასკდა, ბილმა მანამ უტყაპუნა ზურგზე ხელი, სანამ პატარა არ დაწყნარდა. კაშკაშა დილა ახლა ხიფათით იყო სავსე და წრემ თანდათანობით პირი იბრუნა. ბიჭები ახლა უფრო აქეთ-იქით ითვალიერებოდნენ, ვიდრე წრეში, წამახული ხის შუბები ღობეს დაემგვანა. ჯეკმა ისევ წრისკენ შემოატრიალა ბიჭები.

— ეს ნამდვილი ნადირობა იქნება! ვინ წამოვა?

რალფი შეშფოთებით შეიშმუშნა.

— ეგ შუბები ხისაა. ნუ სულელობ.

— შეგეშინდა? — გამომწვევად შესცინა ჯეკმა.

— რა თქმა უნდა, შემეშინდა. ვის არ შეეშინდებოდა.

და უიმედოდ მიუბრუნდა ტყუპებს:

— ხომ არ გვასულელებთ, ჰა?

ისე აღელვებულებმა უპასუხეს, რომ საეჭვო აღარაფერი იყო.

ღუტამ საყვირი გააქნია.

— არ შეიძლებოდა, რომ... ვთქვათ... აქ დავრჩენილიყავით? იქნებ ურჩხული არც მოგვიახლოვდეს.

რალფი თავს ვერ შეიკავებდა და უყვირებდა, ისეთი გრძნობა რომ არ ჰქონოდა, რომ ვიღაც უთვალთვალებდა.

— აქ დავრჩეთ? ამ ერთი ბენო კუთხეში შევიკუნჭოთ და სულ ვიღაცას ვდარაჯობდეთ? საჭმელი როგორ ვიშოვოთ? ცეცხლს რა ვუყოთ?

— აბა, დავიძრათ, — მოუთმენლად თქვა ჯეკმა, — დროს ვკარგავთ.

— არ ვკარგავთ. პატარებს რა ვუყოთ?

— ვინმემ უნდა მიხედოს.

— აქამდე არავის მიუხედავს.

— აქამდე არ იყო საჭირო! ახლა საჭიროა. ღუტა მიხედავს.

— სწორია. არაფერი მოუვიდეს შენს ღუტას.

— იფიქრე, რას ამბობ. რა შეუძლია ცალთვალა ღუტას?

დანარჩენები ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ ხან რალფს, ხან ჯეკს.

— და კიდევ ერთი. ჩვეულებრივი ნადირობა არ ივარგებს, რადგან ურჩხული ნაკვალევს არ ტოვებს. ასე რომ არ იყოს, აქამდე მის ნაკვალევს სადმე ნახავდით. როგორც ვიცი, ურჩხული ხიდან ხეზე გადადის უხსენებელივით.

თავი დაუქნიეს.

— ასე რომ, უნდა მოვიფიქროთ.

ღუტამ გატეხილი სათვალე მოიხსნა და გადარჩენილი მინა გაწმინდა.

— რალფ, მერე ჩვენ?

— საყვირი არ გიჭირავს. აჰა, გამომართვი.

— იმას ვამბობ... ჩვენ რა ვქნათ? ვთქვათ, ურჩხული მოვი-

და, როცა აქ არ იქნებით. მე წესიერად ვერ ვხედავ, და თუ შემეშინდა...

ამრეზილმა ჯეკმა შეაწყვეტინა.

— შენ ყოველთვის გეშინია.

— საყვირი მე მაქვს...

— საყვირი! საყვირი! — აღრიალდა ჯეკი. — საყვირი აღარ გვჭირდება. ისედაც ვიცით, ვინ უნდა ლაპარაკობდეს. რა გვარგო საიმონის ან ბილის ან უოლტერის ლაპარაკმა? უკვე დროა, ვიღაცეები გაჩუმდნენ და დანარჩენებს გვაცალონ გადაწყვეტა...

რალფს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. სახეზე სისხლი მოაწვა.

— შენ საყვირი არა გაქვს, — უთხრა ჯეკს, — დაჯექი.

ჯეკი მიტკალივით გაფითრდა, ჭორფლები მკაფიოდ დაეტყო, ყავისფერი ჭორფლები. ტუჩები დაისველა. არ დაჯდა.

— ...ეს მონადირეების საქმეა.

დანარჩენები გაფაციცებულები იდგნენ. ღუტამ უხერხულად იგრძნო თავი, შეცბა, საყვირი რალფს დაუდო მუხლებზე და დაჯდა. დამთრგუნველი სიჩუმე ჩამოვარდა. ღუტა სუნთქვაშეკრული იჯდა.

— ეს მარტო მონადირეების საქმე აღარ არის, — თქვა ბოლოს რალფმა, — იმიტომ, რომ ურჩხულს კვალში ვერ ჩავუდგებით. არ გინდა, რომ გადაგვარჩინონ?

შეკრებილებს მიუტრიალდა:

— არ გინდათ, რომ გადაგვარჩინონ?

ჯეკს შეხედა.

— ვამბობდი, ცეცხლი ყველაზე მნიშვნელოვანია-მეთქი. ახლა ცეცხლი ჩამქრალი იქნება...

იმ ძველმა ბრაზმა უშველა და შეტევის ძალა შემატა.

— ვინმე რამეს ფიქრობს თუ არა? ცეცხლი ისევ უნდა დავანთოთ. ეს არასდროს არავის არ გახსოვთ. ჯეკ, შენ გახსოვდა? თუ არც ერთს არ გინდათ, რომ გადაგვარჩინონ?

დიახ, უნდოდათ გადარჩენა, ეს უეჭველი იყო; კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ყველა რალფის მხარეს და დაძაბულობა განელდა. ღუტამ შვებით ამოისუნთქა და სტვენა ამოაყოლა, ისევ ჩაისუნთქა, სული შეუგუბდა. მორზე გადაქანდა, პირი დააღო და ტუჩებთან ლურჯი ჩრდილი მიეპარა. არავის არ მიუქცევია ყურადღება.

— ახლა დაფიქრდი, ჯეკ. კუნძულზე არის ისეთი ადგილი, სადაც არ ყოფილხარ?

— ერთი... — უხალისოდ უპასუხა ჯეკმა, — ჰო, რასაკვირველია! გახსოვს? კუდწაგრძელებული ადგილი, ლოდები ერთად რომ არის მიყრილი. იქვე, ახლოს, ნამყოფი ვარ. კლდისგან რაღაც ხიდივითაა გაკეთებული. ის ერთადერთი ასასვლელია.

— ალბათ ისიც იქ ცხოვრობს.

ყველა ერთად ალაპარაკდა.

— ჩუმად! კარგი, მოვძებნოთ. ურჩხული იქ თუ არ დაგვხვდა, მთაზე ავიდეთ, და გავიხედოთ. ცეცხლსაც დავანთებთ.

— წავიდეთ.

— ჯერ ვჭამოთ. მერე წავიდეთ.

რალფი შეყოვნდა:

— შუბების წაღება აჯობებს.

ჭამის შემდეგ რალფი უფროსებთან ერთად გაუყვა ნაპირს. ღუტა ბაქანზე დატოვეს. სხვა დღეებივით, ეს დღეც მზის აბაზანას ჰპირდებოდათ ლურჯი თაღის ქვეშ. მათ წინაშე ნაპირი შორს გაჭიმულიყო მოხდენილ რკალად, მერე ტყეს უერთდებოდა; დღეს ჯერ არ ჩამოეშვა მირაჟის ცვალებადი პირბადე. ბიჭები რალფს მიჰყვებოდნენ, ფრთხილად მიდიოდნენ პალმებიანი ტერასის გასწვრივ, წყლის პირას, მხურვალე ქვიშაზე ჩასვლას ვერ ბედავდნენ. რალფმა წინ ჯეკი გაიძღოლა და ისიც თეატრალური სიფრთხილით მიაბიჯებდა, თუმცა მტერი რომ გამოჩენილიყო, ორი იარდიდანაც დაინახავდნენ. რალფი უკან მიჰყვებოდა და მადლიერიც იყო, რომ ცოტა ხნით პასუხისმგებლობა სხვას გადააბარა.

რალფის წინ მიმავალ საიმონს ეჭვი ღრღნიდა — კლანჭებიანი ურჩხული, რომელიც იკაწრებოდა, მთის წვერზე იჯდა, ნაკვალევს არ ტოვებდა და სემდეკრს მაინც ვერ დაეწია. საიმონი ამ ურჩხულზე ფიქრისას შინაგანი წარმოსახვით ადამიანს ხედავდა — გმირსა და სნეულს.

ამოიოხრა. სხვებს შეუძლიათ, კრებაზე ადგნენ და ნათლად ილაპარაკონ, საშინელი მორცხვობის გარეშე; შეუძლიათ, ისე თქვან სათქმელი, თითქოს ერთ კაცს მიმართავენ. საიმონმა ნაბიჯი განზე გადგა და უკან მოიხედა. რალფი მშვიდად მოაბიჯებდა, შუბი მხარზე ჰქონდა გადებული. დარცხვენილმა საიმონმა ნაბიჯი შეანელა, რალფს დაუცადა, გვერდით გაჰყვა და

თვალებზე ჩამოშლილი შავი თმიდან ახედა, რალფმა მზერა შეაგება, ნაძალადევად გაუღიმა, თითქოს დაავიწყდა, საიმონმა წინა დღეს თავი რომ გაისულელა, მერე ისევ განზე გაიხედა, ცარიელი თვალები ჰქონდა. ერთი-ორი წუთი საიმონს უხაროდა, რომ ხელი არ ჰკრეს, მერე საკუთარ თავზე ფიქრი შეწყვიტა. ხეს რომ დაეჯახა, რალფმა გაღიზიანებულმა განზე გაიხედა და რობერტმა ჩაიფხუკუნა. საიმონი მიტრიალდა, შუბლი გაუწითლდა და სისხლმა გამოჟონა. რალფმა საიმონს თავი ანება და საკუთარ ჯოჯოხეთს მიუბრუნდა. როცა იქნება, ციხე-კოშკს მიუახლოვდებიან და მაშინ ბელადი წინ უნდა წავიდეს.

ჯეკმა უკან მოირბინა:

— ცოტაღა დარჩა.

— კეთილი. რაც შეიძლება, მივუახლოვდეთ.

ჯეკის კვალდაკვალ შეუდგა აღმართს ციხე-სიმაგრისკენ. მარცხნივ გაუვალი ადგილები იყო — ლიანები და ხეები ერთმანეთში აბურდულიყვნენ.

— რატომ არ შეიძლება, სულაც იქ იყოს?

— იმიტომ, რომ შევნიშნავდით. აქ არავინ არც შესულა და არც გამოსულა.

— ვნახოთ.

რალფმა ბალახის ფარდა აქეთ-იქის გადასწია და გაიხედა. ქვიანი გზა სულ რამდენიმე იარდზე გრძელდებოდა, მერე კუნძულის ორი მხარე თითქმის ერთდებოდა, და მოსალოდნელი იყო, რომ აქ წვეტიანი კონცხი დახვედროდათ. მაგრამ ამის ნაცვლად ვიწრო, რამდენიმე იარდის სიგანისა და თხუთმეტიოდე იარდის სიგრძის კლდე კუნძულს ებმოდა და ზღვაში გადიოდა. აქვე ჩანდა იმ ვარდისფერი ოთხკუთხედების კიდევ ერთი ნაწილი, კუნძული რომ ეყრდნობოდა. აქ, ციხე-სიმაგრის დაახლოებით ასი ფუტი სიმაღლის მხარეს, ის ვარდისფერი ბასტიონი იყო, მთის წვერიდან რომ დაინახეს. დამსკდარი კლდის თავზე უზარმაზარი ლოდები ეყარა.

რალფის ზურგს უკან მაღალი ბალახი მდუმარე მონადირეებით იყო სავსე. რალფმა ჯეკს შეხედა.

— შენ მონადირე ხარ.

ჯეკი გაწითლდა.

— ვიცი. აბა, წავედი.

რალფს გულის სიღრმიდან ამოსულმა რაღაცამ ათქმევინა:

— მე ბელადი ვარ. მე წავალ, ახლა კამათი არ დამიწყო.

დანარჩენებს მიუბრუნდა.

— თქვენ აქ დაიმალეთ და დამელოდეთ.

მიხვდა, რომ ხმა ან ჩაუწყდებოდა, ან პირიქით, აყვირდებოდა. ჯეკს შეხედა.

— შენ გგონია...

— ყველგან ნამყოფი ვარ. — ჩაიბუტბუტა ჯეკმა, — აქ უნდა იყოს.

— გასაგებია.

— მე არა მჯერა მაგ ურჩხულის, — უხერხულად ამოღერღა საიმონმა.

რალფმა ისე თავაზიანად უპასუხა, თითქოს ამინდზე საუბრობდნენ.

— ჰო, მეც ეგრე მგონია.

ტუჩები დაუწვრილდა და გაუფითრდა. ძალიან ნელა გადაიწია თმა.

— კარგი. აბა, ჯერჯერობით.

თავს ძალა დაატანა, რომ ფეხი გადაედგა. ასე, ძლივძლივობით მიაბიჯებდა, სანამ ვიწრო ადგილას არ გავიდა.

ყოველი მხრიდან გაშლილი სივრცე ერტყმოდა. გზის გაგრძელება რომც არ ყოფილიყო საჭირო, ვერსად დაიმალებოდა. ვიწრო გასასვლელში შეყოვნდა და ქვემოთ ჩაიხედა. საუკუნეებით თუ ავითვლიდით, მალე წყალი ციხე-სიმაგრესაც კუნძულად აქცევდა. მარჯვნივ ლაგუნას ზღვა არხევდა, მარცხნივ კი ...

რალფი აიწურა. ლაგუნა წყნარი ოკეანისგან იცავდათ. რატომღაც მხოლოდ ჯეკი ჩადიოდა წყალთან მეორე მხრიდან. ახლა სადამდეც თვალი მისწვდებოდა, უფსკრულში ჩაიხედა. ეს უფსკრული თითქოს სუნთქავდა — ვეება არსებასავით. წყალი ნელა იხევდა უკან, კლდეებს შორის და გრანიტის ვარდისფერი ფილები, უცნაურად ამოზრდილი მარჯანი, წყალმცენარეები ჩანდა. ქვემოთ, სულ ქვემოთ, ხის კენწეროებში დაბერილი ქარივით ჩურჩულებდა წყალი. ერთი ბრტყელი ლოდი მაგიდას ჰგავდა, წყალი ქვემოდან უვლიდა ოთხ ლერწმიან მხარეს და ამ გვერდებს პატარა კლდეებს ამსგავსებდა. მერე მძინარე ლევიათანმა ამოისუნთქა, წყალმა აიწია, ლერწმები შეირხა და წყალი მდულარესავით ამობუყბუყდა გრანიტის მაგიდაზე. ტალღები აქ თითქოს ზედ კი არ უვლიდნენ, მხოლოდ წუთით ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ, ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ.

რალფი წითელი კლდისკენ მიტრიალდა. უკან, მაღალ ბალახში, ბიჭები იცდიდნენ, თვალს ადევნებდნენ, რას იზამდა. ხელისგულები ცივი ოფლით დაუსველდა; გაკვირვებული მიხვდა, რომ სინამდვილეში სულაც არ ელოდა ურჩხულთან შეხვედრას, და თუ მართლა შეხვდებოდა, არც იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

კლდეზე აცოცება შეეძლო, მაგრამ ეს აუცილებელი არ იყო. ოთხკუთხედ კლდეს გარშემო სწორი შვერილი უვლიდა, ასე რომ, მარჯვნივ, ლაგუნის თავზე შეიძლებოდა ამ შვერილზე გაგევლო და კუთხეს მოფარებოდი. ადვილი გასავლელი გზა იყო, მალე კლდეს შემოუარა და ახედა.

მოულოდნელი აქ არაფერი დახვდა: ვარდისფერ, ჩამოშლილ ლოდებს ზღვის ფრინველების სკორე თეთრი მინანქარივით ეფინებოდა; ციცაბო ფერდობი ადიოდა ბასტიონზე დაყრილი, დამსხვრეული ლოდებისკენ.

ფაჩუნზე მოტრიალდა, შვერილზე ჯეკი მოცოცავდა.

— მარტო ხომ ვერ გამოგიშვებდი.

რალფს ხმა არ ამოუღია. კლდეებში გავიდა, პატარა გამოქვაბული დაათვალიერა — ყველაზე საშინელი, რაც იქ დახვდა, რამდენიმე ლაყე კვერცხი იყო, მეტი არაფერი. ბოლოს რალფი დაჯდა, მიიხედ-მოიხედა და შუბის წვერით კლდეზე დააკაკუნა.

ჯეკი აღტაცებული იყო.

— რა ადგილია ციხე-სიმაგრისთვის!

შხეფებმა დაასველა.

— სასმელი წყალი არ არის.

— მაშ ეს რაღაა?

კლდეზე, ზემოთ, მართლაც რაღაც მწვანე ლაქა ჩანდა. აცოცდნენ და წამოწანწკარებული წყალი გასინჯეს.

— ქოქოსის ნაჭუჭი უნდა მიუდგა და სულ სავსე გექნება.

— დიდი მადლობა. უვარგისი ადგილია.

გვერდიგვერდ აიარეს ბოლო აღმართიც, კლდის დავიწროებულ წვერს დამტვრეული ლოდი აგვირგვინებდა. ჯეკმა ხელი ჰკრა და ქვა ოდნავ გაჭრიალდა.

— გახსოვს...

ორივემ მათ შორის გაჩენილ შუღლზე იფიქრა. ჯეკმა სხაპასხუპით მიაყარა.

— აქ პალმა უნდა შევუყენოთ და მტერი თუ მოგვიახლოვდება... შეხედე!

ასიოდე ფუტით ქვემოთ ვიწრო დამბა იყო. მერე ქვიანი მინა, მერე ბალახები — წვერები წერტილებივით რომ უჩანდათ, და უკან — ტყე.

— ერთს დააწვები და... ჰერიი! — წამოიძახა აღტაცებულმა ჯეკმა.

ხელი მოიქნია. რალფი მთისკენ იყურებოდა.

— რა მოხდა?

რალფი მოუბრუნდა:

— რაზე მეკითხები?

— რაღაც... უცნაურად იყურები.

— სიგნალი არ არის! ვერავინ დაგვინახავს.

— სულ გაგაგიჟა ამ სიგნალმა?

— სხვა რა გვიშველის.

შუბი ყანყალა ლოდს მიაყუდა და ორივე ხელით გადაიწია თმა.

— უკან უნდა დავბრუნდეთ და მთაზე ავიდეთ. იქიდან დაინახეს ურჩხული.

— იქ აღარ იქნება.

— აბა, სხვა რა ვქნათ?

ბალახში ჩამსხდარმა ბიჭებმა ჯეკი და რალფი საღ-სალამათები რომ დაინახეს, სამალავი მიატოვეს და მზის სინათლეზე გამოვიდნენ. დაზვერვით აღტაცებულებს ურჩხულიც გადაავიწყდათ, ხიდზე გადაირბინეს და ჟივილ-ხივილით დაიწყეს აცოცება. რალფი ცალი ხელით უზარმაზარ წითელ ლოდზე მიყრდნობილი იდგა. ლოდი დამტვრეულ და ხევზე გადაკიდებულ, აყანყალებულ წისქვილის დოლაბს ჰგავდა. ბიჭი დაღვრემილი შეჰყურებდა მთას, შეკრულ მუშტს ურტყამდა მარჯვნივ, წითელ კედელს. ტუჩებმოკუმული იდგა, ჩამოშლილი თმიდან ნაღვლიანად იმზირებოდა.

— კვამლი.

დაშავებული მუშტი მოიწუწნა.

— ჯეკ! წავედით.

მაგრამ ჯეკი არ ჩანდა. შეჯგუფებული ბიჭები, რომელთა ხმაური არც შეუნიშნავს, ლოდს აწვებოდნენ. როცა მიბრუნდა, ლოდი ღრჭიალით დაიძრა და ზღვაში ჩაეშვა, იქიდან შხუილით ამოვარდნილი წყლის სვეტი კლდეს შუამდე მისწვდა.

— გეყოფათ! გეყოფათ!

მისმა ხმამ ყველა უეცრად დაადუმა.

— კვამლი.

თავში რაღაც უცნაური დაემართა. თითქოს შიგნით რაღაცა გაუფრთხიალდა ღამურასავით და აზრი დაუბინდა.

— კვამლი.

მყისვე აზრიც დაუბრუნდა და ბრაზიც.

— კვამლი გვჭირდება. თქვენ კიდევ დროს ჰკარგავთ. ლოდებს აგორებთ.

— ქვეყნის დრო გვაქვს! — იყვირა როჯერმა.

რალფმა თავი გაიქნია.

— მთაზე უნდა წავიდეთ.

ყაყანი ატყდა. ზოგს ნაპირზე დაბრუნება უნდოდა, ზოგს — ქვების დაგორება. კაშკაშა მზემ ბინდთან ერთად ხიფათიც გაახუნა, ძალა დაუკარგა.

— ჯეკ, ურჩხული შეიძლება მეორე მხარეს იყოს. გაგვიძეხი. შენ ხომ ნამყოფი ხარ.

— ნაპირს დავუყვეთ. იქ ხილიც არის.

რალფს ბილი მიუახლოვდა.

— არ შეიძლება, ცოტა ხანს აქ გავჩერდეთ?

— სწორია.

— ციხე-სიმაგრე მოვაწყოთ...

— აქ საჭმელი არ არის, — თქვა რალფმა, — არც ქოხი. სასმელი წყალიც ცოტაა.

— დიდებული ციხე-სიმაგრე გამოვა.

— ქვებს დავაგორებთ...

— პირდაპირ ხიდზე...

— გითხარით, უნდა წავიდეთ-მეთქი! — იყვირა გააფთრებულმა რალფმა. — ყველაფერი უნდა გავარკვიოთ. ახლავე მივდივართ!

— დავრჩეთ...

— ქოხში დავბრუნდეთ...

— დავიღალე...

— არა!

რალფმა ხელზე კანი აიგლიჯა. ტკივილი არც უგრძვნია.

— ბელადი მე ვარ. ყველაფერი უნდა გავარკვიოთ. მთას ვერ ხედავთ? სიგნალი არა ჩანს. ყოველ წუთში შეიძლება, გემმა გამოიაროს. თქვენ რა, ყველამ გააფრინეთ?

აჯანყებული ბიჭები ჩაჩუმდნენ, აქა-იქ ჩურჩულიღა ისმოდა.

ჯეკი კლდეზე დაეშვა და ხიდისკენ გაემართა.

თავი მეშვიდე

ჩრდილები და მაღალი ხეები

ღორების ბილიკი წყლის პირას დახვავებულ ლოდებთან გადიოდა და რალფი კმაყოფილი იყო, რომ ჯეკი მიუძღვებოდათ. თუ მოახერხებდი, წაგეყრუებინა, როგორი ჩუმი შრიალით ლოკავდა და ისევ აწყდებოდა ნაპირს ტალღა, თუ მოახერხებდი, დაგევიწყებინა, როგორი გულისგამაწვრილებელი და აბეზარი გვიმრებით იყო სავსე ორივე მხარე, მაშინ შეიძლებოდა, როგორღაც ამოგეგდო თავიდან ურჩხული და ცოტა ხანს გეოცნება. მზე შუბისტარზე აიწვერა და კუნძულს ნაშუადღევის სიცხე გადაეფარა. რალფმა ჯეკს შეუთვალა და როგორც კი ხიდს მიუახლოვდნენ, მთელი ჯგუფი საჭმელად გაჩერდა.

რალფი იდგა და გრძნობდა, რომ სიცხემ ახლაღა დააჭირა. ზიზღით გაიძრო რუხი პერანგი და იფიქრა, მე მგონი, დროა, ამის გარეცხვა გავბედოო. იჯდა ამ კუნძულისთვისაც კი უჩვეულო სიცხეში და თავის მოწესრიგებაზე ფიქრობდა. კარგი იქნებოდა, მაკრატელი რომ ჰქონოდა და თმა შეეჭრა — ჩამოშლილი თმა უკან გადაიყარა — ამ ტურტლიან თმას სულ გაიკრეჭდა, მხოლოდ ნახევარ დუიმს დაიტოვებდა. კარგი იქნებოდა, ებანავა, როგორც წესია, ისე. ქაფით სავსე აბაზანაში. კბილებზე დაკვირვებით გაისვა ენა და გადაწყვიტა, რომ არც კბილის ჯაგრისი აწყენდა. ახლა კიდევ ფრჩხილები...

რალფმა ხელი გადააბრუნა და ფრჩხილები დაითვალიერა. ბოლომდე მოკვნეტილი ჰქონდა, თუმცა აღარც ის ახსოვდა, როდის დაუბრუნდა ამ ჩვევას, არც ის, როდის მოსწონდა ეს საქმე.

— მალე ცერის წოვასაც დავიწყებ.

უჩუმრად მიიხედ-მოიხედა. ეტყობა, არავის არ გაუგონია. მონადირეები ისხდნენ, მსუბუქი საკვებით იყორავდნენ მუცლებს და ცდილობდნენ, საკუთარი თავი დაერწმუნებინათ, რომ მშვენივრად ჰყოფნიდათ ბანანები და ის რაღაც ზეთისხი-

ლისფერი-მორუხო, ჟელესავით ხილი. როცა გაახსენდა, ადრე როგორი გაკრიალებული დადიოდა, რალფმა ბიჭებიც მოათვალიერა. ჭუჭყიანები იყვნენ, ოღონდ ისე თვალშისაცემად კი არა, როგორც ტალახში ჩავარდნილი ან წვიმიან დღეს წაქცეული ბიჭები. ვერც ერთზე ვერ იტყოდი, შხაპის გარდა ვერაფერი უშველისო, მაგრამ... ალაგ-ალაგ გაბურდულ, უზომოდ ჩამოზრდილ თმაში ხმელი ფოთლები და ჩხირები ჰქონდათ გაჩრილი; სახეები საჭმლითა და ოფლით ჩამორეცხოდათ, მაგრამ აქა-იქ, მოფარებულ ადგილებში, სახეზეც რაღაც ჩრდილივით დასდებოდათ; გაცვეთილი ტანსაცმელი ოფლისაგან ამათაც გახევებული ჰქონდათ, და დეკორისთვის ან მოსახერხებლად კი არ ეცვათ, არამედ ისე — ჩვევის გამო; სხეულზე მარილიანი ნადები გასჩენოდათ...

გულჩაწყვეტილმა აღმოაჩინა, რომ ამ ვითარებას შეეგუა და აღარც ანაღვლებდა. ამოიოხრა, გაკრეფილი ტოტი მოისროლა. მონადირეები უკვე თავიანთ საქმეზე მიიპარებოდნენ ტყეში ან ქვემოთ, კლდეებთან. მოტრიალდა და ზღვას გახედა.

აქ, კუნძულის მეორე მხარეს, სრულიად სხვაგვარი პეიზაჟი იყო. სიფრიფანა, ჯადოსნური მირაჟები ოკეანის ცივ წყალს ვერ უძლებდნენ და ჰორიზონტი მტკიცედ კვეთდა სილურჯეს. რალფი კლდეებისკენ წაბოდიალდა. აქ, ქვემოთ, ლამის ზღვის დონეზე, შეიძლებოდა თვალი გედევნებინა ღრმა წყალში ამობურცული ტალღების უწყვეტი მოძრაობისთვის. უსაზღვრო მანძილზე გადაჭიმულ ზვირთებს არაფერი ეღობებოდა და ზღუდავდა, ტალღები მთელ სიგრძეზე მიჰყვებოდნენ კუნძულს და არაფერს დაგიდევდნენ; არც წინ მიიწევდნენ; უბრალოდ, მთელი ოკეანე აიწევდა და ეშვებოდა, წყალი დგაფუნით გალოკავდა ნაპირს, კლდესთან დაიხევდა, მბრწყინავი თმის მსგავს წყალმცენარეებს ჩამოუვლიდა; მერე შეყოვნდებოდა, ძალას მოიკრებდა, ხმაურით წამოიმართებოდა, დაუოკებლად მიაწყდებოდა პატარა კლდეს, ბოლოს მკლავით მისწვდებოდა ღრმულებს და ააქაფებდა.

რალფი ტალღებს თვალს არ აშორებდა, თვითონაც აჰყვა წყლის აღმა-დაღმა ქანაობას, ვიდრე შორი ზღვის ლივლივმა თვითონაც არ დააბორიალა. მერე ლამის უსაზღვრო ზღვამ ერთი რამ აფიქრებინა. ეს გამყოფი იყო, კუნძულის მეორე მხარეს, შუადღის მირაჟით გაბრუებულს, წყნარ ლაგუნას შეფარებულს, შეიძლებოდა გადარჩენაზე გეოცნება; მაგრამ აქ,

უხეში, უგრძნობი ოკეანის პირისპირ, ყველაფერს მოწყვეტილი, გრძნობდი, რომ ხაფანგში ხარ მომწყვდეული, უმწეო ხარ, განწირული ხარ...

საიმონი ლამის ყურთან აულაპარაკდა. რალფი ახლაღა მიხვდა, რომ ორივე ხელით რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კლდეს შემოხვეოდა, დაგრეხილი იდგა, კისერი გაშეშებოდა, პირი დაეღო.

— ნუ დარდობ, ბოლოს შინ დაბრუნდები.

საიმონი თავს უქნევდა. ცალ მუხლზე იდგა და იმ კლდიდან ჩამოსცექროდა, რომელზეც რალფი ორივე ხელით იყო ჩაბღაუჭებული. მეორე ფეხი რალფის გვერდით ჰქონდა ჩამოკიდებული.

განცვიფრებული და შემცბარი რალფი ცდილობდა, საიმონისთვის სახეზე რამე შეეტყო.

— ძალიან დიდია. იმას ვამბობ, რომ...

საიმონმა თავი დაუქნია.

— სულერთია. აუცილებლად დაბრუნდები. რა ვიცი, მე ასე მგონია.

რალფი მოეშვა. ზღვას გახედა და მწარედ გაუღიმა საიმონს.

— გემი ჯიბეში გყავს?

საიმონმა გაუცინა და თავი გააქნია.

— მაშ, რა იცი?

საიმონმა აღარ უპასუხა.

— გარეკილი ხარ. — ცივად უთხრა რალფმა.

საიმონმა გაშმაგებით გააქნია თავი, უხეში, შავი თმა აქეთ-იქით გაუფრიალდა და სახეზე ჩამოეშალა.

— არა, არა ვარ. უბრალოდ, ვიცი, რომ უეჭველად დაბრუნდები.

ერთხანს ორივე დუმდა, მერე უცებ ერთმანეთს გაუღიმეს. შამბნარიდან როჯერმა დაიძახა:

— მოდით! ნახეთ!

ღორების ბილიკთან მიწა აჩიჩქნილი იყო და განავალს ორთქლი ასდიოდა. ჯეკი დაიხარა და ისე ახლოს მიიტანა სახე, თითქოს ძალიან უყვარდა.

— რალფ... სხვა რამეზე კი ვნადირობთ, მაგრამ ხორცი მაინც გვჭირდება.

— თუ გზა არ გაგვიმრუდდება, ნადირობაც შეიძლება.

ისევ დაიძრნენ. ურჩხულის ხსენებით შეშინებული მონადირეები ერთ ჯგუფად მიაბიჯებდნენ, ჯეკი წინ მიუძღოდათ. უფრო ნელა მიდიოდნენ, ვიდრე რალფი ელოდა, ისე რომ, ერთი მხრივ, ახარებდა კიდეც ასეთი ზოზინი და შუბს მიიქნევდა. ჯეკი რაღაცას წააწყდა, რაც მისი რაზმისთვის საგანგებო აღმოჩნდა და პროცესია გაჩერდა. რალფი ხეს მიეყრდნო, მყისვე ოცნებაში წავიდა. ნადირობაზე ჯეკი აგებდა პასუხს, მთაზე ასვლასაც მოასწრებს...

დიდი ხნის წინ მამას გაჰყვა ჩატემიდან დევენპორტში. ხავსიან ჭაობში, კოტეჯში ცხოვრობდნენ. რალფს სხვაგანაც უცხოვრია, მაგრამ იქაურობა ყველაზე ნათლად დაამახსოვრდა, რადგან მერე სკოლაში გააგზავნეს. მაშინ დედა ჯერ კიდევ მათთან იყო და მამა ყოველდღე მოდიოდა შინ. ბაღის გარშემო შემორტყმულ ქვის ღობესთან ველური პონები იყრიდნენ თავს, თოვდა. კოტეჯის უკან პატარა ქოხი იყო, შეიძლებოდა იქ წამოწოლილიყავი და გეცქირა, როგორ ბარდნიდა. გეყურებინა, ყოველი ფიფქის გადნობისას მიწა როგორ სველდებოდა; დაინახავდი პირველ ფიფქს, რომელიც დაეცა და აღარ დადნა და თვალის მიადევნებდი, როგორ თეთრდებოდა თანდათან მიწა. თუ შეგცივდებოდა, სახლში შეხვიდოდი და იქიდან გამოიხედავდი ფანჯარაში, გვერდით სპილენძის ელვარე ჩაიდანი და ლურჯი კაცუნებით მოხატული თეფში იდგა...

დასაძინებლად რომ წახვიდოდი, საწოლში დატკბილულ ბატიბუტს მოგართმევდნენ, ნაღებთან ერთად. იქ წიგნებიც იყო... საწოლთან ეწყო თაროზე, გვერდზე გადახრილი, რადგან ორი-სამი წიგნი ყოველთვის ზემოდან იდო — თავს არ იწუხებდა, რომ წესიერად დაელაგებინა თავ-თავის ადგილას. გაქექილი, ნახმარი და ერთი — პრიალა, ბრჭყვიალა წიგნი ტოპსისა და მოპსიზე. ამ წიგნს არ გაჰკარებია, რადგან ორ გოგოზე იყო. ერთი წიგნი ჰქონდა — ჯადოქარზე, ამის კითხვისას შიშისგან გული უკანკალებდადა ოცდამეშვიდე გვერდს სასწრაფოდ გადაშლიდა ხოლმე, რადგან იქ საზარელი ობობა ეხატა; კიდევ იმათზე იყო წიგნი, ნივთებს რომ ამოთხრიან ხოლმე, ეგვიპტურ ნივთებს; კიდევ — „წიგნი მატარებლებზე — ბიჭებისთვის“, „წიგნი გემებზე — ბიჭებისთვის“. ცხადად წარმოუდგა თვალწინ; ხელი რომ გაეწია, აიღებდა. იგრძნობ-

და, როგორ უსრიალდებოდა ხელიდან მძიმე და გლუვი „წიგნი მამონტებზე — ბიჭებისთვის“... მაშინ ყველაფერი კარგად იყო; გარშემო მხიარული და გულითადი ადამიანები ჰყავდა.

წინ ბუჩქებმა გაილაწუნა. ბიჭები ბილიკიდან თავპირისმტვრევით და ნიოკით შეცვივდნენ ლიანებში. რალფმა დაინახა, რომ ჯეკს მუჯლუგუნი მოხვდა და წაიქცა. ბილიკზე ელვარეშვებიანი არსება საშინელი ჭყივილით მოხტოდა მათკენ. რალფი მიხვდა, რომ შეეძლო ცივად გაეზომა მათ შორის მანძილი და ცხოველი მიზანში ამოელო. როცა ღორი ხუთიოდე მილზე მოუახლოვდა, თავისი სულელური ჯოხი სტყორცნა, დაინახა, როგორ მოხვდა ვეება დინგში და წუთით ზედ დაეკიდა. ღორმა ერთი დაიჭყივლა და შამბნარში შევარდა. ბილიკი ისევ აყვირებული ბიჭებით გაივსო. ჯეკმა უკან მოირბინა და ბუჩქებში შეიხედა.

— აი, აქ...

— გვეცემა!

— აქ-მეთქი!

ღორი ფრთხილად მიიკვლევდა გზას შამბნარში. პირველი ბილიკის პარალელურად მეორეც იპოვეს და ჯეკი წინ გავარდა. რალფს შიშით, ავი წინათგრძნობითა და სიამაყით ჰქონდა სავსე გული.

— მოვარტყი! შუბი ჩაესო...

მოულოდნელად გაშლილ ადგილას, ზღვის პირზე გავიდნენ. ჯეკმა შეშფოთებული მზერა მოავლო შიშველ კლდეებს.

— წავიდა.

— მოვარტყი, — გაიმეორა რალფმა, — და შუბიც ჩაესო...

იგრძნო, რომ მოწმეები სჭირდებოდა.

— ვერ დაინახეთ?

მაურისმა თავი დაუქნია.

— დაგინახე. პირდაპირ დინგში მოხვდა... ბრრახ!

აღელვებულმა რალფმა სხაპასხუპით მიაყარა:

— მაგრა´ვესროლე. შუბი ჩაერჭო. დავჭერი!

ამ ახალი დიდებით გაცისკროვნებულმა იფიქრა, კაცმა რომ თქვას, ნადირობა ურიგო არ ყოფილაო.

— გვარიანად კი ვთხლიშე. მე მგონი, ეგ იყო ურჩხული!

ჯეკი დაბრუნდა.

— ურჩხული არ ყოფილა. ტახი იყო.

— მოვარტყი.

— ხელი ვერ სტაცე? მე ვტაცე და...

რალფმა ხმას აუწია:

— რას? ტახს?

ჯეკი უცებ აილეწა.

— შენ არ გაიძახოდი, გვეცემაო! რაღას ესროლე? ვერ მოიცადე?!

ხელი გამოიშვირა.

— შეხედე.

მარცხენა მკლავი ისე მიაბრუნა, რომ ყველას დაენახა. გარე მხრიდან გაჭრილი ჰქონდა; ძალიან არა, მაგრამ სისხლი სდიოდა.

— ეშვი გამკრა. შუბის ჩაცემა ვერ მოვასწარი.

ჯეკი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

— ეგ ჭრილობაა, — უთხრა საიმონმა, — უნდა გამოიწოვო, ბერენგარიასავით.*

ჯეკმა გამოიწოვა.

— მე მოვარტყი, — აღშფოთდა რალფი, — შუბი მოვარტყი და დავჭერი.

ისევ ყურადღების მიპყრობას ცდილობდა.

— ბილიკზე მოჰქროდა. აი, ასე ვტყორცნე...

რობერტმა შეუღრინა. რალფი თამაშში ჩაება და სიცილი ატყდა. მალე ყველა პანღურებს ურტყამდა რობერტს, ის კი ოინბაზობდა და აქეთ-იქით აწყდებოდა.

— წრე შეკარით! — იყვირა ჯეკმა.

წრე შეიკრა. რობერტი აჭყივლდა — ჯერ ვითომ შიშისგან, მერე კი ნამდვილი ტკივილისგან.

— ააა! გეყოფათ! მტკივა!

წრეში დაბორიალებულს ზურგზე შუბისტარი მოხვდა.

— დაიჭირეთ!

ხელ-ფეხში ჩასჭიდეს ხელი. უცებ რალფიც აენთო, ერიკის შუბს სტაცა ხელი და რობერტს ამოჰკრა.

— მოკალი! მოკალი!

აყვირებული რობერტი გააფთრებით ებრძოდათ. ჯეკს თმებით ეჭირა და დანას იქნევდა. როჯერი ჭიდაობით ცდილობდა მიახლოებას. რიტუალური სიმღერა წამოიწყეს, როგორც ცეკვის ან ნადირობის ბოლოს:

* ბერენგარია — (გარდაიცვალა 1230 წ.) რიჩარდ ლომგულის მეუღლე. ლაშქრობებში დაჰყვებოდა ქმარს.

— მოკალი ღორი! ყელი გამოჭერი! მოკალი ღორი! ბოლო მოუღე!

რალფიც ჭიდაობდა, რომ მიახლოებოდა, ჩაებღუჯა ის ყავისფერი, დაუცველი სხეული, ხელის მოჭერის, ტკენის სურვილმა შეიპყრო.

ჯეკმა ხელი დაუშვა; აბობოქრებულმა წრემ ყიჟინა დასცა და მომაკვდავი ღორივით ახროტინდა. მერე, მიჩუმებულები, მიწაზე მიეყარნენ, ქოშინებდნენ და რობერტის შეშინებულ სლუკუნს უსმენდნენ. ბიჭმა სახე ჭუჭყიანი ხელით მოიწმინდა და სცადა, ისე მოქცეულიყო, ვითომ არაფერიაო.

— ვაი, საჯდომი!

და შეწუხებულმა მოისვა ხელი საჯდომზე. ჯეკი გადაგორდა:

— კარგი თამაში გამოგვივიდა.

— აბა, თამაში... — თქვა შემცბარმა რალფმა. — ერთხელ რაგბის თამაშისას ასე ვმასხარაობდით და გვარიანად დავშავდი.

— დოლი უნდა გვქონოდა, — ჩაერია მაურისი, — მაშინ ისე გამოგვივიდოდა, როგორც წესია.

— წესი როგორ არის? — შეხედა რალფმა.

— არ ვიცი. მე მგონი, ცეცხლი გვჭირდება და დოლი; დოლის რიტმს უნდა ავყვეთ.

— თქვენ ღორი გჭირდებათ, — თქვა როჯერმა, — როგორც ნამდვილი ნადირობისას.

— ან ვინმე — ვითომ ღორი რომ იყოს. — განაცხადა ჯეკმა. — შეიძლება ვინმე ღორივით გამოვაწყოთ და ისე მოიქცეს... ვითომ უნდა მეცეს და ასეთი რამეები...

— თქვენ ნამდვილი ღორი გინდათ, — რობერტი ისევ საჯდომზე ისვამდა ხელს, — რომ დაკლათ.

— ვინმე პატარა ბიჭი გამოგვადგება, — მიუგო ჯეკმა და ყველამ გაიცინა.

რალფი წამოდგა.

— კარგი. რასაც ვეძებთ, ასე ვერ ვიპოვით.

ერთიმეორის მიყოლებით წამოდგნენ და ძონძები გაისწორეს.

რალფმა ჯეკს შეხედა.

— ახლა მთაზე წავედით.

— სანამ დაბნელდება, ღუტასთან ხომ არ დავბრუნდეთ? — იკითხა მაურისმა.

ტყუპებმა ერთი ბიჭივით დააქნიეს თავი.

— ჰო, სწორია. მთაზე დილით ავიდეთ

რალფმა ზღვას გახედა.

— ცეცხლი გვაქვს დასანთები.

— ღუტას სათვალე გვჭირდება. — უთხრა ჯეკმა, — ვერ დავანთებთ.

— მაშინ ვნახავთ, მთაზე ვინმე არის თუ არა.

მაურისი შეყოყმანდა, ვინმეს არ ვაფიქრებინო, ლაჩარიაო, და მერე იკითხა:

— შენ გგონია, ურჩხული იქ იქნება?

— მოვკლავთ! — შუბი დაიქნია ჯეკმა.

მზეს თითქოს მხურვალება მოაკლდა. ჯეკი შუბს იქნევდა.

— რას ველოდებით.

— მე მგონი, ასე თუ გავყვებით სანაპიროს, დამწვარ ადგილს მივადგებით და იქიდან მთაზეც ავალთ. — თქვა რალფმა.

კიდევ ერთხელ გაუძღვათ ჯეკი სანაპიროზე. თვალისმომჭრელად მოციმციმე ზღვა ქვიშის ლოკვით იხევდა უკან, მერე წამოიმართებოდა და ისევ ნაპირს აწყდებოდა.

კიდევ ერთხელ წავიდა ოცნებებში რალფი. ამ გზებს შეჩვეული ფეხი თვითონ მიაბიჯებდა უსწორმასწორო ბილიკზე. თუმცა აქ თითქოს უფრო გაუძნელდა სიარული, რადგან გზის მოზრდილ მონაკვეთზე ბილიკი წყლის პირას აღმართულ შიშველ კლდეს ეკვროდა, მეორე მხარეს კი ბნელ, უღრან ტყეს გასდევდა. დროდადრო პატარა ქიმები ეღობებოდათ, ზედ უნდა გადაევლოთ და მაშინ ოთხით მიიკვლევდნენ გზას. ალაგ-ალაგ ტალღებით დასველებულ კლდეებზე მიფოფხავდნენ, მოქცევის მერე შემორჩენილ ანკარა გუბეებს ახტებოდნენ. სანაპირო ზოლი მოქცევისას მოვარდნილ წყალს გაეხლიჩა. უძირო უფსკრულს ჰგავდა და ძრწოლით იყურებოდნენ პირქუშ ნაპრალში, იქ, ქვემოთ, წყალი ბუყბუყებდა. მერე ტალღა მოვარდა, ხევი მათ თვალწინ ამოდუღდა, შხეფები ლიანებსაც კი მისწვდა და აწიოკებული ბიჭები თავიდან ფეხებამდე დაასველა. ერთი პირობა ტყე-ტყე გავლა სცადეს, მაგრამ იქაურობა ჩიტის ბუდესავით აბურდული და გაუვალი იყო. ბოლოს სხვა გზა აღარ ჰქონდათ — სათითაოდ უცდიდნენ, ტალღა როდის დაიხევდა უკან, და ნაპრალს ახტებოდნენ. მაგრამ ზოგიერთს მაინც არ ასცდა ხელმეორედ გალუმპვა. მერე კლდეები თითქოს გაუვალი გახდა. ცოტა ხანს ჩამოსხდნენ, ძონძები გაიშრეს. ისხდნენ და გაჰყურებდნენ, როგორ ნელა უვლიდა გარშემო კუნძულს აქოჩრილი ზვირთები. ხილი იპოვეს — პატარა, ჭრელი ჩიტები მწერებივით დასტრიალებდნენ. მერე რალფმა თქვა, ძალიან ნელა მივდივართო. ხეზე აძვრა, შეფოთლილი ტოტები აქეთ-იქით გადასწია და დაინახა, რომ მთის ოთხკუთხა წვერი ჯერ კიდევ შორს იყო. მერე ვითომ ფეხს აუჩქარეს კლდის გასწვრივ, რობერტმა გვარიანად გაიჭრა ფეხი და აღიარეს, ამ გზაზე ნელა სიარული აჯობებსო. ამის შემდეგ ისე მიიწევდნენ წინ, თითქოს ფათერაკიან მთაზე მიცოცავდნენ. და ბოლოს, მიუდგომელ, გაუვალი ჯუნგლებით დაფარულ და ზღვაზე გადაკიდებულ კლდეს მიადგნენ.

რალფმა ალმაცერად გახედა მზეს.

— სადაცაა, მოსაღამოვდება. ჩაის დრო კი ნამდვილად ჩავლილია.

— ეს კლდე რაღაც არ მახსოვს, — უთხრა ყურებჩამოყრილმა ჯეკმა, — ეტყობა, სანაპიროზე ეს ადგილი გამომრჩა.

რალფმა თავი დაუქნია.

— მოიცა, მოვიფიქრო.

ახლა რალფს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ყველას მაგივრად უნდა ეფიქრა, გადაწყვეტილებებს ისე ილებდა, თითქოს ჭადრაკს თამაშობდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მოჭადრაკედ არ ვარგოდა. პატარები და ღუტა გაახსენდა. თვალწინ დაუდგა ქოხში შეყუჟული ღუტა, როცა სიჩუმეს მხოლოდ კოშმარებით ატირებული ან აყვირებული ბავშვების ხმა დაარღვევდა.

— პატარებს ღუტას ანაბარა ვერ დავტოვებთ. არ ივარგებს.

დანარჩენები ხმას არ იღებდნენ, იდგნენ და შეჰყურებდნენ.

— უკან დაბრუნებას რამდენიმე საათს მოვანდომებთ.

ჯეკმა ყელი ჩაიწმინდა და უცნაური, დაძაბული ხმით უთხრა:

— ჰო, ღუტას რამე არ მოუვიდეს, არა?

რალფმა ერიკის შუბის ჭუჭყიანი წვერი მიიკაკუნა კბილებზე.

— თუ გადავჭრით...

მიიხედ-მოიხედა.

— ვინმემ უნდა გადაიაროს კუნძული და ღუტას უთხრას, რომ ღამით დავბრუნდებით.

— მარტო, ტყეში? ახლა? — ვერ დაიჯერა ბილმა.
— ერთის მეტს ვერ შეველევით.
საიმონმა რალფის იდაყვისკენ გაიკვლია გზა.
— თუ გინდა, მე წავალ. სულ არ მეძნელება. მართლა.
რალფს პასუხი არ აცალა, სწრაფად გაიღიმა, მიბრუნდა და ტყეში შეძვრა.
რალფი ჯეკს მოუბრუნდა. პირველად გააცოფა მისმა დანახვამ.
— ჯეკ... მაშინ ხომ ციხე-სიმაგრემდე მიხვედი.
ჯეკი წამოენთო.
— ჰოო?
— ხომ ამ გზით მოდიოდი, სანაპიროთი... მთის ძირას, იქით.
— ჰო.
— მერე?
— ღორების საძრომი ბილიკი ვიპოვე. რამდენიმე მილი გრძელდებოდა.
რალფმა ტყისკენ გაიქნია თავი.
— ესე იგი, ბილიკი სადღაც იქ უნდა იყოს.
ყველა სერიოზული სახით დაეთანხმა.
— კარგი. მოკლეზე მოვჭრათ და ბილიკი ვიპოვოთ.
ნაბიჯი გადადგა და შეყოყმანდა.
— არა, მოიცადეთ ერთი წუთით! ეს ბილიკი საით მიდის?
— მთაზე, — უპასუხა ჯეკმა. — ხომ გითხარი. — ჩაიფხუკუნა. — რა, მთაზე არ გინდა ასვლა?
რალფმა ამოიოხრა, იგრძნო, როგორ მწვავდებოდა შუღლი, ჯეკი ყოველთვის ასე იქცეოდა, როგორც კი ლიდერობას ჰკარგავდა.
— გვაღამდება, ბორძიკ-ბორძიკ ვივლით.
— ურჩხულის მოძებნას არ ვაპირებდით...
— ბინდში რას დავინახავთ.
— მე მზად ვარ წასასვლელად, — მიაგება ჯეკმა, — მთაზე რომ ავაღწევთ, წავალ. შენ არ წამოხვალ? თუ ჯერ ქოხში დაბრუნდები და ღუტას ჩააბარებ ანგარიშს?
ახლა რალფის ჯერი დადგა — აილეწა, მაგრამ ღუტას სიტყვებმა ჭკუას ასწავლა და სასონარკვეთილმა უთხრა ჯეკს:
— ასე რატომ გეჯავრები?
ბიჭები უხერხულად შეიშმუშნენ, თითქოს რაღაც უხამსი გაიგონეს. დუმილი გაიწელა.

ჯერ კიდევ ალეწილი და გულნატკენი რალფი პირველი მიტრიალდა:
— წავედით.
წინ წავიდა და ბარდებში შევარდა. არეული და გაავებული ჯეკი სულ ბოლოს მიდიოდა. ღორების სავალი ფაქტიურად, ბნელი გვირაბი იყო, რადგან მზე უკვე სწრაფად ეშვებოდა ქვეყნის დასალიერისკენ, ტყეს კი ჩრდილები ისედაც არ აკლდა. სწრაფად მირბოდნენ ფართო, გატკეპნილ ბილიკზე. მერე ფოთლების თაღი გაიბზარა, გატყდა, გულამოვარდნილები გაჩერდნენ და მთის წვერის გარშემო აციმციმებულ ვარსკვლავებს მიაქცერდნენ.
— აჰა, მოვედით.
ბიჭებმა ეჭვით გადახედეს ერთმანეთს. რალფმა გადაწყვიტა:
— ახლა ბაქანზე წავიდეთ. ზემოთ ხვალ ავალთ.
თანხმობის ნიშნად აჩურჩულდნენ, მაგრამ მხართან ჯეკი ამოუდგა.
— რა თქმა უნდა, შეგეშინდა...
რალფი მოტრიალდა:
— პირველად ვინ ავიდა ციხე-სიმაგრეზე?!
— მეც ამოვედი. თან მაშინ დღე იყო.
— კარგი. ახლა ვის უნდა მთაზე ასვლა?
პასუხად მხოლოდ დუმილი ჩამოვარდა.
— სემდერიკ? თქვენ რას იტყვით?
— ჩვენ ღუტასთან უნდა წავიდეთ და ვუთხრათ...
— ...ჰრ, ღუტას უნდა ვუთხრათ, რომ...
— კი მაგრამ, საიმონი არ წავიდა?!
— ღუტას უნდა ვუთხრათ... იქნებ...
— რობერტ? ბილ?
ისინი პირდაპირ ბაქნისკენ მიემართებოდნენ. არა, რა სათქმელია, კი არ შეეშინდათ... უბრალოდ, დაიღალნენ.
რალფი ჯეკს მიუბრუნდა.
— ხედავ?
— მე მთაზე ავდივარ.
ჯეკმა ისეთი გაავებით წამოისროლა ეს სიტყვები, თითქოს იგინებაო. გამხდარი სხეული დაეძაბა, შუბი ისე ეჭირა, თითქოს რალფს უღერებდა.
— მე მთაზე ავდივარ ურჩხულის მოსაძებნად... ახლავე.

და უსაშველოდ მსუსხავი, აგდებული ტონით ჰკითხა:

— მოდიხარ?

ამ სიტყვამ დანარჩენებს დაავიწყა, რომ წასასვლელად სული ელეოდათ, უკან მობრუნდნენ და სიბნელეში ამ ორი მხარის ახალი შეჯახებისთვის მოემზადნენ. სიტყვა ითქვა — ისე კარგად, ისე მწარედ, ისე გამანადგურებლად, რომ გამეორება აღარ სჭირდებოდა. რალფი მოუმზადებელი დახვდა; ის-ის იყო, მოეშვა, ქოხში დაბრუნებასა და ლაგუნის მშვიდ, ალერსიან წყალზე ფიქრობდა.

— კი ბატონო.

განცვიფრებულმა, შორიდან გაიგონა საკუთარი ხმა — ცივი და გულგრილი; და ამის წინაშე ჯეკის გესლიანი დაცინვა უძლური აღმოჩნდა.

— რასაკვირველია, თუ წინააღმდეგი არა ხარ.

— არა, არა, რას ამბობ.

ჯეკმა ნაბიჯი გადადგა.

— აბა...

ორი ფიგურა გვერდიგვერდ შეუდგა აღმართს. დადუმებული ბიჭები იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ.

რალფი გაჩერდა.

— სულელურად ვიქცევით. მარტო რატომ უნდა წავიდეთ. რამე თუ ვიპოვეთ, ორნი ვერაფერს გავაწყობთ.

გაიგონეს, როგორი ჩოჩქოლით გაიქცნენ ბიჭები. მათ გასაკვირად, ერთი მუქი ფიგურა დინების საწინააღმდეგოდ წამოვიდა.

— როჯერი ხარ?

— ჰო.

— მაშ, სამნი ვყოფილვართ.

და კიდევ ერთხელ შეუყვნენ ციცაბო ფერდობებს. სიბნელე თითქოს მოქცევასავით მოაწყდათ და გადაეფარათ. ჯეკი უხმოდ მიდიოდა, უცებ სუნთქვა შეეკრა და ხველა აუტყდა; ქარმა წამოუბერა და სამივე კინაღამ დაიხრჩო. რალფს თვალები ცრემლებმა დაუბრმავა.

— ნაცარია. დამწვარ ადგილს მივადექით.

ნაბიჯებმა და ნიავმა მტვრის ბუღი დააყენა. ახლა, ისევ რომ გაჩერდნენ, რალფი ახველებდა და ფიქრობდა, რა სისულელე ჩავიდინეთო. თუ ურჩხული იქ არ იყო — და საეჭვოა, ყოფილიყო, — მაშინ კიდევ არაფერი; მაგრამ მთის წვერზე რამე რომ

დახვედროდათ — რა შეეძლო წყვდიადით შებორკილ და ჯოხებით შეიარაღებულ სამ ბიჭს?

— სულელურად მოვიქეცით.

— რაო, გეშინია?

რალფი ბრაზისაგან კანკალებდა. ყველაფერი ჯეკის ბრალი იყო.

— დიახაც მეშინია. მაგრამ ეს არაფერს წყვეტს. სულელურად მოვიქეცით.

— წამოსვლა თუ არ გინდა, მე მარტო ავალ, — სარკასტულად უთხრა ხმამ.

რალფს დაცინვა მოესმა. ჯეკი სძულდა. ფერფლმა, თვალებს რომ უწვავდა, დაღლილობამ, შიშმა მოთმინება დააკარგვინა, გააცოფა:

— ჰოდა, ადი! ჩვენ აქ დაგიცდით.

დუმილი ჩამოვარდა.

— რატომ არ მიდიხარ? შეგეშინდა.

სიბნელეში ლაქა — ეს ლაქა ჯეკი იყო — გაიწია და თანდათანობით გაშორდა.

— ძალიან კარგი. კარგად ბრძანდებოდე.

ლაქა გაუჩინარდა. მისი ადგილი კი მეორე ლაქამ დაიკავა.

რალფი მუხლით რაღაცას დაეჯახა და დამწვარი, ხორკლიანი მორი შეარყია. იგრძნო, როგორ გაეხახუნა ფეხზე უხეში ნამწვი, ერთ დროს ქერქი რომ იქნებოდა და მიხვდა, რომ როჯერი დაჯდა. ხელის ცეცებით მოძებნა ადგილი და როჯერის გვერდით, ფერფლში მოქანავე მორზე ჩამოჯდა. სიტყვაძუნწი როჯერი ახლაც ჩუმად იყო. არც ურჩხულზე უთქვამს რამე და არც ის აუხსნია რალფისთვის, რატომ გადაწყვიტა ამ შლეგურ ექსპედიციაში წამოსვლა. უბრალოდ იჯდა და ხეზე ნელა ქანაობდა, რალფს სწრაფი, ნერვებისამშლელი, მონოტონური ხმა მოესმა და მიხვდა, რომ როჯერი თავის ბრიყვულ ხის ჯოხს რაღაცაზე აკაკუნებდა.

ისხდნენ ასე: ქანაობდნენ, აკაკუნებდნენ — შეუვალი როჯერი და გაცოფებული რალფი. მათ თავზე გადმომხობილ, ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცაში მთის სილუეტი გაჩრილიყო — სიშავით სავსე, გადმოყირავებულ ორმოსავით.

ზემოდან ჯერ სრიალის, მერე ვეება ნაბიჯების ხმა გაისმა, თითქოს ვიღაც თავპირისმტვრევით მოხტის კლდეებსა და ფერფლშიო. ბოლოს ჯეკმა ბიჭები იპოვა და აკანკალებულმა,

ისეთი ხმით დაიხრიალა, ლამის ვეღარ იცნეს: — ვნახე. მთის წვერზეა.

გაიგონეს, როგორ ნამოჰკრა ფეხი მორს და ისიც აყანყალდა. ჯეკი ერთხანს ჩუმად იწვა, მერე წაიჩურჩულა.

— თვალი გეჭიროთ. შეიძლება, მომდევდეს.

გარშემო ფერფლი აფრიალდა. ჯეკი წამოჯდა.

— დავინახე, როგორ გაიბერა მთაზე რაღაცა.

— ალბათ მოგეჩვენა, — უთხრა აკანკალებულმა რალფმა, — რა შეიძლება, რომ გაიბეროს. არანაირი არსება.

— ბაყაყი. — თქვა როჯერმა. რალფი და ჯეკი შეხტნენ, რადგან ბიჭი საერთოდ აღარ ახსოვდათ.

ჯეკმა ჩაიცინა და გააჟრჟოლა.

— აბა, ეგ ყოფილა. ხმაურიც გავიგონე. რაღაც ფართხუნი. მერე გაიბერა.

რალფი თვითონვე გააკვირვა საკუთარმა — ხმამ კი არა, ასე მშვიდად რომ გაისმა, — გაბედულმა წინადადებამ:

— წავიდეთ და შევხედოთ.

რაც ერთმანეთს იცნობდნენ, რალფმა პირველად იგრძნო, რომ ჯეკი შეყოყმანდა:

— ახლა...?

— რასაკვირველია. — თავისით უპასუხა რალფის ხმამ.

მორიდან ადგა და აბორიალებულ ნაცარში გზას გაუდგა. დანარჩენები გაჰყვნენ.

ახლა, როცა გაჩუმდა, შინაგანი — გონების ხმისა და სხვა ხმების ჯერი დადგა. ღუტა ეუბნებოდა, ბავშვივით იქცევიო. მეორე ხმა ეუბნებოდა, თავს ნუ ისულელებო; სიბნელემ და განწირულმა წამოწყებამ აფიქრებინა, ეს ღამე ირეალურობით კბილის ექიმის სავარძელს ჰგავსო.

უკანასკნელ ფერდობს რომ მიაღწიეს, ჯეკი და როჯერი მოუახლოვდნენ, ახლა მელნის ლაქებივით კი აღარ ჩანდნენ, თვალი გაარჩევდა, რომ ადამიანები მოდიოდნენ. თითქოს შეთანხმებულები არიანო, სამივე ერთდროულად გაჩერდა და მოიკუნტა. უკან, ჰორიზონტზე, ცის ერთ მონაკვეთს ნათელი შეეპარა — სადაცაა მთვარე ამოვიდოდა. ტყეში ქარმა გაიზუზუნა და ძონძები ტანზე შემოახვიათ.

— წავედით. — თქვა აღელვებულმა რალფმა.

ხოხვით მიიწევდნენ წინ. როჯერი ცოტათი ჩამორჩათ. ჯეკმა და რალფმა ერთად შეუხვიეს მთისკენ. უკან, მთელ სიგრძეზე, ლაგუნა ციმციმებდა, უფრო იქით კი გრძელ, თეთრ ლაქასავით მოჩანდა რიფი. როჯერი დაეწიათ.

— მოდი, ოთხზე გავცოცდეთ. იქნებ, ეძინოს, — დაიჩურჩულა ჯეკმა.

ამჯერად როჯერი და რალფი წავიდნენ წინ და ჯეკი, გულადი სიტყვების მიუხედავად, უკან ჩამორჩა. მთის წვერზე, ბრტყელ ადგილას ავიდნენ, აქ ხელებსა და მუხლებს ქვები სტკენდათ.

არსება, რომელიც გაიბერა.

რალფს ხელი ცივ, რბილ ფერფლში მოუხვდა და ყვირილი ძლივს შეიკავა. ბრმა შეხებამ შეზარა, მკლავსა და მხარში თითქოს კრუნჩხვამ დაუარა. წამით ღებინების მწვანე ნაპერწკლებმა გაიელვა და ისევ წყვდიადში გაუჩინარდა. უკან როჯერი იწვა. ჯეკმა ყურში ჩასჩურჩულა:

— აი, იქ, ღრიჭო რომ იყო... კუზივით... ხედავ?

ქარმა წამოუბერა და რალფს სახეში ნაცარი შეაყარა. ვერ ხედავდა — ვერც ღრიჭოს და ვერც ვერაფერს, რადგან მწვანე ნაპერწკლები ისევ აუციმციმდა, იმატა, და მთის წვერი გვერდით გადაქანდა.

კიდევ ერთხელ მოესმა ჯეკის ჩურჩული — ამჯერად უფრო შორიდან:

— შეგეშინდა?

შეეშინდა კი არა, ღამის დამბლა დაეცა; უძრავად ეკიდა მოქანავე მთის წვერზე და ფეხქვეშ თითქოს მიწა ეცლებოდა. ჯეკი სრიალით შორდებოდა. როჯერი დაეჯახა, აქოშინებული წაიქცა და ქსუტუნით გაცოცდა. რალფს ბიჭების ჩურჩული მოესმა:

— რამეს ხედავ?

— აი, იქ...

წინ, სულ სამი-ოთხი იარდის მოშორებით, კლდისმაგვარი კუზი ჩანდა. იქ კლდე არ უნდა ყოფილიყო. რალფმა საიდანღაც ჩუმი ჭრაჭუნი გაიგონა — ვინ იცის, იქნებ იმ რაღაცას პირიდან ამოსდიოდა ეს ხმა. გამბედაობა მოიკრიბა, თავს მოერია, შიში და ზიზღი სიძულვილად ექცა და ადგა. ძლივძლივობით გადადგა ორი ნაბიჯი.

უკან, ჰორიზონტს მთვარის ნათელი მოეფინა. მათ წინაშე უზარმაზარი მაიმუნის მსგავსი რაღაც იჯდა და მუხლებში თავჩარგულს ეძინა. მერე ტყეში ქარი აღმუვლდა, წყვდიადი

აცახცახდა, არსებამ თავი ასწია და სახის ნარჩენი ბიჭებისკენ მოაბრუნა.

რალფი გონს რომ მოვიდა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ფერფლში, ყვირილი მოესმა და ხტუნვა-ხტუნვით, თავგამეტებით დაეშვა ჩაბნელებულ ფერდობზე. მთაზე აღარავინ დარჩა, სამი მიგდებული ჯოხისა და უცნაური არსების გარდა, თავს რომ აკანტურებდა.

თავი მერვე

ძღვენი წყვდიადისთვის

განთიადის ფერმკრთალი სანაპიროდან ღუტამ საწყალობლად ახედა ჩაბნელებულ მთას.

— დარწმუნებულები ხართ? ნამდვილად ეგრეა?

— მერამდენედ გეუბნები, დავინახეთ-მეთქი, — უპასუხა რალფმა.

— როგორ გგონია, აქ უხიფათოდ ვართ?

— ჯანდაბა მაგის თავს, მე რა ვიცი!

რალფმა ხელი აუქნია და რამდენიმე ნაბიჯით მოშორდა. ჩაჩოქილი ჯეკი სილაში საჩვენებელი თითით წრეს ხაზავდა. ღუტას ხმადაბალი სიტყვები მოესმათ:

— დარწმუნებულები ხართ? მართლა?

— ადი და ნახე, — ამრეზით უთხრა ჯეკმა. — კეთილი მგზავრობა.

— დიდი მადლობა.

— კბილები ჰქონდა, — თქვა რალფმა, — და დიდი, შავი თვალები.

გააცახცახა. ღუტამ ცალთვალა სათვალე მოიხსნა და მინა გაწმინდა.

— რას ვაპირებთ?

რალფი ბაქნისკენ მიბრუნდა. ხეებს შორის საყვირი ციმციმებდა. თმა გადაიწია.

— არ ვიცი.

გაახსენდა, როგორი დაფეთებული მოჰქროდა ფერდობზე.

— გამოტეხილად რომ გითხრა, არა მგონია, ამოდენა რაღაცასთან შებრძოლება შევძლოთ. ლაპარაკში კი მარჯვეები ვართ, მაგრამ ვეფხვსაც ვერ შევებრძოლებით. სამალავს დავუწყებთ ძებნას. ჯეკიც კი დაიმალება.

ჯეკი ისევ ქვიშას ჩასცქეროდა.

— ჩემს მონადირეებზე რაღას იტყვი?

საიმონი ფეხაკრეფით გამოეყო ქოხის ჩრდილს. რალფმა

ჯეკს წაუყრუა. ზღვის თავზე დაფენილი ოქროსფერი შუქისკენ გაიშვირა ხელი:

— დღისით ყველა ყოჩაღები ვართ. მაგრამ მერე? ის კიდევ ისე ჩამჯდარა ცეცხლთან, თითქოს ჩვენი გადარჩენა არ უნდაო...

თვითონაც ვერ გრძნობდა, რომ ხელებს იმტვრევდა. ხმას აუწია:

— ასე რომ, სასიგნალო კოცონს ვეღარ ვანთებთ... ჩვენი საქმე წასულია.

ზღვიდან ოქროსფერმა წერტილმა ამოჰყო თავი და ცა მყისვე მთლიანად განათდა.

— ჩემს მონადირეებზე რაღას იტყვი?

— ჯოხებით შეიარაღებული ბიჭები...

ჯეკი ადგა. აჭარხლებული მიტრიალდა და გაშორდა. ღუტამ ცალთვალა სათვალე გაიკეთა და რალფს გახედა.

— ესეც ასე. მაგის მონადირეებს უხეში სიტყვა აკადრე.

— კარგი რა, მოკეტე!

მოუხერხებლად ჩაბერილი საყვირის ხმამ გააწყვეტინათ. თითქოს მზის ამოსვლას უმღერისო, ჯეკი უბერავდა და უბერავდა, სანამ ქოხები არ გამოცოცხლდა. მონადირეები ბაქანზე აცოცდნენ. პატარები ღნავილით მოვიდნენ. აქ ყოფნისას ღნავილი უმეტესობას ჩვევად ექცა. რალფი მორჩილად წამოდგა, ის და ღუტა ბაქნისკენ გაემართნენ.

— აღარ მობეზრდა ეს ყბედობა, — უიმედოდ თქვა რალფმა, — ვყბედობთ და ვყბედობთ, ვყბედობთ და ვყბედობთ...

ჯეკს საყვირი გამოართვა.

— ეს კრება...

— მე მოვიწვიე, — შეაწყვეტინა ჯეკმა.

— შენ თუ არა, მე მოვიწვევდი. შენ უბრალოდ საყვირს ჩაჰბერე.

— მერე ეგ არაფერს ნიშნავს?

— ოოჰ, აიღე, აჰა, აიღე! მიდი... ილაპარაკე!

რალფმა საყვირი ჯეკს შეაჩეჩა და მორზე ჩამოჯდა.

— ეს შეკრება ბევრი რამის გამო მოვიწვიე, — დაიწყო ჯეკმა. — ჯერ ერთი: უკვე იცით, რომ ურჩხული ვნახეთ, ზემოთ ავძვერით. სულ რამდენიმე ფუტი გვაშორებდა. ურჩხული წამოჯდა და შემოგვხედა. არ ვიცით, რას აკეთებს. ისიც კი არ ვიცით, რა არის...

— ურჩხული ზღვიდან ამოდის...

— სიბნელიდან...

— ხეებიდან...

— ჩუმად! — იყვირა ჯეკმა. — მომისმინეთ. ურჩხული — როგორიც არ უნდა იყოს, — იქ ზის...

— იქნებ, იცდის...

— ნადირობს...

— დიახ, ნადირობს.

— ნადირობს. — თქვა ჯეკმა. გაახსენდა, როგორ ძრწოდა ტყეში სიარულისას. — დიახ. ურჩხული მონადირეა. ოღონდ... ხმა გაკმინდეთ! კიდევ ის უნდა მეთქვა, რომ ვერ მოვკალით. და კიდევ ის, რომ რალფმა მითხრა, შენი მონადირეები არ ვარგანანო.

— მე ეგ არ მითქვამს!

— საყვირი მე მაქვს. რალფს ჰგონია, რომ ლაჩრები ხართ, რომ ტახისა და ურჩხულის დანახვაზე გარბიხართ. მაგრამ ჯერ ყველაფერი არ მითქვამს.

ბაქანს ოხვრამ გადაუარა, თითქოს ყველამ იცოდა, ამის მერე რა მოხდებოდა. ჯეკმა განაგრძო, ხმა უთრთოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ უკან აღარ დაიხევდა და თითქოს ძალისძალით ცდილობდა, გაერღვია არც ისე კეთილგანწყობილი სიჩუმე.

— ეგეც ღუტასნაირია. ღუტასავით ლაპარაკობს. ბელადად არ ვარგა.

საყვირს ხელი მოუჭირა.

— თვითონაა ლაჩარი!

წუთით შეყოვნდა და მერე განაგრძო.

— მთის წვერზე, მე და როჯერი წინ მივდიოდით, ეგ — უკან.

— მეც მოვდიოდი!

— ჩვენს მერე.

ორი ბიჭი ჩამოშლილი თმიდან ერთმანეთს თვალს არ აცილებდა.

— მეც მოვდიოდი, — უთხრა რალფმა. — მერე გამოვიქეცი და შენც გამოიქეცი.

— აბა, მითხარი, ლაჩარი ხარო.

ჯეკი მონადირეებს მიუბრუნდა.

— ეგ მონადირე არ არის. ჩვენთვის ერთხელაც არ მოუტა-

ნია ხორცი. არც მეთაურია. მაგაზე საერთოდ არაფერი არ ვიცით. ერთი ეგ არის, რომ ბრძანებებს იძლევა და ჰგონია, რომ ისე, ტყუილ-უბრალოდ დაემორჩილებიან. ეს ყბედობა...

— ყბედობა?! — იღრიალა რალფმა, — ყბედობა, ყბედობა! მერე ვის უნდოდა? ვინ მოიწვია კრება?

წამოჭარხლებული ჯეკი მოტრიალდა, ქვედა ყბა წინ წამოწია, კოპებშეკრულს თვალები უელავდა.

— ძალიან კარგი! — მრავალმნიშვნელოვნად, მუქარით თქვა — ძალიან კარგი!

ცალი ხელით საყვირი მობღუჯა, მეორე ხელის საჩვენებელი თითით ჰაერი გასერა:

— ვის მიაჩნია, რომ რალფი არ უნდა იყოს ბელადი?

მომღიმარე მზერა მოავლო გარსშემორტყმულ, გაქვავებულ ბიჭებს. პალმების ქვეშ სამარისებური სიჩუმე იდგა.

— ხელი ასწიეთ! — მტკიცედ თქვა ჯეკმა, — ვის უნდა, რომ რალფი აღარ იყოს ბელადი?

ისევ სიჩუმე იდგა — სუნთქვაშეკრული, მძიმე, სამარცხვინო. ჯეკს ლოყებიდან თანდათანობით ჩამოერეცხა სიწითლე და უცებ ისევ აილეწა — გულნატკენი. ტუჩები დაისველა და ისე შეტრიალდა, თითქოს ცდილობს, თვალი არავის გაუსწოროსო.

— ვინ ფიქრობს, რომ...

ხმა ჩაუწყდა. ნიჟარიანი ხელები აუთრთოლდა. ხმა ჩაიწმინდა და ხმამაღლა თქვა.

— კარგი.

ძალიან ფრთხილად დადო საყვირი ბალახზე, ფეხებთან. ორივე თვალის კუთხეებიდან სამარცხვინო ცრემლები ჩამოუგორდა.

— მე აღარ ვთამაშობ. თქვენთან აღარა.

ახლა ბიჭების უმეტესობა თავჩაქინდრული იდგა და ბალახს ჩასცქეროდა. ჯეკმა ისევ ჩაიწმინდა ყელი.

— რალფის ამალაში ყოფნას არ ვაპირებ...

მარჯვნივ დაწყობილი მორებისკენ მიიხედა, მონადირეები დათვალა — ძველი გუნდის წევრები.

— მე მარტო მივდივარ. მაგან თვითონ დაიჭიროს ღორები. ვისაც ჩემთან ერთად ნადირობა მოუნდება, წამოვიდეს.

სამკუთხედიდან დაბორიალებული გავარდა და თეთრი ქვიშისკენ დაეშვა.

— ჯეკ!

ჯეკი მოტრიალდა და რალფს გამოხედა. წუთით შეყოვნდა, მერე განმგმირავად, გაცოფებულმა იყვირა:

— არა!

ბაქნიდან ჩახტა და ნაპირის გაყოლებით გაიქცა. ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა; სანამ ტყეში არ შევარდა, რალფი იდგა და უყურებდა.

ღუტა აღშფოთებული იყო:

— რალფ, გელაპარაკები და ისე დგახარ, თითქოს...

რალფმა მზერა ღუტაზე გადაიტანა, მაგრამ ვერ დაინახა. თავისთვის, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— დაბრუნდება. მზე რომ ჩავა, დაბრუნდება. — ახლაღა შენიშნა, რომ ღუტას ხელში საყვირი ეჭირა.

— რა იყო?

— კარგი რა!..

ღუტას საყვედური უნდა ეთქვა, მაგრამ ხელი ჩაიქნია. ისევ გაიწმინდა სათვალე და საქმეზე გადავიდა:

— არ დავიხოცებით ჯეკ მერიდიუს გარეშე. მაგის გარდა კუნძულზე სხვებიც არიან. მაგრამ რაკი ურჩხული მართლა არის — თუმცა ცოტა არ იყოს, მიჭირს მაგის დაჯერება, — ბაქანს ძალიან არ უნდა მოვშორდეთ; ჯეკი და მისი ნადირობაც აღარ დაგვჭირდება. ახლა მართლა ყველაფერს სახელი უნდა დავარქვათ.

— საშველი არ არის, ღუტა. ვერაფერს ვერ გავაწყობთ...

ერთხანს დამთრგუნველი სიჩუმე ჩამოვარდა. მერე საიმონი ადგა და ღუტას საყვირი ჩამოართვა. ღუტას ისე გაუკვირდა, რომ დაჯდომაც ვერ მოახერხა. რალფმა საიმონს ახედა:

— რაო, საიმონ? კიდევ რამე მოხდა?

წრეს თავშეკავებულმა ფხუკუნმა შემოურბინა და საიმონი აიწურა.

— მე ვიფიქრე, რაღაცის გაკეთება შეიძლება-მეთქი. ჩვენ...

საჯაროდ ლაპარაკის სიმძიმემ ისევ წაართვა ხმა. წრეს თვალი მოავლო, შემწესა და თანამგრძნობელს ეძებდა და ღუტა აირჩია. ნახევრად შებრუნებულმა ნიჟარა გარუჯულ მკერდზე მიიკრა.

— მე მგონი, მთაზე უნდა ავიდეთ.

თავზარდაცემულ წრეს ჟრუანტელმა გადაუარა. საიმონს ენა დაება და ღუტას მიუტრიალდა. ის დამცინავად შეჰყურებდა, თითქოს ვერაფერი გაეგო.

— რა აზრი აქვს იქ, იმ ურჩხულთან ასვლას, თუკი რალფმა და იმ ორმა ვერაფერი გააწყვეს?

— აბა, რა უნდა ვქნათ? — დაიჩურჩულა საიმონმა.

სულ ეს იყო მისი სიტყვა. ღუტამ საყვირი გამოართვა. საიმონი განზე გადგა და რაც შეიძლებოდა, შორს დაჯდა.

ახლა ღუტა ლაპარაკობდა, უფრო დაბეჯითებით და ისეთი ტონით, რომ ნაკლებ სერიოზულ ვითარებაში ვინმეს შეიძლებოდა ეფიქრა, ძალიანაც კმაყოფილიაო.

— წეღან ვთქვი, ერთი კაცის გარეშე არ დავიხოცებითმეთქი. ახლა ვამბობ — უნდა გადავწყვიტოთ, რა შეგვიძლია. მე მგონი, ვხვდები, რის თქმას აპირებს რალფი. კუნძულზე ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა კვამლია; კვამლი კი უცეცხლოდ ვერ იქნება.

რალფი მოუთმენლად შეიშმუშნა.

— ვერაფერს გავანყოფთ, ღუტა. ცეცხლი არა გვაქვს. ის იქ ზის — ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ.

ღუტამ საყვირი ასწია, თითქოს თავის სიტყვებს ძალა უნდა შემატოსო.

— მთაზე ცეცხლი არა გვაქვს. მაგრამ აქ რომ დავანთოთ, რა უშავს? ცეცხლის დანთება კლდეზეც შეიძლება, ქვიშაზეც, კვამლი აქედანაც ამოვა.

— სწორია!

— კვამლი!

— ტბორთან!

ბიჭები არატრატდნენ. მხოლოდ ღუტას ეყოფოდა ინტელექტური გამბედაობა, ცეცხლის სხვაგან გადასატანად.

— მაშინ კოცონი აქ დავანთოთ, — თქვა რალფმა. მიიხედ-მოიხედა და იქაურობა მოათვალიერა. — პირდაპირ აქ შეგვიძლია შეშის დაწყობა, ტბორსა და ბაქანს შორის. რასაკვირველია...

სიტყვა შუაზე გაუწყდა, მოიღუშა, დაფიქრდა და უნებლიეთ ფრჩხილის კვნეტა დაიწყო.

— რასაკვირველია, ეს კვამლი ისე კარგად, ისე შორს არ გამოჩნდება. სამაგიეროდ, მიახლოებაც აღარ დაგვჭირდება, იმასთან მიახლოება...

დანარჩენებმა თავი დაუქნიეს, გვესმის, გვესმისო. მიახლოება აღარ დასჭირდებათ.

— კოცონი აქ გავაჩაღოთ.

ყველაფერი გენიალური უბრალოა. ახლა, საქმე რომ გამოუჩნდათ, თავგამოდებით მუშაობდნენ. ღუტა ისეთი ნასიამოვნები და გალაღებული იყო ჯეკის ბორკილებისგან განთავისუფლებით, ისეთი გაამაყებული თავისი წვლილით საზოგადოების საკეთილდღეოდ, რომ შეშის მოტანაშიც კი მოეხმარა დანარჩენებს. იქვე, ყურისძირიდან მოათრია ბაქანზე წაქცეული ხე, რომელიც შეკრებებზე არ სჭირდებოდათ; თუმცა დანარჩენებისთვის ბაქანი წმინდა, ხელშეუხებელი ადგილი იყო. იქიდან არასოდეს არაფერი მოჰქონდათ. მერე ტყუპებმა აღმოაჩინეს, რომ ახლა, როცა ცეცხლს გვერდით დაანთებდნენ, ღამე ისეთი სიბნელე აღარ იქნებოდა. პატარებმა ამის გაგონებაზე ტაში დასცხეს და ცეკვა-ცეკვით ჩამოუარეს.

აქ შეშა ისე გამომშრალი ვერ იყო, როგორც მთაზე. მეტწილად დამპალი, მოფუთფუთე მწერებით სავსე მორები მოაგროვეს; ფრთხილად თუ არ აიღებდნენ, ნესტიანი ფქვილივით ეფშვნებოდათ ხელში. ეგეც არ იყოს, ბიჭები თავს არიდებდნენ ტყეში ღრმად შესვლას. შორიახლოს ეჯაჯგურებოდნენ ახალ ამონაყარ ხეებში გაბურდულ ხმელ ტოტებს და რის ვაი-ვაგლახით მოათრევდნენ ტყისპირიდან. აქაურობა კარგად იცოდნენ, საყვირიც აქ ჰქონდათ, ქოხებიც და დღისით არაფრისა ეშინოდათ. ღამესა და სიბნელეზე ცდილობდნენ, არ ეფიქრათ. ასე რომ, ენერგიულად, მხიარულად ირჯებოდნენ, თუმცა დრო თვალსა და ხელს შუა ეპარებოდათ, ენერგია პანიკას ემსგავსებოდა, მხიარულება — ისტერიას. ბაქანთან, ქვიშაზე, ფოთლებისა და რტოების, ტოტებისა და მორებისაგან პირამიდა ააგეს. პირველად მოხდა, რომ ღუტამ თვითონ ამოიღო მინა სათვალიდან, ჩაიმუხლა და მზის სხივები დამპალ მორს დაუმიზნა. მალე ჭერივით გადაფარებული კვამლის ქვეშ ყვითელი ალის ბუჩქი გაჩნდა.

პატარები, რომლებსაც ხანძრის შემდეგ ცეცხლი წესიერად აღარც უნახავთ, სიხარულით ლამის გაგიჟდნენ. ცეკვავდნენ, მღეროდნენ; ეს თავყრილობა რაღაცით პიკნიკს ჰგავდა.

ბოლოს რალფი ადგა და სახიდან ჭუჭყიანი მკლავით ჩამოიწმინდა ოფლი.

— პატარა ცეცხლი უნდა გვენთოს. ეს ძალიან დიდია და ვერ მოვუვლით.

ღუტა ფრთხილად დაჯდა ქვიშაზე და სათვალის წმენდა დაიწყო.

— ექსპერიმენტის ჩატარება შეგვიძლია. უნდა გავარკვიოთ, როგორ დავანთოთ პატარა ცეცხლი და მერე მწვანე ტოტები დავაყაროთ, რომ კვამლი დაადგეს. ოღონდ ზოგი ხის ფოთოლი უკეთესი იქნება, ზოგი — უარესი.

ცეცხლი თანდათან ინავლებოდა და აღტაცებაც კლებულობდა. პატარებმა სიმღერას და ცეკვას თავი ანებეს და გაიკრიფნენ — ზოგი ზღვისკენ, ზოგი — ხილის საძებნელად, ზოგი — ქოხებში.

რალფი ქვიშაზე გაიშხლართა.

— ცეცხლთან მეთვალყურეების ახალი სია უნდა შევადგინოთ.

— თუ ვინმე ნახე.

მიიხედ-მოიხედა. პირველად შენიშნა, რა ცოტანი იყვნენ და მიხვდა, რატომ გაჭირდა მუშაობა.

— მაურისი სად არის?

ღუტა ისევ სათვალეს წმენდდა.

— ალბათ... არა, ტყეში მარტო ხომ არ წავიდოდა!

რალფი წამოხტა, სწრაფად შემოურბინა ცეცხლს გარშემო, ღუტას მიუახლოვდა და თმა გადაიწია:

— კი მაგრამ, მორიგეობა უნდა დავაწესოთ! ვინა ვართ — მე, შენ, სემდერიკი...

ღუტასთვის არ შეუხედავს, ისე იკითხა, ვითომ აქ არაფერიაო:

— ბილი და როჯერი სად არიან?

ღუტა წინ გადაიხარა და ცეცხლს შეუკეთა.

— მე მგონი, წავიდნენ. მე მგონი, აღარც ისინი თამაშობენ ჩვენთან.

რალფი დაჯდა და ქვიშაში პატარ-პატარა ორმოების ამოთხრა დაიწყო. უცებ სისხლის წვეთი დაინახა და გაუკვირდა. მოკვნეტილი ფრჩხილი დაითვალიერა — ერთ ადგილას ფრჩხილისთვის ნუნაც მიეყოლებინა.

— შეშას რომ ვაგროვებდით, მაშინ დავინახე, რომ მიიპარებოდნენ, — განაგრძო ღუტამ, — იმ გზით წავიდნენ. ჯეკი რომ გაიქცა, იმ გზით.

რალფმა ფრჩხილის თვალიერება დაამთავრა და ჰაერში აიხედა. ცა, თითქოს ბიჭებს შორის მომხდარი დიდი ცვლილების შესაბამისად, დღეს სხვანაირი იყო — ისეთი დაბურული, რომ ცხელი ჰაერი ალაგ-ალაგ თეთრად ჩანდა. მზემ — მკრთალმა

ვერცხლისფერმა დისკომ — თითქოს უფრო დაბლა დაიწია და ისე აღარ აცხუნებდა, მაგრამ ჰაერი მაინც სულს უხუთავდათ.

— ეგენი მაინც სულ თავშისაცემი გვყავდნენ, არა? — მოესმა უკნიდან შეწუხებული ხმა. — გავძლებთ უმაგათოდ. ახლა უკეთესად ვიქნებით, არა?

რალფი დაჯდა. ტყუპები მოვიდნენ — ვეება მორს მოათრევდნენ და საკუთარი სიყოჩაღით გახარებულები, იცინოდნენ. მორი ნაკვერჩხლებზე დააგდეს და ჰაერში ნაპერწკლები აფრიალდა.

— ჩვენს თავს თვითონ მივხედავთ, ასე არ არის?

რალფი უხმოდ იჯდა, დიდხანს, დიდხანს — სანამ მორი გამოშრა, ალი მოედო და წითლად გავარვარდა. არც ის შეუმჩნევია, ღუტამ ტყუპები განზე რომ გაიხმო და ჩურჩული დაუწყო, არც ის, რომ სამივე ტყეში შევიდა.

— ესეც ასე.

თითქოს ხელი ჰკრესო, ისე გამოერკვა. გვერდით ხილით დატვირთული ღუტა და ტყუპები იდგნენ.

— მე ვიფიქრე, ერთი კარგი ქეიფი არ გვაწყენდა-მეთქი, — უთხრა ღუტამ.

ბიჭები დასხდნენ. უამრავი ხილი მოეზიდათ — კარგად დამწიფებული. რალფმა აიღო და ჭამას შეუდგა. ბიჭებმა გაუცინეს.

— გმადლობთ, — უთხრა რალფმა. მერე სასიამოვნოდ გაკვირვებულმა გაიმეორა: — დიდი მადლობა!

— თვითონაც მშვენივრად მივხედავთ თავს, — უთხრა ღუტამ, — იმათ ჭკუა არ ყოფნით, უჭკუო კაცი კი კუნძულზე ნამდვილი ხათაბალაა. ერთ პატარა კოცონს გავაჩაღებთ...

რალფს გაახსენდა, რა აწუხებდა:

— საიმონი სად არის?

— არ ვიცი.

— როგორ გგონია, მთაზე ხომ არ წავიდა?

ღუტამ ხმამაღლა გაიცინა და კიდევ აიღო ხილი.

— მაგისგან არ გაგიკვირდეს, — და მოზრდილი ლუკმა გადაყლაპა, — შერეკილია.

საიმონმა ხილით დახუნძლულ ხეებს ჩაუარა, მაგრამ დღეს პატარებს კოცონის გარდა არაფერი ახსოვდათ და აღარავინ აჰკიდებია. აბურდულ მცენარეებში განაგრძო გზა, ბოლოს ტყისპირზე ხალიჩასავით ჩამოფარებულ ლიანებს მიადგა და

შიგნით შეძვრა. დაბურულ ფოთლებს მეორე მხრიდან მზის სხივები ეფინებოდა, შუაში პეპლები ცეკვავდნენ თავიანთ დაუსრულებელ ცეკვას. დაიჩოქა და მზის ისარი დაეცა. სხვა დროს ჰაერი სიცხისგან თითქოს თრთოდა; მაგრამ ახლა, ცოტა არ იყოს, აშინებდა. მალე გრძელი, უხეში თმა გაუოფლიანდა. აწრიალდა, მაგრამ მზეს არ მოერიდა. სწყუროდა. ცოტა ხანში ძალიან მოსწყურდა.

ისევ ისე იჯდა.

ნაპირიდან კარგა მოშორებით, ბიჭების პატარა ჯგუფის წინ, სიხარულით გაბრწყინებული ჯეკი იდგა.

— ვინადირებთ! — თქვა და ბიჭებს თვალი მოავლო. ყველას შავი ქუდის ნარჩენი ეხურა. ოდესღაც ორ შეკრულ რიგად იდგნენ, ოდესღაც მათი ხმა ანგელოზების სიმღერას ჰგავდა.

— ვინადირებთ. მე ბელადი ვიქნები.

თავი დაუქნიეს და დაძაბულობა იოლად განელდა.

— კიდევ... რაც შეეხება ურჩხულს.

შეიშმუშნენ და ტყეს გახედეს.

— აი, რას გეტყვით. ურჩხული ჩვენ არ გვენაღვლება.

ახლა თვითონ დაიქნია თავი.

— ურჩხულს დავივიწყებთ.

— სწორია!

— დიახ!

— დავივიწყოთ ურჩხული!

ჯეკს იქნებ გაუკვირდა კიდეც ასეთი გულმხურვალება, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

— კიდევ ერთი. აქ ზმანებები მოგვაკლდება. ლამის კუნძულის ბოლოა.

დაუფიქრებლად, განაწამები სულის სიღრმიდან ამოხეთქილი მზადყოფნით დაეთანხმნენ ჯეკს.

— ახლა ყური მიგდეთ. მოგვიანებით იმ კლდეზე უნდა ავიდეთ, ციხე-კოშკს რომ ჰგავს. მაგრამ ჯერ უფროსები კიდევ უნდა ჩამოვაშოროთ საყვირსა და სხვა რამეებს. ღორს მოვკლავთ და ლხინს გავმართავთ. — შეყოვნდა და უფრო ნელა განაგრძო. — რაც შეეხება ურჩხულს. ნადირობის მერე ნაწილს იმას დავუტოვებთ. იქნებ, მერე აღარ შეგვაწუხოს.

და უცებ წამოხტა:

— ახლა ტყეში წავალთ, სანადიროდ.

მიტრიალდა და გაიქცა. დანარჩენები მორჩილად გაჰყვნენ.

ტყეში აღელვებულები დაიფანტნენ, ჯეკი თითქმის მაშინვე წააწყდა ამოთხრილ მიწას და აჩიჩქნილ ფესვებს — ღორის ნაკვალევს. ცოტა ხნის წინ გაევლო. მონადირეებს ანიშნა, წყნარად იყავითო და თვითონ წინ წავიდა. ბედნიერი იყო, როგორც ძველ ტანსაცმელში, ისე გახვეულიყო ტყის ნოტიო სიბნელეში. ფერდობზე ჩაცოცდა და გადამტვრეული ხეებიდან ზღვასთან გავიდა.

ღორები ქონის დაბერილი ტომრებივით ეყარნენ ხეების ქვეშ, ჩრდილში, ნეტარებდნენ. სიო არ იძვროდა და არაფერი უეჭვიათ. ჯეკს უკვე ნასწავლი ჰქონდა უჩუმრად, ლანდივით მოძრაობა. ისევ უკან გახოხდა და შემალული მონადირეები გააფრთხილა. ახლა ყველა თანდათანობით მიიწევდა წინ მდუმარე სიცხეში და ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ. ხეებქვეშ ყურის ზანტი პარტყუნი გაისმა. დანარჩენებისგან ოდნავ მოშორებით ღრმა მდედრულ ნეტარებაში ჩაფლული დიდი დედაღორი თვლემდა. შავი და ვარდისფერი. ვეება მუცელთან გოჭები ეკვროდნენ — ზოგს ეძინა, ზოგი ცდილობდა, დინგი ღრმად ჩაერგო და ხმადაბლა ჭყვიტინებდა.

ჯეკი კოლტიდან თხუთმეტიოდე იარდის მოშორებით გაჩერდა; ხელი დედაღორისკენ გაიშვირა. მიიხედ-მოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ყველამ გაუგო. დანარჩენებმა თავი დაუქნიეს. მარჯვენა ხელი ყველამ უკან წაიღო.

— წავედით!

კოლტი წამოხტა; სულ რაღაც ათი იარდის მანძილზე გამწკრივებული რიგიდან შუბები ცეცხლში გამომწვარი წვეტებით გაფრინდა ამორჩეული ღორისკენ. ერთი გოჭი განწირული ჭყივილით შევარდა ზღვაში, უკან როჯერის შუბი მისთრევდა. დედა ღორმა გამგმირავად დაიჭყივლა, ბარბაცით წამოდგა, მსუქან ფერდში ორი შუბი ჰქონდა ჩარჭობილი. ბიჭებიც ყვირილით გაცვივდნენ წინ, გოჭები დაიფანტნენ, დედაღორმა წინ გადაღობილი მწკრივი გაარღვია და შლიგინით შევარდა ტყეში.

— გავეკიდეთ!

ღორის საძრომ ბილიკს გაჰყვნენ, მაგრამ აბურდულ, ძეძვებიან ტყეში ბნელოდა, ჯეკმა შეიგინა, ბიჭები გააჩერა და ხეებს შორის დაიწყო ძებნა. ერთხანს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ისეთი გაცოფებული ქშენდა, რომ შეშინებულმა ბიჭებმა ერთ-

მანეთს დათრგუნული რიდით გადახედეს. ახლა თითი მიწას დაარჭო:

— აი...

სანამ დანარჩენები სისხლის წვეთს ათვალიერებდნენ, ჯეკმა გვერდზე გაუხვია, კვალი შეამოწმა, გადამტვრეულ ტოტს დააკვირდა. სასწაულებრივად სწორად და შეუცდომლად, თავდაჯერებით მიჰყვებოდა ნაკვალევს; მონადირეებიც აედევნენ.

სამალავთან გაჩერდა:

— აქ არის.

სამალავს გარს შემოერტყნენ, ღორი გამოვარდა, ფერდში კიდევ ერთი შუბი ჩაესო და ტკივილისგან გაშმაგებული გაუსხლტათ. შუბისტარები მისთრევდა, ფეხებში ედებოდა, ბასრი, წამახული წვერები კიდევ უფრო ერჭობოდა, სტანჯავდა. ხეს დაეჯახა და შუბი უფრო ღრმად ჩაესო; ამის შემდეგ მონადირეები უკვე იოლად მისდევდნენ ახალდაწვეთებული სისხლის ნაკვალევს. შუადღე გადავიდა — ნესტიანი სიცხით გაბრუებული, საზარელი შუადღე; დედაღორი ბარბაცით მიიწევდა წინ, გასისხლიანებული, გაშმაგებული; მონადირეები უკან მიჰყვებოდნენ — სურვილით მიჯაჭვულები, ხანგრძლივი დევნითა და დაღვრილი სისხლით გახელებულები. უკვე დაინახეს, ის-ის იყო, დაეწივნენ კიდეც, ღორმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, კიდევ ერთხელ მოსწყდა და ისევ წინ გავარდა. სულ ერთი-ორი ნაბიჯი აშორებდათ, როცა გაშლილ მინდორზე გაბარბაცდა; მინდორი ჭრელ-ჭრელი ყვავილებით იყო მოფენილი, პეპლები ფარფატით ეცეკვებოდნენ ერთმანეთს, ცხელი ჰაერი არ იძვროდა.

სიცხისგან ძალაგამოცლილი დედაღორი დაეცა და მონადირეები მაშინვე ერთი ნახტომით დაეხვივნენ. უცნობი სამყაროს ამ საზარელმა თავდასხმამ ღორი გადარია; აჭყივლდა, აფართხალდა და ჰაერი ოფლით, ხმაურით, სისხლით ძრწოლით აივსო. როჯერი ზედახორის გარშემო დარბოდა და სადაც ღორის სხეულს მოჰკრავდა თვალს, შუბს იქ ატაკებდა. ჯეკი ზედ აჯდა დედაღორს და გაშმაგებით ურტყამდა დანას. როჯერმა, ბოლოს მოუძებნა ადგილი, შუბი ჩაარჭო და მთელი ტანით დააწვა. შუბი თანდათანობით უფრო და უფრო ღრმად ესობოდა, თავზარდაცემული ჭყივილი გულისმომკვლელ ჭყვიტინად იქცა. მერე ჯეკმა, როგორც იქნა, ყელს მიაგნო და ცხელმა სისხლმა

შადრევანივით იფეთქა ხელებზე. დედაღორი უსულოდ დაეცა, ბიჭები ზედ დაეყარნენ — მძიმედ, ჟინმოკლულები. პეპლები ისევ მსუბუქად დაფარფატებდნენ მინდორში.

ნადავლით აღტაცება ჩაცხრა. ბიჭები უკან გადაცვივდნენ, ჯეკი ადგა და ხელები გაშალა.

— შეხედეთ.

ხითხითებდა და ცხვირში სჩრიდათ აქოთებულ ხელისგულებს, ბიჭები იცინოდნენ. მერე ჯეკი მაურისს სწვდა და სისხლიანი ხელი ლოყებზე ჩამოუსვა. როჯერმა შუბის ამოძრობა დაიწყო და ბიჭებმა ახლაღა შენიშნეს, რა მოხდა. რობერტმა ეს საქმე ერთი ფრაზით გაარკვია, და ამ ფრაზას აღტაცებული ყიჟინით შეხვდნენ.

— პირდაპირ ტრაკში მოხვედრია!

— გაიგონეთ?

— გაიგონეთ, რა თქვა?

— ტრაკშიო!

ახლა რობერტმა და მაურისმა დაიწყეს წარმოდგენა; მაურისი ისე სასაცილოდ განასახიერებდა, თუ როგორ ცდილობდა ღორი შუბის აცილებას, რომ ბიჭები გიჟებივით ხარხარებდნენ.

ბოლოს, ესეც მობეზრდათ. ჯეკმა სისხლიანი ხელები კლდეს შეაწმინდა. მერე დედაღორის გამოშიგნვა დაიწყო — გაფატრა, ფერადი ნაწლავების ცხელი გორგლები ამოიღო და ერთ გროვად დაყარა კლდეზე. დანარჩენები იდგნენ და უყურებდნენ. ჯეკი საქმიანობდა და ბიჭებს ელაპარაკებოდა:

— ხორცს ნაპირზე წავიღებთ. ბაქანზე დავბრუნდები და იმათ ლხინზე მოვიწვევ. დროს მოვიგებთ.

— ბელადო... — წამოიწყო როჯერმა.

— ჰა?

— ცეცხლი როგორ დავანთოთ?

ჯეკი ჩაცუცქდა და წარბშეკრულმა შეხედა ღორს.

— თავს დავესხათ და წავართვათ. ოთხნი წამომყვებით — შენ, ჰენრი, ბილი და მაურისი. შევიღებებით და მივეპარებით. სანამ მე ვეტყვი, რა მინდა, როჯერი მუგუზალს სტაცებს ხელს. დანარჩენები ჩვენს ადგილას დაბრუნდით. კოცონისთვის შეშას იქ დავაწყობთ. და მერე...

გაჩუმდა და ადგა. ხეების ქვეშ დაფენილ ჩრდილებს გახედა. უფრო ხმადაბლა განაგრძო:

— ოღონდ ნანადირევის ნაწილი იმას უნდა დავუტოვოთ...

ისევ ჩაიმუხლა და დანა აამუშავა. ბიჭები გარშემო შემოეხვივნენ. მხარს იქით გადმოუგდო როჯერს:

— ჯოხს ორივე მხრიდან წაუთალე წვერი.

ადგა. ხელში დედაღორის თავი ეჭირა, თავიდან სისხლი წვეთავდა.

— სად არის ჯოხი?

— აი.

— მიწაში ჩაარჭე. თუმცა... კლდეა. ღრიჭოში ჩასვი. ეგრე.

ჯეკმა ღორის თავი ასწია და რბილი ყელით ჩამოაცვა წამახულ ჯოხზე. ჯოხმა პირში გამოჰყო წვერი. ჯეკმა უკან დაიხია. ჯოხს წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა სისხლი.

ბიჭებმაც ინსტინქტურად დაიხიეს უკან; ტყე გაირინდა. ყურს უგდებდნენ — სიჩუმეში მხოლოდ გადაყრილ ნაწლავებზე დასეული ბუზების ბზუილი ისმოდა.

— აიღეთ ღორი, — დაიჩურჩულა ჯეკმა.

მაურისმა და რობერტმა ნანადირევს ჭოკი გაუყარეს, ასწიეს და წელში გაიმართნენ. ახლა, გამხმარი სისხლის გუბესთან ჩუმად რომ იდგნენ, უეცრად ისეთი სახეები გაუხდათ, თითქოს რაღაცას მალავენო.

— ეს თავი ურჩხულისთვისაა, — ხმამაღლა წარმოთქვა ჯეკმა, — ძღვენს მივართმევთ.

სიჩუმემ ძღვენი მიიღო და შეზარათ. ღორის თავი არ იძვროდა, თვალებდაბინდული იღმიჭებოდა და კბილებს შორის შავად უჩანდა სისხლი. უცებ ადგილიდან მოსწყდნენ, თავქუდმოგლეჯილები შეცვივდნენ ტყეში და ნაპირისკენ მოკურცხლეს.

საიმონი სადაც იყო, იქ დარჩა, ფოთლებში მიმალული, პატარა, ყავისფერი ფიგურა. თვალები გინდ დაეხუჭა, დედაღორის თავი მაინც თვალწინ ედგა. ღორის ნახევრად მილულულ თვალებს მოზრდილთა ცხოვრების უსაზღვრო ცინიზმი ნისლავდა. ეს მზერა საიმონს ეუბნებოდა, ცუდი ამბავიაო.

— ვიცი.

საიმონი მიხვდა, რომ ხმამაღლა ლაპარაკობდა. სასწრაფოდ გაახილა თვალები, ღორის თავი უცნაურ დღის შუქზე დამცინავად იღმიჭებოდა და არაფრად აგდებდა არც ბუზებს, არც გადაყრილ ნაწლავებს, იმასაც კი, რომ სამარცხვინოდ იყო ჯოხზე ჩამოცმული.

განზე გაიხედა და გამშრალი ტუჩები დაისველა.

ძღვენი — ურჩხულისთვის. მერე, წასაღებად არ მოვა? მოეჩვენა, რომ ღორის თავი ეთანხმებოდა. გაიქეცი, — მდუმარედ ეუბნებოდა თავი, — დანარჩენებთან დაბრუნდი. ხუმრობა იყო და მეტი არაფერი — რა გაწუხებს? უბრალოდ, ცუდად გახდი. ეგ არაფერია. ცოტათი თავი აგტკივდა, ალბათ საჭმელს შეაყოლე რამე. წადი, პატარავ, დაბრუნდი, — უხმოდ ეუბნებოდა თავი.

საიმონი სველმა თმამ დაამძიმა და ცას ახედა. იქ, მაღლა, როგორც იქნა, გამოჩნდა ღრუბლები, დიდი, მკვრივი კოშკებივით რომ გაფანტულიყვნენ კუნძულის თავზე — ნაცრისფერი, კრემისფერი, რუხი. ღრუბლები მიწაზე სხდებოდნენ და ყოველ წუთში სულ უფრო და უფრო იკუმშებოდნენ, დახუთულ, მტანჯველ სიცხეს იწურავდნენ და კუნძულზე აფრქვევდნენ. პეპლებმაც კი მიატოვეს გაშლილი მინდორი, სადაც ის საძაგელი რაღაც იღმიჭებოდა და წვეთავდა. საიმონმა თავი ჩაქინდრა, გულმოდგინედ ხუჭავდა თვალებს, მერე ხელი აიფარა. ხეებქვეშ ჩრდილები არ ეცემოდა, მაგრამ ყველაფერი გარინდებულიყო, თითქოს სადაფის გარსშია გახვეულიო, ისე რომ, სინამდვილე ილუზიას ემსგავსებოდა. ნაწლავების გროვა შავი ბუზებით მოწინწკლულიყო; ხერხივით ზუზუნებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბუზებმა საიმონს მიაგნეს. გამომძღარი მწერები ბიჭს სახეზე დაასხდნენ და წურწურით ჩამომავალ ოფლს დაეწაფნენ. ნესტოებში უღიტინებდნენ, ფეხებზე ოთურმა გაუმართეს. შავი, ცისარტყელას ფერებივით ელვარე, ურიცხვი ბუზი; საიმონის პირდაპირ კი ჯოხზე ჩამოცმული ბუზთა ბატონი იღმიჭებოდა. ბოლოს საიმონმა ვეღარ გასძლო და უკან მიიხედა; დაინახა თეთრი კბილები, ამღვრეული გამოხედვა, სისხლი — და მზერა ვეღარ მოსწყვიტა იმ უძველეს, თანამდევ, ყოვლისმცოდნე თვალებს. მარჯვენა საფეთქელმა ფეთქვა დაუწყო — თითქოს ტვინში ურტყამდნენ.

რალფი და ღუტა ქვიშაში იწვნენ, ცეცხლს ჩასცქეროდნენ და ზანტად ესროდნენ კენჭებს, კვამლი აღარ ამოდიოდა.

— ეს ტოტიც ჩაიწვა.

— სემდერიკი სად არიან?

— შეშა უნდა დავამატოთ. მწვანე ტოტები აღარა გვაქვს.

რალფმა ამოიოხრა და ადგა. ბაქანზე, პალმებს ქვეშ, ჩრდილები აღარ ჩანდა; მხოლოდ ეს უცნაური შუქი ეფინებოდა — თითქოს ყოველი მხრიდან, ერთდროულად. მაღლა, დაბურცულ ღრუბლებში ქუხილმა თოფივით იგრიალა.

— თავსხმა წამოვა.

— ცეცხლს რაღა ვუყოთ?

რალფი ტყისკენ გაიქცა, გაფოთლილი, მწვანე ტოტი მოიტანა და ცეცხლში ჩააგდო. ტოტმა დაიჭრაჭუნა, ფოთლები აიგრიხა და ყვითელი კვამლი აუშვა.

ღუტა ხელით ქვიშას დააწვა და ანაბეჭდი დატოვა.

— ცუდი ის არის, რომ ცეცხლისთვის ხალხი არ გვყოფნის. სემდერიკი ერთ კაცად გვეთვლება. ყველაფერს ერთად აკეთებენ...

— ჰო, ეგრეა.

— მერე, ეგრე არ შეიძლება. რიგ-რიგობით უნდა აკეთონ საქმე.

რალფი დაფიქრდა და მიხვდა. თავის თავზე ბრაზი მოუვიდა, როცა იგრძნო, როგორ ვერ ახერხებდა მოზრდილივით ფიქრს. ისევ ამოიოხრა. კუნძულზე ყოფნა სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა.

ღუტამ ცეცხლს შეხედა.

— მალე კიდევ ერთი მწვანე ტოტი დაგვჭირდება.

რალფი პირქვე გადმობრუნდა.

— ღუტა, რა უნდა ვქნათ?

— იოლად უნდა გამოვიდეთ უიმათოდ.

— კი მაგრამ... ცეცხლი?

შუბლშეკრულმა შეხედა შავ-თეთრ მასას, რომელშიც ტოტების დაუწვავი ბოლოები ეწყო. სცადა, გარკვევით ეთქვა, რას ფიქრობდა:

— მეშინია.

ღუტას მზერა დაიჭირა და ბორძიკით განაგრძო:

— ურჩხულის კი არა. იმისაც მეშინია, მაგრამ ახლა სხვა რამეს გეუბნები. არავის არ ესმის, რომ ცეცხლი გვჭირდება. თუ იხრჩობი და თოკი გადმოგიგდეს, ან როცა ექიმი გეუბნება, ამ წამალს თუ არ დალევ, მოკვდებიო... ხომ უნდა გააკეთო, რაც საჭიროა? ხომ გააკეთებდი?

— რასაკვირველია.

— ვერაფერს ვერ ხვდებიან? სასიგნალო კვამლის გარეშე აქ რომ ჩავიხოცებით, ვერ ხვდებიან? აბა, შეხედე!

ფერფლის თავზე გავარვარებული ჰაერი თრთოდა. კვამლის ნასახიც აღარ იყო.

— ცეცხლისთვისაც ვერ მოგვივლია. იმათ კი არ ენაღვლებათ. მეტსაც გეტყვი... — ღუტას გაოფლილ სახეზე მიაქცერდა, — მეტსაც გეტყვი. ხანდახან არც მე მენაღვლება. მეც რომ ავდგე და სხვებივით თავი აღარ ავიტკიო... რა მოგვივა?

შეშფოთებულმა ღუტამ სათვალე მოიხსნა.

— არ ვიცი, რალფ. უნდა გავუძლოთ და ეგ არის. მოზრდილები ასე იზამდნენ.

რალფმა რაკი ერთი გადაუშალა გული, ახლა აღარაფერს მალავდა.

— ღუტა, რა მოხდა?

— რას გულისხმობ? — გაკვირვებით შეხედა ღუტამ.

— არა... იმას ვამბობ, რომ... რატომ აგვერ-დაგვერია ასე ყველაფერი?

ღუტამ აუჩქარებლად გაიწმინდა სათვალე და დაფიქრდა. როცა მიხვდა, როგორ ახლობლად მიიჩნია რალფმა, სიამაყისგან ლოყები აუვარდისფრდა.

— არ ვიცი, რალფ. მე მგონი, იმის ბრალია.

— ჯეკის?

— ჯეკის. — ამ სახელზე ტაბუ ჰქონდათ დადებული.

რალფმა პირქუში სახით დაუქნია თავი.

— ჰო, ალბათ ეგრეა.

შორიახლოს ტყე უცებ ღრიანცელმა აავსო. თეთრი, შავი, წითელი და მწვანესახიანი ფიგურები ჭინკებივით წიოკით გამოცვივდნენ; პატარები თავზარდაცემული წივილ-კივილით დაიფანტნენ. რალფმა თვალი მოჰკრა, რომ ღუტა გარბოდა. ორი ფიგურა ცეცხლს ეცა, რალფი თავდასაცავად მოემზადა, მაგრამ იმათ ნახევრად დამწვარ ტოტებს სტაცეს ხელი და ნაპირის გაყოლებით მოკურცხლეს. დანარჩენი სამი წყნარად იდგა და რალფს თვალს არ აშორებდა; ბიჭმა დაინახა, რომ მათ შორის ყველაზე მაღალი და, — ქამარსა და საღებავს თუ არ ჩავთვლიდით, — დედიშობილა, ჯეკი იყო.

რალფმა ამოისუნთქა:

— აბა, რაშია საქმე?

ჯეკმა არც კი შეხედა, შუბი ასწია და ყვირილი მორთო:

— მისმინოს ყველამ. მე და ჩემი მონადირეები ნაპირზე ვცხოვრობთ, ბრტყელი კლდის პირას. ვნადირობთ და ვზეიმობთ და ვმხიარულობთ. თუ გინდათ, ჩემს ტომს შემოუერთდით, მოდით და გვნახეთ. შეიძლება მიგიღოთ. შეიძლება — არა.

შეყოვნდა, მიიხედ-მოიხედა. საღებავების ნიღაბს ამოფარე-

ბულს სირცხვილი ან უხერხულობა აღარაფრად მიაჩნდა და თითოეულ მათგანს აკვირდებოდა. რალფმა გასაქცევად გამზადებული მორბენალივით ჩაიმუხლა ცეცხლის ნარჩენებთან, ჩამოშლილი თმა და ჭვარტლი სანახევროდ უფარავდა სახეს. პალმას ამოფარებული სემდერიკი ერთად იყურებოდნენ ტყისპირიდან, ტბორთან ერთი პატარა ტირილით ჩაბჟირდა. ღუტა ბაქანზე იდგა და თეთრი საყვირი ხელში ჩაებღუჯა.

— ამაღამ ლხინს ვმართავთ. ღორი მოვკალით და ხორცი გვაქვს. თუ გინდათ, შეგიძლიათ მოხვიდეთ და ჭამოთ.

მაღლა, ღრუბლებში ისევ დაიგრუხუნა. ჯეკი და მისი თანმხლები ორი უცნობი ველური შეკრთნენ, ზემოთ აიხედეს, მაგრამ მყისვე გონს მოეგნენ. პატარა ისევ გულამოსკვნილი ტიროდა. ჯეკი რაღაცას ელოდებოდა. მერე მოუთმენლად წასჩურჩულა თავისიანებს:

— აბა... თქვით!

ველურები აჩურჩულდნენ, მაგრამ ჯეკმა შეუტია:

— რა გითხარით!

ველურებმა ერთმანეთს გადახედეს, ერთდროულად აღმართეს შუბები და წარმოთქვეს:

— ეს ბელადმა თქვა.

მერე სამივე მიტრიალდა და გაიქცა.

რალფი ადგა და იქით გაიხედა, სადაც ველურები გაუჩინარდნენ. ტყუპებმა მოირბინეს და თავზარდაცემულები აჩურჩულდნენ:

— მე მეგონა...

— შემეშინდა...

ღუტა ბაქნიდან გადმოჰყურებდათ და საყვირი ისევ ხელში ეჭირა.

— ჯეკი, მაურისი და რობერტი იყვნენ, — თქვა რალფმა, — ასე ერთობიან?

— მე მეგონა, ახლა ასთმის შეტევა დამემართებოდა.

— ნუ შეგვჭამე შენი ასთმით-ჩაფსმით.

— ჯეკი რომ დავინახე, ვიფიქრე, საყვირის წასაღებად მოვიდა-მეთქი. თვითონაც არ ვიცი, რატომ.

ბიჭებმა ნიჟარას კრძალული ალერსით შეხედეს. ღუტამ რალფს ჩაუდო ხელში; ნაცნობი სიმბოლოს დანახვაზე პატარებმაც თანდათანობით მოიყარეს თავი.

— არა, აქ არა.

რალფი ბაქნისკენ მიტრიალდა, იგრძნო, რომ რიტუალი იყო საჭირო. ჯერ თვითონ ავიდა, საყვირი ბავშვივით ჰქონდა ატაცებული, მერე ძალიან სერიოზული ღუტა მიჰყვა, მერე ტყუპები, მერე პატარები და სხვები.

— დასხედით. ყველა. ცეცხლის გამო დაგვესხნენ თავს. ერთობიან, მაგრამ...

რალფი შეცბა — თითქოს ნაპერწკალმა გაიელვა და ფარდა ჩამოაფარეს.

რაღაცის თქმა უნდოდა; ფარდა დაეშვა.

— მაგრამ...

სერიოზულად შეჰყურებდნენ, აქამდე წამითაც არ შეჰპარვიათ ეჭვი, რომ ღირსეული ბელადი ჰყავდათ. რალფმა თვალებიდან გადაიყარა ეს ოხერი თმა და ღუტას შეხედა:

— მაგრამ... ისა... ცეცხლი! რასაკვირველია, ცეცხლი!

სიცილი აუტყდა, მერე გაჩერდა და სხაპასხუპით მიაყარა:

— ცეცხლი ყველაზე მნიშვნელოვანია. უცეცხლოდ ვერ გადაგვარჩენენ. ძალიანაც მინდა, მეომარივით მოვიხატო სახე და ველური ვიყო. მაგრამ ცეცხლი არ უნდა ჩაგვიქრეს. კუნძულზე მთავარი ცეცხლია. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ...

ისევ შეყოვნდა. სიჩუმეში ეჭვმა და გაკვირვებამ დაისადგურა. ღუტამ სასწრაფოდ ჩასჩურჩულა.

— გადავრჩეთ.

— ჰო. ცეცხლის გარეშე ვერ გადაგვარჩენენ. ასე რომ, ცეცხლს არ უნდა მოვშორდეთ და კვამლი არ გავაქროთ.

გაჩუმდა, კრინტი არავის დაუძრავს. ამ ბაქანზე სხვა დროს წარმოთქმული ბრწყინვალე გამოსვლების შემდეგ ახლა რალფის სიტყვები მოიკოჭლებდა — ეს პატარებმაც კი შენიშნეს.

ბოლოს ბილმა გაიწოდა ხელი საყვირისკენ.

— ახლა ზემოთ კოცონს ვეღარ დავანთებთ... რაკი იქ კოცონს ვეღარ დავანთებთ... ხალხი აღარ გვყოფნის. მოდი, წავიდეთ ზეიმზე და ვუთხრათ, რომ ცეცხლს მარტო ვეღარ მოვუვლით. ეგეც არ ოყოს, ნადირობაც და ისიც... ველურებივით სიარულიც... ალბათ კარგი გასართობი იქნება.

სემდერიკმა საყვირი აიღეს.

— ბილისა არ იყოს, სახალისო იქნება... თან დაგვპატიჟა...

— ...ზეიმზე...

— ...ხორცზე...

— ...შემწვარი იქნება...

— ...ხორცზე უარს არ ვიტყოდი...

რალფმა ხელი ასწია.

— ჩვენ თვითონ ხორცი ვერ უნდა ვიშოვნოთ?

ტყუპებმა ერთმანეთს გადახედეს. ბილმა უპასუხა:

— ჯუნგლებში წასვლა არ გვინდა.

რალფი აიმრიზა:

— ის... თქვენც იცით... დადის.

— ის მონადირეა. ყველანი მონადირეები არიან, ეგ სხვა საქმეა.

ერთხანს ხმას არავინ იღებდა, მერე ღუტამ ქვიშას ჩასჩურჩულა:

— ხორცი...

პატარები დასხდნენ. ხორცზე ფიქრობდნენ და ნერწყვი მოსდიოდათ. მაღლა, ღრუბლებში, ისევ დაიქუხა და ცხელმა ქარმა უცებ ტკაცუნით დაუარა, პალმების მშრალ ფოთლებს.

— პატარა, სულელი ბიჭი ხარ, — უთხრა ბუზთა ბატონმა, — ერთი უცოდინარი, სულელი, პატარა ბიჭი.

საიმონმა შეშუპებული ენა აამოძრავა, მაგრამ არაფერი თქვა.

— რა, ასე არ არის? — უთხრა ბუზთა ბატონმა, — პატარა, სულელი ბიჭი არა ხარ?

საიმონმა ასევე უხმოდ უპასუხა.

— კარგი, — თქვა ბუზთა ბატონმა, — გირჩევნია, გაიქეცი და სხვებთან ერთად ითამაშე. შენზე ფიქრობენ, შერეკილიაო. ხომ არ გინდა, რომ რალფს შერეკილი ეგონო? ხომ ძალიან მოგწონს რალფი? ღუტაც, ჯეკიც?

საიმონს თავი უკან გადაუვარდა. ბუზთა ბატონს თვალს ვერ სწყვეტდა ზუსტად მის წინ იყო ჩამოკიდებული.

— აქ რას აკეთებ მარტოდმარტო? ჩემი არ გეშინია?

ბიჭი შეკრთა.

— აქ ვერავინ მოგეშველება. ჩემს გარდა. მე კი ურჩხული ვარ.

საიმონს თითქოს ენა აეხსნა, რის ვაი-ვაგლახით ამოღერღა:

— ჯოხზე წამოცმული ღორის თავი.

— თქვენ გეგონათ, რომ ურჩხული ისეთი რამეა, რაზეც ინადირებ და მოკლავ? — თქვა თავმა. ერთი-ორი წუთიც და ტყიდან თუ ბუნდოვნად მოხაზული სხვა ადგილებიდან ექომ ხარხარით გამოაჯავრა. — შენ კი იცოდი, ასეა? მე რომ თქვენი ნაწილი ვარ? ფარული, ფარული ნაწილი! რომ სწორედ ჩემს გამო არ გამოგივიდათ არაფერი და მოხდა ის, რაც მოხდა?

ხარხარმა ისევ ააცახცახა ტყე.

— კარგი, გვეყოფა, — უთხრა ბუზთა ბატონმა, — დანარჩენებთან დაბრუნდი და ყველაფერი დავივიწყოთ.

საიმონი თავს აკანტურებდა. თვალები ნახევრად მიელულა, თითქოს იმ ჯოხზე ჩამოცმულ სისაძაგლეს ბაძავდა. იცოდა, რომ ეპილეფსიის შეტევა ეწყებოდა. ბუზთა ბატონი ბუშტივით გაიბერა.

— სასაცილოა. მშვენივრად იცი, რომ ქვემოთ ჩახვალ თუ არა, იქ დაგხვდები... ასე რომ, ვერ გამექცევი!

საიმონს სხეული მოერკალა და გაუშეშდა. ბუზთა ბატონმა სკოლის მასწავლებლის ხმით განაგრძო:

— ძალიან კი შევტოპეთ. ჩემო საბრალო, გზააბნეულო ბავშვო, როგორ გგონია, ჩემზე მეტი იცი?

დუმილი.

— გაფრთხილებ. ცოტაც და იცოდე, გავცოფდები. გაიგე? შენ არავის არ უნდიხარ. გაიგე? ამ კუნძულზე კარგად ვაპირებთ გართობას. გესმის? ამ კუნძულზე კარგად ვაპირებთ გართობას! ასე რომ, ნურც შეეცდები აგვეკიდო, ჩემო საბრალო, გზააბნეულო ბავშვო, თორემ...

საიმონი მიხვდა, რომ ფართოდ დაბჩენილ ხახას ჩასცქეროდა. შიგნით სიშავე ჩანდა, ის სიშავე, არემარეს რომ ეფინებოდა.

— ...თორემ, — განაგრძო ბუზთა ბატონმა, — ბოლოს მოგიღებთ, გაიგე? ჯეკი, როჯერი, მაურისი, რობერტი, ბილი, ღუტა, რალფი. ბოლოს მოგიღებთ. გაიგე?

საიმონი უკვე ხახაში იყო. დაეცა და გონება დაკარგა.

თავი მეცხრე

სიკვდილის სახე

კუნძულის თავზე ისევ ღრუბლები გროვდებოდა. გავარვარებული ჰაერის მკვრივი ნაკადი მთელი დღის განმავლობაში მთიდან ზემოთ მიიწევდა და ათი ათასი ფუტის სიმაღლეს აღწევდა; აირის ცვალებადი მასები გაზებით მანამ მუხტავდა ჰაერს, სანამ ასაფეთქებლად არ მოამზადა. მოსაღამოვებულზე მზე გაუჩინარდა და მოკრიალებულ დღის შუქს თვალისმომჭრელი, ფოლადისფერი ელვარება შეენაცვლა. ზღვიდანაც კი ცხელი ჰაერი უბერავდა, შვება არ მოჰქონდა. წყალი, ხეები და კლდეების ვარდისფერი ზედაპირი გახუნდა, თეთრი და ყავისფერი დაედო. ყველაფერმა მოიწყინა, ბუზების გარდა, თავიანთი ბატონი რომ გააშავეს და გადაყრილი ნაწლავები ნახშირის ლაპლაპა გროვას დაამსგავსეს. საიმონს ცხვირიდან სისხლი რომ წამოსკდა, მაშინაც კი არ მიჰკარებიან — ღორის მძაფრი სუნი არჩიეს.

სისხლისდენის შემდეგ საიმონს შეტევამ გაუარა. ბიჭმა სისუსტე იგრძნო და ძილი მოერია. ლიანების ხალიჩაში იწვა, საღამო თანდათანობით ეფინებოდა არემარეს, ისევ ქუხდა. ბოლოს გაიღვიძა და ლოყასთან ბუნდოვნად გაარჩია მიწა. უძრავად იწვა, სახე გვერდულად ედო. დაბინდული მზერა ჰქონდა. მერე გადატრიალდა, ფეხები მოკეცა, ლიანებს ჩაეჭიდა და რის ვაი-ვაგლახით წამოდგა. ლიანები რომ შეირხა, ბუზები საძაგელი ბზუილით წამოიშალნენ ნაწლავებიდან, მერე ისევ ზედ დაეწებნენ აქოთებულ გროვას. საიმონი ფეხზე წამოდგა. იქაურობა არაამქვეყნიურ შუქში გახვეულიყო. ბუზთა ბატონი შავი ბურთივით ეკიდა ჯოხზე.

— კიდევ რისი გაკეთება შეიძლება? — ხმამაღლა ჰკითხა საიმონმა მდელოს.

პასუხი ვერ მიიღო. ბიჭმა მდელოს ზურგი შეაქცია, ლიანებში გახოხდა და ტყის ბინდბუნდში შეძვრა. ნაღვლიანად მიეხეტებოდა ხეებს შორის, უაზრო, ცარიელი გამომეტყველებით, პირთან და ნიკაპზე სისხლი შეხმობოდა. ხანდახან, ჩამოკიდებულ ლიანებს რომ გადასწევდა და მიმართულებას ირჩევდა, უხმოდ, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით წარმოთქვამდა სიტყვებს.

მალე ხეებზე ლიანების გირლიანდები შეთხელდა და ტყეში ციდან ჩამოშვებული, სადაფისფერი შუქი გაიფანტა. ეს კუნძულის ხერხემალი იყო, ოდნავ შემაღლებული ადგილი მთის ძირას, სადაც გაუვალი ჯუნგლები მეჩხერდებოდა. გაშლილ სივრცეში აქა-იქ ბარდები და დიდრონი ხეები იჭრებოდა, გაკვალული გზა აღმართს მიუყვებოდა. ბოლოს საიმონი ტყიდან გავიდა. დროდადრო დაღლილობისგან ბორძიკობდა, მაგრამ მაინც შეუჩერებლად მიიწევდა წინ. თვალები ჩაუქრა — ჩვეულებისამებრ აღარ უბრწყინავდა. პირქუშად, მტკიცედ მიაბიჯებდა — ბერიკაციოვით.

ქარმა დაუბერა, წააბარბაცა. გაშლილ ადგილას იდგა, კლდეზე, ფოლადისფერი ცის ქვეშ. იგრძნო, რომ მუხლები ეკვეთებოდა და ენა სტკიოდა. როცა ქარმა მთის წვერს მიაღწია, საიმონმა დაინახა, რომ იქ რაღაც მოხდა, რაღაც ლურჯმა გაიელვა რუხი ღრუბლებისკენ. თავს ძალა დაატანა, გზა განაგრძო, ქარმა ისევ წამოუბერა, ახლა უფრო ძლიერად, ხეებს კენწეროებზე გადაუარა, ტყე გადაიხარა და ახმაურდა. საიმონმა დაინახა, რაღაც კუზიანი როგორ წამოჯდა და ჩამოხედა. ბიჭმა თავი დაღუნა, რომ სახე დაემალა და ძლივძლივობით განაგრძო გზა.

ფიგურისთვის ბუზებსაც მიეგნოთ. ცოცხალივით რომ ამოძრავდებოდა, წუთით წამოიშლებოდნენ ხოლმე და შავი ღრუბელივით დაადგებოდნენ თავზე. მერე, პარაშუტის ლურჯი ქსოვილი იჩუტებოდა. ზორბა ფიგურა ოხვრით წინ იხრებოდა და ბუზები ისევ ასხდებოდნენ.

საიმონი მუხლებით დაეცა კლდეზე. წინ გახოხდა და მალე ყველაფერს მიხვდა. აბურდულმა ზონრებმა დაანახა ამ პაროდიის მექანიკა; დააკვირდა ცხვირის თეთრ ძვლებს, კბილებს, გახრწნილი სხეულის ფერებს. დაინახა, რეზინისა და ტილოს ფენებს როგორ დაუნდობლად ეჭირათ საბრალო სხეული, რომელიც, წესით, ლპობისგან აქამდე უნდა დაშლილიყო. მერე ზონრებს ხელი მოჰკიდა, კლდეებისგან გამოათავისუფლა და სხეული ქარით ტანჯვისგან იხსნა.

ბოლოს, მიტრიალდა და ნაპირს გადახედა. ბაქანზე ცეცხ-

ლი ჩამქრალიყო, ყოველ შემთხვევაში, კვამლი აღარ ჩანდა. იქით, ნაპირის გასწვრივ, პატარა მდინარის გადაღმა, ბრტყელ კლდესთან, კვამლის წვრილი სვეტი მიიკლაკნებოდა ცისკენ. საიმონს ბუზები დაავიწყდა, მზერა ორივე ხელით მოიჩრდილა და კვამლს მიაცქერდა. ამსიშორიდანაც კი გაარჩევდი, რომ ბიჭების უმეტესობა — შეიძლება ყველა — იქ იყო. ეტყობა, ბანაკი გადაიტანეს, ურჩხულს რომ მოშორებოდნენ. ამ ფიქრზე საიმონმა გვერდით წამომჯდარ, საბრალო, დამტვრეულ, აქოთებულ არსებას მოხედა. ურჩხული უვნებელი და შემზარავი გამოდგა; ეს ამბავი რაც შეიძლება მალე უნდა გააგებინოს დანარჩენებს. საიმონი თავქვეზე დაეშვა, მუხლები ღალატობდა. ძალიან კი ფრთხილობდა, მაგრამ მაინც ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობდა.

— ვიბანაოთ, — თქვა რალფმა, — სხვა რა დაგვრჩენია.

ღუტა სათვალით აკვირდებოდა დაბურულ ზეცას.

— ეს ღრუბლები რაღაც არ მომწონს. გახსოვს, როგორ იწვიმა, ჩვენ რომ დავეშვით?

— ისევ წვიმას აპირებს.

რალფმა ტბორში ჩაყვინთა. წყლის პირას პატარები თამაშობდნენ და ცდილობდნენ, სხეულზე უფრო თბილი სისველით მაინც გახალისებულიყვნენ. ღუტამ სათვალე მოიხსნა, დიდის ამბით ჩადგა ფეხი წყალში და ისევ გაიკეთა. რალფმა ამოყვინთა, პირით შადრევანივით მიასხა წყალი.

— მოიცა, სათვალე! — უთხრა ღუტამ, — მინა თუ დამისველდა, უნდა ავიდე და გავწმინდო.

რალფმა ისევ მიასხა და ააცდინა. გაუცინა — ელოდა, რომ ღუტა, ჩვეულებისამებრ, თავმოდრეკილი, ნაწყენი, უხმოდ დაიხევდა უკან, მაგრამ ღუტამ წყალს დაჰკრა ხელები.

— გაჩერდი-მეთქი! — უყვირა რალფს, არ გესმის?!

და გაშმაგებით მიასხა წყალი სახეში.

— კარგი, კარგი, — უთხრა რალფმა, — ნუ გადაირიე.

ღუტამ წყალზე ხელების ტყაპუნი შეწყვიტა.

— თავი მტკივა. ნეტავ ცოტა აგრილდეს.

— ნეტავ გაწვიმდეს.

— ნეტავ შინ წასვლა შეგვეძლოს.

ღუტა ტბორის დამრეც, ქვიშიან ნაპირზე გულაღმა გადაწვა. ღიპზე წყალი აშრებოდა. რალფმა ახლა ცისკენ აასხა პირით წყალი. მზის მიმართულებას ღრუბლებში მოძრავი ნათელი ლაქით თუ მიხვდებოდი. წყალში ჩაიჩოქა და მიიხედ-მოიხედა.

— დანარჩენები სად არიან?

ღუტა წამოჯდა.

— შეიძლება, ქოხში წვანან.

— სემდერიკი?

— ბილი სად არის?

ღუტამ ბაქნის იქით მიუთითა.

— იმ მხარეს წავიდნენ. ჯეკის წვეულებაზე.

— წავიდნენ რა, — თქვა შემცბარმა რალფმა, — რა მენაღვლება.

— უბრალოდ, ხორცის საჭმელად...

— და სანადიროდ, — გონივრულად მიუგო რალფმა, — და ველურობანას სათამაშოდ, და საომრად სახის შესაღებად.

ღუტა წყალში ქვიშას ჩიჩქნიდა და რალფს თვალს ვერ უსწორებდა.

— ჩვენც ხომ არ წავსულიყავით.

რალფმა სწრაფად შეხედა და ღუტა აილეწა:

— რომ... დავრწმუნდეთ, რომ არაფერი მომხდარა.

რალფმა ისევ წყლის ნაკადი ამოუშვა.

სანამ ჯეკის ჯგუფთან მიაღწევდნენ, რალფსა და ღუტას კარგა ხნით ადრე შემოესმათ ბიჭების ხმაური. ტყესა და ნაპირს შორის, იქ, სადაც პალმებს ტორფიანი ზოლი დაეტოვებინათ, ბალახი იზრდებოდა. ტორფიდან ერთს ჩააბიჯებდი და მოქცევისას დარჩენილი თეთრი ქვიშა დაგხვდებოდა — თბილი, მშრალი, დატკეპნილი. ქვემოთ ისევ კლდე მიიწევდა ლაგუნისკენ, მერე, წყლის ნაპირამდე, ქვიშის ვიწრო ზოლი იყო. ცეცხლი კლდეზე დაენთოთ. შემწვარი ღორის ხორციდან ქონი უხილავი ალის ენებში წვეთავდა. კუნძულზე ვინც კი იყო — ღუტას, რალფის, საიმონისა და იმ ორის გარდა, ხორცს რომ დასტრიალებდნენ, — ყველას ტორფიან ადგილას მოეყარა თავი. იცინოდნენ, მღეროდნენ, ბალახზე იწვნენ, ჩაცუცქულიყვნენ ან იდგნენ; ყველას საჭმელი ეჭირა ხელში. მაგრამ გაქონილ სახეებზე ეტყობოდათ, რომ ხორცის ჭამა თითქმის დაემთავრებინათ; ზოგი ქოქოსის ნაჭუჭით წყალს სვამდა. სანამ ქეიფს დაიწყებდნენ, შუაგულ მინდორში დიდი მორი მოათრი-

ეს, ზედ კერპივით შეღებილი და გვირგვინით შემკული ჯეკი დაჯდა. იქვე მწვანე ფოთლებზე დალაგებული ხორცის გროვა, ხილი და სასმელი წყლით სავსე ქოქოსის ნაჭუჭები ეწყო.

ღუტა და რალფი მოლიანი ბაქნის ნაპირს მიუახლოვდნენ. ბიჭებმა შენიშნეს და ერთიმეორის მიყოლებით ჩაჩუმდნენ, მხოლოდ ჯეკის გვერდით მდგარი ბიჭი ლაპარაკობდა. ბოლოს, სიჩუმემ ისიც შეაშფოთა და ჯეკი მოტრიალდა. ერთხანს მოსულებს შეჰყურებდა. სიჩუმეს მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნი არღვევდა. რალფმა განზე გაიხედა; სემმა იფიქრა, მე შემომხედა საყვედურითო და გაჯიჯგნილი ძვალი ნერვიული ხითხითით დადო ბალახზე. რალფმა ყოყმანით გადადგა ნაბიჯი, ღუტას პალმისკენ ანიშნა და რაღაც წასჩურჩულა. ორივე სემივით ახითხითდა. რალფმა წინ წაიწია, ქვიშიდან მაღლა ამოჰქონდა ფეხები. ღუტამ სცადა, სტვენა წამოეწყო.

ამ დროს ცეცხლთან მოფუსფუსე ბიჭებმა მოზრდილი ნაჭერი გადმოიღეს და მოლზე მოარბენინეს. ღუტას დაეჯახნენ, დასწვეს, იმანაც ყვირილი მორთო და აცქმუტდა. რალფი და ბიჭების მთელი ჯგუფი მყისვე ახარხარდა და ამან გააერთიანათ. ღუტა კიდევ ერთხელ გახდა საზოგადოების დაცინვის საგანი და ყველა გამხიარულდა, შვება იგრძნო.

ჯეკი ადგა, შუბი დაიქნია.

— მიეცით ხორცი.

შამფურიანმა ბიჭებმა თითო მსუყე ნაჭერი მისცეს რალფსა და ღუტას. იმათაც ხარბად სტაცეს ხელი. იდგნენ და ჭამდნენ. აგრუხუნებული, ქარიშხლისთვის გამზადებული, ფოლადისფერი ზეცა გადმოჰყურებდათ.

ჯეკმა ისევ დაიქნია შუბი:

— ყველას ეყო საჭმელი?

ხორცი კიდევ დარჩა — ხის შამფურებზეც შიშხინებდა და მწვანე თეფშებზეც გროვებად ელაგა. ღუტამ ვერ მოითმინა, ძვალი ნაპირისკენ მოისროლა და ხორცის მეორე ნაჭრისთვის დაიხარა.

— ყველას ეყო საჭმელი? — მოუთმენლად გაიმეორა ჯეკმა.

მის ხმაში ამაყი მესაკუთრის გაფრთხილება გაისმა და ბიჭები შეფუცხუნდნენ — სასწრაფოდ დაუწყეს ხორცს ყლაპვა, რომ სანამ დრო ჰქონდათ, მოესწროთ. ჯეკი მიხვდა, რომ დამთავრებას არ აპირებდნენ, ადგა მორიდან, რომელიც სამეფო

ტახტის მაგივრობას უწევდა და ნელა, მედიდურად მიუახლოვდა მოლის კიდეს. შეღებილ ნიღაბს ამოფარებული დააცქერდა რალფს და ღუტას. ისინი მოშორებით ისხდნენ, ქვიშაზე, რალფი ჭამდა და ცეცხლს შეჰყურებდა. უნებლიეთ შენიშნა, რომ ახლა, მოღრუბლულ ამინდში, ალი მკვეთრად გამოჩნდა. საღამო ჩამოწვა, ოღონდ მშვიდი სილამაზე კი არა, მძვინვარე მუქარა მოიყოლა თან.

— დამალევინეთ. — თქვა ჯეკმა.

ჰენრიმ ნაჭუჭი მოურბენინა. ჯეკმა ისე დალია, ღუტასთვის და რალფისთვის თვალი არ მოუცილებია. გარუჯული კუნთებიდან სიძლიერეს აფრქვევდა; ძალაუფლება მხარზე ეჯდა და მაიმუნივით ებუტბუტებოდა.

— ყველა დაჯდეს.

ბიჭები სწორ რიგებად დასხდნენ მის წინ ბალახში, მაგრამ რალფი და ღუტა ერთი ფუტით დაბლა იდგნენ, რბილ ქვიშაზე. ჯეკმა ერთხანს ყურადღება აღარ მიაქცია, ჩამომსხდარი ბიჭებისკენ მიტრიალდა და შუბი მათკენ გაიშვირა:

— ვინ აპირებს ჩემს ტომში შემოსვლას?

რალფი უეცრად წაბორძიკდა. რამდენიმე ბიჭი შემოტრიალდა.

— მე მოგეცით საჭმელი, — განაგრძო ჯეკმა, — ჩემი მონადირეები ურჩხულისგან დაგიცავენ. ვინ შემოუერთდება ჩემს ტომს?

— ბელადი მე ვარ, — თქვა რალფმა, — იმიტომ, რომ მე ამირჩიეთ. გადავწყვიტეთ, ცეცხლი არ ჩაგვექრო, ახლა საჭმელზე დარბიხართ...

— შენ თვითონ დარბიხარ! — უყვირა ჯეკმა, — შეხედე! ძვალი არ გიჭირავს ხელში?!

რალფი ჭარხალივით გაწითლდა.

— მე გითხარით, მონადირეები იყავით-მეთქი. ეგ თქვენი საქმე იყო.

ჯეკმა ისევე ზურგი შეაქცია.

— ვინ შემოუერთდება ჩემს ტომს და ვინ იმხიარულებს?

— ბელადი მე ვარ, — ხმა აუკანკალდა რალფს, — ცეცხლზე რაღას იტყვი? საყვირიც მე მაქვს...

— საყვირი თან არა გაქვს, — უტიფრად შესცინა ჯეკმა, — იქ დაგიტოვებია. ხედავ, ჭკუისკოლოფო? მერე კიდევ, კუნძულის ამ მხარეს საყვირი არ ითვლება.

უცებ დაიქუხა. დაგუდული გრუხუნის ნაცვლად ისე სჭექა, თითქოს რაღაც აფეთქდაო.

— საყვირი აქაც ითვლება — უპასუხა რალფმა, — და მთელ კუნძულზეც.

— მერე, რას აპირებ?

რალფმა რიგებად ჩამომსხდარ ბიჭებს მოავლო თვალი. მიხვდა, რომ იქიდან ვერავინ მოეშველებოდა და განზე გაიხედა, შეცბა, ოფლმა დაასხა.

— ცეცხლი გადაგვარჩენს, — დაიჩურჩულა რალფმა.

— ვინ უერთდება ჩემს ტომს?

— მე ვუერთდები.

— მე.

— მე ვუერთდები.

— საყვირს ჩავბერავ, — სუნთქვა შეეკრა რალფს, — კრებას მოვიწვევ.

— ჩვენ კიდევ არ გავიგონებთ.

ღუტამ მაჯაზე მოჰკიდა რალფს ხელი.

— წამოდი. აქ კარგი არაფერი გამოვა. ხორცი ხომ ვჭამეთ.

ტყის იქით ელვამ გაანათა და ისე იჭექა, რომ ერთი პატარა ასლუკუნდა. წვიმის მსხვილი წვეთები წამოვიდა, ყოველი წვეთის დაცემის ხმა მკაფიოდ ისმოდა.

— ქარიშხალს აპირებს, — თქვა რალფმა, — ისეთი წვიმა წამოვა, ჩამოსხდომისას რომ იყო. აბა, ვინ გამოდგა ჭკუისკოლოფი? სად არის ქოხები? აბა, ახლა რას აპირებ?

მონადირეები შეშფოთებულები შეჰყურებდნენ ცას და წვეთებს ერიდებოდნენ. ბიჭები მოუსვენრად, უმიზნოდ აწრიალდნენ. ელვა თანდათანობით მატულობდა, ქუხილის გაძლებაც უჭირდათ. აღნავლებულმა პატარებმა აქეთ-იქით სირბილი დაიწყეს.

ჯეკი ქვიშაზე ჩახტა.

— აბა, ჩვენი ცეკვა! მოდით! ვიცეკვოთ!

ბორძიკით გადაირბინა სქელი ქვიშა და ცეცხლის იქით, კლდის გაშლილი სივრცისკენ გავარდა. შიშისმომგვრელ სიბნელეს ელვის ენები ანათებდა. ბიჭები ყიჟინით გამოეკიდნენ. როჯერმა, ვითომ ღორი იყო, ღრუტუნით შეუტია ჯეკს, ის განზე გახტა. მონადირეებმა შუბებს სტაცეს ხელი, მზარეულებმა — შამფურებს, დანარჩენებმა ცეცხლიდან გამოიღეს მუგუზლები. ფერხულიც მატულობდა, სიმღერაც. სანამ როჯერი თავზარდაცემულ ღორს განასახიერებდა, პატარები წრეს ხტუნვით უვლიდნენ გარშემო. ცა ისე ავისმომასწავებლად გრიალებდა, რომ ღუტას და რალფს წუთით მოუნდათ ამ შემლილ, მაგრამ ცოტა მაინც უსაფრთხო წრეში ჩაბმულიყვნენ. მოუნდათ, ხელით შეხებოდნენ ამ ღობესავით აღმართულ, გარუჯულ ზურგებს, ძრწოლასა და შიშს გარშემო რომ ევლებოდნენ და თრგუნავდნენ.

„მოკალი ურჩხული! ყელი გამოსჭერი! სისხლისგან დაცალე!“

მოძრაობამ თანდათანობით რიტმი შეიძინა, სიმღერაში თავდაპირველი, დაუოკებელი აღტაცება განელდა და მტკიცე პულსირება დაიწყო. როჯერი ღორიდან მონადირედ გადაიქცა და წრის შუაგული დაცარიელდა. რამდენიმე პატარამ თავიანთი წრე შეკრა; კიდევ შეიკრა წრე, კიდევ, თითქოს სიმრავლე ხიფათს ააცილებდათ; ერთი ორგანიზმი დაბაკუნებდა და დახტოდა.

მუქი ზეცა მოლურჯო-მოთეთროდ გაისერა. წამიც და, ბიჭებს გოლიათური მახვილივით დააცხრათ გრუხუნი. სიმღერამ აგონიის ინტონაციით იმატა:

„მოკალი ურჩხული! ყელი გამოსჭერი! სისხლისგან დაცალე!“

ახლა ძრწოლამ სურვილი შვა — ბლანტი, დაუოკებელი, ბრმა.

„მოკალი ურჩხული! ყელი გამოსჭერი! სისხლისგან დაცალე!“

ისევ მოლურჯო-მოთეთრო ნაიარევი გაიკლაკნა და გოგირდოვანმა აფეთქებამ შეაზანზარა არემარე. დაბორიალებული პატარები წიოკით გამოცვივდნენ ტყისპირიდან, ერთმა თავზარდაცემულმა გაარღვია უფროსების წრე:

— ის არის! ის არის!

წრემ ნალის ფორმა მიიღო. ტყიდან რაღაც გამოფოფხდა. მუქი, გაურკვეველი. წინ გამგმირავი, ტკივილნარევი ყვირილი მოუძღოდა, ურჩხული ნალივით მორკალულ წრეში შებარბაცდა.

„მოკალი ურჩხული! ყელი გამოსჭერი! სისხლისგან დაცალე!“

მოლურჯო-მოთეთრო ნაიარევი გაუჩერებლივ სერავდა ზეცას, აუტანელი გრუხუნი აღარ წყდებოდა. საიმონი გაჰყვი-

როდა, მთის წვერზე მკვდარი კაციაო, მაგრამ ვერავის აგებინებდა.

ჯოხები მოწყვეტით დაეშვა, ახალმა წრემ ხრჭიალით, წიოკით შეკრა პირი. ურჩხული შუაში ჩაჩოქილიყო, სახეს მკლავებით იფარავდა. ამ საძაგელ ხმას რაღაცას შესტიროდა მთაზე დაგდებულ სხეულზე. ერთი გაიბრძოლა, წრე გაარღვია და კლდის ციცაბო კალთიდან წყლის პირას, ქვიშაში გადავარდა. ბრბო თან გადაჰყვა, კლდიდან გადაეშვა, ურჩხულს წივილ-კივილით დააცხრა, ურტყამდნენ, სცემდნენ, გლეჯდნენ. აღარც სიტყვები, აღარც მოძრაობა — მხოლოდ კბილებით და კლანჭებით ანაკუწებდნენ.

მერე ღრუბელი გაიხსნა და თქეში წამოვიდა. მთის წვერიდან მოვარდნილი წყალი ხეებს ფოთლებსა და ტოტებს აგლეჯდა, ცივი შხაპივით ევლებოდა ქვიშაზე თავგამეტებით აფართხალებულ გროვას. მალე გროვა აიშალა და ფიგურები აქეთ-იქით გაბარბაცდნენ. მხოლოდ ურჩხული იწვა უძრავად, ზღვიდან რამდენიმე იარდის მანძილზე. წვიმაშიც კი დაინახეს, რა პატარა ურჩხული ყოფილა; ქვიშა მისი სისხლით იყო დალაქავებული.

ძლიერმა ქარმა წვიმა გვერდზე გადახარა და ტყეში, ხეებიდან წყალი ჩანჩქერივით წამოვიდა. მთის წვერზე პარაშუტი გაივსო და დაიძრა; ფიგურა დაცურდა, ფეხზე წამოდგა, დაბზრიალდა, სველი ჰაერის სიცარიელეში აქანავდა და დაკიდებული ფეხებით მაღალი ხეების კენწეროები გადახვეტა; დაეშვა, კიდევ დაეშვა, ნაპირზე დაყვინთა; ბიჭები წივილ-კივილით გაიფანტნენ სიბნელეში. პარაშუტმა ფიგურა ნინ გაათრია, ლაგუნაში კვალი გაავლებინა, რიფს შეაჯახა და გაშლილ ზღვაში გასტყორცნა.

შუაღამისკენ წვიმამ გადაიღო და ღრუბლებიც გაიფანტა, ისე რომ, ცა კიდევ ერთხელ მოიჭედა საოცრად მოკაშკაშე ვარსკვლავებით. მერე ნიავიც ჩადგა და სიჩუმეს მხოლოდ წვეთების წკაპუნი არღვევდა — წყალი ნაპრალებიდან მოწანწკარებდა, ფოთლიდან ფოთოლზე ეცემოდა და კუნძულის შავ მიწაში იღვრებოდა. სუფთა ჰაერი სიგრილემ და ნესტმა აავსო; მალე წყალიც მიჩუმდა. ურჩხული მოკუნტული იწვა მკრთალ სანაპიროზე, ლაქები თანდათანობით იდღაბნებოდა.

ლაგუნის კიდე ფოსფორისებურ ზოლს დაემსგავსა, რომელიც ყოველ წუთს წინ მოიწევდა — მოქცევა იწყებოდა და დიდი ტალღები მოგორავდნენ. სუფთა წყალი სუფთა ზეცას და თანავარსკვლავედების გაბრწყინებულ კუთხეებს ირეკლავდა. ფოსფორისებური ხაზი ამოიბურცებოდა, ქვიშის ნამცეცებსა და კენჭებს დააცხრებოდა; წამით დააცლიდა, მერე უეცრად ყლაპავდა — უჩუმრად, და ისევ წინ მოიწევდა.

ნაპირის გასწვრივ, მეჩხერ წყალში ჩამდგარი შუქი უცნაური, გასხივოსნებულსხეულიანი, ანთებულთვალებიანი პანაწინა არსებებით იყო სავსე. აქა-იქ მოზრდილი კენჭი ამოჰყოფდა თავს და მარგალიტივით გაიელვებდა. მოქცევა ტალღებად ეცემოდა წვიმის მერე დარჩენილ ღრმულებს და ვერცხლისფრად ასწორებდა ქვიშას. ახლა პირველად გადაუარა დამტვრეული სხეულიდან ჩამოწანწკარებულ ლაქას, პანაწინა არსებებმა კიდეზე მოიყარეს თავი და მოძრავ, მოციმციმე ბილიკს დაემსგავსნენ. წყალმა კიდევ აიწია და საიმონის გრუზა თმა გაასხივოსნა. ბიჭის ლოყის მონახაზი ვერცხლისფრად გამოიკვეთა და მხარი მარმარილოსგან გამოქანდაკებულს დაემსგავსა. უცნაური, მკვირცხლი, თვალებანთებული არსებები, ორთქლივით ნაკვალევს რომ ტოვებდნენ, ბიჭის თავის გარშემო დაფუსფუსებდნენ. სხეული ოდნავ აიწია ქვიშიდან, პირიდან ჰაერის ბუშტულა ამოუვიდა და სველი ბუყბუყით გასკდა. მერე ფრთხილად გადატრიალდა წყალში.

სადღაც, ქვეყნიერების ჩაბნელებულ დასალიერში მზე და მთვარე ბუდობდნენ; წყლის გარსი ერტყმოდა დედამიწას, ოდნავ იბურცებოდა ცალ მხარეს, როცა მკვრივი ბირთვი ტრიალდებოდა. მოქცევის დიდრონი ტალღა კუნძულზე ამოდიოდა და წყალიც მაღლა-მაღლა იწევდა. ცნობისმოყვარე არსებებით ფოჩებშემოვლებული, მარადიული თანავარსკვლავედების შუქით მოვერცხლილი მკვდარი საიმონის სხეული ფრთხილად ატივტივდა და გაშლილი ზღვისკენ დაიძრა.

თავი მეათე

ნიჟარა და სათვალე

ღუტა ყურადღებით აკვირდებოდა მოახლოებულ ფიგურას. ამ ბოლო დროს ხანდახან ეჩვენებოდა, რომ უფრო მკაფიოდ ხედავდა, თუ სათვალეს მოიხსნიდა და ცალ ლინზას მეორე თვალზე გადაიტანდა; მაგრამ ახლა საღი თვალით უყურებდა და, რალფი ნამდვილად რალფი იყო. ქოქოსის ხეებიდან კოჭლობით გამოდიოდა, ჭუჭყიანი, აბურდული, ყვითელ თმაში ხმელი ფოთლები ჰქონდა გაჩრილი. ცალი თვალი ღრიჭოსავით უჩანდა გასიებულ ლოყაზე და მარჯვენა მუხლზე მოზრდილი იარა ეტყობოდა. წუთით შეყოვნდა და ბაქანზე მდგარ ფიგურას მიაცქერდა.

— ღუტა? მარტო შენ დარჩი?

— და რამდენიმე პატარა.

— ეგ არ ითვლება. უფროსები აღარავინაა?

— ჰო... სემდერიკი. შეშას აგროვებენ.

— სხვა არავინ?

— არ ვიცი.

რალფი ფრთხილად აძვრა ბაქანზე. იმ ადგილას, სადაც კრებისას ისხდნენ ხოლმე, უხეში ბალახი ისევ დატკეპნილი იყო: ნატიფი, თეთრი ნიჟარა ისევ ისე ბზინავდა გაპრიალებულ მორზე. რალფი ბელადის ადგილისა და საყვირის პირდაპირ, ბალახზე დაჯდა. ღუტამ მარცხნივ ჩაიმუხლა. დუმილი გაიწელა.

ბოლოს რალფმა ხმა ჩაიწმინდა და რაღაც ჩაიჩურჩულა.

— რა თქვი? — ჩურჩულითვე უპასუხა ღუტამ.

რალფმა ხმას აუწია:

— საიმონი.

ღუტას ხმა არ ამოუღია, სერიოზული სახით დაუქნია თავი. ისევ ისე ისხდნენ, დაბინდული თვალებით შეჰყურებდნენ ბელადის ადგილსა და მოციმციმე ლაგუნას. ჭუჭყიან სხეულებზე მწვანე შუქი და მზის ათინათი დასთამაშებდათ.

როდის-როდის რალფი ადგა და საყვირისკენ გაემართა.

ორივე ხელით, ალერსიანად აიღო ნიჟარა, დაიჩოქა და მორზე დაიხარა.

— ღუტა.

— რაო?

— რა უნდა ვქნათ?

ღუტამ თავით საყვირზე ანიშნა.

— შეგიძლია...

— კრება მოვიწვიო?

ამ სიტყვებზე რალფმა მწარედ გაიცინა და ღუტა მოიღუშა.

— ისევ ბელადი ხარ.

რალფმა ისევ გაიცინა.

— ჰო, შენა ხარ. ჩვენში.

— საყვირი მე მაქვს.

— რალფ! ეგრე ნუ იცინი. რა საჭიროა, რალფ! სხვები რას იფიქრებენ?

ბოლოს რალფმა სიცილი შეწყვიტა. ცახცახებდა.

— ღუტა.

— ჰო.

— ის საიმონი იყო.

— ეგ წეღანაც თქვი.

— ღუტა.

— რაო?

— ეს მკვლელობა იყო.

— გეყოფა! — გულსაკლავად იყვირა ღუტამ, — რაში გვარგია ასეთი ლაპარაკი?

წამოხტა და რალფს თავზე დაადგა.

— ბნელოდა. მერე კიდევ... ის წყეული ცეკვა. ჭექა-ქუხილი, ელვა, წვიმა. შეგვეშინდა.

— მე არ შემეშინდა, — სიტყვები გაწელა რალფმა, — მე... მე არ ვიცი, რა დამემართა.

— შეგვეშინდა! — გაცხარდა ღუტა, — შეიძლებოდა რამე მომხდარიყო. ოღონდ ის არ ყოფილა... რაც შენ თქვი.

ხელების ქნევით ეძებდა სიტყვებს.

— ოჰ, ღუტა!

რალფის ჩამწყდარმა, თავზარდაცემულმა ხმამ ღუტას ფორიაქი შეაწყვეტინა. დაიხარა და გაჩუმდა. რალფს საყვირი ჩაებღუჯა და წინ და უკან ქანაობდა.

— ვერ ხვდები, ღუტა? ჩვენ რაც ჩავიდინეთ...

— შეიძლება, ისევ...
— არა.
— იქნებ, უბრალოდ, თავი მოიმკვდარუნა...
ღუტამ რალფს სახეზე შეხედა და სიტყვა გაუწყდა.
— შენ გარეთ იყავი. წრის გარეთ. შენ განზე იდექი. არ დაგინახავს, რას ვაკეთებდით... რას აკეთებდნენ?
ზიზღიანი, და თან როგორღაც ავადმყოფურად აფორიაქებული ხმა ჰქონდა.
— ვერ დაინახე, ღუტა?
— კარგად ვერა. ახლა ხომ ცალთვალა ვარ. ეგ უნდა იცოდე, რალფ.
რალფი ისევ წინ და უკან ქანაობდა.
— ეს უბედური შემთხვევა იყო, — თქვა უცებ ღუტამ, — აი, რა მოხდა. უბედური შემთხვევა. — ხმას ისევ აუწია. — სიბნელეში მოდიოდა... რას მოხოხავდა იმ სიბნელეში. შერეკილი იყო. თვითონ აიტეხა შარი, — ისევ გამალებით დაიწყო ხელების ქნევა. — უბედური შემთხვევა იყო.
— შენ არ დაგინახავს, რა ქნეს...
— იცი რას გეტყვი, რალფ. ეს ამბავი უნდა დავივიწყოთ. ამაზე ფიქრი არას გვარგებს, გაიგე?
— მეშინია. ჩვენი მეშინია. სახლში მინდა წასვლა. ღმერთო, სახლში მინდა წასვლა.
— ეგ უბედური შემთხვევა იყო, — ჯიუტად გაიმეორა ღუტამ. — მორჩა.
ბიჭს შიშველ მხარზე დაადო ხელი. რალფი შეხტა — ადამიანის შეხებამ შეაფრთხო.
— მოიხედე, რალფ. — ღუტამ სწრაფად მიიხედ-მოიხედა და რალფისკენ დაიხარა, — არ გატყდე, რომ ჩვენც ვცეკვავდით. სემდერიკთანაც არა თქვა.
— კი მაგრამ, ხომ ვცეკვავდით! ყველა!
ღუტამ თავი გააქნია.
— ჩვენ ბოლომდე არ დავრჩენილვართ. სიბნელეში ვერავინ ვერ გაარჩევდა. შენ არ მითხარი, გარეთ იყავიო...
— მეც ეგრე ვიყავი, — ჩაიბუტბუტა რალფმა, — მეც გარეთ ვიყავი.
ღუტამ სასწრაფოდ დაუქნია თავი.
— სწორია. ჩვენ გარეთ ვიყავით. ჩვენ არაფერი ჩაგვიდენია, ჩვენ არაფერი გვინახავს.

ღუტა შეყოვნდა, მერე განაგრძო:
— თვითონ გავიტანთ თავს, ჩვენ ოთხნი...
— ოთხნი ცეცხლს ვერ მივხედავთ. ცოტანი ვართ.
— ვცდით. ხომ ხედა, ავანთე.
სემდერიკმა ტყიდან დიდი მორი გამოათრიეს. ცეცხლთან დააგდეს და ტბორისკენ გაუხვიეს. რალფი წამოხტა:
— ჰეი! თქვენ ორნი!
ტყუპები უცებ გაშრნენ. მერე გზა განაგრძეს.
— საბანაოდ მიდიან, რალფ.
— ჯობია, ახლავე მოვათავოთ.
ტყუპები ძალიან გააკვირვა რალფის დანახვამ. წამოწითლდნენ და თვალი აარიდეს.
— გაუმარჯოს. შენც აქა ხარ, რალფ.
— ტყეში ვიყავით...
— ...ცეცხლისთვის შეშის მოსაზიდად...
— ...წუხელ გზა დაგვებნა.
რალფი თავჩაქინდრული იდგა და ფეხებს ითვალიერებდა.
— შენც აღარ ჩანდი იმის მერე...
ღუტამ ლინზა გაწმინდა.
— ლხინის მერე, — ჩამწყდარი ხმით თქვა სემმა. ერიკმა თავი დააქნია. — ჰო, ლხინის მერე.
— ჩვენ ადრე წამოვედით, — სასწრაფოდ ჩაერია ღუტა, — დავიღალეთ.
— ჩვენც...
— ... ძალიან ადრე...
— ...ძალიან დავიღალეთ.
სემმა გაკაწრულ შუბლზე შეივლო ხელი, მერე საჩქაროდ მოიშორა. ერიკმა გახეთქილ ტუჩზე მიიდო თითი.
— ჰო, ძალიან დავიღალეთ. — გაიმეორა სემმა. — ჰოდა, ადრე წამოვედით. კარგი იყო?..
უთქმელობამ სული შეუხუთათ. სემი შეიჭმუხნა და ის საძაგელი სიტყვა წამოსცდა:
— ...ცეკვა?
იმ ცეკვის ხსენებამ, რომელიც არც ერთს არ უნახავს, ოთხივე ააცახცახა.
— ჩვენც ადრე წამოვედით.

როჯერი ვიწრო გასასვლელთან მივიდა, ციხე-კოშკისმაგვარ

კლდეს კუნძულთან რომ აკავშირებდა. ვილაცამ დაუძახა და ეს არც გაკვირვებია. იმ საზარელ ღამეს ასეც ივარაუდა, კუნძულზე დატრიალებული საშინელებისას ტომის ბიჭების უმეტესობა უხიფათო ადგილს შეაფარებს თავს და იქ ვიპოვნიო.

მჭახე ხმა ზემოდან გაისმა, იქიდან, სადაც ლოდები ერთმანეთზე იყო ახორხლილი.

— სდექ! ვინ მოდის?

— როჯერი.

— წინ წამოდი, მეგობარო.

როჯერი წინ წავიდა.

— რა იყო, ვერ მხედავ?

— ბელადის ბრძანებაა — ყველას უნდა დავუძახო.

როჯერმა აიხედა.

— ამოსვლა რომ მომენდომებინა, ვერ შემაჩერებდი.

— ვერა? აბა, ამოძვერი და ნახავ.

როჯერი საფეხურების მსგავს შვერილებზე აცოცდა.

წვერზე, ლოდის ქვეშ, მორი იყო შეჩრილი, ქვემოთ კიდევ ერთი მორი შეეყენებინათ ბერკეტის მაგივრად. რობერტი ოდნავ დააწვა ბერკეტს, ლოდი აჭრაჭუნდა. ბოლომდე თუ დააწვებოდნენ, გრუხუნით ჩაეშვებოდა გასასვლელში. როჯერი აღტაცებული დარჩა.

— მაგარი ბელადია, არა?

რობერტმა თავი დაუქნია.

— სანადიროდ გვიპირებს წაყვანას.

თავით ანიშნა შორს მდგარ ქოხებზე, საიდანაც თეთრი კვამლი მიიწევდა ცისკენ. შვერილზე ჩამომჯდარი როჯერი მოღუშული სახით ათვალიერებდა კუნძულს და თითით მორყეულ კბილს იწვალებდა. შორს, მთის წვერზე შეაჩერა მზერა და რობერტმა საჩოთირო თემა შეცვალა.

— უილფრედის ცემას აპირებს.

— რატომ?

რობერტმა ყოყმანით გააქნია თავი.

— არ ვიცი. არ უთქვამს. გაბრაზდა და უილფრედი გაგვაკოჭინა. ისიც... — მოუსვენრად ჩაიხითხითა, — ისიც რამდენიმე საათია გაკოჭილი ზის და იცდის...

— კი მაგრამ, ბელადმა არა თქვა, რატომ?

— მე არ გამიგონია.

უზარმაზარ ლოდზე, თაკარა მზის გულზე ჩამომჯდარმა

როჯერმა ეს ახალი ამბავი გამონათებად მიიღო. კბილს თავი ანება, უძრავად იჯდა და შეუვალი ძალაუფლების შესაძლებლობებზე ფიქრობდა. მერე უსიტყვოდ გადაძვრა ლოდებს უკან და გამოქვაბულისკენ გაემართა, სადაც ტომს მოეყარა თავი.

— ხვალ, — განაგრძო ბელადმა, — ისევ ვინადირებთ.

რამდენიმე ველურისკენ სათითაოდ გაიშვირა შუბი.

— ნაწილი აქ დარჩება გამოქვაბულის მოსაწესრიგებლად და ჭიშკრის დასაცავად. მე რამდენიმე მონადირეს წავიყვან და ხორცს მოვიტანთ. ჭიშკრის მცველებმა თვალი უნდა ადევნონ, რომ სხვები არ შემოიპარონ...

ერთმა ველურმა ხელი ასწია და ბელადმა შავი, შეღებილი სახე იქით მიაბრუნა.

— რატომ შეეცდებიან შემოპარვას, ბელადო?

ბელადმა გაურკვევლად, მაგრამ სერიოზულად უპასუხა:

— შეეცდებიან — ყველაფერი რომ გაგვიფუჭონ. ჭიშკართან მეთვალყურეებს სიფხიზლე მართებთ. კიდევ...

ბელადი შეყოვნდა. ბიჭებმა დაინახეს, როგორ ნესტარივით გამოვარდა განსაცვიფრებლად ვარდისფერი სამკუთხედი, ტუჩების მოირბინა და ისევ შეიმალა.

— ...და კიდევ; შეიძლება ურჩხულმა სცადოს შემოსვლა. ხომ გახსოვთ, როგორ მოხოხავდა...

ნახევარწრეს ჟრუანტელმა დაუარა და თანხმობის ნიშნად აბუტბუტდა.

— მოვიდა — სახეშეცვლილი, შენიღბული. შეიძლება ისევ მოვიდეს, იმის მიუხედავად, რომ ნანადირევის თავი დავუტოვეთ შესაჭმელად. ასე რომ, თვალი ადევნეთ; და ფხიზლად იყავით.

სტენლიმ მხარი კლდეს მოაშორა და საკითხავად თითი ასწია.

— რა იყო?

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ... ჩვენ ხომ...

შეიშმუშნა და თავი ჩაქინდრა.

— არა!

სიჩუმე ჩამოვარდა და ახლა ყოველი ველური ცდილობდა, არ დაეჯერებინა საკუთარი მეხსიერებისთვის.

— არა! როგორ შეგვეძლო... იმას... როგორ მოვკლავდით!

ველურები ისევ აჩურჩულდნენ — თან შვებით, თან მოსალოდნელი საშინელებების შიშით.

— ასე რომ, იმ მთას თავი დაანებეთ, — პირქუში სახით განაცხადა ბელადმა, — თუ ვინადირებთ, იმას თავს დავუტოვებთ.

სტენლიმ ისევ ასწია თითი.

— მე მგონი, ურჩხულმა სახე იცვალა.

— შეიძლება, — უპასუხა ბელადმა. თეოლოგიური განსჯის საშუალება გაჩნდა. — ასეა თუ ისე, გვირჩევნია, ვერიდოთ. რა ვიცით, რას იზამს.

ტომი დაფიქრდა და მერე შეირხა, თითქოს ქარმა გადაუარაო, ბელადი მიხვდა, რომ მისმა სიტყვამ გაჭრა და წამოხტა.

— მაგრამ ხვალ ვინადირებთ და ხორცი რომ გვექნება, ვიქეიფებთ...

ბილმა ხელი ასწია:

— ბელადო!

— დიახ!

— ცეცხლს რით დავანთებთ?

ბელადს სახე თეთრი და წითელი თიხით ჰქონდა შეღებილი და ვერავინ შეატყო, რომ წამოჭარხლდა. დაბნეული გაჩუმდა და დუმილი კიდევ ერთხელ დაარღვია ბიჭების ჩურჩულმა. მერე ბელადმა ხელი ასწია.

— ცეცხლს იმათ წავართმევთ. ყური მიგდეთ. ხვალ ვინადირებთ, ხორციც გვექნება. ამაღამ წავალ და ორ მონადირეს წავიყვან... ვინ წამომყვება?

მაურისმა და როჯერმა ასწიეს ხელი.

— მაურის...

— დიახ, ბელადო?

— სად ჰქონდათ ცეცხლი?

— ისევ ძველ ადგილას, კლდესთან.

ბელადმა თავი დაუქნია.

— დანარჩენებმა, მზე ჩავა თუ არა, მაშინვე დაიძინეთ. ჩვენ სამს კი — მე, მაურისსა და როჯერს — საქმე გვაქვს. მზის ჩასვლამდე წავალთ...

მაურისმა ხელი ასწია.

— იმას რომ გადავეყაროთ...

ბელადმა ხელი აუქნია:

— ნაპირს დავუყვებით, ქვიშაზე ვივლით. თუ მოვა, ისევ... ისევ ვიცეკვებთ.

— სამნი?

ისევ ჩურჩული ატყდა და ბოლოს დუმილი ჩამოვარდა.

ღუტამ თავისი სათვალე რალფს მისცა და ელოდებოდა, მხედველობას როდის დაუბრუნებდნენ. შეშა ნოტიო იყო; უკვე მესამედ უკიდებდნენ. რალფმა უკან დაიხია და ჩაილაპარაკა:

— კიდევ ერთი ღამე უცეცხლოდ არ ივარგებს.

დამნაშავის სახით მოავლო თვალი სამ ბიჭს. პირველად აღიარა, რომ ცეცხლს ორმაგი დანიშნულება ჰქონდა. მთავარი ნამდვილად ის იყო, რომ კვამლის სვეტი მშველელს უხმობდა; მაგრამ ახლა ცეცხლი კერიაც გახდა და მის გვერდით მშვიდად ეძინათ. ერიკმა ჩაიმუხლა და მანამ უბერა შეშას, სანამ პაწაწინა, ყვითელი ალი არ მოედო. ღუტამ სათვალე გაიკეთა და კმაყოფილმა შეხედა კვამლს.

— რადიოს გაკეთება რომ შეგვეძლოს!

— ან თვითმფრინავის...

— ...ან ნავის.

რალფს ბუნდოვნად გაახსენდა ის, რაც იცოდა ქვეყნიერების შესახებ.

— წითლებს მაინც დავეტყვევებინეთ.

ერიკმა თმა უკან გადაიყარა.

— ამათ მაინც აჯობებდნენ...

დასახელებას არ მოჰყვა და წინადადება მის მაგივრად სემმა დაასრულა — თავით ანიშნა ნაპირისკენ.

რალფს პარაშუტზე დაკიდებული მოუქნელი ფიგურა გაახსენდა.

— მკვდარს ახსენებდა... — ტანჯული გამომეტყველებით აილეწა, რადგან ამ სიტყვებით აღიარა, რომ ცეკვისას იქ იყო. უცებ ცეცხლს მივარდა. — არა, არ ჩაქრე!..

— კვამლი წვრილდება.

— უკვე გვჭირდება შეშა, გინდაც სველი იყოს...

— მე ასთმა მაქვს...

მექანიკურად უპასუხეს:

— არსად დაგეკარგოს შენი ასთმა-ჩაფსმა.

— მორები რომ ვათრიო, ასთმის შეტევა დამეწყება. ძალიან მინდა, რომ ასე არ იყოს, რალფ, მაგრამ ასეა და რა ვქნა.

სამი ბიჭი ტყეში წავიდა და თითო იღლია დამპალი ტოტები მოზიდეს. კიდევ ერთხელ წამოიმართა კვამლი — ყვითელი, სქელი.

— მოდი, რამე საჭმელი მოვძებნოთ.

ერთად გაემართნენ ხილის ხეებისკენ, ხელში შუბები ეჭი-

რათ, ერთი-ორ სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს და ფაციფუცით იყორავდნენ მუცლებს. ტყიდან რომ გამოვიდნენ, მზე ჩადიოდა და ცეცხლის მაგივრად ჩანავლული ნაკვერჩხლებიღა დახვდათ. კვამლიც აღარ ამოდიოდა.

— შეშას ვეღარ მოვიტან, — თქვა ერიკმა, — დავიღალე.

რალფმა ხმა ჩაიწმინდა.

— ზემოთ ცეცხლი არ გვიქრებოდა.

— ზემოთ პატარა ცეცხლი გვქონდა. მაგრამ აქ დიდი გვჭირდება.

რალფმა ნაფოტი შეუკეთა და თვალი გააყოლა ბინდბუნდში გაუჩინარებული კვამლის პაწაწინა ზოლს.

— არ უნდა ჩაგვიქრეს.

ერიკი მიწაზე გაიშხლართა.

— სული ამომხდა, ისე დავიღალე. ეგეც არ იყოს, რაში გვჭირდება ეს კვამლი?

— ერიკ! — წამოიძახა გაოგნებულმა რალფმა, — რას ამბობ!

სემმა ერიკის გვერდით ჩაიმუხლა.

— ჰო... რაში გვჭირდება?

აღშფოთებული რალფი გახსენებას ცდილობდა, ცეცხლი რაღაც კარგისთვის სჭირდებოდათ. რაღაც ძალიან კარგისთვის.

— რალფმა ათასჯერ გითხრათ, — უხალისოდ თქვა ღუტამ, — უცეცხლოდ რა გადაგვარჩენს?

— რასაკვირველია! კვამლი თუ არ გვექნება...

ჩამოწოლილ ბინდში ტყუპებთან ჩაცუცქდა.

— ვერ ხვდებით? რაში გვჭირდება რადიო და ნავი?

ხელი გაიშვირა და მუშტი შეკრა.

— მხოლოდ კვამლმა შეიძლება გვიხსნას ამ გასაჭირისგან. ვიღაცას შეუძლია ნადირობანა ითამაშოს, ვიღაცამ — ხორცი იშოვნოს...

სათითაოდ დააკვირდა სახეებზე. მერე, უდიდესი დაძაბულობისა და თავდაჯერებულობის წამს, ის ფარდა აუშრიალდა გონებაში და დაავიწყდა, რას ამბობდა. მუშტშეკრულმა ჩაიმუხლა, სერიოზული სახით მოავლო ბიჭებს თვალი და ფარდა გაუჩინარდა.

— ჰო, კვამლს უნდა მივხედოთ; მეტი კვამლია საჭირო...

— კი მაგრამ, ვერ ვინარჩუნებთ! შეხედე!

ცეცხლი ჩაქრობის პირას იყო.

— ორმა კაცმა ცეცხლს უნდა მიხედოს, — თავისთვის ჩაილაპარაკა რალფმა, — დღეში თორმეტი საათის განმავლობაში.

— შეშა ვეღარ მოგვაქვს, რალფ...

— ...სიბნელეში...

— ...ღამით...

— შეგვიძლია, ყოველ დილით ავანთოთ, — თქვა რალფმა, — სიბნელეში კვამლს მაინც ვერავინ დაინახავს.

სემმა ენერგიულად გააქნია თავი.

— ის სხვა საქმე იყო, ცეცხლი...

— ზემოთ რომ გვენთო.

რალფი წამოდგა, უსაშველოდ უმწეოდ იგრძნო თავი ჩამოწოლილ ბინდში.

— კარგი, ამაღამ თავი დავანებოთ. ჩაქრეს.

პირველი ქოხისკენ გაემართა. ეს ქოხი ყანყალებდა, მაგრამ მაინც იდგა. შიგნით დასაწოლად ფოთლები ჰქონდათ დაფენილი — მშრალი, შრაშუნა. მეორე ქოხში პატარები ძილში ლაპარაკობდნენ. ოთხი უფროსი ბიჭი ქოხში შეძვრა, ფოთლებში ჩაიმალნენ. ტყუპები ერთად იწვნენ, რალფი და ღუტა — მეორე მხარეს. ერთხანს ფოთლების ჭრაჭუნი და შარიშური ისმოდა — ბიჭები დასაძინებლად ეწყობოდნენ.

— ღუტა.

— ჰა?

— ყველაფერი რიგზეა?

— მე მგონი.

ბოლოს — შემთხვევით შრიალს თუ არ ჩავთვლით — ქოხში სიწყნარემ დაისადგურა. მოგრძო ჭრილში მბრწყინავი ქინძისთავებით მოჭედილი, სიშავე ჩამოკიდებულიყო და რიფიდან ტალღების ყრუ ხმა ისმოდა. რალფი ფოთლებში მოეწყო და თავისი ღამის თამაშისთვის მოემზადა — ვითომ...

ვითომ სახლში რეაქტიული თვითმფრინავით წაიყვანეს. მერე, გამთენიისას, უილთშირის დიდ აეროდრომზე დასხდებიან. მერე მანქანაში ჩასხდებიან; არა, მატარებლით აჯობებს; დევონამდე, მერე ისევ იმ კოტეჯში დასახლდებიან. ბაღის კიდესთან ისევ მოვლენ ველური პონები და ღობეზე გადმოიხედავენ...

რალფი ფოთლებში აშმაშუნდა. დორტმური ისედაც ველური ადგილი იყო. ახლა კიდევ ველური პონები; ველურობა აღარ იზიდავდა.

ფიქრებმა გეზი იცვალა და მოთვინიერებულ ქალაქში აღმოჩნდა; ველურობას იქ არ მიესვლებოდა. რა სჯობია უხიფათო ავტობუსების სადგურს, თავისი ფარნებითა და ბორბლებით?

წუთიც და, რალფი ფარნის გარშემო ცეკვავდა, სადგურიდან ავტობუსი გამოვიდა, უცნაური ავტობუსი...

— რალფ! რალფ!

— რა მოხდა?

— ეგრე ნუ ხმაურობ...

— უკაცრავად.

ქოხის მეორე მხრიდან, წყვდიადში შემზარავი გმინვა გაისმა, შეშინებულმა ტყუპებმა ფოთლები ააშრიალეს. ერთმანეთს ჩაბღაუჭებული სემი და ერიკი ჭიდაობდნენ.

— სემ! სემ!

— ჰეი... ერიკ!

მალე ყველაფერი ჩაწყნარდა.

— აქედან უნდა გავაღწიოთ, — ხმადაბლა უთხრა ღუტამ რალფს.

— რას გულისხმობ.

— უნდა გადაგვარჩინონ.

რალფმა ჩაიფხუკუნა — იმ დღეს პირველად, ქოხში შემოცოცებული წყვდიადის მიუხედავად.

— სერიოზულად გეუბნები, — ჩასჩურჩულა ღუტამ, — შინ თუ არ წავედით, მალე შევიშლებით.

— და ვივლით დაცენტრილები.

— დაქნეულები.

— დარეხვილები. დასიჩეზული

რალფმა სველი თმა თვალებიდან გადაიწია.

— მერე ადექი და მისწერე წერილი დეიდაშენს.

ღუტა სერიოზულად დაფიქრდა.

— არც ვიცი, ახლა სად არის. თან არც კონვერტი მაქვს, არც მარკა. აქ საფოსტო ყუთიც არ არის. არც ფოსტალიონი.

ხუმრობით ნათქვამი ფრაზის წარმატებამ რალფის მოლოდინს გადააჭარბა. ფხუკუნს ვეღარ იკავებდა და მთელი ტანით ძაგძაგებდა.

— ეგეთი სასაცილო არაფერი მითქვამს, — უსაყვედურა აღშფოთებულმა ღუტამ.

რალფი ისევ ხითხითებდა, უკვე გული ასტკივდა. სიცილისგან ძალაგამოლეული იწვა, სუნთქვა ეკვროდა და უღონოდ

ელოდა, როდის წამოუვლიდა ისევ. ერთ-ერთი ასეთი პაუზის დროს ძილმა წაართვა თავი.

— რალფ! ისევ ხმაურობ. დაწყნარდი, რალფ... იმიტომ რომ...

რალფი ფოთლებში წამოჯდა. მადლობელი იყო, რომ გააღვიძეს — ესიზმრებოდა, რომ ავტობუსი უახლოვდებოდა და სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ხედავდა.

— რა... რატომ?

— გაჩუმდი... ყური უგდე.

რალფი ფრთხილად დაწვა, ფოთლების გრძელი ოხვრის თანხლებით. ვარსკვლავებიანი მოგრძო ზოლი საბანივით სქელ წყვდიადს ვერაფერს აკლებდა.

— არაფერი არ მესმის.

— გარეთ რაღაც მოძრაობს.

რალფს თითქოს თავში რაღაცამ უჩხვლიტა. გულისცემამ ყველა სხვა ხმა ჩაახშო, მერე თანდათან იკლო.

— მაინც არ მესმის.

— ყური უგდე. დიდხანს უგდე ყური.

აშკარად და მკაფიოდ ჯოხმა გაიტკაცუნა — ქოხის უკან, სულ რაღაც ერთი იარდის მოშორებით. რალფს ყურები ისევ აუბაგუნდა, გონებაში ერთიმეორეს ენაცვლებოდა არეული სახეები, ყველა ერთად ქოხის გარშემო დაცოცავდა. ღუტამ მხარზე თავი დაადო და ჩაებღაუჭა.

— რალფ! რალფ!

— გაკმინდე ხმა და ყური უგდე.

სასოწარკვეთილი რალფი ლოცულობდა, რა იქნება ურჩხულმა პატარები არჩიოსო.

გარეთ საზარელი ჩურჩული გაისმა:

— ღუტა... ღუტა...

— მოვიდა! — სული შეეხუთა ღუტას, — მართლა ისაა!

რალფს ეკვროდა და სულის მოთქმას ცდილობდა.

— ღუტა, გარეთ გამოდი. შენ მინდიხარ, ღუტა.

— ხმა არ ამოიღო, — ყურში ჩასჩურჩულა რალფმა.

— ღუტა... სადა ხარ, ღუტა?

ქოხს უკან რაღაცამ გაიშრაშუნა. ღუტა ერთხანს გაიტრუნა და უცებ ასთმის შეტევა დაეწყო. დაიკლაკნა, ფეხები ფოთლებში ააფართხალა. რალფი უკან გადაგორდა.

მერე ქოხის შესასვლელთან საძაგელი ღრიალი ატყდა. რაღაც ცოცხალი არსებები ბრაგვანით შემოცვივდნენ. ვიღაცამ

რალფს ფეხი წამოჰკრა და ღუტას კუთხეში ყველაფერი ერთად დატრიალდა — ბრდღვინვა, ბრახაბრუხი, აქნეული ხელ-ფეხი. რალფი ხელებს იქნევდა და ვიღაცას უბრაგუნებდა; მერე ის და თითქოს უამრავი ვინმე გორავდნენ, ერთმანეთს სცემდნენ, უშენდნენ, კაწრავდნენ. რალფს გლეჯდნენ, მუცელში ურტყამდნენ, პირში ვიღაცამ თითები ჩაუყო და ამანაც უკბინა. ხელი სასწრაფოდ გაქრა, მერე მუშტად შეკრული მოხვდა, მთელი ქოხი თითქოს აფეთქებამ გაანათა. რალფი განზე გადავარდა, დაკრუნჩხულ სხეულს დაეცა, ლოყაზე ცხელი სუნთქვა იგრძნო. ამ პირს დაუშინა, ჩაქუჩივით ურტყამდა მუშტს; უფრო და უფრო გახელებული უბათქუნებდა და ბოლოს ის სახე რაღაც სლიპინა მასად იქცა. ფეხებს შორის ვიღაცამ მუხლი ჰკრა, გვერდით გადავარდა. ტკივილმა ლამის გონება დააკარგვინა, ზემოდან ვიღაცეები ჭიდაობით დაგორდნენ; მერე ქოხი შლიგინით ჩაიშალა და ყველაფერი დაასრულა; უცნობები ფართხალით მიიკვლევდნენ გზას გარეთ, მუქი ჩრდილები დანგრეული ქოხიდან ამოძვრნენ და თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს; კიდევ ერთხელ გაისმა პატარების ღნავილი და ღუტას ხროტინი.

— წადით, პატარებო, დაიძინეთ! — ათრთოლებული ხმით გასძახა რალფმა, — იმათ ვეჩხუბეთ. ახლა წადით და დაიძინეთ.

სემდერიკი რალფს მიუახლოვდნენ და მიაცქერდნენ:

— თქვენ ორნი როგორა ხართ?

— მე მგონი...

— ...მაგრა მომხვდა.

— მეც. ღუტა როგორ არის?

ღუტა ნანგრევებიდან ამოათრიეს, ხესთან დასვეს და მიაყრდნეს. ლამის სიგრილემ გაუქარვათ თავზარდამცემი შიში. ღუტამ თანდათანობით სუნთქვა დაიწყო.

— ხომ არ დაშავდი, ღუტა?

— არა, არც ისე.

— ჯეკი და მისი მონადირეები იყვნენ. — გულისტკივილით თქვა რალფმა, — რა უნდათ, თავს რატომ არ გვანებებენ?

— კუდით ქვა კი ვასროლინეთ, — განაცხადა ერიკმა. პატიოსნებამ სძლია და განაგრძო: — ყოველ შემთხვევაში, შენ კარგად დააყარე. მე ჩემს კუთხეში გავიჭედე.

— მე ერთი დავითრიე, — თქვა რალფმა, — მაგრამ კარგად კი დავცხე. ახლა იოლად ველარ მობედავენ.

— მეც ეგრე ვქენი, — უთხრა ერიკმა, — გამომეღვიძა და ერთი სახეში მირტყამდა წიხლს. რალფ, მე მგონი, მთელი სახე გამისისხლიანდა. მაგრამ ბოლოს მაინც მოვერიე.

— რა უქენი?

— მუხლი გამოვაძრე. — გულუბრყვილოდ ჰყვებოდა გაამაყებული ერიკი. — და ერთი ისეთი ამოვცხე! გენახა ერთი, როგორ აღრიალდა! ასე იოლად ველარ მობედავს. ერთი სიტყვით, თავი არ შეგვირცხვენია.

რალფი სიბნელეში უცებ შეიშმუშნა. მაგრამ მერე გაიგონა, როგორ იჩიჩქნებოდა პირში ერიკი.

— რა მოგივიდა?

— არაფერი, [illegible] მენძრევა.

ღუტამ ფეხები მოიკეცა.

— შენ ხომ კარგად ხარ, ღუტა?

— მე მეგონა, საყვირი უნდოდათ.

რალფი მკრთალ ნაპირზე გავარდა და ბაქანზე ახტა. საყვირი ისევ ისე ციმციმებდა ბელადის ადგილთან. ერთი-ორი წუთით დააცქერდა, მერე ღუტასთან დაბრუნდა.

— საყვირი არ წაუღიათ.

— ვიცი. საყვირისთვის არ მოსულან. სხვა რამისთვის მოვიდნენ. რალფ... რაღა ვქნა?

შორს, მორკალულ სანაპიროზე, სამი ფიგურა ციხე-სიმაგრის კლდისკენ გარბოდა. ტყეს ერიდებოდნენ და წყლის ნაპირს მიჰყვებოდნენ. ხან ღიღინებდნენ, ხან ყირაზე გადადიოდნენ ფოსფორივით მოელვარე წყლისპირთან. წინ ბელადი მიუძღოდათ, მტკიცე, თანაბარი ნაბიჯით გარბოდა, გამარჯვებით ფრთაშესხმული იყო. ახლა ნამდვილი ბელადია; შუბით ჰაერს სერავდა. მარცხენა ხელით ღუტას გატეხილ სათვალეს იქნევდა.

თავი მეთერთმეტე

კოშკი — კლდე

რიჟრაჟის ხანმოკლე სიგრილეში ოთხმა ბიჭმა მოიყარა თავი ჭვარტლის შავი ლაქის გარშემო; აქ წინა დღეს ცეცხლი ენთო. რალფმა ჩაიმუხლა და სული შეუბერა. რუხი ნაცარი ბუმბულებივით აფარფატდა, მაგრამ ერთი ნაპერწკალიც არ გამოჩენილა. ტყუპები შეშფოთებით დაჰყურებდნენ, ღუტა უაზრო სახით იჯდა ახლომხედველობით აციმციმებული კედლის უკან. რალფმა მანამ უბერა, სანამ ყურებმა შუილი არ დაუწყო, მერე ეს საქმე განთიადის ნიავმა გადაიბარა და ნაცარი თვალებში მიაყარა. რალფი უკან გადაცუცქდა, შეიგინა და ცრემლები მოიწმინდა — თვალები ეწვოდა.

— აზრი არა აქვს.

ერიკმა შემხმარი სისხლის ნიღაბიდან დახედა. ღუტა რალფისკენ მიტრიალდა.

— რასაკვირველია, რალფ. ახლა ცეცხლი აღარ გვაქვს.

რალფმა ღუტას სულ ახლოს მიუტანა სახე:

— მხედავ?

— ოდნავ.

რალფმა გასიებული ლოყა მოისინჯა და თვალი ისევ დახუჭა.

— ცეცხლი წაგვართვეს.

ბრაზისგან ხმას აუწია:

— მოიპარეს!

— ეგეთი ხალხია, — უთხრა ღუტამ, — დამაბრმავეს, ხომ ხედავ? ეგ არის ჯეკ მერიდიუ. კრება მოიწვიე, რალფ, უნდა გადავწყვიტოთ, რა ვქნათ.

— ვინ მოვიწვიო? მარტო ჩვენა ვართ.

— სხვა რა დაგვრჩენია. სემ.. მოდი ერთი, ხელი მოგკიდო.

ბაქნისკენ გაემართნენ.

— ჩაჰბერე საყვირს, — უთხრა ღუტამ, — რაც შეგიძლია, ხმამაღლა ააყვირე.

ტყიდან ექომ გამოსძახათ; ხის კენწეროებიდან ჩიტები ჟივილ-ხივილით წამოიშალნენ — როგორც მაშინ, იმ პირველ დილას. ნაპირი ორივე მხარეს უკაცრიელი იყო. ქოხებიდან რამდენიმე პატარა გამოვიდა. რალფი გაპრიალებულ მორზე ჩამოჯდა. სამი ბიჭი მის წინ იდგა. თავი დაუქნია და სემდერიკი მარჯვნივ დაუსხდნენ. რალფმა საყვირი ღუტას ჩაუდო ხელში. რალფისკენ მიტრიალებულ ღუტას ფრთხილად ეჭირა ელვარე ნიჟარა და თვალებს ახამხამებდა.

— მიდი, ილაპარაკე.

— საყვირი მხოლოდ ერთი რამის სათქმელად გამოგართვი. ვეღარაფერს ვეღარ ვხედავ და ჩემი სათვალე უნდა დავიბრუნო. ამ კუნძულზე საშინელი ამბები მოხდა. მე ხმა მოგეცი, რომ ბელადი ყოფილიყავი. ის კი, რაც მოეპრიანება, ყველაფერს აკეთებს. ასე რომ, შენ ილაპარაკე, რალფ, და გვითხარი რამე... თუ არა და...

ღუტას ხმა ჩაუწყდა, აქსუტუნდა და დაჯდა. რალფმა საყვირი გამოართვა.

— იფიქრებდით, რომ ჩვეულებრივი კოცონის მოვლა გაგვიჭირდებოდა? მხოლოდ სასიგნალო კვამლი გვჭირდება, რომ გადაგვარჩინონ. ველურები ვართ თუ ვინა ვართ? მაგრამ სიგნალი აღარა გვაქვს. შეიძლება გემმა გაიაროს. გახსოვთ, სანადიროდ რომ წავედით, ცეცხლი რომ ჩაქრა და ამ დროს გემმა ჩაიარა? ახლა კიდევ ყველას ჰგონია, რომ ის საუკეთესო ბელადია. მაშინ ის ამბავი... იმისი ბრალიც იყო. ის რომ არა, ასეთი რამ არ მოხდებოდა. ღუტა ვეღარ ხედავს. ქურდულად მოვიდნენ, — რალფმა ხმას აუწია, — ღამით, წყვდიადში და ცეცხლი მოგვპარეს. მოიპარეს. რომ ეთხოვათ, მივცემდით. მაგრამ იმათ მოიპარეს, სიგნალი აღარა გაქვს და ვეღარასოდეს ვეღარ გადაგვარჩენენ. ვერ ხვდებით, რას ვგულისხმობ? ჩვენ თვითონ მივცემდით ცეცხლს, მაგრამ იმათ მოიპარეს. მე...

რალფი წაბორძიკდა — გონებაზე ფარდა ჩამოეფარა. ღუტამ საყვირისკენ გაიწოდა ხელი.

— რას აპირებ, რალფ? რამეს თუ არ გადავწყვეტთ, ცარიელ ლაპარაკს აზრი არა აქვს. მე ჩემი სათვალე მინდა.

— მაცალე, ვფიქრობ. იქნებ წავიდეთ იმათთან, ოღონდ ჯერ თავი მოვიწესრიგოთ, დავიბანოთ, დავივარცხნოთ... ბოლოს და ბოლოს, მართლა ველურები ხომ არა ვართ და გადარჩენაც სახუმარო საქმე არ არის...

გასიებული ლოყა ხელით მოისინჯა და ტყუპებს შეხედა.

— ცოტათი მოვწესრიგდეთ და წავიდეთ...

— შუბები უნდა წავიღოთ, — თქვა სემმა, — ღუტამაც კი.

— ...შეიძლება დაგვჭირდეს.

— თქვენ საყვირი არა გაქვთ!

ღუტამ ნიჟარა ასწია.

— თქვენ თუ გინდათ, წაიღეთ შუბები, მაგრამ მე არ წამოვიღებ. რაში მარგია? მაინც ძაღლივით უნდა მატაროთ. ჰო, იცინეთ, იცინეთ. ამ კუნძულზე სწორედ ეგენი იცინოდნენ ყველაფერზე. და რა გამოვიდა? რა პასუხი გავცეთ უფროსებს? საიმონი მოკლეს. კიდევ ის ბიჭი... სახეზე ნიშანი რომ ჰქონდა... ვის უნახავს იმ პირველი დღის მერე?

— ღუტა! მოიცა ერთ წუთს!

— საყვირი მე მაქვს. წავალ იმ ჯეკ მერიდიუსთან და ვეტყვი. დიახ, წავალ.

— თავს წააგებ.

— ამაზე უარესს რაღას მიზამს? ყველაფერს ისე მოვახსენებ, როგორც საჭიროა. საყვირი წამომაღებინე, რალფ. სწორედ იმას ვაჩვენებ, რაც თვითონ არა აქვს.

ღუტა წუთით შეყოვნდა და გარშემო ბუნდოვან ფიგურებს ჩააცქერდა. ძველი კრებების აჩრდილი უსმენდა.

— დავიჭერ ხელში საყვირს და მივალ. მაღლა ავწევ. იცით, რას ვეტყვი — შენ ჩემზე ღონიერი ხარ და ასთმა არა გაქვს. ვეტყვი, ორივე თვალით კარგად ხედავ, მაგრამ მე არ გთხოვ, რომ ჩემი სათვალე დამიბრუნო, არ შეგეხვეწები. არც იმას გთხოვ, კაცი იყავი-მეთქი. ვეტყვი, მთავარი ღონე კი არ არის, მთავარი სამართალია. რაც სწორია, ის სწორია. ვეტყვი, მომეცი ჩემი სათვალე... უნდა მომცე-მეთქი!

ღუტამ დაამთავრა. ალეწილიყო, კანკალებდა. სასწრაფოდ მიაჩეჩა რალფს საყვირი, თითქოს უნდოდა, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა თავიდან ნიჟარა. მერე ცრემლები მოიწმინდა.

მწვანე შუქი წყნარად ეფინებოდათ, საყვირი რალფის ფერხთით იდო — მყიფე და თეთრი. ღუტას თითებშუა გაპარული ერთადერთი წვეთი ახლა ნატიფ ხვეულში ციმციმებდა.

ბოლოს რალფი ადგა, წელში გაიმართა და თმა უკან გადაიყარა.

— კარგი. ესე იგი... თუ გინდა, სცადე. ჩვენც შენთან ერთად წამოვალთ.

— ის შეღებილი იქნება, — თქვა დამფრთხალმა სემმა, — ხომ იცით, როგორია ხოლმე...

— ...ძალიან არ ვენაღვლებით...

— ...თუ გაცოფდა, ჩვენი საქმე წასულია...

რალფმა სემს შეუბღვირა. ბუნდოვნად გაახსენდა ის, რაც ერთხელ საიმონმა უთხრა, კლდეებთან.

— ნუ სულელობ, — თქვა და მერე სწრაფად დასძინა: — წავედით.

საყვირი ღუტას გაუწოდა. გახარებული ღუტა წამოწითლდა — ეამაყებოდა, რომ საყვირი ანდეს.

— შენ უნდა ატარო.

— როცა მზად ვიქნებით, ავიღებ... — ღუტა სიტყვებს ეძებდა, რომ გამოეხატა მხურვალე მზადყოფნა — ათასი გაჭირვების მიუხედავად, საყვირი თავისი ხელით ეტარებინა. — ...კი ბატონო, სიხარულით, რალფ, ოღონდ, მე თვითონ სატარებელი ვიქნები.

რალფმა საყვირი გაპრიალებულ მორზე დადო.

— ჯობია, ჯერ ვჭამოთ და მერე მოვემზადოთ.

ხილის გაპარტახებული ხეებისკენ გაემართნენ. ღუტას საჭმელამდე მისვლაში დაეხმარნენ და ხელის ცეცებით დაიწყო კრეფა. რალფი ჭამდა და ნაშუადღევზე ფიქრობდა.

— ძველებურად უნდა გამოვიყურებოდეთ, დავიბანოთ...

სემმა მოზრდილი ლუკმა გადაყლაპა და გააპროტესტა:

— კი მაგრამ, ყოველდღე არ ვბანაობთ!

რალფმა მის წინ ჩამომსხდარ სამ ტურტლიან ბიჭს შეხედა და ამოიოხრა.

— უნდა დავივარცხნოთ. მაგრამ თმა ძალიან ჩამოგვიგრძელდა.

— ქოხში წინდები მაქვს შემორჩენილი, — თქვა ერიკმა, — თუ გინდათ, თავზე ჩამოვიცვათ, ვითომ ქუდებია.

— ჯობია, რამე ვიპოვოთ, — თქვა ღუტამ, — და თმას უკან შეგიკრავთ.,

— გოგოებივით!

— არა, რასაკვირველია, არა.

— წავიდეთ, როგორც ვართ, — თქვა რალფმა, — ჩვენზე უკეთესად არც ისინი გამოიყურებიან.

ერიკმა ხელით ანიშნა, მოიცადეთო.

— ისინი შეღებილები იქნებიან! ხომ იცით, ეგ რა არის.

დანარჩენებმა თავი დაუქნიეს. იცოდნენ, ძალიან კარგად იცოდნენ, რომ საღებავის საფარს ველურობად ქცეული თავისუფლება მოჰქონდა.

— ჩვენ არ შევიღებებით, — თქვა რალფმა, — იმიტომ, რომ ველურები არა ვართ.

სემდერიკმა ერთმანეთს გადახედეს.

— იქნებ მაინც...

— არავითარი საღებავი! — იყვირა რალფმა.

გახსენება სცადა.

— კვამლი, — თქვა დაბნეულმა, — კვამლი გვინდა.

გაალმასებული მიუბრუნდა ტყუპებს.

— კვამლი-მეთქი! კვამლი გვჭირდება.

სიჩუმეს მხოლოდ ფუტკრების გაბმული ზუზუნი არღვევდა. ბოლოს ღუტამ ალერსიანად უთხრა:

— რასაკვირველია, გვჭირდება, რასაკვირველია, კვამლი სიგნალია და მის გარეშე ვერავინ გადაგვარჩენს.

— ვიცი! — იყვირა რალფმა და ღუტას ხელი გაუშვა, — შენ გგონია...

— მე უბრალოდ შენს სიტყვებს ვიმეორებ, — საჩქაროდ უთხრა ღუტამ, — წუთით ვიფიქრე...

— არა, — ხმამაღლა უთხრა რალფმა, — სულ მახსოვს. არ დამვიწყნია.

ღუტამ თავი დაუქნია და დაუყვავა:

— ბელადი შენა ხარ, რალფ. შენ ყველაფერი გახსოვს.

— არ დამვიწყნია.

— რასაკვირველია, არ დაგვიწყნია.

ტყუპები ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ რალფს — თითქოს პირველად ხედავდნენ.

სანაპიროს დამწკრივებულები გაუყვნენ. წინ რალფი მიდიოდა, ოდნავ კოჭლობდა. შუბი მხარზე ჰქონდა გადებული. წესიერად ვერ ხედავდა — მოციმციმე ქვიშის თავზე მთრთოლავ, გამჭვირვალე ფარდად დაშვებული ცხელი ალმურიც უშლიდა, გრძელი თმაც და იარებიც. უკან ტყუპები მიჰყვებოდნენ, ახლა ცოტა არ იყოს, შეშფოთებულები, მაგრამ სიცოცხლით სავსენი. ცოტას ლაპარაკობდნენ, ხის შუბებს მინაზე მიათრევდნენ, რადგან ღუტამ აღმოაჩინა, რომ როცა თვალებდახრილი მიდიოდა და დაღლილ მზერას მზეს არიდებდა, ასე

თუ ისე, არჩევდა ქვიშაში გახოხებულ შუბისტარებს. ამ ორ შუბისტარს შორის მიაბიჯებდა და ორივე ხელით ფრთხილად მიჰქონდა ნიჟარა. ბიჭები პატარა, შეკრულ ჯგუფად მიდიოდნენ სანაპიროზე, ოთხი დაბრტყელებული ჩრდილი ცეკვა-ცეკვით ებლანდებოდათ ფეხებში. ქარიშხლის ნიშან-წყალიც აღარ დარჩა, სანაპირო ალესილი სამართებელივით ელავდა. ცა და მთა თვალუწვდენელ სივრცეში სიცხისაგან ციმციმებდა; მირაჟში ატივტივებული რიფი ვერცხლისფერი ტბორის გავლით ზეცისკენ მიცურავდა.

იმ ადგილს ჩაუარეს, სადაც ველურთა ტომი ცეკვავდა. შეშის გაჭვარტლული ნარჩენები ისევ ისე ეყარა ლოდებზე, სადაც წვიმამ ჩააქრო, წყლის პირას ქვიშა გადასწორებული იყო. იქაურობას უხმოდ ჩაუარეს. არც ერთს არ ეეჭვებოდა, რომ ტომი კოშკივით კლდესთან იქნებოდა, და როცა ეს კლდეც გამოჩნდა, შეთანხმებულებივით გაჩერდნენ. კუნძულის ყველაზე ხშირი ბარდები, ერთმანეთში გადახლართული, შავი და მწვანე, გაუვალი ჭალა მარცხნივ დარჩათ, გარშემო მაღალი ბალახი ბიბინებდა. ისევ რალფი წავიდა წინ.

დატკეპნილ ბალახსაც მიადგნენ; აქ იწვნენ მაშინ, დასაზვერად რომ მოვიდნენ. ვიწრო გასასვლელიც აქ იყო, შვერილიც, კლდეს გარშემო რომ უვლიდა და თავზე წითელი წვეტები ქონგურებივით ედგა.

სემმა მკლავზე ხელი მოჰკიდა რალფს.

— კვამლი.

კლდის მეორე მხარეს კვამლის პაწაწინა ლაქა იკლაკნებოდა.

— ცეცხლი უნთიათ... მე მგონი, ეგრეა.

რალფი მოტრიალდა.

— ვის ვემალებით?

ხშირი ბალახი გაიარა და ვიწრო გასასვლელისკენ მიმავალ პატარა, გაშლილ ადგილას გავიდა.

— თქვენ ორნი უკან წამოდით. წინ მე წავალ, ღუტა ფეხდაფეხ გამომყვება. შუბები მომარჯვებული გქონდეთ.

რალფი გასასვლელისკენ გაემართა.

ღუტა შეშფოთებული ჩასცქეროდა თვალწინ ჩამოფარებულ გასხივოსნებულ საბურველს, სამყაროსგან რომ აშორებდა.

— სახიფათო გზა არ არის? ციცაბო ხომ არ არის? ზღვის ხმა მესმის.

— არ მომშორდე, ახლოს იარე.

რალფი გასასვლელისკენ მიდიოდა. ქვას ფეხი ჰკრა და ისიც ხტუნვა-ხტუნვით გადაეშვა წყალში. მერე ზღვამ თითქოს ჩაისუნთქაო — დაიწია და რალფის ხელმარცხნივ, ორმოცი ფუტით ქვემოთ, წითელი, ხავსიანი ოთხკუთხედი გამოჩნდა.

— არ ჩავვარდები? — კანკალებდა ღუტა, — საშინელი შეგრძნებაა...

მაღლა, მათ თავზე, ქონგურებიდან, უეცრად საომარ ყიჟინას მიმსგავსებული ყვირილი გაისმა და კლდის იქიდან თორმეტიოდე ხმა გამოეპასუხა.

— საყვირი მომეცი და არ გაინძრე.

— სდექ! ვინ მოდის?

რალფმა თავი უკან გადასწია, ზემოთ აიხედა და მთის წვერზე როჯერის შავგვრემან სახეს მოჰკრა თვალი.

— ვერა ხედავ, ვინა ვარ! — დაუყვირა პასუხად, — თავს ნუ ისულელებ!

საყვირი ტუჩებზე მიიდო და ჩაჰბერა. ველურები გამოჩნდნენ — ისე შეღებილიყვნენ, რომ კაცი ველარ იცნობდათ, შვერილს მოჰყვებოდნენ და გასასვლელისკენ ეშვებოდნენ. შუბები ეჭირათ, როგორც ჩანს, შესასვლელის დაცვა ჰქონდათ განზრახული.

— გზა მოგვეცი! გესმის? — ყვიროდა როჯერი.

ბოლოს რალფმა საყვირი პირიდან მოიშორა და სული მოითქვა. პირველი სიტყვები სულშეგუბებულმა წარმოთქვა, მაგრამ ისე, რომ ყველამ გაიგონა:

— ...კრებას ვიწვევ.

გასასვლელის მცველმა ველურებმა ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულან. რალფმა ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა წინ. ზურგს უკან დაჟინებული ჩურჩული მოესმა:

— არ მიმატოვო, რალფ.

— მუხლებზე დადექი, — გადაულაპარაკა რალფმა, — და დამელოდე, სანამ დავბრუნდები.

გასასვლელის შუაში გაჩერდა და ყურადღებით მოათვალიერა ველურები. შეღებილ ნიღბებს ამოფარებულებს, განთავისუფლებულებს, თმა უკან შეეკრათ და მასზე გაცილებით ლაღად გრძნობდნენ თავს. რალფმა გადაწყვიტა, მერე მეც შეეკრავ თმასო. ისიც კი მოუნდა, ბიჭებისთვის ეთხოვა, ერთ წუთს მაცალეთო და იქვე, იმ წუთში შეეკრა; მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ველურებმა ჩაიხითხითეს და ერთმა რალფისკენ შუბი გამოიშვირა. როჯერმა თავის ბერკეტს ხელები მოაშორა, დაიხარა და ქვემოთ გადაიხედა. გასასვლელში ბიჭები საკუთარ ჩრდილებში ჩაძირულიყვნენ და გაბურძგნული თავების გარდა არაფერი ჩანდა.

— კრებას ვიწვევ.

დუმილი.

როჯერმა კენჭი აიღო და ისე ისროლა ტყუპებს შორის, რომ არც ერთს არ მოხვედროდა. ტყუპები შეკრთნენ. სემს კინაღამ ფეხი დაუცდა. როჯერმა მთელ სხეულში ძალმოსილების ფეთქვა იგრძნო.

— კრებას ვიწვევ. — ხმამაღლა გაიმეორა რალფმა.

ველურებს თვალი მოავლო.

— ჯეკი სად არის?

ბიჭები შეიშმუშნენ, ერთმანეთში აჩურჩულდნენ. მერე ერთმა შეღებილმა სახემ რობერტის ხმით უყვირა:

— ნადირობს. თქვენზე დაგვიბარა, არ შემოუშვათო.

— ცეცხლზე მოვედი, — თქვა რალფმა, — და ღუტას სათვალეზე.

ჯგუფი შეირხა; უეცრად ჟრუანტელის მომგვრელი სიცილი გაისმა, უდარდელი, ხალისიანი სიცილი, რომელსაც მაღალი კლდეებიდან ექო გამოეხმაურა.

რალფს უკნიდან მოესმა:

— რა გინდა?

ტყუპები ადგილს მოსწყდნენ, რალფსა და შესასვლელს შორის ჩადგნენ. რალფი სწრაფად მოტრიალდა. ტყიდან ჯეკი გამოდიოდა — წითური თმითა და ქცევით თუ იცნობდი. აქეთ-იქიდან წელში მოხრილი თითო მონადირე მოჰყვებოდა. სამივე შავი და მწვანე ფერებით იყო შეღებილი. უკან, ბალახზე, თავმოჭრილი და გაფატრული დედაღორი ეგდო.

— რალფ! არ მიმატოვო! — გულსაკლავად გაიმეორა ღუტამ.

მოუხერხებლად, ფრთხილად მოეხვია ლოდს და ჩაეხუტა. ქვემოთ ზღვა სუნთქავდა. ველურების ხითხითი ხმამაღალ, აგდებულ ხარხარში გადაიზარდა.

ჯეკის ყვირილმა ხმაური დაფარა:

— წადი აქედან, რალფ. შენს მხარეს იყავი. ეს ჩემი მხარეა და ჩემი ტომი. თავი დამანებე.

სიცილი შეწყდა.

— შენ ღუტას სათვალე აგვწაპნე, — მიუგდო სუნთქვაშეკრულმა რალფმა, — უნდა დაგვიბრუნო.

— უნდა დაგიბრუნოთ? ვინ მოგახსენა?

რალფი გაცეცხლდა:

— მე გეუბნები! შენ ხმა მომეცი, რომ ბელადი ვყოფილიყავი. არ გესმის საყვირის ხმა? ბინძური ოინი გვიყავი... ცეცხლს ისედაც მოგცემდით, რომ გეთხოვა...

სახეზე სისხლი მოაწვა და გასიებული ქუთუთო აუთამაშდა.

— ცეცხლი თუ გინდოდა, მიიღებდი კიდეც, მაგრამ არა, ქურდულად მოხვედი და ღუტას სათვალე მოიპარე!

— აბა, გაიმეორე!

— ქურდო! ქურდო!

ღუტამ დაიკვნესა:

— რალფ! მე რაღას მიშვრები!

ჯეკი გამოვარდა, რალფს მკერდში შუბი აძგერა. რალფმა თვალი მოჰკრა ჯეკის მოქნეულ მკლავს, წამში განსაზღვრა იარაღის მიმართულება და შუბისტარი დაუხვედრა. მერე შუბი მოატრიალა და ჯეკს ყურთან მოუნაცვლა. მკერდმიბჯენილები, გააფთრებულები ქოშინებდნენ და ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ.

— ვინ არის ქურდი?

— შენ!

ჯეკი სხარტად მოტრიალდა და კიდევ ერთხელ მოუქნია შუბი. შეთანხმებულებივით, ახლა შუბებს ხმლებივით იქნევდნენ და მომაკვდინებელ წვერებს აღარ ხმარობდნენ. რალფის შუბი მძლავრმა დარტყმამ მოასრიალა და თითები დაუკრუნჩხა. კიდევ ერთხელ განცალკევდნენ და ორივემ უკან დაიწია. ჯეკმა — კლდისკენ, რალფმა — კუნძულისკენ.

ორივეს სუნთქვა ეკვროდა.

— აბა!

— ჰე, მიდი!

გამძვინვარებულები იდგნენ პირისპირ, მაგრამ ახლოს არც ერთი არ მიდიოდა.

— მოდი და ნახავ, რაც მოგივა!

— მოდი!

მიწას ჩაბღაუჭებული ღუტა რალფის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. რალფი ისე დაიხარა, რომ ჯეკისთვის თვალი არ მოუშორებია.

— რალფ... გაიხსენე, რისთვის მოვედით. ცეცხლისთვის, ჩემი სათვალისთვის. — რალფმა თავი დაუქნია, მოეშვა, საბრძოლოდ შემართული კუნთები მოადუნა, გაიმართა და შუბი ტარით მიწაზე დადო. საღებავს ამოფარებული, შეუვალი ჯეკიც თვალს არ აშორებდა; რალფმა ქონგურებსა და მის წინ შეჯგუფებულ ველურებს გახედა.

— ყური მიგდეთ. ჩვენ ამის სათქმელად მოვედით. ჯერ ერთი, ღუტას სათვალე უნდა დაგვიბრუნოთ. უსათვალოდ ვერაფერს ვერ ხედავს. ეს თამაში არ არის...

შეღებილი ველურების ტომი ახითხითდა და რალფს გონება აერია. თმა უკან გადაიყარა, მწვანე და შავ ნიღაბს ჩააცქერდა, ჯეკის სახის გახსენება სცადა.

— ცეცხლი, — დაიჩურჩულა ღუტამ.

— ჰო. რაც შეეხება ცეცხლს. კიდევ ერთხელ გეუბნებით. რაც აქ დავეშვით, მას მერე სულ ამას გავიძახი.

შუბი ველურებისკენ გაიშვირა.

— თქვენი ერთადერთი იმედი სასიგნალო კოცონია. სანამ დღეა და კვამლის გარჩევა შეიძლება, ცეცხლი არ უნდა ქრებოდეს. მაშინ იქნებ გამვლელმა გემმა კვამლი შენიშნოს, გადაგვარჩინოს და შინ წაგვიყვანოს. ცეცხლის გარეშე კი იმას უნდა ველოდოთ, რომ რომელიმე გემი შემთხვევით მოადგეს ამ კუნძულს. შეიძლება, წლობით დაგვჭირდეს ლოდინი; სიბერემდე...

ველურებში ჟრუანტელის მომგვრელი, ვერცხლისებრი, ყალბი სიცილი ამოიფრქვა და შორიდან ექო გამოეხმაურა. რალფს რისხვა მოერია. მჭახე ხმით იყვირა:

— ვერაფერს ვერ ხვდებით, თქვე გათხიპნილო ბრიყვებო! მე, სემი, ერიკი და ღუტა ამ საქმეს არ ვეყოფით. ვცდილობდით, ცეცხლი არ ჩაგვექრო, მაგრამ ვერ შევძელით. თქვენ კიდევ თამაშობთ და ნადირობთ...

მათ ზურგს უკან მიუთითა, სადაც კრიალა ჰაერში კვამლის სვეტი იკლაკნებოდა და იფანტებოდა.

— შეხედეთ! ამას უძახით სასიგნალო კოცონს? ეს სამზარეულოს ცეცხლია. ახლა გამოძღებით და კვამლიც გაქრება. ვერაფერს ვერ ხვდებით? იქ შეიძლება, გემი მოდიოდეს...

შეყოვნდა. სიჩუმემ და შეღებილი მცველების გამოუცნობმა სახეებმა დაამარცხა. ბელადმა ვარდისფერი პირი გააღო, ველურებსა და მას შორის ჩამდგარ სემდერიკს მიმართა:

— თქვენ ორმა, უკან დაიხიეთ.

პასუხი არავინ გასცა. შეცბუნებულმა ტყუპებმა ერთმანეთს გადახედეს; ამასობაში ბრძოლის შეწყვეტით გამხნევებული ღუტა ფრთხილად წამოდგა. ჯეკმა ჯერ რალფს მოხედა უკან, მერე ტყუპებისკენ მოტრიალდა.

— სტაცეთ ხელი!

ადგილიდან არავინ დაძრულა.

— გითხარით, ხელი სტაცეთ-მეთქი! — იყვირა გაბრაზებულმა ჯეკმა.

შეღებილთა ჯგუფი ნერვიულად, უხერხულად შემოეხვია სემდერიკს. კიდევ ერთხელ აწკრიალდა ვერცხლისებრი სიცილი.

სემდერიკის ხმით თავად ცივილიზაცია უძახდათ:

— ოჰ, რას აკეთებთ!

— ...არა გრცხვენიათ!

შუბები წაართვეს.

— გაკოჭეთ!

რალფმა უიმედოდ შესძახა შავ და წითელ ნიღაბს:

— ჯეკ!

— მიდით. გაკოჭეთ!

შეღებილებმა იგრძნეს, რომ სემდერიკი სხვანაირები იყვნენ, იგრძნეს საკუთარი მკლავის ძალა. მოუხერხებლად, აღტაცებით დააგდეს ძირს ტყუპები. ჯეკი გახალისდა. იცოდა, რომ რალფი ტყუპების გადარჩენას შეეცდებოდა. მის ზურგს უკან შუბით აზუზუნებული წრე მოხაზა და რალფმა ძლივს მოასწრო დარტყმის მოგერიება. იქით ველურები და ტყუპები ახმაურებულ, აფართხალებულ გროვად ახორხლილიყვნენ. ღუტა ისევ ჩაჯდა. წუთიც და განცვიფრებული ტყუპები მინაზე იწვნენ, გარშემო შემოხვეული ველურები თავზე ადგნენ. ჯეკი რალფს მიუბრუნდა და კბილებში გამოსცრა:

— ხედავ? რაც მე მინდა, იმას აკეთებენ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. უხეიროდ გაკოჭილი ტყუპები მიწაზე ეყარნენ. ველურთა ტომი რალფს შეჰყურებდა, აბა, რას იზამსო.

იმანაც წონასწორობა დაკარგა და ჯეკს უღრიალა:

— მხეცი ხარ! ხეპრე! წყეულო, წყეულო ქურდო!

ეცა.

ჯეკი მიხვდა, რომ ეს გადამწყვეტი წუთი იყო და თვითონაც შეუტია. ერთმანეთს შეასკდნენ და უკან გადაცვივდნენ. ჯეკმა მუშტი მოუქნია და ყურში ხეთქა. რალფმა მუცელში ჩასცხო, აახროტინა. მერე პირისპირ იდგნენ, აქოშინებულები, გააფთრებულები, ერთმანეთის მძვინვარებით დაფეთებულები. ახლაღა მიხვდნენ, რომ ამ ბრძოლას ფონად გასდევდა ველურთა ტომის ხმამაღალი, ყურისწამღები ყიჟინა.

რალფის ყურამდე ღუტას ხმამ მიაღწია.

— მათქმევინეთ.

ჩხუბისას ავარდნილ ბუღში ადგა, ველურებმა ეს რომ დაინახეს, ყიჟინა გაბმული, დამცინავი გუგუნით შეცვალეს.

ღუტამ საყვირი აიღო, ხმაურმა იკლო, მერე ისევ ძალა მოიკრიბა.

— საყვირი მე მაქვს! — იყვირა ღუტამ, — გეუბნებით, მე მაქვს საყვირი!

საკვირველი იყო, მაგრამ ახლა ყველა გაჩუმდა. ველურებს აინტერესებდათ, ახლა რა თავშესაქცევს შესთავაზებდათ ღუტა.

სიჩუმე ჩამოწვა; ოღონდ სიჩუმეში, რალფის თავთან, ჰაერში რაღაც უცნაურად გახმიანდა. თავიდან არც მიუქცევია ყურადღება... მერე ისევ სუსტი „ზუპ!“ ვიღაც კენჭებს ისროდა — როჯერი იყო. ცალი ხელი ისევ ბერკეტზე ედო. ზემოდან რომ დასცქეროდა, რალფის ადგილას გაბურძგნული თმა მოჩანდა, ღუტას ადგილას — ქონის ტომარა.

— იცით, რას გეტყვით. ბავშვებივით იქცევით.

გუგუნი ატყდა და ისევ ჩაცხრა — ღუტამ თეთრი, ჯადოსნური ნიჟარა ასწია.

— რა სჯობია, რომ იყოს ადამიანი: გათითხნილი ზანგი, თქვენსავით თუ გონიერი არსება, რალფივით?

ველურები ხმამაღლა აგნიასდნენ. ღუტამ ისევ იყვირა:

— რა სჯობია — წესების დაცვა და თანხმობა, თუ ნადირობა და მკვლელობა?

ისევ გნიასი და ისევ — „ზუპ!“

ახლა რალფმა იყვირა, რომ ხმაური დაეფარა:

— რა სჯობია — კანონიერება და გადარჩენა, თუ ნადირობა და ყველაფრის განადგურება?

მერე ჯეკიც აღრიალდა და რალფის ხმა აღარავის ესმოდა. ჯეკმა ველურების ტომისკენ დაიხია; ყალყზე შემდგარი შუბებით იდგნენ — მრისხანე კედელივით. შეტევის განზრახვა თანდათან ხორცს ისხამდა; ბორგავდნენ, ბობოქრობდნენ, მალე ვიწრო გასასვლელი უნდა გაეწმინდათ. რალფი მათ წინ იდგა, შუბი შემართული ჰქონდა. გვერდით ღუტა ამოსდგომოდა, ისევ ხელში ეჭირა თილისმა — მყიფე, მბრწყინავი, მშვენიერი ნიჟარა. უცებ გრიგალივით დაეჯახათ ხმა — სიძულვილით სავსე შელოცვა. მაღლა, ზემოთ, გონებადაკარგული როჯერი მთელი ტანით დააწვა ბერკეტს.

რალფმა ვეება ლოდის ხმაური მანამ გაიგონა, სანამ დაინახავდა. იგრძნო, როგორ შეზანზარდა მიწა, რყევამ თავიდან ფეხებამდე დაუარა, კლდის წვერიდან წამოსული ქვის მსხვრევის ხმა მოესმა, უზარმაზარი, საშინელი, წითელი რაღაც ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა, გასასვლელში ჩაიგრუხუნა და ჩაენარცხა. ველურები წივილ-კივილით დაიფანტნენ.

ლოდი ღუტას დაეცა და ნიკაპიდან მუხლამდე გასერა; საყვირი ათას თეთრ ნაწილაკად დაიმსხვრა და არსებობა შეწყვიტა. ღუტამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, უხმოდ გადაეშვა კლდიდან ჰაერში. გადატრიალდა. ლოდი კიდევ ორჯერ გადახტა და ტყეში ჩაიკარგა. ორმოცი ფუტის სიმაღლიდან გადავარდნილი ღუტა ზურგით დაეცა ოთხკუთხა, ზღვაში ჩადგმულ, წითელ კლდეს. თავი გაუსკდა, ტვინი კლდეზე გადმოინთხა და წითლად შეიღება. ღუტამ ოდნავ გააფართხალა ხელ-ფეხი, დაკლული ღორივით. ზღვამ კვლავ ამოისუნთქა, ნელა ამოუშვა გრძელი ოხვრა, კლდეზე თეთრად და ვარდისფრად ამოდუღდა; მერე ისევ ჩაისუნთქა და ღუტას სხეულიც გაუჩინარდა.

ამჯერად სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. რალფმა ტუჩების მოძრაობით წარმოთქვა რაღაც, ხმა არ ამოუვიდა.

უეცრად ჯეკი ველურებს ნახტომით მოსწყდა და განმგმირავად აკივლდა:

— ნახე? ნახე? აი, რა მოგივა! რას გეუბნებოდი! ახლა ტომი აღარა გყავს! საყვირიც აღარ არის...

წელში მოხრილი გამოიქცა წინ.

— მე ვარ ბელადი!

გაბოროტებულმა, მტკიცე განზრახვით სტყორცნა შუბი რალფს. წვერმა ბიჭს თეძოზე გაუგლიჯა კანი და ხორცი, მერე

ასხლტა და წყალში გადავარდა. რალფი წაბორძიკდა, ტკივილი არ უგრძვნია, მაგრამ დაფეთდა. ახლა თავისი ბელადივით აკივლებული ველურთა ტომი წინ მოიწევდა. კიდევ ერთმა, გაღუნულმა შუბმა სახესთან ჩაუარა, ერთი ზემოდან წამოვიდა, იქიდან, სადაც როჯერი იყო. ტყუპები მიწაზე იწვნენ, ველურები ეფარებოდნენ, გასასვლელი უცნობმა, ეშმასეულმა სახეებმა გაავსო. რალფი მოტრიალდა და გაიქცა. უკან ღრიანცელი ატყდა — თოლიების ყივილივით. რალფი იმ ინსტინქტს დამორჩილდა, რომლის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა, მიხვეულ-მოხვეული გზით გარბოდა გაშლილ სივრცეში და შუბებს ასე იცილებდა. თავმოჭრილი დედაღორი დაინახა და გადახტომა მოასწრო. მერე შლიგინით შევარდა ფოთლებსა და პატარ-პატარა ბუჩქებში.

ტყემ კალთა გადააფარა და დამალა.

ბელადი ღორთან გაჩერდა, მოტრიალდა და ხელები ასწია:

— უკან! უკან, ციხე-სიმაგრეში!

მალე ველურთა ტომი ხმაურით დაბრუნდა გასასვლელში. იქ როჯერიც შეუერთდათ.

— სათვალთვალოზე რატომ არა ხარ? — გაუჯავრდა ბელადი.

როჯერმა წარბშეკრულმა შეხედა:

— ახლა ჩამოვედი...

ჯალათის თანამდევი ძრწოლა ტრიალებდა მის გარშემო. ბელადს მისთვის აღარაფერი უთქვამს, სემდერიკს გახედა.

— ტომს უნდა შემოუერთდეთ.

— გამიშვი...

— ...მეც.

ბელადმა რამდენიმე შემორჩენილი შუბიდან ერთ-ერთს სტაცა ხელი და სემს თეძოზე ატაკა.

— რისი თქმა გინდა, ჰა? — უყვირა გააფთრებულმა, — რა გინდოდათ, შუბებით რომ გამოცხადდით? ვითომ რატომ არ გინდათ ტომში შემოსვლა?

შუბის წვერი უკვე რიტმულად მოძრაობდა.

— ნუ, ეგრე ნუ!

როჯერმა ბელადი განზე გასწია, ერთი ეგ იყო, რომ მუჯლუგუნი არ უკრავს. ყვირილი შეწყდა. სემდერიკი იწვნენ და თავზარდაცემულები აჰყურებდნენ. როჯერი ნელ-ნელა უახლოვდებოდათ — უსახელო ძალაუფლების პატრონი.

თავი მეთორმეტე

მონადირეთა ყიჟინა

რალფი სამალავში იწვა და ფიქრობდა, ნეტავ ამ ჭრილობებს რა უნდა ვუყოო. მარჯვენა თეძოზე რამდენიმე დუიმიანი დიამეტრის ადგილი ჩალურჯებული ჰქონდა, იქ, სადაც შუბი მოხვდა, ჭრილობა დაუსივდა და სისხლი სდიოდა. ჭუჭყით სავსე თმა ლიანის წკირებივით გაშეშებოდა. ტყეში სირბილისგან თავიდან ფეხებამდე დაკაწრული და დალილავებული იყო. სუნთქვა რომ ჩაუწყნარდა, მიხვდა, რომ ჭრილობების მობანა მოიცდიდა. წყალში ჭყუმპალაობისას შიშველი ფეხის ხმას ვერ გაიგონებდა, ან როგორ იგრძნობდა თავს უშიშრად გინდ პატარა ნაკადულის პირას, გინდ მოშიშვლებულ სანაპიროზე?

რალფმა მიაყურადა. კოშკივით კლდე არც ისე შორს იყო და თავიდან შიშისგან მოეჩვენა, მდევარის ხმა მესმისო. მაგრამ მონადირეებმა ისე, სასხვათაშორისოდ მიიარ-მოიარეს მწვანე ტევრი. ალბათ შუბებს ეძებდნენ. მერე უკან, მზით გაჩახჩახებული კლდისკენ გაცვივდნენ, თითქოს ფოთლებქვეშ ჩაბუდებულმა სიბნელემ შეაშინათო. ერთს თვალიც კი მოჰკრა — ყავისფერ, შავ და წითელ ზოლებად შეღებილი, ბილს მიამსგავსა. თუმცა სინამდვილეში ეს ბილი არ არისო, იფიქრა რალფმა. სინამდვილეში ეს ველური იყო, და მისი სახე ვერაფრით ვერ ერწყმოდა შორტებსა და პერანგში გამოწყობილი ბიჭის ძველ პორტრეტს.

ნაშუადღევიც გადადიოდა; მზით განათებული მრგვალი ლაქები ნელ-ნელა ინაცვლებდნენ მწვანე ფოთლებსა და ყავისფერ ღეროებზე, მაგრამ კლდიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბოლოს რალფი გვიმრებიდან გამოხოხდა და ქურდული ნაბიჯით გაემართა ვიწრო გასასვლელს აფარებული, გაუვალი ბარდებისკენ. როცა მიაღწია, განსაკუთრებული სიფრთხილით გაიხედა ტოტებს შორის და დაინახა, რომ კლდის წვერზე მცველად რობერტი იჯდა. მარცხენა ხელში შუბი ეჭირა, მარჯვენით კენჭს ააგდებდა, დაიჭერდა. მის უკან კვამლის სქელი სვეტი ადიოდა, რალფს ნესტოები აეწვა, ნერწყვი მოადგა. ცხვირ-პირი ხელის ზურგით მოიწმინდა და დილას აქეთ პირველად იგრძნო შიმშილი. ველურები ალბათ გამოშიგნულ ღორს უსხედან გარშემო და შეჰყურებენ, როგორ წვეთავს და იწვის ფერფლში ქონი. ალბათ თვალს არ აშორებენ.

ვიღაც — ვერ ცნობდა, ვინ — რობერტის გვერდით გამოჩნდა, რაღაც მისცა. მერე შეტრიალდა და კლდის უკან გაბრუნდა. რობერტმა შუბი გვერდზე მოიდო და ხელებში რაღაცას დაუწყო ღრღნა. ეტყობა, ქეიფი იწყებოდა და მეთვალყურეს თავისი ულუფა მისცეს.

რალფი მიხვდა, რომ ერთხანს ხიფათი არ ემუქრებოდა. კოჭლობით გაეშურა ხილის მოსაკრეფად; ქეიფი რომ ახსენდებოდა, მწირ საკვებზე ფიქრი კიდევ უფრო მეტად სტანჯავდა. დღეს ქეიფობენ, ხვალ კი...

ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, მომეშვებიანო, იქნებ მოეკვეთათ კიდეც. მაგრამ, საბედისწერო, შლეგური ამბები არ ასვენებდა. საყვირის დამსხვრევა, ღუტას და საიმონის სიკვდილი ნისლივით დააწვა კუნძულს. შეღებილი ველურები ამას არ იკმარებდნენ. მერე კიდევ ის უცნაური და გამოუთქმელი კავშირი მასა და ჯეკს შორის; ჯეკი არაფრისდიდებით არ დაანებებს თავს; არასოდეს.

გაიტრუნა. ათინათი დასთამაშებდა, ტოტი გადაწეული ეჭირა, თუ საჭირო იქნებოდა, მყისვე მწვანეში შეიმალებოდა. ძრწოლამ მთელ ტანში დაუარა, ააცახცახა და წამოიძახა:

— არა. ასეთი ცუდებიც არ არიან. ის უბედური შემთხვევა იყო.

ტოტის ქვეშ შეძვრა. ბორძიკით გაიქცა, მერე გაჩერდა და ყური მიუგდო.

გატკეპნილ ადგილას გავიდა, სადაც ხილი ეგულებოდა, ხარბად შეუდგა ჭამას. ორი პატარა დაინახა; წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ გამოიყურებოდა და გაუკვირდა, ბავშვები წიოკით რომ გაიქცნენ.

შენაყრდა და სანაპიროსკენ წავიდა. მზე გადაიხარა, სხივები ალმაცერად ეცემოდა პალმებსა და დანგრეულ ქოხს. ბაქანი და ტბორიც გამოჩნდა. ყველაფერს აჯობებდა, ყურადღება არ მიექცია იმ მძიმე ფიქრებისთვის, გულზე ლოდად რომ აწვა

და გონებისთვის მოეხმო. ახლა ველურთა ტომი გამომძღარი იყო, იქნებ კიდევ ერთხელ ეცადა ბედი? ასეა თუ ისე, ვერაფრით ვერ გასძლებდა მთელი ღამე აქ, ცარიელ ქოხში და მიტოვებულ ბაქანზე. მზე ჩადიოდა. გააჟრჟოლა. არც ცეცხლი, არც კვამლი; არც გადარჩენის იმედი. მოტრიალდა, კოჭლობით შევიდა ტყეში და ჯეკის სამფლობელოსკენ გაემართა.

მზის ირიბი სხივები ტოტებში ჩაკარგულიყო. ბოლოს ტყეში, მოშიშვლებულ ადგილას გავიდა, სადაც მცენარეებს ქვები შენაცვლებოდა. აქაურობა ჩრდილებში ბანაობდა და რალფი კინაღამ კისრისტეხით გავარდა ხის უკან დასამალავად, როცა დაინახა, რომ შუაში რაღაც იდგა; მაგრამ მერე გაარჩია, რომ თეთრი სახე მხოლოდ ძვლები იყო; ჯოხის წვერზე ჩამოცმული ღორის თავის ქალა შემოჰყურებდა და იღიმეებოდა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და დაჟინებით მიაცქერდა ქალას, რომელიც ისე ელვარებდა, როგორც ერთ დროს მათი საყვირი; დამცინავად შემოჰყურებდა, თითქოს მასხარად იგდებდა. ცალი თვალის ბუდეში ცნობისმოყვარე ჭიანჭველა დაფუსფუსებდა. სიცოცხლის სხვა ნიშან-წყალი არ ეტყობოდა.

თუ ეტყობოდა?

ზურგში თითქოს ჭიანჭველებმა დაუარა. ქალა დაახლოებით მისი სახის გასწვრივ იყო ჩამოცმული. ბიჭი იდგა და თმა ორივე ხელით უკან გადაწეული ეჭირა. დაკრეჭილი კბილები შემოსცინოდა, თვალის ბუდეები თითქოს განზე გახედვას არ ანებებდნენ.

ეს რაღა იყო?

ქალა ისე შემოჰყურებდა რალფს, თითქოს პასუხები ბიჭის ყველა კითხვაზე იცოდა, მაგრამ არ ეუბნებოდა. რალფს გულისამრევი შიში და რისხვა დაეუფლა. გააფთრებულმა გაარტყა ამ სისაძაგლეს, ისიც სათამაშოსავით აქეთ-იქით გაქანდა, თავის ადგილს დაუბრუნდა და სახეში ისე შემოსცინა, რომ ბიჭმა კიდევ სთხლიშა და ზიზღისგან ცრემლმორეული ხმით იყვირა. მერე იდგა, დაშავებულ მუშტს იწუწნიდა და ცარიელ ჯოხს შესცქეროდა. შუაზე გახლეჩილი ქალა მიწაზე ეგდო და ახლა გაცილებით უფრო ფართოდ იღიმეებოდა. მერე რალფი უკან-უკან წავიდა. თვალს არ აშორებდა ქალას, ახლა ცას რომ შესცინოდა.

ჰორიზონტის თავზე მწვანე ელვარება ჩაქრა, ღამე ჩამოწვა. რალფი ისევ კოშკივით კლდის წინ გახლართულ ბარდებს

დაუბრუნდა. იქიდან გაიჭყიტა და დაინახა, რომ წვერზე ისევ ვიღაც იდგა — შუბმომარჯვებული.

ჩრდილებში ჩაიმუხლა, მარტოობისგან გული მოეწურა. მართალია, ველურები იყვნენ, მაგრამ მაინც ადამიანები ერქვათ. წყვდიადში კი ყველგან შიში ჩასაფრებოდა.

რალფმა ჩუმად დაიკვნესა. ქანცგაწყვეტილი კი იყო, მაგრამ მოდუნებას და ერთი კარგად გამოძინებას ვერ ახერხებდა — ველურებისა ეშინოდა. იქნებ, პირდაპირ დაადოს თავი და მიადგეს ციხე-სიმაგრეს, უთხრას, სამოყვროდ მოვედიო, უდარდელად გაიცინოს, დანარჩენებს მიუწვეს გვერდით და დაიძინოს? ისე მოიქცეს, ვითომ ისევ პატარა ბიჭები არიან, სკოლის მოსწავლეები, ფორმის ქუდები ახურავთ და ამბობენ: „სერ, დიახ, სერ“? დღის სინათლე აფიქრებინებდა, ჰო, ეგრე სჯობიაო, მაგრამ წყვდიადი და სიკვდილის შიში უარს ეუბნებოდა. იწვა სიბნელეში და იცოდა, რომ მოკვეთილი იყო.

— იმიტომ, რომ გონება შემრჩა.

მკლავი ლოყაზე გაიხახუნა, მარილის, ოფლისა და დიდი ხნის ჩამჯდარი ჭუჭყის მუავე სუნი იგრძნო. მარცხნივ ოკეანე სუნთქავდა, ტალღები გაუჩინარდებოდა, მერე ისევ ამოდუღდებოდა ბრტყელ ლოდზე.

კოშკივით კლდის იქით ხმა ისმოდა. რალფი მონანავე ზღვას მოსწყდა, გაფაციცებულმა მიაყურადა და ნაცნობი რიტმი გაარჩია:

„მოკალი ურჩხული! ყელი გამოსჭერი! სისხლისგან დაცალე!“

ველურთა ტომი ცეკვავდა. სადღაც, კლდიანი კედლის მეორე მხარეს, ახლა მუქი წრეა, ცეცხლი გიზგიზებს და ხორცი შიშხინებს. საჭმელსაც ირგებენ და უსაფრთხოებით მოგვრილ მყუდროებასაც.

მოახლოებულმა ხმაურმა შეაკრთო. ველურები კოშკივით კლდეზე მიცოცავდნენ, პირდაპირ წვერისკენ და მათი ხმები ესმოდა. უჩუმრად გაფოფხდა წინ კიდევ რამდენიმე იარდით და დაინახა, რომ კლდის თავზე ჩრდილი შეიცვალა, გაფართოვდა. ამ კუნძულზე ორადორ ბიჭს შეეძლო ასე სიარული ან ლაპარაკი.

რალფი თავით მკლავებს ჩამოეყრდნო. ეს ახალი ამბავი ლახვარივით დაესო გულზე. სემდერიკიც ტომის წევრები გახ-

დნენ. კოშკივით კლდეს იცავდნენ — მისგან. შეუძლებელი ყოფილა მათი გადარჩენაც და კუნძულის მეორე მხარეს მოკვეთილთა ტომის შექმნაც. სემდერიკი დანარჩენებივით გაველურდნენ; ღუტა მოკვდა, საყვირი ნაცარტუტად იქცა.

როგორც იქნა, მცველი ქვემოთ ჩაცოცდა. კლდის თავზე დარჩენილი ორი ბიჭი ისე იდგა, თითქოს კლდეს მუქი წვეტი ამოეზარდაო. მათ ზურგს უკან ვარსკვლავი აინთო და მაშინვე ჩაქრა — ერთი ბიჭი მოეფარა.

რალფი ისევ წინ გაფოფხდა, უსწორმასწორო გზაზე ბრმასავით მიიწევდა წინ. მარჯვნივ მღვრიე წყალი მოწანწკარებდა, მარცხნივ ოკეანე იყო — ღრმა, ჭასავით საშინელი. წყალი სიკვდილის კლდის გარშემო სუნთქავდა და ყვავილებივით თეთრად იშლებოდა. რალფი მანამ მიცოცავდა, სანამ შესასვლელის შვერილს არ ჩაეჭიდა. სათვალთვალო სწორედ მის თავზე იყო გადმომდგარი, კლდის წვერზე აღმართული შუბი ჩანდა.

ძალიან ფრთხილად დაიძახა:

— სემდერიკ...

პასუხი არავინ გასცა. ეტყობა, უფრო ხმამაღლა უნდა დაიძახოს; მაგრამ მაშინ შეიძლება ცეცხლთან მოქეიფე, ზოლიანი მტრები წამოიშალონ. კრიჭაშეკრულმა განაგრძო გზა, ზემოთ მიიწევდა და ხელის ცეცებით პოულობდა ჩასაჭიდს. ჯოხი, რომელზეც მანამდე ქალა იყო ჩამოცმული, ახლა ფეხებში ედებოდა, მაგრამ ამ ერთადერთ იარაღს ვერ შეელეოდა. ტყუპებს თითქმის გაუსწორდა და ისევ დაუძახა:

— სემდერიკ...

კლდეზე შეშფოთებით წამოიყვირეს და დაფაცურდნენ. ერთმანეთს ჩაბღაუჭებული ტყუპები რაღაცას აბუტბუტდნენ.

— მე ვარ, რალფი.

შეეშინდა, არ გაიქცნენ და განგაში არ ატეხონო, ხელებზე დაყრდნობილმა ტანი აითრია, თავი და მხრები კლდის წვერს ააცილა. შორს, იდაყვს ქვემოთ, კლდის გარშემო შემოვლებული, სხივჩამდგარი, აყვავებული ქაფი დაინახა.

— მე ვარ, მე, რალფი.

როგორც იქნა, დაიხარნენ და სახეში ჩააცქერდნენ.

— ჩვენ გვეგონა...

— ...არ ვიცოდით, რა იყო...

— ...ჩვენ გვეგონა...

უცებ თავიანთი ახალი, სამარცხვინო მოვალეობა გაახსენდათ. ერიკი გაჩუმდა, მაგრამ სემმა მოვალეობის შესრულება სცადა.

— უნდა წახვიდე, რალფ. ახლავე წადი...

შუბის ქნევა დაიწყო, აქაოდა, გავბრაზდიო.

— მოშორდი აქედან, გაიგე?

ერიკმაც თავი დააქნია და შუბით ჰაერი გასერა. ხელებზე დაყრდნობილი რალფი არ მიდიოდა.

— მე კიდევ თქვენს სანახავად მოვედი.

ხმა ჩაეხლიჩა. ყელი სტკიოდა, თუმცა დაშავებული არ ჰქონდა.

— მე კიდევ თქვენთან მოვედი...

ასეთ გულისტკენას სიტყვებით ვერ გამოთქვამდი. გაჩუმდა. საითაც გაიხედავდა, მკვირცხლი ვარსკვლავების შხეფები ცეკვავდა.

სემი უხერხულად შეიშმუშნა.

— მართლა გეუბნები, რალფ, გირჩევნია, წახვიდე.

რალფმა ისევ ახედა:

— თქვენ ორნი ხომ არ შეღებილხართ. როგორ შეგიძლიათ... სიბნელე რომ არა...

სიბნელე რომ არა, სირცხვილით დაიწვებოდნენ, მაგრამ ღამე ბნელა. ერიკმა დასთმო; და ტყუპები ერთად ალაპარაკდნენ:

— იმიტომ უნდა წახვიდე, რომ აქ ხიფათი გელის...

— ...გვაიძულეს, გვაწამეს...

— ვინ? ჯეკმა?

— არა, არა...

რალფისკენ დაიხარნენ და ხმას დაუწიეს.

— გაიქეცი, რალფ...

— ...ეს ტომია...

— ...გვაიძულეს...

— ...ვერაფერი გავაწყვეთ...

რალფი ისევ ალაპარაკდა — ხმადაბლა, თითქოს სული ეხუთებაო.

— რა დავუშავე? თავიდან მომწონდა... გადარჩენა მინდოდა...

ცას ისევ ვარსკვლავები მიეშხეფა. ერიკმა სერიოზული სახით გააქნია თავი.

— მომისმინე, რალფ. არ იფიქრო, რომ შეიძლება გონებით რამე გაიგო. გონება აღარავის შერჩა...

— ბელადზე ნულარ ფიქრობ...

— ...შენთვის აჯობებს, რომ წახვიდე.

— ბელადს და როჯერს...

— ...ჰო, როჯერს...

— ორივეს სძულხარ, რალფ. შენთვის ბოლოს მოღებას აპირებენ.

— ხვალ შენზე ნადირობას აპირებენ.

— კი მაგრამ, რატომ?

— არ ვიცი. და კიდევ, იცი რა, რალფ, ბელადი, ჯეკი ამბობს, ეს სახიფათოაო...

— ...გვითხრეს, იფრთხილეთ და შუბები ისე სტყორცნეთ, როგორც ღორსო...

— ...კუნძულზე უნდა გავმწკრივდეთ...

— ...ერთი ბოლოდან მეორემდე...

— ...სანამ არ გიპოვით...

— ასე უნდა ვიძახოთ...

ერიკმა თავი გადასწია, ხმადაბლა დაიძახა „უ-უ-უ!“, თან ხელისგულს დაღებულ პირზე ირტყამდა.

მერე შეშფოთებულმა გაიხედა უკან.

— აი, ასე...

— ...ოღონდ, რასაკვირველია, ხმამაღლა...

— კი მაგრამ, რა დავუშავე, — ცხარედ ჩაიჩურჩულა რალფმა, — მხოლოდ ცეცხლის შენარჩუნება მინდოდა!

წუთით შეყოვნდა, გულმოკლული, ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. უცებ ყოვლისმომცველი, უკიდურესად მნიშვნელოვანი კითხვა დაუსვათ:

— მერე თქვენ..?

თავი ვერ აიძულა, რომ დაეზუსტებინა, მაგრამ შიშმა და მარტოობამ წააქეზა.

— როცა მიპოვიან, რას მიპირებენ?

ტყუპები დადუმდნენ. ქვემოთ ისევ თეთრად აყვავდა სიკვდილის კლდე.

— რას აპირებენ... ღმერთო! როგორ მშია...

ქვემოთ, ნაწვეტებული კლდე თითქოს შექანდა.

— კარგი... რას..?

ტყუპებმა სიტყვა ბანზე აუგდეს:

— ახლავე უნდა წახვიდე, რალფ.

— შენთვის ასე სჯობია.

— გაეცალე. რაც შეიძლება, შორს წადი.

— თქვენ არ წამომყვებით? სამნი კიდევ შევძლებთ რამეს.

ერთხანს ჩუმად იყვნენ. მერე სემმა ჩამწყდარი ხმით უთხრა:

— შენ როჯერს არ იცნობ. საშინელი ვინმეა.

— ...ბელადიც... ორივე...

— ...საშინლები...

— ...ოღონდ როჯერი...

უცებ ორივე გაქვავდა. ტომიდან ვიღაც აქეთ მოცოცავდა.

— ჩვენს შესამოწმებლად მოდის. ჩქარა, რალფ!

კლდიდან ჩასასვლელად რომ მოემზადა, რალფი ხავსივით ჩაებღაუჯა უკანასკნელ შესაძლებლობას, ამ შეხვედრიდან რამე გამოედნო.

— აქვე ჩავწვები; აი, იმ ბარდებში, — წასჩურჩულა ტყუპებს, — იქნებ, აქაურობას გაერიდოთ. აზრად არ მოუვათ, რომ ასე ახლოს ვიქნები...

ნაბიჯები ჯერ შორიდან ისმოდა.

— სემ... მე მგონი, გადავრჩები, არა?

ტყუპები ისევ ხმას არ იღებდნენ.

— მოიცა! — უთხრა უცებ სემმა, — აი, აიღე...

ხორცის ნაჭერი გადმოუგდო. რალფმა ხელი სტაცა.

— მაგრამ როცა დამიჭერთ, რას იზამთ?

ისევ დუმილი. მიხვდა, რა სისულელეს ეკითხებოდა. კლდეზე დაიწყო დაშვება.

— რას აპირებთ..?

ნაწვეტებული კლდის თავიდან გაურკვეველი პასუხი მოესმა:

— როჯერმა შუბს ორივე ბოლო წაუთალა.

როჯერმა შუბს ორივე ბოლო წაუთალა. რალფი ამაოდ ცდილობდა, ამ სიტყვების აზრს ჩასწვდომოდა. გულმოსულმა, ყველა ცუდი სიტყვა ჩამოთვალა, რაც კი მოაფიქრდა, მაგრამ მალე მთქნარება აუტყდა. რამდენ ხანს შეიძლება უძილოდ გაძლება? საწოლი და თეთრეული მოენატრა — მაგრამ თეთრი აქ მხო-

ლოდ ნელა ჩაღვრილი რძეა, ციმციმით რომ ეკვრის გარშემო კლდეს, ორმოცი ფუტით დაბლა, იქ, სადაც ღუტა დაეცა. ღუტა ყველგან იყო, ამ გასასვლელშიც; მკვდარი ღუტა სიბნელეში საშიში გახდა. ახლა წყლიდან რომ ამოსულიყო, თავგაპობილი... რალფმა დაიკრუსუნა, ველურთა პატარასავით აღნავლდა, შებარბაცდა და ჯოხს ყავარჯენივით დაეყრდნო.

მერე ისევ დაიძაბა. კოშკივით კლდის წვერიდან ხმები გაისმა. სემდერიკი ვიღაცას ედავებოდნენ. მაგრამ ბალახი და გვიმრები უკვე ახლოს იყო. იქ შეძვრებოდა, დაიმალებოდა, მერე ტევრში გადავიდოდა, ხვალ იქაური ბარდები გამოადგებოდა სამალავად. აი, — ხელით ბალახს შეეხო, — აქ გაათევდა ღამეს, ველურთა ტომის შორიახლოს, და თუ ზებუნებრივით ძრწოლას ვეღარ მოერეოდა, ბოლოს და ბოლოს, შეეძლო, ცოტა ხნით მაინც შერეოდა ადამიანებს, თუნდაც...

თუნდაც — რა? ორივე ბოლოს წამახული ჯოხი. მერე რა? შუბებიც სტყორცნეს, მაგრამ ააცდინეს — ერთის გარდა. იქნებ, ისევ ააცდინონ.

მაღალ ბალახში ჩაცუცქდა, სემის მოცემული ხორცი გაახსენდა და დამშეულმა გლეჯა დაუწყო. ჭამისას კიდევ შემოესმა ხმები — სემდერიკის ყვირილი, ტკივილით, შიშით სავსე ყვირილი, კიდევ გაბრაზებული ხმები. რას ნიშნავდა? მის გვერდით ვიღაცას უჭირდა, ტყუპებიდან ერთი მაინც ცუდ დღეში იყო. მერე ხმები კლდის იქით დაეშვა და რალფმაც თავი ანება ამაზე ფიქრს. ხელში გრილი, თხელი ფოთლები ხვდებოდა; ტევრის პირას იჯდა. აქ იყო ღამის გასათევი ბუნაგი. ინათებს თუ არა, ტევრში შეძვრება, დაგრეხილ ღეროებში შეიყუჟება, ისე ღრმად ჩაიბუდებს, რომ ვერავინ ვერ მიაგნებს, რალფივით ხოხვით თუ შეძვრა ვინმე, ჯოხიც მოხვდება. იქ იჯდება, მდევარი გვერდით ჩაუვლის, კორდონი ტუჩებზე ხელის ტყაპუნით მიივლ-მოივლის მთელ კუნძულს და მერე თავისუფალი იქნება.

გვიმრებში გვირაბივით გაძვრა და მოიკუნტა. ჯოხი გვერდზე მოიდო და სიბნელეს მისცა თავი. უნდა ახსოვდეს: ინათებს თუ არა, უნდა გაიღვიძოს, რომ ველურები ჭკუაში მოატყუოს — თვითონაც ვერ გაიგო, რა სწრაფად მოვიდა, როგორ ჩაითრია დაფერდებულ, ბნელ ციცაბოზე ძილმა.

თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ უკვე ეღვიძა, მოახლოებულ ხმაურს უსმენდა. ცალი თვალი გაახილა, სახიდან დაახლოებით დუიმის მანძილზე ფხვიერი მიწა დაინახა, ფრჩხილებით მოფხოჭნა. გვიმრის ფოთლებში სხივები ჩამდგარიყო. მიხვდა, რომ ჩაიარა უსასრულოდ გრძელმა ღამის კოშმარმა — სადღაც რომ ეცემოდა და კვდებოდა; გათენდა — ისევ ხმა მოესმა. ზღვის პირას ვიღაცამ დაიძახა — „უ-უ-უ!“, მერე მეორე ველური გამოეხმაურა, მერე კიდევ სხვა. ძახილმა კუნძულს გადაუარა — ვიწრო გასასვლელიდან ლაგუნამდე, ზღვის პირამდე, — გაფრენილი ჩიტის ყივილივით. დაფიქრების დრო აღარ ჰქონდა, წამახულ ჯოხს ხელი სტაცა და წელში მოხრილი, გვიმრებში გაძვრა. რამდენიმე წამიც და, ტევრში მიხოხავდა, ცდილობდა, მისკენ მომავალ ფეხებს მოშორებოდა, მანამდე რომ მოჰკრა თვალი. გვიმრებს რაღაცას აქეთ-იქით ურტყამდნენ, გაიგონა, რომ მაღალ ბალახში ვიღაც შლიგინით მიაბიჯებდა. სადღაც ველურმა ხმამაღლა ორჯერ დაიძახა „უ-უ-უ!“, ხმა ორივე მხრიდან გამეორდა და ჩაჩუმდა. რალფი ბარდებში მოიკუნტა და ერთხანს აღარაფერი გაუგონია.

ბოლოს, იქაურობა მოათვალიერა. ნამდვილად ვერავინ დაესხმოდა თავს. ბედმა გაუღიმა. უზარმაზარ ლოდს, ღუტა რომ მოკლა, მერე ტევრში რომ ჩაეშვა და ხტუნვა-ხტუნვით დაგორდა შუაგულში, რამდენიმე ფუტის სიგანის კვალი დაეტოვებინა. აქ შემოხოხებული რალფი თავს უხიფათოდ გრძნობდა და ფიქრობდა, ჭკვიანურად მოვიქეცი. ფრთხილად ჩაჯდა დასრესილ ღეროებში და ლოდინი დაუწყო, როდის ჩაუვლიდნენ მონადირეები. ფოთლებიდან ზემოთ აიხედა, თვალი მოჰკრა, რომ რაღაცამ წითლად გაიელვა. ეგ კოშკივით კლდის წვერი უნდა იყოს, მოშორებული, უხიფათო. საზეიმოდ მოკალათდა და მოემზადა იმის მოსასმენად, თუ როგორ მიჩუმდებოდა შორს ნადირობის ხმა.

ჯერ ჩამიჩუმი არ ისმოდა; მწვანე ჩრდილში სიმშვიდემ სულ ცოტა ხანს გასტანა.

მალე ხმა გაიგონა — ჯეკის ხმა, ოდნავ მოგუდული:

— ნამდვილად იცი?

იმ ველურმა, ვისაც ეკითხებოდნენ, არაფერი უპასუხა.

— იცოდე, თუ გვასულელებ... — ეს როჯერის ხმა იყო.

და მყისვე — რაღაც ფაჩუნი და გულისმომკვლელი, ტკივი-

ლით გატანჯული ხმა. რალფი ინსტინქტურად მოიკუნტა. ტყუპისცალი აქ იყო, ტევრთან, ჯეკთან და როჯერთან ერთად.

— დარწმუნებული ხარ, რომ აქაურობაზე ამბობდა?

ტყუპისცალმა ამოიკვნესა და მერე ისევ დაიყვირა.

— აქაურობაზე ამბობდა, დავიმალებიო?

— ჰო... ჰო... ოოოჰ!

ხეებს ვერცხლისებრმა სიცილმა დაუარა.

იცოდნენ.

რალფმა ჯოხი ხელში აიღო და საბრძოლველად მოემზადა. მაგრამ რას უზამდნენ? ტევრში ბილიკის გაყვანას მთელ კვირას მოანდომებდნენ; მანამდე თუ ვინმე თავს შემოჰყოფდა, იმას აღარაფერი უშველიდა. შუბის წვერი ცერით მოსინჯა და ცალყბად, მწარედ გაიღიმა. ვისაც არ უნდა შემოეყო თავი, კარგი დღე არ დაადგებოდა, ღორივით ააჭყივლებდა.

მიდიოდნენ, კოშკივით კლდესთან ბრუნდებოდნენ, ფეხის ხმა და ხითხითი გაიგონა. მერე ისევ იმ ხმამაღალმა, ჩიტის ყივილივით ხმამ დაუარა გამწკრივებულ ველურებს. ესე იგი, ზოგი ისევ უთვალთვალებს, ზოგი კი...?

გრძელი, სამარისებური სიჩუმე. რალფი უცებ მიხვდა, რომ პირში შუბიდან მოღრღნილი ქერქი ედო. ადგა და კოშკივით კლდისკენ აიხედა.

მაშინვე ჯეკის ხმა გაიგონა წვერიდან:

— ერთი! ორი! სამიიი!

კლდის თავზე წითელი ლოდი ფარდასავით ჩამოვარდა და უეცრად რალფმა ფიგურები და ლურჯი ცა დაინახა. წუთიც და მიწა შეზანზარდა, ჰაერში გრგვინვა გაისმა, ტევრს თითქოს კენწეროში ვეება ხელმა წამოარტყაო. უზარმაზარი ლოდი სანაპიროსკენ მიხტოდა და გზაზე ყველაფერს მიწასთან ასწორებდა. რალფის თავზე წვიმასავით წამოვიდა დამტვრეული ტოტები და ფოთლები. ტევრს იქით ველურთა ტომმა აღტაცების ყიჟინა დასცხო.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

რალფმა თითები პირში ჩაიდო და მოიკვნიტა. იქ ერთადერთი ლოდიღა დარჩა, რომელიც შეიძლებოდა, ადგილიდან დაეძრათ; მაგრამ ნახევარი კოტეჯისოდენა იყო, მანქანისოდენა, ტანკისოდენა. მომაკვდინებლად მკაფიოდ დაუდგა თვალწინ,

როგორ დაეშვებოდა ის ლოდი — ჯერ ნელა, შვერილიდან შვერილზე გადავარდებოდა, მერე ვეებერთელა ორთქლმავალივით დასრიალდებოდა ვიწრო გასასვლელში.

— ერთი! ორი! სამიიი!

რალფმა შუბი დადო, მერე ისევ აიღო. გაღიზიანებულმა გადაიყარა უკან თმა, აფორიაქებულმა ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა თავის სამალავში, ისევ უკან მობრუნდა. იდგა და დამტვრეულ ტოტებს შეჰყურებდა.

ისევ სიჩუმე.

საკუთარი დიაფრაგმის მოძრაობას მოჰკრა თვალი და გაუკვირდა, რომ ასე ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა. მარცხენა მხარეს თვალით ჩანდა, როგორ უცემდა გული. შუბი ისევ ძირს დადო.

— ერთი! ორი! სამიიი!

ყურისწამღები, გრძელი ყიჟინა.

წითელ კლდეზე რაღაცამ დაიგუგუნა, მერე მიწა იძრა და თანაბრად ატორტმანდა, ხმაურიც ასევე თანაბრად მატულობდა. რალფი რაღაცამ ჰაერში აისროლა, გადააგდო, ტოტებს მიანარცხა. ხელმარჯვნივ, სულ რამდენიმე ფუტის მოშორებით, მთელი ტევრი გადაიხარა, ფესვებმა დაიჭრაჭუნეს და მიწიდან ერთდროულად ამოვიდნენ. დაინახა, რომ რაღაც წითელი ნელა მოგორავდა, წისქვილის ბორბალივით. მერე იმ წითელმა რაღაცამ ჩაიარა და სპილოების ჯოგივით დაეშვა ზღვისკენ.

რალფმა ათხრილ ნიადაგზე დაიჩოქა და დედამიწის ჩაწყნარებას დაუცადა. მალე თეთრი, დამტვრეული კუნძები, დახლეჩილი ტოტები და აბურდული ტევრი თითქოს თავის ადგილს დაუბრუნდა, რალფს გულზე რაღაც სიმძიმე აწვა, სული ეხუთებოდა.

ისევ სიჩუმე.

თუმცა არა. ჩურჩული გაისმა; უეცრად მარჯვნივ ტოტები მძლავრად შეირხა ორ ადგილას. შუბის ნამახული წვერი გამოჩნდა. დაფეთებულმა რალფმა ჯოხი მოიქნია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩასცხო.

— აა-აჰ!

შუბი ოდნავ გადაეგრიხა ხელში და ისევ უკან ამოაძრო.

— ოოჰ... ოოჰ...

ვიღაც გმინავდა გარეთ, ვიღაცეები არატრატდნენ. გაცხა-

რებულები დავობდნენ, დაჭრილი ველური კვნესოდა. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ხმა გაისმა და რალფმა იფიქრა, ეს ჯეკი არ არისო.

— ხედავთ? ხომ გეუბნებოდით... საშიშია.

დაჭრილი ველური ისევ აკვნესდა.

ახლა? ახლა რა მოხდება?

რალფმა მაგრად მოუჭირა ხელები დაღრღნილ შუბს, თმა ჩამოეშალა. ვიღაც იქვე, რამდენიმე იარდის მოშორებით ბუტბუტებდა, კოშკივით კლდის მხარეს. გაიგონა, როგორი თავზარდაცემული ხმით წარმოთქვა ველურმა: „არა!", მერე შეკავებული სიცილი მოესმა. ჩაცუცქდა, ტოტების კედელს კბილები დაუკრაჭუნა. შუბი ასწია, ხმადაბლა დაიღრინა და დაელოდა.

უხილავი ჯგუფი კიდევ ერთხელ ახითხითდა. ჯერ უცნაური შრიალი მოესმა, მერე უფრო ხმამაღალი ჭრაჭუნი, თითქოს ვიღაც ცელოფანის ვეება ფურცლებს შლისო. ჯოხმა გაიტკაცუნა და ხველებამ სული შეუხუთა. ტოტებში კვამლის თეთრმა და ყვითელმა მარყუჟებმა გამოჟონა, ზემოთ, ლურჯი ცის ნაგლეჯი ქარიშხლის ღრუბელს დაემსგავსა და ბიჭი უცებ კვამლში გაეხვია.

ვიღაცამ აღტაცებით გაიცინა და იყვირა:

— კვამლი!

რალფი ტევრის გავლით ტყისკენ გახოხდა, ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, მოშორებოდა კვამლს. მალე გაშლილი ადგილი და ტევრისპირის მწვანე ფოთლები დაინახა. პატარა, წითელი და თეთრზოლებიანი ველური იდგა რალფსა და ტყეს შორის, ხელში შუბი ეჭირა. ახველებდა, საღებავს ხელისზურგით თვალებზე იდღაბნიდა და ცდილობდა, მომძლავრებულ კვამლში რამე დაენახა. რალფი კატასავით დააცხრა, ბრდღვინვით ჩასცა შუბი და ველური ორად მოიკეცა. ტევრს მიღმა ყვიროდნენ, რალფს შიში მიერეკებოდა და ხეებს ქვეშ მიჰქროდა. ღორების საძრომ გზას მიადგა და მიჰყვა, ასიოდე იარდი გაიარა და მოუხვია. უკან კიდევ ერთხელ გადაუარა კუნძულს იმ ნიშანივით ძახილმა — „უ-უ-უ!" — მერე ერთმა ხმამ სამჯერ დაიყვირა. იფიქრა, ეს ალბათ წინსვლის ნიშანიაო და ისევ მოკურცხლა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ბუჩქის ქვეშ შევარდა და მოიცადა, სანამ სულს მოითქვამდა. ენით მოისინჯა კბილები და ტუჩები, შორს მდევარის ძახილს მიაყურადა.

კიდევ ბევრი რამ შეეძლო. შეეძლო ხეზე ამძვრალიყო — მაგრამ მაშინ ყველაფერი სასწორზე უნდა შეეგდო. თუ მიაგნებდნენ, საქმე გაუიოლდებოდათ — დასხდებოდნენ და დაელოდებოდნენ.

დრო რომ ჰქონდეს მოსაფიქრებლად!

კიდევ დაიყვირა ვიღაცამ ორჯერ იმავე მანძილიდან და რალფი მიუხვდა. ტყეში გახლართულ ველურს ორჯერ უნდა დაეყვირა და დანარჩენები დაუცდიდნენ, სანამ თავს არ გამოიხსნიდა. ასე, მთლიანი კორდონით აპირებდნენ კუნძულის შემოვლას. რალფს ის ტახი გაახსენდა, სულ იოლად რომ გაარღვია მათი მწკრივი. თუ აუცილებელი გახდებოდა, მდევარი რომ მოუახლოვდებოდა, შეეძლო კორდონი გაერღვია იქ, სადაც უფრო შეთხელებული იქნებოდა, და უკან გაქცეულიყო. მაგრამ სად უკან? კორდონი მოტრიალდებოდა და ისევ გამოეკიდებოდა. ადრე თუ გვიან, ხომ უნდა დაეძინა ან ეჭამა და მაშინ უკვე კლანჭებივით ჩაბღაუჭებული ხელები გააღვიძებდნენ...

რა უნდა ქნას? ხეზე აძვრეს? ტახივით გაარღვიოს მწკრივი? რაც არ უნდა აერჩია, ერთიც და მეორეც საშინელება იყო.

ველურის ძახილმა ისევ გაუხეთქა გული, წამოხტა, ოკეანისკენ გავარდა, გაუვალ ჯუნგლებში მირბოდა, სანამ ლიანებში არ გაიხლართა და ჩამოეკიდა. ერთხანს გაჩერდა, მხოლოდ ფეხები უკანკალებდა. დამშვიდება რომ შეეძლოს, ერთხანს სულის მოთქმა რომ შეეძლოს, მოსაფიქრებელი დრო რომ ჰქონდეს!

მერე ისევ ურუანტელის მომგვრელმა ძახილმა — „უ-უ-უ!" — გადაუარა კუნძულს. ამ ხმას ვერსად გაექცეოდა. ცხენივით ყალყზე შედგა, ლიანებს თავი დააღწია და მანამ ირბინა, სანამ კიდევ ერთხელ შეეკრა სუნთქვა. ისევ გვიმრებს ქვეშ შეიმალა. რა ქნას? ხეზე აძვრეს თუ მწკრივი გაარღვიოს? წუთით სული მოითქვა, პირი მოიწმინდა და საკუთარ თავს შეუძახა, აბა, დამშვიდდიო. სემდერიკი იქ არიან, იმათთან და სძულთ ეს მწკრივი. არიან კი? რა იცის, რომ სემდერიკს გადაეყრება? იქნებ მათ ნაცვლად ბელადი დახვდეს, ან როჯერი, ხელით სიკვდილს რომ დაატარებს?

რალფმა აბურდული თმა გადაიყარა და საღი თვალიდან ოფლი მოიწმინდა.

— იფიქრე, — თქვა ხმამაღლა.

რა ქნას? რა აჯობებს?

ღუტა არ ჰყავდა, რომ ეთქვა. არც კრება, სერიოზულად რომ ემსჯელათ, არც ღირსების სიმბოლო — საყვირი.

— იფიქრე.

ახლა ყველაზე უფრო ის აშინებდა, გონებაში ფარდა არ აფრიალებოდა, საფრთხის შეგრძნება არ დაებინდა და აზროვნების უნარი არ წაერთმია.

მესამე გამოსავალი იქნებოდა, ისე კარგად დამალულიყო, რომ წინ მომავალ მწკრივს ჩაევლო და ვერ შეემჩნია.

თავი მიწას მოაშორა და მიაყურადა. კიდევ ერთი ხმა გაიგონა — ყრუ, ბრდღვინვასავით ხმა, თითქოს ტყე უჯავრდებოდა, პირქუში ხმა, რომლის ფონზეც ველურების ძახილი ისე ისმოდა, თითქოს დაფაზე რაღაცას აწრიპინებენო. იცოდა, რომ ეს ხმა ადრე სადღაც გაგონილი ჰქონდა, მაგრამ ახლა გასახსენებლად არ ეცალა.

მწკრივი გაარღვიოს.

ხეზე ავიდეს.

დაიმალოს და გაატაროს.

მოახლოებულმა ყვირილმა ფეხზე წამოაგდო, წუთიც და ისევ ეკალ-ბარდებსა და მაყვლის ბუჩქებში გარბოდა. უეცრად ბარდები შეთხელდა და ისევ იმ გაშლილ ადგილას აღმოჩნდა — ისევ ფართოდ გაღმეჭილი ქალა, ოღონდ ახლა უძირო, ლურჯი ცის ნაგლეჯს კი არ შესცინოდა, არამედ თავზე გადმომდგარ კვამლის საბანს იგდებდა მასხრად. რალფი ხეებქვეშ გავარდა, ახლა მიხვდა, რატომ ბრდღვინავდა ტყე. ბოლით მოუნდომეს ტყიდან გამოდევნა და კუნძული ცეცხლს მისცეს.

ხეზე აძრომას დამალვა სჯობს, თუ გიპოვიან, კიდევ ერთი გამოსავალი გრჩება — წრის გარღვევა.

მაშ, უნდა დაიმალოს.

იფიქრა, ნეტავ ღორი თუ დამეთანხმებოდაო და სიცარიელეს დაემანჭა. მოძებნე ამ კუნძულზე ყველაზე ღრმა, ყველაზე ბნელი ფუღურო და შეძვერი. ახლა თან გარბოდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა. მზის სხივები დასთამაშებდა და ჭუჭყიან სხეულზე ოფლი ულაპლაპებდა. ველურების გადაძახილი უკან მოიტოვა; ახლა შორიდან ისმოდა.

როგორც იქნა, იპოვა შესაფერისი ადგილი, თუმცა გადაწყვეტილება სასოწარკვეთამ მიაღებინა. აქ, ბუჩქებისა და ველური ბარდების ხალიჩაში, მზის ერთი სხივიც კი ვერ აღწევდა. ხალიჩის ქვეშ დაახლოებით ერთი ფუტის სიმაღლის სივრცე რჩებოდა, თუმცა ეს სივრცეც პარალელური ან ახლად ამოყრილი ღეროებით იყო სავსე. შუაში თუ შეხოხდებოდი, ხუთი ფუტის მანძილზე იქნებოდი დაშორებული კიდეებიდან და ისე დაიმალებოდი, რომ ველური მიწაზე თუ არ გაწვებოდა, ვერ დაგინახავდა; გინდაც ასე მომხდარიყო, სიბნელეში იქნებოდი შეყუჟული; და თუ უსაშველო გახდებოდა და მაინც შეგნიშნავდა, კიდევ ერთი შესაძლებლობა გრჩებოდა — გამოვარდნილიყავი, მწკრივი გაგერღვია, მოტრიალებულიყავი და უკან გაქცეულიყავი.

რალფი ფრთხილად გახოხდა ამოზრდილ ღეროებს შორის. ჯოხს თან მიითრევდა. ხალიჩის შუაგულს რომ მიაღწია, დაწვა და ყური მიუგდო.

ცეცხლი მომატებული იყო. წეღან რომ ეგონა, დოლის ხმა კარგა შორს მოვიტოვეო, ახლა უფრო ახლოდან ისმოდა. ისე, ცეცხლი გაჭენებულ ცხენს ხომ ეწევა? სადაც ინვა, იმ ადგილიდან თხუთმეტიოდე იარდის მოშორებით, მზით განათებული მიწა ჩანდა; მზის ყოველმა ლაქამ უცებ თვალი ჩაუკრა. ეს ისე ჰგავდა მის ტვინში მოშარიშურე ფარდას, რომ წუთით იფიქრა, ხომ არ მელანდებაო. მაგრამ მერე ლაქები უფრო სწრაფად ახამხამდა, დაიბინდა, წაიშალა და მიხვდა, რომ კუნძულსა და მზეს შორის მძიმედ ჩამოწვა კვამლი.

თუ ვინმე ბუჩქებქვეშ შეიხედავდა და ადამიანის სხეულს გაარჩევდა, ეს სემდერიკი იქნებოდა, ისინი კი ისე დაიჭერდნენ თავს, ვითომ ვერაფერი დაინახეს და ხმას არ ამოიღებდნენ. ლოყა შოკოლადისფერ მიწას დაადო, გამშრალი ტუჩები დაისველა და თვალები დახუჭა. ტევრს ქვეშ მიწა ოდნავ თრთოდა; ან იქნებ ეს რაღაც წყნარი ხმა იყო, რომელსაც ცეცხლის გუგუნსა და ველურების წრიპინში ვეღარ არჩევდა.

ვიღაცამ დაიძახა. რალფმა ლოყა მიწას მოაშორა და შედარებით განათებულ ადგილს ჩააცქერდა. იფიქრა, ახლა ახლოს იქნებიანო და გულმა ბაგაბუგი დაუწყო. დამალვა, მწკრივის გარღვევა, ხეზე აძრომა — მაინც რა სჯობდა? საქმე ისაა, რომ ერთადერთი შესაძლებლობა ჰქონდა.

ახლა ცეცხლი უახლოვდებოდა; ქვემეხის გრუხუნი

მოესმა— ალბათ მორები, ან დიდრონი ხეები იწვის. ბრიყვები! ბრიყვები! ცეცხლი ხილის ხეებსაც მოეკიდება — ხვალ რას შეჭამენ?

რალფი მოუსვენრად აწრიალდა თავის ვიწრო საწოლში. გასაქცევი აღარ დარჩა! რას უზამენ? სცემენ? მერე რა? მოკლავენ? ჯოხს ორივე ბოლო წამახული აქვს.

უცებ მოახლოებულმა ყვირილმა ფეხზე წამოაგდო. დაინახა, რომ ზოლიანი ველური აჩქარებით გამოვიდა მწვანე ბარდებიდან და პირდაპირ ხალიჩისკენ გამოემართა, სადაც რალფი იმალებოდა, ველურს შუბი ეჭირა. რალფი მიწას ჩაებღაუჭა. აბა, მოემზადე.

ხელში ისე გადაატრიალა შუბი, რომ წვერი წინ მოექცია; ახლა დაინახა, რომ ველურის ჯოხს ორივე წვერი წამახული ჰქონდა.

ველური თხუთმეტიოდე იარდის მოშორებით გაჩერდა და დაიძახა.

შეიძლება, ცეცხლის გუგუნში ჩემი გულისცემა ესმის. არ იყვირო, მოემზადე.

ველური წინ წამოვიდა, მხოლოდ წელს ქვევით ჩანდა. ეს შუბისტარია. ახლა მუხლს ქვემოთ ჩანს. არ იყვირო.

ღორების კოლტი ჭყივილით გამოვარდა ფოთლებიდან ველურის ზურგს უკან და ტყეში გავარდა. ფრინველები ყიოდნენ, თაგვები წრიპინებდნენ, რაღაც პატარა ცხოველი ხალიჩის ქვეშ შემოხტა და გაიტრუნა.

ხუთი იარდის მოშორებით ველური ზედ ბარდებთან გაჩერდა, ისევ დაიძახა. რალფმა ფეხები აიკეცა და მოიკუნტა. იმას ხელში ჭოკი ეჭირა, ორივე ბოლოში წამახული ჭოკი, და ეს ჭოკი გააფთრებით ბორგავდა, დაგრძელდებოდა, დამოკლდებოდა, შემსუბუქდებოდა, დამძიმდებოდა, ისევ შემსუბუქდებოდა.

ყიჟინამ სანაპიროს თავიდან ბოლომდე გადაუარა. ველურმა ბარდებთან ჩაიმუხლა, ტყეში, მის ზურგს უკან, მზის შუქი ციმციმებდა. ჩანდა, როგორ დაანვა მუხლით მიწას. ახლა მეორე მუხლი. ორი ხელი. შუბი.

სახე.

ველური ბარდებში ჩაწოლილ წყვდიადს ჩააცქერდა. ეტყობოდა, რომ აქეთ-იქით შუქს ხედავდა, მაგრამ შუაში — ვერა.

შუაში — ბნელი გუდა ჩანდა. ველურს სახე მოეჭმუხნა, ცდილობდა, სიბნელე გაეშიფრა.

წამები გაიწელა. რალფი ველურს თვალებში ჩაჰყურებდა.

არ იყვირო.

შინ დაბრუნდები.

დაინახა. ამოწმებს. წამახული ჯოხი.

რალფმა იყვირა — შიშისგან, ბრაზისგან, სასოწარკვეთისგან. ფეხები თავისით გაიმართა, ყვიროდა — გაუჩერებლად, დუჟმორეული. ადგილს მოსწყდა, ბარდები გაგლიჯა, მეჩხერ ადგილას გავარდა, ყვიროდა, ღრიალებდა, სისხლი სდიოდა. ჭოკი მოუქნია და ველური გადავარდა; მაგრამ ახლა სხვები გამორბოდნენ ყვირილით. ნატყორცნი შუბი აიცდინა და გაიქცა — აღარ ყვიროდა. უცებ წინ მოციმციმე ნაპერწკლები გაერთიანდა, ტყის გუგუნი გრუხუნად გადაიქცა და გზა მარაოსავით აალებულმა, მაღალმა ბუჩქმა გადაუღობა. მარჯვნივ მოუხვია, სასოწარკვეთილი მიჰქროდა, მკერდის მარცხენა მხარეს ბაგაბუგი გაჰქონდა, ცეცხლი ზღვის მოქცევასავით მოიწევდა წინ. მის ზურგს უკან ყიჟინა ატყდა, იქაურობას მოკლე, მჭახე ძახილი მოედო — აქაოდა, გხედავთო. მარჯვნივ ყავისფერი ფიგურა გამოჩნდა და ჩამორჩა. ყველა გარბოდა, ყველა გიჟივით გაჰყვიროდა. ესმოდა, როგორ მოშლიგინებდნენ; მარცხნივ ცეცხლის ცხელი, კაშკაშა გრუხუნი ისმოდა. დაავიწყდა ჭრილობებიც, შიმშილიც, წყურვილიც, შიშად იქცა; ფეხადგმულ შიშად, განწირული რომ მიჰქროდა ტყის გავლით სანაპიროსკენ. თვალებში წერტილები უხტოდა, წითელ წრეებად იქცეოდა, იდღაბნებოდა და ქრებოდა. თითქოს სხვას დაეღალა ფეხები, ყურისწამღები ყიჟინა მუქარის დაკბილული ფოჩივით მოიწევდა და ლამის თავზე გადაჰფარებოდა.

ფესვს წამოჰკრა ფეხი და დადევნებულმა ყიჟინამ იმატა. დაინახა, როგორ ეფეთქა ქოხმა ცეცხლში, მარჯვნივ ალი ბობოქრობდა, წინ წყალი ლაპლაპებდა. მერე თავქვე დაეშვა, თბილ ქვიშაში რამდენჯერმე გადატრიალდა, მკლავები აიფარა და სცადა, ეყვირა, დამინდეთო.

ბარბაცით წამოდგა, კიდევ მეტი საშინელების მოლოდინში დაიძაბა და უზარმაზარ, წინაფრიან ქუდს ახედა. თეთრი ქუდი იყო, წინაფრის მწვანე ჩრდილში გვირგვინი, ღუზა და ოქროს-

ფერი ფოთლები ჩანდა. თეთრი მუნდირი, ეპოლეტები, რევოლვერი და მუნდირზე ჩამომწკრივებული მოოქროვილი ღილები დაინახა.

ფლოტის ოფიცერი ქვიშაზე იდგა და შემცბარი, განცვიფრებული ათვალიერებდა რალფს. მის უკან, ნაპირზე, ორ მეზღვაურს კატერი წყლიდან ამოეთრია. კიჩოზე კიდევ ერთი მეზღვაური იდგა, ხელში ავტომატი ეჭირა.

ყიჟინა წაბორძიკდა და ჩაჩუმდა.

ოფიცერმა ეჭვის თვალით შეხედა, მერე ხელი რევოლვერის ტარს მოაშორა.

— გამარჯობა.

რალფი შეიშმუშნა — იცოდა, რომ საძაგლად გამოიყურებდა და მორცხვად უპასუხა.

— გაგიმარჯოთ.

ოფიცერმა ისე დაუქნია თავი, თითქოს კითხვაზე უპასუხესო.

— მოზრდილები... უფროსები არ არიან?

რალფმა, თითქოს ენა წაერთვაო, თავი გააქნია. ქვიშიანი ნაპირისკენ მოიხედა. ფერადი თიხის ზოლებად გათითხნილი პატარა ბიჭები ნახევარწრედ გამწკრივებულიყვნენ. წამახული ჯოხები ეჭირათ, გასუსულები იდგნენ სანაპიროზე.

— თამაშობთ და ერთობით, — თქვა ოფიცერმა.

ცეცხლი ნაპირზე ქოქოსის პალმას მოსწვდა და ხმაურით ჩაყლაპა. ალი, ვითომ აქ არაფერიაო, აკრობატივით შეხტა და ბაქანზე პალმების კენწეროები გალოკა. ცა გაშავებული იყო.

ოფიცერმა მხიარულად გაუცინა რალფს.

— თქვენი კვამლი დავინახეთ. რას აკეთებდით? ომი გაქვთ თუ რა?

რალფმა თავი დაუქნია.

ოფიცერი მის წინ მდგომ პატარა საფრთხობელას აკვირდებოდა. ახლა ერთი კარგი დაბანა, თმის შეჭრა, ცხვირის მოხოცვა დახატავდა. არც მალამოები აწყენდა.

— იმედი მაქვს, არავინ მოგიკლავთ? გვამები ხომ არ არის სადმე?

— მხოლოდ ორი. მაგრამ გვამები წყალმა წაიღო.

ოფიცერი დაიხარა და რალფს თვალი გაუსწორა.

— ორი? მოკლული?

რალფმა ისევ დაუქნია თავი. მის ზურგს უკან ათრთოლებული კუნძული ცეცხლში გახვეულიყო. ოფიცერი ყოველთვის გრძნობდა, როცა სიმართლეს ეუბნებოდნენ. ხმადაბლა დაუსტვინა.

ახლა დანარჩენებიც გამოჩნდნენ, ზოგი სულ პაწაწინა იყო, გარუჯულები, პატარა ველურებივით ღიპებგადმოგდებულები. ერთ-ერთი ოფიცერს მიუახლოვდა და ახედა:

— მე ვარ... მე ვარ...

მაგრამ ვეღარ გააგრძელა. პერსივალ უიმზ მედისონი გონებაში ჯადოსნურ სიტყვებს ეძებდა, მაგრამ ეს სიტყვები უკვალოდ გამქრალიყო.

ოფიცერი ისევ რალფს მიუბრუნდა.

— ჩვენ წაგიყვანთ. რამდენი ხართ?

რალფმა თავი გააქნია. ოფიცერმა მის უკან შეჯგუფებულ ბიჭებს მოავლო თვალი.

— მეთაური ვინ არის?

— მე ვარ. — ხმამაღლა უპასუხა რალფმა.

პატარა ბიჭმა, რომელსაც უჩვეულო, შავი ქუდის ნარჩენები ეხურა წითურ თმაზე და წელზე გატეხილი სათვალე ეკიდა, ერთი ნაბიჯი წამოდგა წინ, მერე გადაიფიქრა და ადგილზე გაშეშდა.

— თქვენი კვამლი დავინახეთ. ესე იგი, არ იცით, რამდენი ხართ?

— არა, სერ.

— მე მეგონა... — ოფიცერი უკვე ამ საქმესთან დაკავშირებულ საზრუნავზე ფიქრობდა, — მე მეგონა, ბრიტანელ ბიჭებს... ხომ ყველა ბრიტანელები ხართ?.. უფრო რიგიანად დახვედრა შეეძლოთ... იმას ვგულისხმობ, რომ...

— თავიდან ეგრეც იყო, — უთხრა რალფმა, — სანამ ყველაფერი...

გაჩერდა.

— მაშინ ყველა ერთად ვიყავით...

ოფიცერმა თავი დაუქნია, მესმისო.

— ვიცი. თავიდან საუცხოო სანახაობა იქნებოდა. „მარჯნის კუნძულივით“.

რალფი თვალგაშტერებული შეჰყურებდა. წუთით თვალწინ წარმოუდგა წარმავალი სურათი — ერთ დროს უცნაური

დიდებულებით გასხივოსნებული სანაპირო. მაგრამ კუნძული დამპალ შეშასავით დაიწვა... საიმონი მოკვდა... ჯეკმა... ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა და ქვითინი წასკდა. რაც კუნძულზე იყვნენ, პირველად მისცა თავს ამის უფლება; სიმწრისა და დარდის უსაშველო, გულისშემძვრელმა სპაზმებმა თითქოს მთელ სხეულში დაუარა. ალმოდებული, განადგურებული კუნძულის თავზე წამომდგარ შავ კვამლს მისი ხმაც შეუერთდა; ტირილი დანარჩენებსაც გადაედო და ბიჭუნები ქვითინისგან აცახცახდნენ. რალფი — ჭუჭყიანი, გაბურძგნული, ცხვირმოუხოცავი რალფი შუაში იდგა და გულამოსკვნილი დასტიროდა უმანკოების დასასრულს, ადამიანის გულში ჩაბუდებულ სიბნელეს, ჰაერში გადატრიალებულ ერთგულ, ბრძენ მეგობარს, ღუტას რომ ეძახდნენ.

ამ ხმებით გარშემორტყმულ ოფიცერს გული აუჩუყდა, შეცბა. მიტრიალდა, რომ ბიჭებისთვის დასაწყნარებლად დრო მიეცა; უცდიდა და თვალებს შორეთში მოტივტივე კრეისერის კოხტა სილუეტზე ასვენებდა.